

ქეთევან მანია

კოლონური იდეოლოგია ქართულ ბავშვურ მედიკაში

თბილისი
2023

წიგნი
ყრისძე
საქართველოს მთავრობის დაჯილდოებული

KAKA



ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია
ისტორიის ინსტიტუტი

ქეთევან მანია

პოლონური იდენტობა ქართულ
ბეჭდურ მედიაში

(XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის
40-იან წლებამდე)

თბილისი
2023

გამოკვლევაში ქართული ბეჭდური მედიის ანალიზით წარმოდგენილია პოლონური იდენტობის ისტორია XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე. აღნიშნული პერიოდი ერთნაირი განსაცდელის ხანაა ქართველი და პოლონელი ერისათვის, ორივე ერს უწევს ბრძოლა იდენტობის გადარჩენისათვის.

მონოგრაფიაში პოლონური იდენტობისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალის განხილვა წარმოდგენილია საზოგადოებრივ პერსექუციებზე, ღირებულებებზე, მახსოვრობებზე, სიმბოლოებზე დაკვირვებით. განალიზებულია ერთმანეთისგან განსხვავებული პერიოდების – საქართველოს დამოუკიდებლობამდე, დამოუკიდებლობის და საბჭოური პერიოდის მედია-მასალები და წარმოჩენილია ამ მასალის ქართველ მკითხველთათვის მიწოდების მნიშვნელობა.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ვარშავის უნივერსიტეტის
პროფესორი, დავით ყოლბაია

© ქეთევან მანია

გამომცემლობა მერიდიანი 2023

ISBN 978-9941-34-324-7

**Tskhum-Abkhazian Academy of Sciences
Institute of History**

Ketevan Mania

**Polish Identity in the Georgian
Print Media**

(from 1860s to 1940s)

**Tbilisi
2023**

The study presents the history of Polish identity from from 1860s to1940s through the analysis of Georgian print media. The mentioned period is the time of the same trials for the Georgian and Polish nations, both nations have to fight for the survival of their identities.

In the monograph, the discussion of various and numerous materials dedicated to the Polish identity is presented with the observation of public perceptions, values, memories, symbols. Media materials of different periods - before Georgia's independence, independence and the Soviet period - are analyzed and the importance of providing this material to Georgian readers is offered.

The publication is intended for specialists and a wide range of readers.

Editors:

Doctor of Historical Sciences,
Professor **Mariam Chkhartishvili**
Doctor of Historical Sciences,
Professor of the University of Warsaw,
David Kolbaia

© **Ketevan Mania**

Publishing “Meridiani” 2023

ISBN 978-9941-34-324-7



წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (SP-22-327).

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SP-22-327).

პროექტის ხელმძღვანელი:

ისტორიის დოქტორი ქეთევან მანია

პროექტის კოორდინატორი:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი

შინაარსი

შესავალი	7-12
თავი პირველი. პოლონელთა ბრძოლა ტერიტორიული იდენტობის შენარჩუნებისათვის	13-190
1. პოლონური იდენტობა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან პოლონეთის დამოუკიდებლობამდე.....	13-74
2. დამოუკიდებლობის 21 წელი და პოლონური იდენტობა	74-190
თავი მეორე. კულტურა და პოლონური იდენტობა	191-218
ბოლოთქმა	219-221
დამოწმებული ლიტერატურა	222-224
რეზიუმე ინგლისურ ენაზე, თარგმანი თამრიკო ყურაშვილისა	225-242

შესავალი

განსახილველად აღებული პერიოდი (XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე) ერთნაირად მტკივნეული აღმოჩნდა ქართველი და პოლონელი ერისათვის, იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიალური პოლიტიკა გადაშენებით ემუქრებოდა ორივეს იდენტობას. ქართულ საზოგადოებაში რუსული მმართველობის შედეგად ეროვნული საკითხებისადმი სრული ინდიფერენტობაში იყო გამეფებული. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მკითხველთათვის საერთაშორისო მოვლენებისადმი მიძღვნილი ინფორმაციების მიწოდებას.

ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „ივერია“ ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მედიაშესაბამისი ადგილი უნდა დაუთმოს უცხო ხალხთა ცხოვრებასა და მდგომარეობაზე ინფორმაციის მიწოდებას, რათა ჯეროვნად ცნობილი სხვისი მაგალითით თვითცნობა გაუადვილოს საზოგადოებას (ივერია 1877. № 1). ე.ი. უცხო ქვეყნის მაგალითები უნდა ქცულიყო ქართული იდენტობის სანიმუშო მაგალითებად. ამ მხრივ გამორჩეულია პოლონელთა ეროვნული მოძრაობის ამსახველი მასალების მრავალფეროვნება და მრავალრიცხოვნობა ქართულ ბეჭდურ მედიაში.

საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულებით, ბეჭდური მედია ხელს უწყობს ეროვნული მასშტაბის მკითხველთა საზოგადოების ჩამოყალიბებას. ასე რომ, ბეჭდური მედია არის ეროვნული ერთობის ფორმირების ამსახველი, ამავე დროს ფორმირების პროცესის ხელშემწყობი და დამჭარებელი. ე.ი. ბეჭდური

მედიის ნარატივი იდენტობის ერთობის ფორმირების პროცესზე პირდაპირი დაკვირვების საშუალებას იძლევა.

ბეჭდური მედიის როლს ქართველთა ნაციონალური გამთლიანების პროცესის ასახვაში, მიემდგნა რამდენიმე პუბლიკაცია პროფ. მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით. გამოქვეყნდა ჩვენი ერთობლივი ნაშრომი წიგნის სახითაც (ჩხარტიშვილი, მანია 2011). ნაშრომში თავისთავად ასახულია საერთაშორისო, მათ შორის, პოლონეთში განვითარებული მოვლენების ანალიზი.

არაერთი გამოკვლევა მიემდგნა საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის (ხუციშვილი 1959; ცინცაძე 1966; მეტრეველი 2004: 27-24; ფილინა და *სხვები* 2004; ხუნდაძე, კივილაშვილი 2012), ქართველების პოლონეთში თუ პოლონელების საქართველოში მოღვაწეობის შესწავლას. ამ მხრივ საინტერესოა, რუსეთის ხელისუფლების მიერ სამხედრო სამსახურში გაგზავნილი პოლონელების კავკასიაში და ქართველების ვისლაზე ცხოვრების ამსახველი ნაშრომები (ჩხარტიშვილი 2014: 272-287). ქართველების პოლონეთში, პოლონელების საქართველოში მოღვაწეობის ისტორია, მათი ემიგრანტული ყოფისა და ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი წარმოდგენილია გ. ზედგენიძის (ზედგენიძე 1965: 166-172), ა. ვოზნიაკის (ვოზნიაკი 2004: 95-109), ა. გრიშკაშვილის შრომებში (გრიშკაშვილი 2008).

შესწავლილ იქნა ვარშავის უნივერსიტეტის წმინდანის გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოღვაწეობა. ამ მხრივ დიდი წვლილი შეიტანა ისტორიკოსმა მამა ჰ. პაპროცკიმ, აგრეთვე, ქართველმა მკვლევრებმა: თ. ჭუმბურიძემ, გ. ჯაფარიძემ, ნ. პაპუაშვილმა, ასევე, გერმანელმა მკვლევრებმა: შ. ხოტივარი-იუნგერმა, ი. რაისნერმა, ჰ. კაუფჰოლდმა, ლ. ფიშერმა და სხვებს. უკანასკნელ ხანს, დ. ყოლბაიას თაოსნობით გამოცემულ იქნა წმ. გრი-

გოლ ფერადის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი შრომების კრებული, რომელიც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ქართველოლოგიური კვლევებით დაინტერესებულ სპეციალისტებისათვის. მკვლევარი აქვეყნებს ლონდონის პოლონეთის ბიბლიოთეკაში გამოვლენილ წმ. გრიგოლ ფერადის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებულ ახალ დოკუმენტებს და ახალი დეტალებით ავსებს წმ. გრიგოლ ფერადის მრავალმხრივი საქმიანობის ამსახველ ბიოგრაფიულ მონაცემებს. დ. ყოლბაიას მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, დღეისათვის უკვე მკითხველთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომია წმ. გრიგოლ ფერადის შრომების პირველი, მეორე და მესამე წიგნი (ყოლბაია I. 2012; II. 2014; III. 2021).

სპეციალურ ლიტერატურაში ადგილი ჰქონდა პოლონელთა ეროვნული მოძრაობისადმი მხარდაჭერის და თანადგომის თვალსაზრისით „ივერიის“ პუბლიკაციების ანალიზს (საითიძე 2010: 107-123). ქართულ-პოლონური ურთიერთობის ისტორია განხილულ იქნა გაზეთ „კავკაზის“ მასალების მიხედვით (კამკამიძე 2013). პოლონეთი და პოლონელები დასახელებულ იქნა ქართველი არისტოკრატისათვის ნაციონალური იდეებისა და ნაციონალური პროგრამების ჩამოყალიბების პროცესში შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ (საბანაძე, ჯგერენაია 2021).

გამორჩეულია ვარშავის უნივერსიტეტის ქართველი პროფესორის დავით ყოლბაიას დამსახურება საქართველო-პოლონეთს შორის კულტურული ურთიერთობის დამყარება-განმტკიცებაში, ამ ურთიერთობის ისტორიის შესწავლაში თუ პოლონური ქართველოლოგიის განვითარებაში (მანია 2017: 247-257). მისი ინიციატივით ჟურნალ „პრო გეორგიის“ სპეციალური გამოცემა მიემდვნა ქართველი იუნკრების ისტორიას პოლონეთის არმიის სამსახურში 1922-1944 წლებში (ყოლბაია 2008). შემდგომ-

შიც აგრძელებს მუშაობას მკვლევარი ქართულ-პოლონური ურთიერთობის თვალსაზრისით. დღეისათვის სპეციალისტთა ფართო წრისათვის არის ხელმისაწვდომი დავით ყოლბაიას გამოკვლევა 1921-1939 წლებში პოლონეთის ქართული ემიგრაციის ცხოვრების შესახებ „რეჰოსპოლიტას ფრთებქვეშ“. ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939 წლებში“, პოლონურ ენაზე 2015 წელს გამოიცა (ყოლბაია 2015), მისი ინგლისური და ქართული თარგმანი სათაურით „Under Polish Wings. The Georgian Emigration in Poland 1921-1939“ 2016 წელს (ყოლბაია 2016). ქართულ-პოლონური ურთიერთობის ისტორიას მიეძღვნა ჟურნალ „ისტორიანის“ სპეციალური ნომერი („ისტორიანი“ 2017).

მიუხედავად იმისა, სპეციალურ ლიტერატურაში უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული ინტერესი შეინიშნება საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით, საკითხის ბეჭდური მედიის პუბლიკაციებით ანალიზი საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა.

წინამდებარე გამოკვლევაში მასალის განხილვას წარმოვადგენ განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე, კერძოდ, ეთნოსიმბოლისტური¹ პარადგმის ფარგლებში. ამგვარი ანალიზი ერთი მედია-ორგანოს – „ივერიის“ პუბლიკაციების საფუძველზე წარმოდგენილია ჩემს ადრინდელ ნაშრომში (მანია 2013/2014: 96-108; მანია 2014: 203-221). ამჯერად, განვიხილავ მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან ბეჭდურ მედიამასალებს: „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“, „ცნობის

¹ ეთნოსიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია ბრიტანელი მეცნიერი ე. სმითი. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომის თეორიული საფუძვლები ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მ. ჩხარტიშვილის თარგმანით (ჩხარტიშვილი 2004)

ფურცელი“, „საქართველო“, „კომუნისტი“, „მხედარი“, „თავისუფალი საქართველო“. საზოგადოებრივ აღქმებზე, ღირებულებებზე, მახსოვრობებზე, სიმბოლოებზე დაკვირვებით გავაანალიზებ პოლონური იდენტობის ისტორიას.

ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავისა და დასკვნისაგან. ერთვის დამოწმებული ლიტერატურა და ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

პირველი თავი ეძღვნება პოლონელთა ბრძოლას ტერიტორიული იდენტობისათვის. საკითხი ორი ქვეთავით არის წარმოდგენილი: 1. პოლონური იდენტობა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან პოლონეთის დამოუკიდებლობამდე. 2. დამოუკიდებლობის 21 წელი და პოლონური იდენტობა. პოლონური იდენტობის წრთობის პროცესს დავაკვირდები ორ სხვადასხვა პერიოდში და წარმოვაჩენ მის მნიშვნელობას კოლონიურ რეჟიმში მყოფი სხვა სახელმწიფოებისათვის, კერძოდ, საქართველოსთვის. პირველ ქვეთავში გავაანალიზებ რუსული იმპერატორატის პერიოდს, რომელიც ორივე ერისთვის ერთნაირად მძიმეა, ხოლო მეორე ქვეთავში განვიხილავ, პოლონეთის დამოუკიდებლობის ხანას. განსხვავებული პოლიტიკური მდგომარეობაა საქართველოში. მართალია, საქართველომ და პოლონეთმა 1918 წელს მოიპოვეს დამოუკიდებლობა, მაგრამ პოლონეთისგან განსხვავებით საქართველომ მხოლოდ მცირე ხნით, 1921 წლამდე შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ, საბჭოთა რეჟიმის დამყარებამ ასახვა ჰპოვა ბეჭდურ მედიაზე. შეიზღუდა ეროვნული მიმართულებების გაზეთების გამოცემა. ამიტომაც, ჩემი კვლევის ძირითადი წყარო გახდა პოლიტიკური იდეოლოგიის გამტარებელი, ტენდენციური ბეჭდური მედია.

მეორე თავში – „კულტურა და პოლონური იდენტობა“ – წარმოდგენილია პოლონელთა დამოკიდებულება კულტურული ელემენტებისადმი (ენა, ტრადიცია, თეატრი). ნაჩვენებია თუ რა გზას გადის კულტურული ელემენტები იდენტობის გადარჩენისათვის ბრძოლაში. ამ მხრივ საანალიზოდ აღებულ პირველ პერიოდში ერთნაირი მდგომარეობაა საქართველოსა და პოლონეთში. ქართულ ბეჭდურ მედიაში ქვეყნდება პოლონელთა კულტურული მახასიათებლებისადმი მიძღვნილი მასალები, რომლებიც სოლიდარობის გამოხატვასთან ერთად, სანიმუშო მაგალითებად უნდა ქცეულიყო ქართველთა ეროვნული გადარჩენისათვის ბრძოლაში. რაც შეეხება საბჭოთა პერიოდის ქართულ ბეჭდურ მედიას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთის პოლიტიკური მდგომარეობით ინტერესდება.

თავი პირველი. პოლონელთა ბრძოლა ტერიტორიული იდენტობის შენარჩუნებისათვის

1. პოლონური იდენტობა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან პოლონეთის დამოუკიდებლობამდე

საანალიზო პერიოდში პოლონეთი სამ სახელმწიფოს (ავსტრია, გერმანია, რუსეთი) შორის იყო განაწილებული და სამი სახელმწიფოს კოლონიალური პოლიტიკა განადგურებით ემუქრებოდა მათ ეროვნულ თავისებურებას. ვინაიდან იდენტობის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს ტერიტორია წარმოადგენს, განსაკუთრებულად მტკივნეული იყო ტერიტორიული კოლონიალიზმი პოლონელთათვის. პოლონელთა ბრძოლა ტერიტორიული იდენტობის შენარჩუნებისათვის თვალსაჩინოდ არის ასახული ქართულ ბეჭდურ მედიაში.

მედია-მასალების ანალიზს ქრონოლოგიურად მივყვებით და ვიწყებ „საქართველოს მოამბე“-ში გამოქვეყნებული პუბლიკაციით პ.ნაკაშიძის „სამგზავრო წერილები“, რომელიც პოლონეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ეძღვნება და ასახავს 1863 წლის პოლონელთა აჯანყებას. წერილში ჩემი დაკვირვებისთვის პირველივე საყურადღებო ინფორმაცია შეეხება ენის საკითხს. მოგზაურის გაცემას იწვევს მატარებლის ვაგონში ამოსული პოლონელი სტუდენტი ახალგაზრდები პოლონურად რომ არ საუბრობდნენ: „პირველი ნახვა იყო ჩემთვის პოლშელები თავის ენას არ ხმარობდნენ“. ამ ეპიზოდით ხდება პოლონელების ენით მარკირება. პოლონელთა დაუმორჩილებლობა და გაუტეხელობა დასტურდება მეორე ეპიზოდით, ეს არის დიალოგი მოგზაურსა და კონდუქტორს შორის, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ისტორიულ საზღვრებში მოხაზული მამა-

პაპეული სამკვიდროს დაცვისთვის ნაციონალური სენტრემენტებით შეკრული პოლონური ერთობის გამოსვლას. საუბრობს ყველა ფენის აქტიურ ჩართულობაზე განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, ასაკისა თუ სქესისა

ცუდი ხალხია პოლშელებიო, ამათთანა ბოროტს და დაუმორჩილებელს ხალხს სხვას ვერ ნახავ, – დიდი და პატარა – ყველა ტყეში მიიწევს-ო – ამბობს კონდუქტორი („საქართველოს მოამბე“ 1863. №7:41-50).

კონდუქტორი საუბრობს ასევე, პოლონელი ქალების ჩართულობაზე, მაგრამ მის გაკვირვებას იწვევს პოლონელი მღვდლების აქტიურობა. მიუხედავად სასტიკი დევნა-შევიწროებისა არ იშლიდნენ სოფელ-სოფელ სიარულს და თავისუფლების ქადაგებას.

პოლონური ერთობა ეპიზოდით თავისუფლების იდეით არის მარკირებული.

ამ გამოსვლებს უშედეგოდ არ ჩაუვლია. „დროება“ აღნიშნავს, რომ სკოლების და ლიტერატურის მდგომარეობა მმართველობის საყურადღებო საგანი გამხდარა და ცვლილება საჭიროდ დაუნახავს.

აპირებენ დაბალ კლასებში პირველდაწყებითი სწავლა პოლშურ ენაზე წარმართონ, საშუალო სასწავლებლებში პოლშური ენის სწავლას, ლიტერატურას და ისტორიას უფრო დიდი ადგილი მისცენ...

ამ „აპირებენ“-ს ჩვენთვის სხვაზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ჩვენი სკოლაც, ლიტერატურაც, ისტორიაც და ენაც სწორეთ იმავე მდგომარეობაში არიან, რა მდგომარეობაშიც პოლშის ლიტერატურა და სკოლა არის („დროება“ 1881. №167).

ეს წერილი თავისუფლებისათვის ბრძოლის პირდაპირი მოწოდებაა.

მიუხედავად 1863 წლის აჯანყების ჩახშობისა და აქტივისტების – სახალხო მმართველობის დიქტატორის რომუალ ტრაუგუტის და ვარშავის სარევოლუციო უფროსის ალექსანდრე ვაშკოვსკის დაპატიმრებისა, არ ჩამცხრალა პოლონელთა მღელვარება. მედია უმნიშვნელოვანესი იარაღი აღმოჩნდა, რომელსაც უნდა შეემზადებინა პოლონელები ხელახალი აჯანყებისათვის².
ამიტომაც

პოლშელი გაზეთები ყველა ერთის ხმით უქადაგებდნენ ხალხს რუსებისადმი სიძულვილს და ამასთანავე მოუწოდებდნენ წვალეზულს პოლშას იმ განწყობილს შრომისათვის, რომელსაც, იმათის სიტყვით, უნდა განემზადებინა პოლშა ხელახლა ასადგომად („დროება“ 1866. №35).

ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ემიგრაციაში წასული პოლონელი პატრიოტები. პატრიოტ ემიგრანტებს ლაიფციგში გამოუქვეყნებიათ სპეციალური ბროშურა, რომლითაც ყველა პოლონელს მოუწოდებდნენ მტრების დასაძლევად შრომისა და ბრძოლისაკენ. თუმცა ემიგრაციაში განხეთქილება მომხდარა და ორ ძირითად პარტიად – დემოკრატიულ ანუ წითელ და კონსერვატო-კლერიკალურ, ანუ თეთრ პარტიად გათიშულა, რომლებიც ურიცხვ განკერძოებულ წრეებად დაყოფილა. მაგრამ იმდენისთვის მიუღწევია პოლონელების მონდომებას, რომ პარიზში ეგნატე მონოცკის დაუარსებია „მცვე-

²„დროების“ პუბლიკაცია ეყრდნობა გაზეთ „ვარშავსკი დნენიკ“-ში პოლონეთის გენერალ პოლიციმეისტერის ანგარიშიდან ამოღებული ცნობების საფუძველზე გამოქვეყნებულ სტატიას.

ლი საზოგადოება“. საზოგადოების წევრებს გადაუწყვეტიათ კვირაში ერთი დღე იშომშვილონ და ამ ერთი დღის საკვების ფული შეიტანონ საზოგადოების ხაზინაში, იმ მიზნით, რომ დაგროვილი თანხა გამოიყენონ აჯანყებულთა სამხედრო შეიარაღებისთვის („დროება“ 1866. №35).

პოლონური ემიგრაციის აქტიურობა თვალსაჩინოვდება რუსეთის იმპერატორის საფრანგეთში სტუმრობის ამსახველ პუბლიკაციებში. სტუდენტების ჯგუფი კლუნის მუზეუმის სანახავად მისულ რუსეთის იმპერატორს „Vive a Pologne! (ღმერთმა პოლმა ადღეგრძელოს!)“ – შემახილით ხვდება; იუსტიციის სასახლესთანაც იგივე შემახილით ხვდება ხალხი.

აღნიშნული კორესპონდენციებით მედია ქართულ ემიგრაციას გააქტიურებისაკენ მოუწოდებდა.

გაზეთების ყურადღების ცენტრში მოექცა რეზონანსული მოვლენა – პარიზში 1867 წლის 25 მაისს (6 ივნისს) რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე თავდასხმის ფაქტი. ამ ფაქტთან დაკავშირებულ ყველა ნიუანსზე (იქნება ეს პირდაპირ მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებული თუ განმაპირობებელი გარემოებები) აქვეყნებს ინფორმაციას მედია. სასამართლო პროცესის ამსახველ კორესპონდენციებში მითითებულია თუ რა მიზნით განიზრახა ეროვნული აჯანყების მონაწილე და მებრძოლ პოლონელმა ანტონ ბერეზოვსკიმ იმპერატორის მოკვლა:

ეს აზრი მე უფრო იმ დროიდან მომივიდა, როდესაც ვიცან ჩემი თავი და მქონდა სახეში მამულის განთავისუფლება („დროება“ 1867. №24). როდესაც სასამართლოზე ევითხებიან მას თუ რა უფლებით ჰკლავდა იმპერატორს, ბერეზოვსკი პასუხობს: „იმან მოჰკლა ჩემი სამშობლო, იმან ამოსწყვიტა იმის მაცხოვრებლები. კალმის მოსმით, იმან ყველანი ციმბირში დაგზავნა, და ყველა ამის მნახველს, განა ნება არა მქონდა იმისთვის მაგიერი მექნა...

სამშობლოს ტანჯვით დაჩაგრულმა გულმა გამაბედვინა მე ეს საქმე“³... („დროება“ 1867. №31).

ყველა პოლშელები ტანჯვაში იყვნენო, ამისთვის რომ მათი სამშობლო ქვეყანა იტანჯებოდაო („დროება“ 1867. №32).

ქართული პრესა ყურადღებას ამახვილებს ბერეზოვსკის ყოველ ნაბიჯზე, რომელიც გამოძიებული იქნა სასამართლოს მიერ. იმ დილით, როდესაც ესროლა იმპერატორს, ბატინიოლის სტანციის მახლობლად ღვინის სავაჭრო დუქანში არაყი დაუღვია, იქვე დარჩენია პალტო, რომლის ჯიბეშიაც წიგნი უნახავთ წარწერით: „პოლშაზედ გამოძიება კაზიმირი ვოლოვსკისა“, რომელიც მეოთხმოცე გვერდზე ჩაკეცილი ყოფილა, სადაც ჩანიშნული ჰქონია კილენსკის ფიცი და შემდეგი სიტყვები: „მე მოვალე ვარ ყოველი ღონისძიება, რაც ჩემგან შესაძლებელია, მოვიხმარო; „განდგომილებას ხელი წავუშვართო“ („დროება“ 1867. №29). პროკურორი სასამართლოზე მის რევოლუციურ სულისკვეთებაზე აკეთებს აქცენტს. აღნიშნავს, რომ წასვლის წინ დამნაშავეს წაუკითხავს კაზიმირ ვოლოვსკის თხზულება და უკანასკნელი სტრიქონი, რომელმაც ის დააფიქრა, ყოფილა როგორც თხზულებაში დასმული ნიშანი გვიჩვენებს, კილენსკის ფიცი:

წინაშე ღვთისა, ქვეყნისა და ერისა ვფიცავ ვიყო უცვლელად ერთგული მეომარი ჩემის სამშობლოს გულისთვის... ვფიცავ შევამზადო ყველა საშუალება რევოლუციის გასამარჯვებლათ, ვფიცავ ვუყო მტერს მაგიერი იმ უბედურებისთვის, რომელიც რომელსამე ჩემს თანამემამულეს შეემთხვა, ღმერთი იყოს ჩემი შემწე („დროება“, 1867. №32). ბერეზოვსკის დამცველი, არაგო მის სამშობლოს, სიმართლის და სარწმუნოებისადმი კეთილშობილურ გრძნობებზე ამახვილებს ყურადღებას და სასამარ-

³ ინფორმაცია აღებულია ფრანგული გაზეთ „France“-დან.

თლოს წაუკითხავს საფრანგეთის მინისტრის დრუენ-დე-ლუისის მიერ პეტერბურგში საფრანგეთის ელჩისადმი, მონტბელოსადმი მიწერილ დეპეშას, სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ „პოლმა აღძრა არა სარევიოლუციო იდეებმა, არამედ კეთილშობილურმა ინსტინქტებმა: სამშობლოს, სიმართლის და სარწმუნოების იდეებმა“. სჩანს, ბერეზოვსკი ემორჩილებოდა კეთილშობილურს ინსტინქტებს და არა უღირსს გულის – თქმას („დროება“ 1867. №32).

არაგო დასძენს, რომ მის დაცვის ქვეშ მყოფს ნაციონალურმა სენტიმენტებმა რევოლუცია გაახსენა:

მუხლმოდრეკილი ხალხი ფსალმუნს გალობს და იტყვის: „მამულო! მოგვეცით ჩვენ მამული!“ და ამ დროს ხალხს სიკვდილი შეესევა. რამდენიმე კაცი წაბარბაცდნენ და მიწაზე დაეცნენ, იმათ შორის ერთი პოლშელი, რომელსაც ჯვარი ხელში ეჭირა. ვინც ცოცხლები დარჩნენ, უძრავათ იდგნენ ბოლით მოსილს რუსის თოფებს წინ და შეუპოვრათ განიმეორებდნენ: „მოგვეცით ჩვენ მამული“ („დროება“ 1867. №32).

საკასუხოდ, პროკურორის მტკიცებით, არამართებულია პატრიოტული გრძნობით დანაშაულის გამართლებას:

ვთქვათ, რომ რუსეთში სხვა და სხვა სასტიკობაა, ვთქვათ, რომ პოლშის არეულობა მოსპობილი იყო ძალიან სასტიკის ზომით, განა ეს ნებას აძლევს პირველ მოსულს ვოლინის მცხოვრებს მიმართოს თავისს საკუთარს სამართალს; და ამ სამართლის გადაწყვეტილობის ძალით თავისს ხელმწიფეს დამბაჩა ესროლოს, და ამის შემდეგ თავი იმართლოს სამშობლოს სახელით? („დროება“ 1867. №32).

სასამართლომ ალექსანდრე II-ის მკვლელობის მცდელობაში დამნაშავე ბერეზოვსკის მიუსაჯა კატორღა სიკვდილამდე („დროება“ 1867. №32).

ავსტრიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის თანასწორ-უფლებიანობაზეა აქცენტი დასმული ვენის რაიხსტაგის ვიცე-პრეზიდენტის ზემლიაკოვსკის შედგენილ პროგრამაში პოლონელების შესახებ „ხალხების თავისუფლების მიცემის დროს, პოლიტიკური თავისუფლებაც მაშინვე უნდა მიეცეს და ეს ორგვარი თავისუფლება სახელმწიფოს განწესებულების საფუძველათ უნდა შეიქნას. ახალი შენობის დედაბოძათ ლიბერალური განწესებულებანი და ხალხების თანასწორობა უნდა იყოს“ („დროება“ 1867. №42).

ეროვნულმა მოძრაობამ იფეთქა ავსტრიაში მცხოვრებ პოლონელებშიც. მათი გაღიზიანება განაპირობა 1867 წლის კანონებში პოლონელების სურვილების გაუთვალისწინებლობამ. ავსტრიაში მცხოვრებმა პოლონელებმა დაიწყეს ზრუნვა ნაციონალური ავტონომიის მოსაპოვებლად. ავსტრიის სეიმში მყოფმა პოლონელმა დეპუტატების უმრავლესობამ დაიწყო განსაზღვრული მიმართულების კლუბების შექმნა. პროგრამის დევიზი იყო „თავისუფლება და ხალხოება“, სასაფუძველო პრინციპი „ნაციონალური ავტონომია“. მთავარი მოთხოვნა იყო თავისუფლება ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ სფეროში. განსაკუთრებული მღელვარება გამოუწვევია ავსტრიას დაქვემდებარებულ პოლონელებში 1867 წელს მიღებულ კანონებს, რომელიც მათი სამართლიანი სურვილების შეუსაბამო აღმოჩნდა. გადაუწყვეტიათ იქამდე გააგრძელონ ბრძოლა სანამ ცვლილებებს არ შეიტანდნენ კანონში. საამისოდ ზემლიაკოვსკის მეთაურობით შეუდგენიათ პროგრამა, სადაც ჩამოწერილი ყოფილა ძირითადი მოთხოვნები („დროება“ 1868. №38). პროგრამაში ძირითადი აქცენტები დასმული ყოფილა ავსტრიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის თანასწორუფლებიანობაზე:

ხალხების თავისუფლების მიცემის დროს, პოლიტიკური თავისუფლებაც მაშინვე უნდა მიეცეს და ეს ორგვარი თავისუფლება სახელმწიფოს განწესებულების საფუძველათ უნდა შეიქნას. ახალი შენობის დედაბოძათ ლიბერალური განწესებულებანი და ხალხების თანასწორობა უნდა იყოს („დროება“ 1867. №42).

ავსტრია-უნგრეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხი იმედის თვალით შესცქეროდა საერთაშორისო მოვლენების განვითარებას, ამ დროისათვის გააქტიურებულ აღმოსავლეთის საქმეს. ამ გარემოებით უსარგებლიათ უნგრელებს, ხორვატებს და სხვებს და თავიანთი წინადადებები წაუყენებიათ მთავრობისთვის. მათ შორის გალიციის პოლონელებსაც მიუმართავთ თხოვნით ავსტრიის მთავრობისთვის პოლონურად სწავლების და სასამართლო საქმეების პოლონურად წარმოების შესახებ. მათი თხოვნა შეუწყნარებია ავსტრიის ხელისუფლებას და ლვოვის უნივერსიტეტში პოლონურად სწავლების თაობაზე თანხმობა განუცხადებია („დროება“ 1871. №29), რისთვისაც შემდგომში მადლობას უხდიან გალიციის პოლონელები ავსტრიის მთავრობას, თუმცა ამასთანავე თხოვნით მიმართავენ იმპერიის ხალხებში თანაბარუფლებიანობის შესახებ „მხოლოდ მაშინ დაარსდება ხანგრძლივი მშვიდობიანობა და თანასწორობა, როდესაც ყველა ტომის ხალხს ერთგვარი უფლებები მიეცემა“ („ივერია“ 1877. №26).

ქართულ პრესას არც გოლუხოვსკის თანამდებობიდან განთავისუფლება გამორჩენია. იგი პატრიოტი იყო და დემოკრატიული ნაწილი წუხდა მისი განთავისუფლების გამო, რადგან შიშობდნენ მის შემდგომ გერმანელების მომხრე პოლონელს დანიშნავდა ავსტრიის ხელისუფლება („დროება“ 1868. №42).

საყურადღებოა პოლონელთა მხარდაჭერა და თანადგო-
მა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი.
ლიონში 500 პოლონელი შეკრებილა, რომელთაც ხელმძღვანე-
ლობდა პოლშის არეულობის დროს 1863 და 1864 წლების პოლ-
შის დროებითი მმართველობის წევრი იაროსლავ დომბროვსკი.
თანადგომისთვის პოლონელებს მადლობის წერილი მიუღიათ
ჯუზეპე გარიბალდისგან („დროება“ 1870. №46).

პოლონელებს, როგორც ჩანს, აქტიური მონაწილეობა
მიუღიათ 1871 წლის მარტ-მაისის საფრანგეთის რევოლუციურ
მოძრაობაშიც. პოლონელთა ჩართულობამ საფრანგეთის რევო-
ლუციაში ასახვა ჰპოვა იქ მცხოვრებ პოლონელებში, ხელის-
უფლებამ დაიწყო პოლონელთა სასტიკი დევნა და მათი გასახ-
ლება საფრანგეთიდან („დროება“ 1871. №29).

პოლონეთის ისტორიაში ერთ-ერთ მტკივნეულ თემას
წარმოადგენს პოლონელთა განდევნა პოზნანიდან და სხვა ისტო-
რიული ტერიტორიებიდან, რომლებიც პოლონეთის სამეფოს
მესამე განაწილებით (1795 წელს) ჯერ პრუსიის, შემდეგ გერმა-
ნიის სახელმწიფო საზღვრებში მოექცა. ქართული მედია ყურა-
დლებით ადევნებს თვალს ამ მხრივ განვითარებულ მოვლენებს
და სათანადო ადგილს უთმობს ამ საკითხების გაშუქებას. პუბ-
ლიკაციებიდან ვლინდება, რომ საკითხი აქტიური განხილვის
საგანს შეადგენდა გერმანიის პარლამენტში. ეროვნულობის მმა-
ფრი განცდის, რომლითაც პოლონელები გამოირჩეოდნენ, მიწო-
დებას ქართველი მკითხველებისთვის მძლავრი იმპულსი უნდა
მიეცა. ამ დროისათვის დიდი განსაცდელი უდგას ქართულ იდე-
ნტობასაც. რუსული კოლონიალიზმი მთელი სიმძაფრით არის
წარმოდგენილი – შეზღუდულია სიტყვის თავისუფლება (სწო-
რედ ამ დროს დაიხურა ქართული გაზეთი „დროება“, საცენზუ-

რო კომიტეტი მკაცრად ადევნებდა თვალს პრესის მუშაობას), ქართული ენა იდევნება სასწავლებლებიდან, სასამართლოებიდან. ერი გადაგვარების გზაზე დგას. ასეთ ვითარებაში საკუთარი ისტორიული ტერიტორიებიდან პოლონელთა გამოდევნის ფაქტზე მსჯელობებს და მათზე დაკვირვებას დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ქართულ ინდიფერენტულ საზოგადოებაში – გაემძაფრებინა ეროვნულობის განცდა და განეპირობებინა თვითობის შენარჩუნებისათვის ერთიანი დარაზმულობა⁴.

მიყვეთ მედიის ქრონიკას. 1886 წელს გერმანიის პარლამენტის მუშაობა მიემდგნა „რკინის კანცლერის“ ბისმარკის მიერ მიღებულ შემზარავ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მსჯელობას, რომელსაც თავად ბისმარკი არ დასწრებია. ბისმარკის გადაწყვეტილება გაუკრიტიკებიათ დეპუტატებს:

განა სახელმწიფო ბისმარკის მოწყალებით არსებობსო? არა, მისი ძალ-ღონე თვითონ ერიაო. სახელმწიფო ბისმარკზე უფრო ძლიერიაო. უცხოთა ქვეშევრდომთა განდევნას ჩვენ სულ სხვა თვალთ ვუყურებთ. ჩვენი თვალი თვალია კულტურისა, კაცთმოყვარებისა და უფრო უზენაესის პოლიტიკისა. ამბობენ პოლიაკთა განდევნა საჭიროა, რომ ჩვენი ეროვნება თავისი სიწმინდით დაცულ იქმნასო. რაო? ცივილიზაციის სახელით ერთა შორის ღობეები უნდათ გამართონ! ეგ ბარბაროზობაა. ჩვენი ეროვნებური აღმატებულება, ჩვენი განათლება, ჩვენი კულტურა ვერ შეიწყნარებს მაგ უჯგერო და უსამართლო ქცევასაო

⁴პოლონელთა პოზიანიდან და სხვა ისტორიული ტერიტორიებიდან განდევნასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებზე გაზეთ „ივერიის“ მონაცემების ანალიზი იხ. მანია 2013-2014: 94-109, მანია 2014: 203-221.

– უთქვამს დეპუტატ ლიბკნეხტის („ივერია“ 1886. №13). დეპუტატი ლიბკნეხტი თავის სიტყვაში სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელ ფაქტორზე – პოლიტიკურ-სამართლებრივ საფუძვლებზე აკეთებს ხაზგასმას. აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს საყრდენი ერია და არა „ბარბაროსი“ პოლიტიკოსი – „რკინის კანცლერი“.

ეს ეპიზოდი აშკარად ადასტურებს, რომ ვერანაირი იმპერიული ზრახვები დაუდგება წინ საკუთარ ისტორიულ მიწაწყალზე პოლონური იდენტობის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობის ქონას, რომ პოლონელების მიმართ ბისმარკის უსამართლო განკარგულება გერმანიის როგორც სახელმწიფოს არსებობას აცლის საფუძველს.

ევროპაში მიმდინარე მოვლენები – აღმოსავლეთის საქმე, აგრეთვე, ავსტრიის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ვენგრიელებს არ სურთ გერმანიასთან ყოფნა, ეს და სხვა ევროპაში განვითარებული მოვლენები არ იძლეოდა მშვიდობიანობის დაურღვევლობის იმედს. სწორედ ასეთი ვითარება აწყობდა ბისმარკს და უწყობდა კიდევაც ხელს დამაბულობის შექმნას, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ევროპის ერთპირობა და ერთსულობა საშიშროებას წარმოადგენდა გერმანიისათვის („ივერია“ 1886. №22).

გერმანიის კანცლერის მიერ პოლონელების პრუსიიდან განდევნამ დიდი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. არამცთუ გერმანიამ, მთელმა ევროპამ დაუწუნა “რკინის კანცლერს” ბარბაროსული შინაური პოლიტიკა. პრუსიის პარლამენტს მკაცრად მოუთხოვია, აეხსნა ბისმარკს მათთვის ამ ბარბაროსული განკარგულების მიზეზი:

პოლიაკები საშინო და ძნელად სანდობი ხალხიაო ამბობს ბისმარკი, მეტადრე პოლშის თავად-აზნაურობა დიდად აუთვალწუნებია ბისმარკს. აი მისი ნამდვილი სიტყვები: თავად-აზნაურობა თავის ჩანჩალებით, კარის კაცებით მუდმივი, დაუცხრომელი, მოთავე და ხელის მომმართველი ყოფილა ყოველი ხელმწიფობის წინააღმდეგ განძრახვისა... ამის გამოვო, ამბობს ბისმარკი, ჩემი წმინდა მოვალეობაო მამულის წინაშე, რაც შეიძლება შევასუსტო პოლიაკების ძალო პრუსიაში. ჯერ დრო ნებას არ მძლევესო, რაც პრუსიაში პოლიაკები მოიპოვება, სულ გადავასახლოვო; ამიტომ ამ ხანობით ჩემ აუცილებელ მოვალეობად ვთვლიო, უცხოთა ქვეშევრდომნი პოლიაკები მაინც მოვიშორო ჩვენი ქვეყნიდამაო. მაგრამ მოვაო დრო და მაშინ ვეცდები სრული “ექსპროპრიაცია“ მოვახდინოვო, ე.ი. ყველა მამულის პატრონი პოლიაკის ჩამომავლობისა ჩვენგან გავაძევეო, მამული ჩამოვართოვო და სახელმწიფოს გადავცეო.

საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ანალიზი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით

ჩვენში რომ იტყვიან მამის ცოდო შვილს მიეწიაო, – სწორედ ეს არის, – ბისმარკის პასუხი, მგლისა და კრავის იგავ-არაკს მაგონებს! – მგელს ბატკნის შექმა უნდოდა და ძველი ვალების ანგარიში დაუწყო... არა სჯობდა ბისმარკსაც პირ-და-პირ ეთქვა: ეხლანდელი პოლიაკები იქნება დამნაშავენი არ იყვენ, მაგრამ... ჩემი ნებაა და ვერეკებო. მე ესე მომწონსო. აბა ბატკანს მგლის წინ რა ეთქმის („ივერია“ 1886. №22).

გაზეთი ასევე მსჯელობს მიზეზებზე თუ რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ გერმანელები ეწინააღმდეგებიან ბისმარკის გადაწყვეტილებას, თუმცა მიუხედავად წინააღმდეგობისა მაინც ისე დარჩა როგორც ბისმარკმა გადაწყვიტა. როგორც ჩანს, უმთავრესი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ბისმარკი მთელ გერმანიაში უძლიერესი პოლიტიკოსი იყო და მისი გადაყენების

შემდეგ რეალურად მისი შემცვლელი არ მოიძებნებოდა, მეორე მიზეზი იყო ის, რომ კონსტიტუციით პრუსიის საზღვრებიდან პოლონელთა დევნა პრუსიის საშინაო საქმე იყო დაქვემდებარებული არა გერმანიის პარლამენტს, არამედ პრუსიის პარლამენტს. ამიტომაც მოახერხა ბისმარკმა პრუსიის ლანდტაგისთვის დაემტკიცებინა თავისი ულმოზელი კანონის აუცილებლობა და მიაღებინა კიდეც („ივერია“ 1886. №24).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი განიხილავს ჟურნალ “Гражданинъ“-ის აზრს. ჟურნალის ბერლინელი კორესპონდენტის ცნობით, ბისმარკს ერთი აზრი აქვს: პრუსიასა და რუსეთ შუა სამზღვარი თავისუფალი იყოს იმ შემთხვევისთვის თუ ვინცობაა გერმანიას რუსეთთან ომი აუტყდა. ამიტომაც იჭერს თადარიგს, ცდილობს ყოველი თავგადასავალი და ფათერაკი თავიდან მოიშოროს; აი სწორედ ამიტომაც გარეკა პოლიაკები პრუსიიდან. სხვა გაზეთი “Московския Ведомости“ ბისმარკის საქციელს სულ სხვანაირად ხსნის, უწინდელი ინგლისის მინისტრი სალისბერი, როგორც ყველამ იცის, დაუცხრომელი მტერი იყო რუსეთისა, სალისბერი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ შეესუსტებინა რუსეთის განვლენა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამის გულისთვის სალისბერს განუზრახა თურმე პოლშის აღდგენა და მისი განძლიერება, ეს განზრახვა სხვა სახელმწიფოებისათვის განაზიარა სალისბერმა და ბევრიც თავისკენ მიიმხრო. მაგრამ აქ თურმე ერთი დაბრკოლება აღმოჩნდა. პოლიაკები, როგორც ვიცით, გერმანიაშიც ბევრნი იყვნენ, და ვინ იცის, ამათი გაძლიერება ბისმარკს როგორ მოეწონებოდა, ბისმარკის წყენას კი ვერავინ ჰბედავდა. ბისმარკმა ეს დაბრკოლება ერთის კალმის მოსმით მოსპო: თავის სახელმწიფოს პოლიაკები სრულიად მოაშორა („ივერია“ 1886. №46).

მედია კვლავ აგრძელებს მსჯელობას. გერმანიის პარლამენტმა აღიარა, რომ ეგ საქმე ბარბაროსობააო, მეცხრამეტე საუკუნის შეურაცხყოფაა, კაცთმოყვარების და ერთობ პროგრესის შეგინება და უპატიურებაა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბისმარკმა თავისი გაიტანა პრუსიის ლანდტაგში. მეორე დღესვე ასი მილიონი მარკა მოითხოვა, რომ ძალად, თუ ნებით პოლონელებს პოზნანში მამულები გააციდვინოს, თვითონ პრუსიამ იყიდოს და გერმანელებს დაურიგოს. მარტო ეს არ იკმარა ბისმარკმა და ყველაფერზე იერიში მიიტანა, რასაც პოლონელთა თვითმყოფობის მცირედენი ნიშან-წყალი ეტყობოდა. მოითხოვა, რომ პოზნანის მღვდელმთავრობა ჩამოერთვა პოლონელებისათვის და გადაეცათ გერმანელებისათვის. ოდითგან პოზნანში მთავარეპისკოპოსის თანამდებობა პოლონელს ეკავა და ასე ყოფილა ბოლო დრომდე. პოზნანის მთავარეპისკოპოსი “პოლშის პრიმასად“, ანუ პოლონელ ეპისკოპოსთა უფროსად ითვლებოდა და პაპიც ყოველთვის თხოულობდა, რომ პოზნანის მღვდელმთავრად უსათუოდ პოლონელი ყოფილიყო. პოზნანის უკანასკნელ მღვდელმთავრად იყო კარდინალი გრაფი ლედუხოვსკი⁵, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია ე.წ. ბისმარკისგან შემოღებულ „მაისის კანონებს 1873 წლისას“. ამის გამო ბისმარკმა აიძულა მთავარეპისკოპოსობიდან გადამდგარიყო და გასულიყო გერმანიიდან. ამ დროიდან პოზნანი უმღვდელმთავროდ იყო დარჩენილი. ბისმარკმა მოიწადინა თავისი კანდიდატი დაესვა მღვდელმთავრად, რაშიც პაპი არ ეთანხმებოდა. ბევრს ეცადა ბისმარკი, მაგრამ ვერ ახერხებდა პაპის დაყოლიებას პოზნანში მღვდელმთავრობის გერმანელებისათვის გადაცემაზე. ბოლოს გადაწყვიტა სხვა ხერხი

⁵ კარდინალი მეჩისლავ ლედუხოვსკი გნეზნოს და პოზნანის არქი-ეპისკოპოსი იყო 1866 წ. 8 იანვრიდან 1886 წ. 2 თებერვლამდე.

გამოყენებინა პაპის გულის მოსანადირებლად. იგი მედიატორად მოიწვია გერმანიას და ესპანეთს შორის კაროლინის კუნძულების გამო ატეხილ დავის განსახილველად. საქმის დასრულების შემდეგ კი პაპს სთხოვა პოზნანის მღვდელმთავრის საკითხი გადაეწყვიტა. საკითხი ისე გადაწყდა როგორც ეს ბისმარკს ჰქონდა ჩაფიქრებული – პოზნანის მთავარეპისკოპოსად დანიშნულ იქნა არა პოლონელი, არამედ გერმანელი „კენისბერგის „კანონიკი“ დინდერი, შთამომავლობით, გულით და სულით ნემენცი“:

ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა პოლშელები. „ჩვენ დიდის გულის ტკივილით, მაგრამ მაინც კიდევ მართებული მოთმინებით დავემორჩილებით მას, რაც პაპს უნებებიაო“, ამბობენ პოლშის გაზეთები („ივერია“ 1886. №26).

მომდევნო ნომერი იუწყება თუ რა გაგრძელება მოჰყვა „საუკუნის ბარბაროსობად მონათლულ“ ბისმარკის გადაწყვეტილებას. გაზეთი ამ ფაქტის საშინელ გაგრძელებაზე ამახვილებს ყურადღებას – გერმანელებს სურთ გააგერმანელონ სლავიანები ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებათ. რასაც ბისმარკი პოზნანში აკეთებს, პოლონელების გაგერმანელებისათვის, იმასვე სჩადიან ავსტრიელი გერმანელები სხვა სლავიანების გასაგერმანელებლად. აი რას სწერს ქალი ნოვიკოვისა ინგლისის ერთ გაზეთში „Pall Mall Gazette“:

ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, სწორედ ის უნდა ვსთქვათ ეხლა ჩვენც ამ პოლიაკებისა და სლავიანების დევნას რომ ვხედავთ ევროპაში ნემენცებისგანაო. აქამდინ პოლიაკებს ჩვენ ძლიერ ვეჯავრებოდით, ეხლა ნემენცებისაგან გულნატკენნი უფრო-და-უფრო გვიახლოვდებიან და მეგობრობას გვიცხადებენო. პოლშელი მამულის შვილები თან-და-თან რწმუნდებიან, რომ უფრო ნამდვილი მამულისშვილობა იქნება რუსე-

ბის მეგობრები და მოკავშირენი ვიყვნეთო. ამ აზრს გატაცებით ქადაგებდა უკანასკნელს დროს გამოჩენილი მტერი რუსეთისა ჩაიკოვსკი (სადიყ-ფაშა), პოლშელი ემიგრანტიო.

იმედი უნდა გვექონდეს, რომ არა თუ მარტო პოლიაკები, არამედ სხვა სლავიანებიც შეძრწუნდებიან, პოზნანის ამბებს რომ შეიტყობენო. როგორც პრუსია პოზნანში, ისე ავსტრია ბალკანის ნახევარ კუნძულზე ერთისა და იმავე სურვილით არიან გამსჭვალულნიო; ვენაში იმას კი არა ჰფიქრობენ, რომ სლავიანობა გაავრცელონ, არამედ გაანემნცონ და ჰყვლიფონ ტევტონთა ჯიბის სასარგებლოდაო („ივერია“ 1886. №27).

რუსეთი განვითარებულ მოვლენებს ისევ თავის სასარგებლოდ ხსნის და იმედოვნებს, რომ გერმანიის სასტიკი პოლიტიკა არა მარტო შექმნის პოლონელი ერის პოლიტიკურ ერთობას, არამედ მთლიანად გააერთიანებს სლავიანებს. შექმნილი ვითარება დაახლოვებს და დაამეგობრებს პოლონელებს რუსებთან.

ხან მტერი მოყვარეზე უკეთესია: შენ ნაკლულოვანებაზე მაინც დაგაფიქრებს! – ამბობს მედაიჯესტე, რომელიც მკითხველს აწვდის გაზ. „Русский Курьер“-ის ვენელი კორესპონდენტის ცნობას იმის თაობაზე თუ რა სამსახური გაუწია ბისმარკის სიტყვამ ავსტრიელ პოლიაკებს. როგორც ჩანს ავსტრიელი პოლონელები მიხვდნენ, რომ გერმანიის გაძლიერება სლავიანებს თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობას არ მისცემდა.

ესენი მხოლოდ ეხლა მიჰხვდნენ, რომ ბისმარკისა და სლავიანების ფიქრები ძალიან შორი-შორს არიან; დარწმუნდნენ, რომ სლავიანების თავისუფლებისა და გერმანიის გაძლიერებას შორის საერთო არაფერია; სლავიანებმა შეიგნეს, რომ ამ ორ ისტორიულ მიმდინარეობას შუაში დიდი მანძილი უდევს, – დიდი განხეთქილება და ამ განხეთქილების მოსპობას ვერც მთავრობა შესძლებს, ვერც დიპლომატია...

დიდი ხანია, ავსტრიელს პოლიაკებს და საზოგადოდ სლავიანებს ასე უნდა ეფიქრათ, თორემ სადაურია: პეტრე არ ვარგა ივანეს მივმართოთო, ივანე პეტრეზე უარესი გამოდგა, ახლა თევდორეს ხელი უნდა გავუშვიროთო! არც პეტრე, არც ივანე და არც თევდორე სხვისთვის თავს არ შეიტკეპნენ, სხვის საქმეს ხელს არ შეუწყობენ!.. („ივერია“ 1886. №31)

ფრიად საინტერესოა დართული ანალიზი. „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს“, ამაზე ფიქრი და ზრუნვა გვმართებს ჩვენც, აღნიშნულმა ეპიზოდმა ეს ფიქრები უნდა აღძრას ქართველ მკითხველებში.

გაზეთებში კვლავ გრძელდება მსჯელობა მეცხრამეტე საუკუნის გერმანიის ბარბაროსული გადაწყვეტილების თაობაზე. ამჯერად აქცენტები გაკეთებულია ტერიტორიულ მიჯაჭვულობაზე:

უცნაური არა არისო, ამბობს გაზეთი “Новости“, რომ სახელმწიფო ერთს მშვენიერს დღეს მთელს ერს ავაზაკთა გუნდად აღვიარებს, საშინელს, სასტიკს სასჯელს უნიშნავს და ქვეყნიდამ სრულიად ერეკება. უცნაური არ არის აგრეთვე ის საშუალება, რომელიც ბისმარკს განუზრახავს, რომ პრუსიის სახელმწიფოს აღმოსავლეთი ნაწილი გაანემენცოს. აქამდინ სახელმწიფო წეს-წყობილების ძალით მამული წაერთმეოდა რომელსამე ქვეშევრდომს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეშევრდომს სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულობას შესწამებდნენ და დაუმტკიცებდნენ. ეხლა თავადს ბისმარკს, როგორც ეტყობა, ახალი კანონი შემოაქვს. ამ ახალის კანონის ძალით კაცს შეიძლება მამული წაერთოს იმ მიზეზით, რომ ესა და ის კაცი საეჭვოა, ძნელი მისანდობელიაო. ბისმარკმა თავის გამოჩენილს სიტყვაში პირ-და-პირ ასე სთქვა: მე სრული ნება მაქვს პოლიაკებს მამულები წავართო და ახალმომენე ნემენცს მივცეო. რასაკვირველია, ბისმარკი იმოდენა უსამართლობასაც არ ჩაიდენს, რომ მამულის პატრონებს მამულის ღირებული ფასი არ მისცეს.

მაგრამ აქაც ერთი დაბრკოლება იბადება. საეჭვოა, რომ პოლიაკები – მემამულეები დათანხმდნენ და თავის ნებით გამოეთხოვნენ მამა-პაპეულს მამულებს, იმ სამშობლო ადგილს, რომელიც ამათ თავიანთ წინაპრებს, თავიანთ საკუთარ ყმაწვილობას, შვილების ბედნიერებას მოაგონებს. მაშ ბისმარკმა, სხვა რა ღონეა, ძალა უნდა იხმაროს: პოლიციელებით და ჟანდარმებით უნდა გააძეოს პოლიაკები თავიანთ საკუთარ მამულიდან.

ისეთი რა დააშავეს პოლიაკებმა, რომ ასე შეუწყალებლად ექცევიან? მიზეზს, ნუ იკითხავ, მკითხველო. – საკმაოა, რომ ბისმარკმა ასე ინება. პოლიაკები მხოლოდ იმაში არიან დანაშაულში, რომ ნემენცებათ არ არიან დაბადებულნი („ივერია“ 1886. №32).

რუსული გაზეთი თვალსაჩინოდ მიუთითებს პოლონელთა ტერიტორიულ მიჯაჭვულობას. მათ ისტორიულ მიწა-წყალს, რომელიც წინაპრების, წმინდანების, გმირების მეხსიერების უნიკალურ საცავს წარმოადგენდა, მითვისებას უპირებდა „სხვა“ სახელმწიფო. გაზეთი იმედს გამოთქვამს, რომ პოლონელები ასე იოლად არ დათმობენ მათსავე სამკვიდროს – მამულს. ამგვარივე ინტერესი პოლონელთა მიწა-წყლისადმი ცოტა ადრე რუსეთის მხრიდანაც გამოკვეთილა. მაგრამ ამ საქმეში ხელი მოეცარა რუსეთს. ახლა კი როდესაც ბისმარკი ერთი ხელის მოსმით ყველაფრის გაქრობას აპირებს, რასაც პოლონელთა ნიშანწყალი ატყვია, რუსული გაზეთები აშკარად გამოხატავენ თავიანთ აზრს. 34-ე ნომრის ნარკვევის რუბრიკა რუსული გაზეთის “Московския Ведомости“-ს აზრზე ამახვილებს ყურადღებას – თუ ბისმარკისათვის სულერთი იყო სად წავიდოდნენ ან რაში დახარჯავდნენ პოლონელი მემამულეები მამულებში ადებულ ფულს, ეს ასევე სულერთი არ იყო რუსეთისათვის, რომელიც თავის მხრივ ცდილობდა აქ დამკვიდრებას. თუმცა ამ მცდელობიდან, როგორც რუბრიკის დაიჯესტიდან ვგებულობთ, არაფერი გამო-

უვიდა. პრუსიის მინისტრი პუნტკამერს, რომელიც ესარჩლებოდა მთავრობის განზრახვას და მოქმედებას, რომ

ვისლის ორივე ნაპირზედ ნემენცების დასახლება ჩვენთვის სასარგებლო და საჭიროა. რის თქმა უნდოდა პრუსიის მინისტრს ამ სიტყვებით, ეს ჩვენთვის სულერთია, რამდენად “სასარგებლო და საეჭვოა” რუსეთისთვის ნემენცების გაძლიერება ვისლის ნაპირებზე ჩასაფიქრებელია; და რომ ჩვენთვის რუსების დასახლება და განძლიერება ამ მხარეში არამც თუ “სასარგებლოა“, არამედ აუცილებლივ “საჭიროც” არის იმავე მიზეზის გამო, რა მიზეზითაც პრუსია ცდილობს ამ ადგილების განემენცებას, ამას თქმა აღარ უნდა: ნაპირები უთუოდ შუა-გულს უნდა შეუერთდეს, შეუუღლდეს. ამას მოითხოვს სახელმწიფო სიმკვიდრე და სიმტკიცე. სახელმწიფო ვერ შეიწყნარებს თავის ნაპირზე უცხო ერსა და მით უფრო იმ ერს რომელიც მტრულის თვალით გამოიყურება („ივერია“ 1886. №34).

გაზეთის აზრი ამჟამად. ცალსახად აღნიშნავს, რომ მიწა-წყალი, რომლის ხელში ჩაგდებას აპირებს ბისმარკი, პოლონელთა ისტორიული კუთვნილებაა და „უცხოელები“ ვერ დამკვიდრდებიან, ვინაიდან ისტორიული მიწა-წყალი საკრალურ ადგილს წარმოადგენს საერთო ღირებულებებით, სიმბოლოებით, ტრადიციებით, რომლებიც ამძაფრებენ და აღვივებენ ეროვნულ სენტიმენტებს; მართალია ამ ეპიზოდში გამოხატული მხარდაჭერა და თანადგომა ისევ და ისევ იმპერიულ ზრახვებს უკავშირდება, მაგრამ ერთი რამ ნათელია „სახელმწიფო ვერ შეიწყნარებს თავის ნაპირზე უცხო ერს“. ეს აზრი უფრო და უფრო მყარდება უცხოეთის რუბრიკის პუბლიკაციით გერმანიის შესახებ, რომელიც იუწყება, რომ ლამბერგში პოლონელთა ყველა ფენის წარმომადგენლები: მიწათმფლობელები, ვაჭრები, მეფაბრიკეები, მექარხნეები შეკრებილან და გადაუწყვეტიათ:

დღეის იქით არაფერი იყიდონ-რა გერმანიისაგან და ნემენცე-ბის ნაწარმოებს არაფერს არ მიეკარონ. ვარშავიდან ყველა სას-ტუმროებს, ყავახანებს აუღიათ და კლადერაჯის რედაქციი-სათვის უკანვე გაუგზავნიათ კლადერაჯის ნომრები და მიუწე-რიათ: ნულარ გამოგვიგზავნითო, და რაც მის დასაკვეთად ფული გამოგვიგზავნია, ისიც თქვენთვის გვიჩუქებიაო.

კლადერაჯი, რომელსაც პროტესტს უცხადებენ პოლონელები, გერმანული გაზეთია და ყოველთვის პოლონელთა ავად მხსე-ნებელი ყოფილა. გარდა ამ პროტესტისა, გამოჩენილ პოლონელ მწერალს მილკოვსკისაც, რომელიც “იოჟას” ფსევდონიმით აქვეყნებდა ნაშრომებს და იმ დროისათვის შვეიცარიაში იმყო-ფებოდა, მიუწერია პოლონელთა განდევნის გამო ბისმარკისა-თვის. წერილი მართებული საბუთებით ყოფილა შედგენილი ისეთი თვალსაჩინო სიმართლით, რომ „ბასრ ხმალზედა უფრო ძლიერ ჰსჭრის და ძლიერ მოჰქმედობს“ („ივერია“ 1886. №33).

პუბლიკაციებში საერთო დარაზმულობის საკითხში მე-დიის განსაკუთრებულ როლზეც არის ყურადღება გამახვილებუ-ლი. ავსტრიის რაიხსტაგის დეპუტატთა პალატაში, გერმანელე-ბის დასს უკმაყოფილება გამოუთქვამს ბისმარკის უპატიურად მოხსენიების გამო და გაუკიცხავთ ავსტრიის მართებლობა ყვე-ლაფერი პოლონურის გულმოდგინე და განზრახ მოწონებისა-თვის. მართებლობის მიმართ მეტისმეტი კრიტიკული სიტყვით გამოსულა დეპუტატი კრონავეტტერი:

ვწუხვარ, რომ მმართველობა ნებას აძლევს პოლშურს გაზე-თებს ისეთის უშვერის სიტყვებით ლანძღონ ბისმარკიო. ამის დასამტკიცებლად ორატორმა გაზეთიდან “Dziennik polski”, რომელშიაც პოლშელს მწერალს ლაზას დაუწერია გერმანიის კანცლერზე, ვითომც „ბისმარკი ისე თვრებოა რომ გონებასა ჰკარგავსო“. პალატის პრეზიდენტს უთქვამს, რომ ეგ ნომერი აღკრძალულ იქმნაო. ეგ ტყუილი თავის გამართლებათაო –

უპასუხნია ჭირვეულს დეპუტატს: ლაზას წერილი ყველასა აქვს გალიჩინაშიო („ივერია“ 1886. №37).

მასალაში გამოკვეთილია მედიის აქტიურობა. მედია ავრცელებს ხალხში განთავისუფლების იდეალებს, რაც ერთგვარ შიშს ბადებს, ბისმარკის მომხრეებში.

მედიაში ასევე წარმოდგენილია მსჯელობა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა მოეღოს ბოლო სამუდამოდ იმგვარ უკიდურეს მდგომარეობას, რომელიც ეწვია პოლონელებს. რა საშუალება უნდა მოიგონოს კაცობრიობამ, რომ გადაარჩინოს მცირე ერნი იმ საშინელ შედეგისაგან, რომელიც მოსდევს პოლიტიკურ ბარბაროსობას?

ამ საკითხის თაობაზე, გაზეთებში ერთმნიშვნელოვანი აზრი გამოთქმულა – უსათუოდ უნდა მოეღოს ბოლო პოლიტიკურ ბარბაროსობას. რუსულ გაზეთ „Русский Курьер“-ს პრობლემის მოგვარება ევროპის სახელმწიფოთა კონგრესის საქმედ დაუსახელებია.

... კონგრესმა უნდა დაადგინოს, რომ ყველას, – ერი იქნება, თუ კერძო პირი, – ნება ჰქონდეს გადასახლდეს იქ, სადაც მას ესურვება, ერთი სახელმწიფოდამ მეორეში, მეორედ, უნდა აღიაროს და განემტკიცოს სამღვთო უფლება ყოველის ადამიანისა. დარჩეს და იცხოვროს უშიშრად თავის ღვიძლს და სამშობლო ქვეყანაში („ივერია“ 1886. №157).

სანამ ევროპის კონგრესი ამ საკითხზე მსჯელობას გადაწყვეტდა და გამართავდა, საქმე ვერ ითმენდა, ბისმარკი ჩქარობდა თავისი წადილის სისრულეში მოყვანას, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა პოლონურ იდენტობას. ასეთ ვითარებაში ყველაზე კარგი გამოსავალი იყო პოლონელი ერის გამოფხიზლება და

მობილიზაცია. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა საზოგადოებრივად მოაზროვნე საზოგადოების წევრებს. პოლონელთა წარჩინებული წარმომადგენლების აქტივობამ, ბისმარკის ბარბაროსული პოლიტიკის წინააღმდეგ ძლიერი საზოგადოებრივი ერთობის მობილიზაცია მოახდინა. ხალხმა ცხადად შეიგრძნო დიდი საფრთხე და აქტიურად ჩაერთო ამ საქმის მოგვარებაში.

პოლშელმა საზოგადოებამ იგრძნო, რომ თუ პოზნანში ამოვარდება პოლშელთა ხსენება ეხლა ამოვარდებაო, რაკი მიწა-წყალს გერმანელნი შეისყიდვენო („ივერია“ 1889. №231).

როგორც ზემოთ მივუთითე, შიშმა და მონდომებამ საერთო მობილიზაცია გამოიწვია პოლონურ საზოგადოებაში. ამ საქმის ინიციატორად პოლონელებს ქვრივი ქალი მოევლინა, რომელმაც თავისი ღარიბული ქონების ნახევარი გაყიდა და ფულადი დახმარება გაუწია პოლონელ გლეხობას „რაკი ბისმარკს ვითომ გლეხობისთვის ემეტება მამულები, ბარემ პოლშელმა გლეხობამ შეისყიდოს პოლშელ მებატონეთა მიწები და არა გერმანელთა გლეხობამაო“. ამ კეთილშობილმა მაგალითმა მოიცვა პოლონელი ხალხი. პოზნანში თუ სხვაგან, ქალები თუ კაცები თანაბრად ჩაერთვნენ ამ სამამულიშვილო საქმეში და ასე გროშ-გროშობით მოაგროვეს რამდენიმე მილიონი. თანხა ძირითადად შეგროვილა ღარიბთა შემოწირულობიდან. ევროპა განუცვიფრებია საქმის სიდიადეს. გაკვირვებას იწვევდა ის ფაქტი თუ როგორ შეძლო ღარიბთა ფენამ ამხელა თანხის მოგროვება. შეგროვდა, რადგან „შემოწირულობა მოსწყდა, მოჰხეთქა მთელი პოლშელ ერისაგან“-ო – მიუთითებს წერილი. აქ საზოგადოებრივი პერცეფციები იკვეთება – პოზნანის პოლონელთა სატკივარის იდენტო-

ბის საერთო სატკივარად აღქმულობამ განაპირობა ბარბაროსული სურვილის შეჩერება და დაწინაურებულ საზოგადოებას ბედნიერებად გადაეცა ბისმარკის გადაწყვეტილება.

ბედნიერებაც ის არის რომ მიწა გადადის ერთი წოდების ხელიდან, რომელმაც არ იცის იმისი გამოყენება, მეორე წოდების ხელში, რომელსაც ასე ლამაზად ესმის ყადრი და ფასი მიწისა და რომელიც, თუ-კი ერთი ჩაჰკიდა ხელი, სწორედ კბილით დაეჯაჯგურება და უსიკვდილოდ აღარ გაეყრება თავის მიწას („ივერია“ 1889. №231).

წერილი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. აქ ერთმანეთს არის გადაჯაჭვული ეროვნული, გენდერული, სოციალური, ეკონომიკური, ტერიტორიული იდენტობის საკითხები. ამ საკითხების სათავეში ქალი დგას სამაგალითო ინიციატივით. ინიციატივაში კი წამოიწეულია საზოგადოების დაწინაურებული წარმომადგენლების როლი და მნიშვნელობა იდენტობის არსებობის განგრძობის თვალსაზრისით. სწორედ ასეთი დაწინაურებული პირია პოლონელი ქვრივი ქალი, რომელიც დიდ როლს ასრულებს პოზნანში პოლონური იდენტობის გადარჩენაში. შიში იმისა რომ სხვა იდენტობის სოციალური კატეგორიის, კერძოდ, გერმანელ გლეხთა ხელში არ გადასულიყო ისტორიული მიწა-წყალი – პოლონელ მემამულეთა მამულები, გამოაფხიზლებს დაწინაურებულ წევრებს საზოგადოებისა.

როგორც კი 1890 წელს ბისმარკის „რკინის პოლიტიკას“ ბოლო მოეღო და ბისმარკი სამსახურს დაეთხოვა, მისი წასვლის შემდეგ, შეიცვალა შინაური პოლიტიკა პოლონელების მიმართ. უკვე არამც თუ ისე აღარ ავიწროებდნენ პოლონელებს, არამედ მათი გულის მოგებას ცდილობდნენ. ეს გამოიხატა პოზნანის და გენეზნოს მთავარეპისკოპოსად წარმომავლობით პოლონელის

პრელატი სტაბლევსკის დანიშვნაში. პოზნანის მთავარეპისკოპოსს პოლონეთის თავისუფლების დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონია, როცა დროებით მეფე არ ჰყავდა ქვეყანას, ის ასრულებდა მეფის მოვალეობას. ამიტომაც ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა თუ ვინ დაიკავებდა ამ თანამდებობას.

წერილში სტაბლევსკი დახასიათებულია, როგორც რუსეთის მოძულე და მტერი. პრელატ სტაბლევსკის კათოლიკების კრებაზე ქ. ტორნში კრიტიკული სიტყვა წარმოუთქვამს, მძულვარებით მოუხსენიებია რუსეთი და თავის მსმენელთ უმოდღვრებდა თუ რა საშიშია ევროპის კულტურისთვის ეს მძლავრი სახელმწიფო.

რუსეთი საშიშია იმდენად რამდენადაც მას მთელი ქვეყნის დამორჩილების სურვილი ამოძრავებს. თუ აღმოსავლეთიდან ამოვარდება საშინელი ქარიშხალი, რომელიც მთელს ევროპას მრავალ უბედურებას შეამთხვევს. ამ სამწუხარო დროს დასავლეთის გვერდით უნდა დავიჭიროთ ადგილი, ჩვენ პოლშელები ქრისტიანები ვართ, სულით და ხორციით ვეკუთვნიით დასავლეთს, რომელთანაც გვაერთებს სარწმუნოება („ივერია“ 1892. №9).

რუსულ გაზეთებს კი პოლონელთა მიმართ დამოკიდებულების ცვლილების მიზეზად დაუსახელებიათ ის გარემოება, რომ გერმანია პოლონელებს დასავლეთის საზღვრებზე უარით აღმოსავლეთის საზღვრებს (რუსეთს) ჰპირდება („ივერია“ 1894. №263).

პრესა ეხმაურება პოლონეთის ახალი გუბერნატორის, გურკოს ნაცვლად შუვალოვის დანიშვნის საკითხსაც და აღნიშნავს „სცდებიან ის გაზეთები, ვისაც ჰგონია, რომ რაკი გურკოს მაგიერ გრ. შუვალოვი დაინიშნა – ამითი რაღაც ახალი ხანა და

ვითარება დამყარდებაო“ („ივერია“ 1894. №271). თუმცა, ამ თვალსაზრისით საინტერესოა ახალ გუბერნატორის გრ. შუვალოვის მიერ პოლონეთის სახალხო სკოლების შემოწმების დროს დაფიქსირებული ფრიად საგულისხმიერო ფაქტი – მოწაფეები პოლონურად უფრო კარგად კითხულობდნენ, ვიდრე რუსულად. „ეს გარემოება მას არამცთუ არ უუცხოებია, არამედ მოსალოდნელ და ბუნებრივ მოვლენად ჩაუთვლია“. აქ ნათლად იკვეთება შუვალოვის დამოკიდებულება. „ივერიის“ ნარკვევი ამ ცნობებს მკითხველებს აწვდის „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილი ვარშავიდან ვრცელი კორესპონდენციის საფუძველზე. კორესპონდენტსაც, რომელიც კატკოვის თაყვანისმცემელი („რომელსაც უცხო ტომის ხალხების გარუსება სწორედ შეშლილობის საგნად გარდაექცა პოლონეთის აჯანყების შემდეგ 1863 წელს“) ყოფილა, კანონიერად მიაჩნია ბავშვები, რომ პოლონურად უფრო კარგად კითხულობდნენ, ვიდრე რუსულად, იმ მოტივით, რომ აქაურნი მკვიდრნი პოლონელები არიან. განა ეს ფრიად საგულისხმიერო მოვლენა არ არის ქართველთათვისაც? სვამს კითხვას „ნარკვევის“ ავტორი („ივერია“ 1895. №39). ეს მართლაც საგულისხმიერო ფაქტია.

საზოგადო კეთილდღეობის მნიშვნელობაზეა საუბარი სტატიაში „ინტელიგენტთა კოლონია (ახალშენი) კრინიცა ჩერნომორსკის გუბერნიაში“. დაცემული ეკონომიკური მდგომარეობის ასაღორძინებლად მეურნეებმა შეერთებულ შრომას მიმართეს და შექმნეს ეროპკინის მეთაურობით ერთი დიდი ოჯახი, სადაც „ძალა მოიპოვება როგორც ქონებრივი, ისე გონებრივი, და როცა გამეფებულა ძმობა, ერთობა და თავისუფლება!..“ კორესპონდენციის ავტორი განცვიფრებული წერს:

რა იყო, რა ვნახე, ვეკითხებოდი ჩემს თავს, ნუ თუ ძველებური ქართული ორმოც სამოც სულისაგან შემდგარი ოჯახიც აგრეთვე (трудящая обшина) არ იყო, რომელიც დულდა, გადმოდინდა, თავის თავზედ არავის გააცინებდა, მტერსაც დაუხვდებოდა და მოკეთესაცა და ბევრჯელ მეფეებსაც უხვდებოდა*) რომელიც დაკნინდა და დაიქცა?!.. რა არის ეს „კრინიცა? ერთი დიდი ოჯახი, სადაც ყოველგვარი ძალა მოიპოვება, როგორც ქონებრივი, ისე გონებრივი, და როცა გამეფებულა ძმობა, ერთობა და თავისუფლება!.. („ცნობის ფურცელი“ 1897. №403).

900-იანი წლებიდან პოლონელთა დევნის ახალ ეტაპზეა გამახვილებული ყურადღება პრესაში. გაზეთები იუწყება პოლონელი მოსწავლე-ახალგაზრდობის დასჯის შესახებ. თუმცა, 180 პასუხგებაში მიცემული მოსწავლიდან 80 მოსწავლე გაუთავისუფლებიათ, ვინაიდან ვერაფერი აღმოუჩენიათ დაპატიმრების მიზეზად. ყველა ბრალდებულს ერთი და იგივე მიზეზი დაუსახელებია – ტყეში ვიკრიბებოდით პოლონური ლიტერატურის საკითხავად და სამშობლოს ისტორიის შესასწავლადო, რადგან გიმნაზიაში აკრძალული გვაქვსო („ივერია“ 1901. №206).

პოლონელთა პროტესტს უფრო და უფრო ამძაფრებდა გერმანიის მთავრობის მოთხოვნა – ხელი აიღონ სამშობლო ენაზე, დაივიწყონ სამშობლო ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება და განემეცდნენ. ვინც მოთხოვნებს ეურჩებოდა ყველას აპატიმრებდნენ. ამჯერად პოზნანში გამართულა დაპატიმრებული სტუდენტების სასამართლო საიდუმლო კავშირის ბრალდებით

* მაგალითად, სოფელ რუისში ეხლაც მოიგონებენ ხოლმე დიდ განთქმულს, თითქმის ასს სულამდე ოჯახს ეგნატაშვილების გვარში, სადაც არაერთხელ მეფე ერეკლეც გააბედნიერებდა ხოლმე თავისი სტუმრობით („ცნობის ფურცელი“ 1897. №403).

(„ივერია“ 1901. №251). პოლონელთა დევნა-შევიწროების ფაქტებს გერმანიაში, ავსტრიასა და რუსეთში მცხოვრებ პოლონელებში დიდი აღშფოთება გამოუწვევია. ავსტრიასა და ვარშავაში დემონსტრაციები მოუწყვიათ პოლონელებს. პოლონელ საზოგადო მოღვაწეს ჰ.სენკევიჩს⁶ მკაცრად გაუკრიტიკებია გერმანიის კოლონიალური პოლიტიკა და გერმანელთა მსხვერპლ პოლონელთა დასახმარებლად ფულის შეგროვებისაკენ მოუწოდებდა საზოგადოებას, გარკვეული თანხა (100000 მანეთი) შეგროვილა კიდევ. ყველაზე მეტად გერმანელებს პოლონელების სიმტკიცე და გაუტეხელობა აბრაზებდა. მართლაც გასაკვირი იყო პოლონელთა სიმტკიცე. ვერც „საკოლონიზაციო კომისიამ“, ვერც ენის აკრძალვამ, ვერც ადგილებისათვის სახელების შეცვლამ (ბევრგან შეუცვალეს სახელები თურმე ქალაქებსა და სოფლებს და უწოდეს მაგალითად, ბისმარკის სოფელი, მოლტკეს ქალაქი, ვილჰელმის დაბა და სხ.) შეასუსტა პოლონელთა სიმტკიცე. დიდი თავსატეხი გაუჩნდა გერმანიას პოლონელთა სახით. მათი მედგრობის შესასუსტებლად გერმანული გაზეთი „Alldeutscher Blätter“ მთავრობას უკიდურესი საშუალებების გამოყენებასაც-კი ურჩევს: აიკრძალოს პოლონური გაზეთების და წიგნების ბეჭდვა, პოლონურად საუბარი საზოგადო ადგილებში, მღვდლებს პოლონურად ქადაგება („ივერია“ 1901. №272). ამ ეპიზოდით

⁶ ჰენრიკ სენკევიჩი – ცნობილი პოლონელი მწერალი (1846–1905). 1914 წლის ბოლოს სენკევიჩმა გამოაქვეყნა მიმართვა ყველა ხალხისადმი, სადაც გადმოცემულია სხვადასხვა სახელმწიფოებს დაქვემდებარებული პოლონელთა ტრაგიკული ბედი, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ სამი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ჯარების რიგებში. მიმართვა ითარგმნა ქართულად და დაიბეჭდა გაზეთ „თემში“ 1915 წლის 30 მარტს, სათაურით: „პოლონეთის გოდება“.

ნათლად არის გამოკვეთილი ბეჭდური მედიის როლი ნაციონალური სენტიმენტების გაძლიერების თვალსაზრისით.

სკოლების შემდგომ პოლონელებს დევნა უმაღლეს სასწავლებლებშიც დაუწყეს (რუბრიკა უცხოეთი. გერმანია). შარლოტენბურგში უმაღლესი სატექნიკო სკოლის საბჭო დებულობს გადაწყვეტილება დაითხოვონ პოლონელი სტუდენტები, რომლებიც პრუსიის ქვეშევრდომნი არ არიან და მათ მიეცათ სამი დღის ვადა პრუსიიდან გასასვლელად. ამის მიზეზად დასახელებული ყოფილა საიდუმლო საზოგადოებებთან ურთიერთობა. ამავე მიზეზით გაუშვიათ ჰანნოვერიდანაც სტუდენტები („ივერია“ 1902. №61).

ზემოთ, არაერთი კორესპონდენციის განხილვა წარმოვადგინე პოლონელთა პოზიციიდან განდევნის საკითხთან დაკავშირებით. უცხოეთის რუბრიკა ამჯერად შეეხება საგანგებო კომისიის საქმიანობას, რომელიც შექმნილი იყო პოლონელთა მამულების შესაძენად და იქ გერმანელების დასასახლებლად. ბიუჯეტთან დაკავშირებით მსჯელობისას პოლონელ დეპუტატებს გამოუთქვამთ აღშფოთება პოლონელთა საკონსტიტუციო უფლებების დარღვევაზე. ამ საკითხებზე უსაუბრია ბროდნიცკის, მოდერსკის, პროფესორ შრედერს და მღვდელ ნეიბაუერს. ფრიად საგულისხმოა ბროდნიცკის წარმოთქმული სიტყვა:

თქვენ შეგიძლიანთ მეტი სისასტიკე იხმართ, მეტად უფრო უდიერად მოეპყრათ პოლონელებს, მაგრამ ჩვენის ხალხის გულიდან ვერასოდეს ვერ ამოფხვრით სიყვარულს სამშობლო მიწისა და ენის მიმართო („ივერია“ 1902. №86).

აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ სამშობლო მიწა და სამშობლო ენა იდენტობის წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელი მახასიათებლებია.

ბეჭდური მედია არაერთ წერილს უძღვნის იმპერიულ მმართველობას და მისი შედეგების გაშუქებას. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია პოზნანში გერმანიის მთავრობის ქმედებების ამსახველი პუბლიკაციები. პუბლიკაციებით ნათელია, რომ მთავრობა პოზნანში პოლონელთა დასასუსტებლად მრავალნაირ ხერხს მიმართავდა. ერთ-ერთი ასეთი ხერხი იყო გერმანიის ძლიერების განსამტკიცებლად გამართული საგანგებო აღწერებები, რომლის მიზანი იყო დაანახონ პოლონელებს თავიანთი ძლევამოსილება. თუმცა, უაღლუმოდაც პოლონელთა განსაკუთრებულ დევნას ჰქონდა ადგილი პოზნანში.

საოცარ ერთგულებასა და მხნეობას იჩენს ამ შემთხვევაში ყველა ჯურის მოხელე: პოლიციელიც, მოსამართლეც, ადმინისტრატორიც და ქალაქების უბრალო გადამწერიც. მოსამართლეს, მაგალითად, ყოველთვის მტყუნად გამოჰყავს პოლონელი რედაქტორი და ყოველთვის მართლად გერმანელი რედაქტორი („ცნობის ფურცელი“ 1902. №1909).

თუ მართლმსაჯულების წარმომადგენელი ასეთია, შენ თვითონ მიჰხვდი, მკითხველო, როგორი იქნება სხვანი – დასძენს გაზეთი. მოხელეებს დიდად ეხმარებოდა პოლონელთა დევნაში ადგილობრივი გერმანული საზოგადოება და პრესა. არსებობდა სხვადასხვა საზოგადოებები: „გერმანელ პატრიოტთა წრე“; „გერმანელ მომღერალთა წრე“, რომელიც საჯარო ადგილებში ასრულებდა გერმანულ სახელმწიფო სიმღერებს; „Deutschland über Alles“, რომლის წევრნი ფიცსა სდებდნენ, „აცნობე ხოლმე მთავრობას ყველა ის, რაც კი გერმანიის საქმეს პოზნანში განსა-

ცდელს უქადის“; „მხიარულთა წრესაც“ კი პრუსიის დროშა ჰქონდა აფრიალებული. პატრიოტები „გერმანიის ძლიერების განსამტკიცებლად“, ქუჩებს, მოედნებს, სოფლებსა და ქალაქებს გერმანულ სახელებს არქმევდნენ.

საილუსტრაციოდ გაზეთი მოიხმობს იმ ერის მაგალითებსაც, რომლებსაც თვითონ განუცდია ძლიერი ეროვნული ჩაგვრა. ასეთად ასახელებს პოლონელების რუსებისადმი დამოკიდებულებას გალიციაში. აქ ყველაფერი – სწავლა-განათლება, თვითმმართველობა, ბანკები და სხვა დაწესებულებანი პოლონელთა ხელში იყო. პოლონელები, რომლებიც გერმანელთა უსამართლობას უჩიოდნენ, თვითონ ჩაგრავენ სუსტ ერს იქ, სადაც ძალა ჰქონდათ. რუსების ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა რუსთა საზოგადო მოღვაწე, დეპუტატი რომანჩუკი. იგი რუსთა ჩამორჩენას პოლონელებს აბრალებს:

ისინი აფერხებდნენ ერის თვითცნობიერების გაღვივებას და სწავლა-განათლების გავრცელებასაო. პარლამენტშიაც-კი რუსინებს ყველაზე ნაკლები წარმომადგენელი ჰყავთ. პოლონელი სადამინისტრაციო დაწესებულებებში სდევნიან რუსინთა ენას. პოლონელი მაინც ვერ ეღირსებიან თავიანთ წადილის განხორციელებას: რუსინები უკვე გამოფხიზლდნენ, ეხლა ისინი ცხარე და მედგარ ბრძოლას გაუწევენ დამჩაგვრელთ თავიანთ უფლებების აღსადგენად და დაკარგულ ბედნიერების დასაბრუნებლად („ცნობის ფურცელი“ 1902. №1909).

წერილი „პოლონელები გერმანიაში“ კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, თუ როგორ იცავდა მთავრობა სახელმწიფოს მთლიანობის შესანარჩუნებლად გაბატონებული ერის ინტერესებს. ერთი ერისაგან მეორის დევნა, დაჩაგვრა და ეროვნული თავისებურების განადგურების სურვილი იწვევს

საპასუხო წინააღმდეგობას დაჩაგრული ერის მხრიდან – ბრძოლას თავის კულტურული თავისებურების დასაცავად, წარმოშობს ეროვნულ საკითხს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეროვნული საკითხი მწვავედ იდგა გერმანიაში. 60-იან წლებში გერმანიის მძლავრი იმპერიის შექმნით, ჰოპენცოლერების წარმომადგენელ ბისმარკს იმედი ჰქონდა, რომ პრუსია „მორალურად დაიპყრობდა“ და შეისისხლხორცებდა დანარჩენ წვრილ სახელმწიფოებს და არაგერმანული ტომის ერებს. სინამდვილეში სულ სხვაგვარი ვითარება შეიქმნა: გაბატონებულმა პრუსიამ ვერ მოსპო ვერც გერმანიის სხვადასხვა სახელმწიფოთა თვითარსებობა და ვერც უცხო ტომის ერთა ეროვნული მისწრაფება. ამ მხრივ, უპირველესად აღსანიშნავია პოლონელები, რომლებსაც ნაციონალისტ-შოვინისტი გერმანელები გერმანიის „პირველ მტრებს“ ეძახდნენ. გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ

გერმანულ სკოლებისა, ოფიციალურ ენისა და გერმანულ მოხელეთა დახმარებით და საშუალებით პოლონელების პროვინციებში – პოზნანსა და ზემო სილეზიაში – „გერმანიის კულტურა“ უნდა გავრცელდეს და მთელი პოლონეთიც გაგერმანელდებო. პოლონელების ყოველგვარი წინააღმდეგობა და ბრძოლა, თავის დაცვის სურვილი მთავრობამ უნდა სდევნოს და მოსპოს. სახელმწიფომ პოლონელების მამულები უნდა იყიდოს თავის ხარჯით და გერმანელებს დაურიგოს. მთავრობა უნდა ეცადოს, რაც შეიძლება, ბევრი გერმანელი ჩაუსახლონ პოლონელებს, რომელნიც ეკონომიურადაც გერმანელების ყმები გახდებოდნენ. გარდა ამისა, მთავრობამ რუსეთიდან და გალიციიდან პოლონელებს ზემო სილეზიასა და პოზნანში გადმოსახლების ნება არ უნდა მისცეს და ამით პოლონელთა გაშენება-გამრავლება შეაჩეროსო („ივერია“ 1905. №144).

პრუსიაში 3 მილიონზე მეტი პოლონელი ცხოვრობდა. პანგერმანისტების აგრესიულ პოლიტიკას პოლონელებმა მაგარი და სქელი კედელი აღუმართეს გამრავლებისა და სოლიდარული მოქმედების სახით. ამ კედელს ბრძოლა გამოუცხადეს გერმანიის „პატრიოტებმა“, მაგრამ, როგორც შემდგომში ვნახავთ, ბრძოლამ მათთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

კანცლერ ბიულოვს პრუსიაში შოვინისტური მიზნების განსახორციელებლად 250 მილიონი მოუთხოვია მთავრობისთვის პოლონელების მამულების შესაძენად („ივერია“ 1903. №2). ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად, მთავრობის დახმარებით სამ მდიდარ „პატრიოტს“ – განცემანს, კანემანს და ციდემანს ამხანაგობა „გაკაციზმი“ შეუქმნია (ამ პატრიოტების გვარების პირველი ასოებისგან შედგა ამხანაგობის სახელი). „პატრიოტებს“ მთავრობის ფულით პოზნანში დაუარსებიათ საადგილმამულო ბანკი, რომელიც მდიდარ პოლონელთა მამულებს შეიძენდა და გერმანელებს დასახლებდა. ამგვარად უნდა შექმნილიყო მთელ ზემო სილეზიასა და პოზნანში გერმანელთა ახალშენები.

გერმანელების მიერ პოლონელებისათვის საკუთარი მამულების წართმევის მცდელობამ უფრო ააღელვა ისინი და საკუთარი მიწა-წყლის დაცვის გარშემო გააერთიანა. გერმანელებმა არათუ ვერ შეძლეს თავიანთი მიზნის განხორციელება, არამედ თავიანთი მამულების ნაწილიც დაკარგეს, პოლონელებმა გერმანელების მამულებიც იყიდეს.

ასევე, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს პოლონელებმა პოლონური ენის დევნას, მის მაგიერ გერმანულ ენისა და კულტურის ძალმომრეობით გავრცელების მცდელობებს სკოლებში. ამ საკითხზე უფრო ვრცლად მეორე თავში ვისაუბრებ.

პოლონეთის მაგალითმა გერმანიას ნათლად დაანახა დამპყრობლური პოლიტიკის მავნებლობა სახელმწიფოსათვის. ეროვნული მახასიათებლების მოშლის მცდელობებმა უფრო გააღვივა და გააძლიერა ეროვნული მოძრაობა, გაიზარდა უკმაყოფილება, დაიწყო გაფიცვები და არეულობები, რამაც აიძულა ხელისუფლება შეერბილებინა დამპყრობლური პოლიტიკა. იმპერატორი ვილჰელმი პოლონელებთან შერიგების პოლიტიკას დაადგა: მაღალ თანამდებობაზე დანიშნეს რამდენიმე პოლონელი, პოლონურ ენაზე შემოიღეს სწავლება პოლონეთის სკოლებში. ამგვარად მიიმხრეს თანამდებობაზე დანიშნული პოლონელები, რომლებმაც თავიანთ პოლიტიკას უღალატეს. ხალხმა დაჰკმო თავისი დეპუტატების სამშვიდობო პოლიტიკა და უნდობლობა გამოუცხადა. მას შემდეგ, რაც მთავრობას მიემხრნენ დეპუტატები პოლონელები მათ ჩამოშორდნენ. ზემოსილუზიაში ვერც სოციალ-დემოკრატების პარტიამ მოიპოვა თანაგრძნობა, რადგან ვერც მათ გადასწყვიტეს „პოლონეთის საკითხი“. ეროვნულ საკითხზე აქცენტი გააკეთა პოლონეთის ეროვნულ-რადიკალურმა პარტიამ ახალგაზდა ნიჰიერი ჟურნალისტის კორფანტის⁷ მეთაურობით და მთელი სილუზიაც მიემხრო. ზემო სილუზიის მუშებს იგი თავის მხსნელად მიაჩნდათ: მისი სურათი დაკიდა ყველა მუშამ ოთახში, დედებიც თავიანთ შვილებს კორ-

⁷კორფანტი მშრომელთა ფენიდან იყო გამოსული – მისი მამა და ძმები მადნეულის მადაროს მუშები ყოფილან. თვითონაც მეცნიერული მიზნით მადაროებში მთელი წელი უმუშავია. გიმნაზიაში სწავლის დროს მთავრობას საიდუმლო ორგანიზაციაში შესვლის გამო სამართალში მიუცია ახალგაზდა კორფანტი და გიმნაზიიდან დაუთხოვიათ, მაგრამ მას სწავლისთვის თავი არ დაუნებებია და ბრესლაველი ცნობილი პროფესორის ვერნერ ზომბარტის ხელმძღვანელობით გაუგრძელებია სწავლა („ივერია“ 1905. №144).

ფანტზე უთითებდნენ, როგორც პოლონეთის პირველ მცველზე. 1903 წელს ზემო სილეზიელებმა კორფანტი გერმანიის რაიხს-ტაგშიც აირჩიეს დეპუტატად და პრუსიის ლანდტაგშიც. მართალია, ეს ამბავი არ მოსწონდათ პოლონეთის არისტოკრატ დეპუტატებს, მაგრამ რაკი ნახეს, რომ კორფანტი პოლიტიკური განძია, ორივე ხელით ჩაეჭიდნენ და ახლა პოლიტიკურ საქმეებზე ყოველთვის იმას ეკითხებოდნენ. დღითიდღე იზრდებოდა მის მომხრეთა რიცხვი („ცნობის ფურცელი“ 1903. №2195; „ივერია“ 1905. №144). ამ ფაქტმა გალიციის პოლონელებს ბიძგი მისცა ქმედითი ნაბიჯი გადაედგათ, მათ მოითხოვეს ჯარში პოლონურ ენაზე ბრძანების გაცემა იმ მიზეზით, რომ ყოველი ჯარისკაცი სამშობლო ენაზე გაცემულ ბრძანებას უფრო ადვილად გაიგებდა („ცნობის ფურცელი“ 1903. №2276).

გერმანიაში პოლონელებმა ვერ მოახერხეს ისეთივე უფლების მოპოვება, როგორც ავსტრიაში, ჯერ კიდევ შვეიწროებულ მდგომარეობაში იყვნენ, იქაც ცდილობდა მთავრობა პოლონელების გადაგვარებას, მაგრამ სამაგიეროდ დაცვის უფლებასაც ანიჭებდა მათ, საშუალებას უტოვებდა კანონიერი გზით იბრძოლონ ეროვნული თავისუფლების შესანარჩუნებლად. გერმანიაში პოლონელები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ ეროვნულ საქმეს საფრთხე არ ემუქრებოდა, მით უფრო, რომ ცხოვრებამ გერმანიაში უკვე დაამტკიცა, თუ რა სასიცოცხლო ძალა შესწევთ პოლონელებს. მათ არა თუ არ დაკარგეს თავიანთი ეროვნული სახე, – პირიქით სხვებიც გააპოლონელეს; არა თუ არ მოისპნენ, პირიქით მრავლდებოდნენ („ივერია“ 1905. №52).

ერების თვითგამორკვევის მოძრაობამ გერმანელებს ხელიდან გამოაცალა უნგრეთი, რომელიც ამოუდგა გვერდით ავსტრიას და თითქმის დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა.

ჩეხებიც ცდილობდნენ ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობის მიღწევას. პოლონელებმაც ავსტრიაში, სხვებთან ერთად მოითხოვეს ეროვნული ავტონომია. „ივერია“ მიუთითებს, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, უთუოდ მიაღწევს საწადელს („ივერია“ 1905. №52).

განსხვავებული ვითარება ყოფილა ავსტრიის დაქვემდებარებაში მყოფ პოლონელებში, რომელთა ეროვნულმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. ავსტრიაში, სადაც წინათ გაბატონებული იყო გერმანელი ერი, დამონებულ ერთა საერთო მოქმედებამ თანდათან შემოიტანა სახელმწიფო ცხოვრებაში ეროვნული თანასწორობის პრინციპი. ავსტრიაში პოლონელებს გადასცეს პირველი მინისტრის (პოტოცკი და ბადენი), ფინანსთა (დუნაევსკი) და საგარეო საქმეთა მინისტრის ადგილები (გალუხოვსკი). აქ პოლონელები მთავრობის საიმედო ბურჯად ქცეულან. ისინი აღარ ფიქრობდნენ ამბოხებას („ცნობის ფურცელი“ 1904. №2556).

„რუსეთის და ავსტრიის პოლონეთში“ არსებულ განსხვავებულ ვითარებაზე ამახვილებს ყურადღებას „ივერიაც“ და აქვეყნებს რუსული გაზეთ „ნოვოსტის“ წერილიდან მნიშვნელოვან ადგილებს, სადაც აღნიშნულია, რომ ავსტრიამ გარკვეული უფლებების მინიჭებით ჩააცხრო ეროვნული მღელვარებები მის დაქვემდებარებაში მყოფ პოლონელებში. კოლონიალური პოლიტიკის განსხვავებულობა „რუსეთის პოლონეთში“ უფრო აძლიერებდა ეროვნულ ბრძოლას. რუსები შეუძლებლად მიიჩნევდნენ ისეთივე უფლებების მიცემას, როგორც ებოდა ავსტრიის პოლონელებს, „რადგანაც რუსეთის სახელმწიფოში რუსნი – უძლიერეს და მრავალრიცხოვან ერს წარმოადგენენ“. რუსული გაზეთის შენიშვნით, ეს უნდა გაითვალისწინონ პოლონელებმა. იქვე, ისიც

ყოფილა აღნიშნული, რომ პოლონელები ავტონომიაზე არც ფიქრობენ, რადგან კარგად ახსოვთ აჯანყებები როგორ დასრულდა:

35 წელიწადია, რომ რუსთა პოლონეთში თვითმმართველობის აჩრდილიც კი აღარაა. არაა აქ არც საერობო, არც სათავადაზნაურო დაწესებულებანი, არც საარჩევნო საქალაქო გამგეობანი, არც ნაფიც მსაჯულთა სამართალი. და სოფლის საზოგადოება დამოკიდებულია საგლეხო მამასახლისსა და მაზრის უფროსზე. ყველა უმადლესი თანამდებობა რუსთა მოხელეებს უჭირავთ, – სამართალი და საქმის წარმოება ყველა ადგილას რუსულს ენაზეა. პოლონურს მწერლობას ასწავლიან ვარშავის უნივერსიტეტში რუსულს ენაზე. ნუ თუ შეუძლია პოლონელმა იფიქროს – ასეთი მდგომარეობიდან უეცრად ავტონომიას მიაღწიოს?! რუსთა წინააღმდეგ ამბოხებას დღეს პოლონეთში აღარ ფიქრობენ: არც ვგონებთ, – დღეს ამას იქ ფიქრობდეს ვინმე საღის ჭკუის პატრონი... („ივერია“ 1904. №263).

კორესპონდენციის არამართებულობის დამადასტურებელ არაერთ წერილს ვხვდებით მედიაში. მათ შორისაა, ინფორმაცია ვარშავაში პოლონელთა დროშის ფრიალით და სარევეოლუციო სიმღერებით გამოსვლის შესახებ („ივერია“ 1904. №260).

რუსული გაზეთი კვლავაც აგრძელებს მსჯელობას რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობაზე და აღნიშნავს, რომ პოლონელებს ესაჭიროებათ ცხოვრების განკარგება და არა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, პოლონეთი თანდათან რუსეთს უახლოვდება, პოლონელები შეურიგდნენ თავიანთ ბედს და მოელიან მთავრობისაგან ცხოვრების გაუმჯობესებას:

რუსთ პოლონეთის ცხოვრება საგრძნობლად გაუმჯობესდება, უკეთუ ეღირსება ყველა იმ დაწესებულებათა, – რომელნიც არსებობენ სახელმწიფოს ძირითად გუბერნიებში, და უკეთუ პოლონელებს მთელს რუსეთში უფლების მხრივ სრული თანა-

სწორება მიენიჭებათ სახელმწიფოსთვის ის სჯობია, – როდესაც ყველა მისნი წევრნი ზნეობრივი მონაწილენი არიან სახელმწიფოს სვე-ბედში, – მის სიძლიერესა და სამოქალაქო წარმატებაში. პოლონელთა ცხოვრების გაუმჯობესება რუსთა მხრით მთელის ხელოვანების გულს მოინადირებს რუსეთის მიმართ („ივერია“ 1904. №263).

მედიაში ქვეყნდება აღნიშნული შეხედულებების სრულიად საპირისპირო კორესპონდენციები. წერილები საინტერესოა, როგორც პოლონელთა სულისკვეთების, ისე რუსული პოლიტიკის წარმოსაჩენად. „დიდი ხანია ვიცით, რომ იქ, სადაც სახელმწიფო ხარჯს თხოულობს, პოლონელისათვის ასპარეზი თავისუფალია. ჩვენი საქმეა – გავილოთ გადასახადი და ვღვართ სისხლი; მაგრამ სადაც უფლებაზეა ლაპარაკი, პრივილეგიებს თავი დავანებოთ, იქ პოლონელისათვის ადგილი არ არის“ („ცნობის ფურცელი“ 1905. №2719).

რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ერების მთავარ პრობლემად პრესაში სახელდება რეჟიმის შეცვლის აუცილებლობა. ასეთი აზრი გამოუთქვამს უცნობ პოლონელს, რომლის წერილიც გადმოუბეჭდავს პეტერბურგის გაზეთებს და ქართულ მედიასაც მიუქცევია ყურადღება. რეჟიმის შეცვლა, აი, რამაც შეიძლება უპირველესად გააერთიანოს რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი ერები:

რაც შეეხება იმას, ცენტრალისტური თუ ფედერატიული იქნება რუსეთის სახელმწიფო, მიიღებენ ყველა ერები სრულს თავისუფლებას თუ მარტო ავტონომიას, ამის გადაწყვეტა დამოკიდებული იქნება იმ სარგებლიდან, რომელსაც მიიღებენ სხვადასხვა სახელმწიფოს წესწყობილებისაგან; ყოველ შემთხვევაში ეროვნულ საკითხს გადავსწყვეთ მაშინ, როცა იქ შევხვდე-

ბით ერთმანეთს, სადაც შეგვაგროვებენ საერთო ინტერესების გამოსარკვევად... („ცნობის ფურცელი“ 1905. №2724).

იდეოლოგიური ერთობა შექმნიდა მძლავრ ძალას რეჟიმის შესაცვლელად და თავისუფლების მოსაპოვებლად.

პოლონეთ-რუსეთის დამოკიდებულების საკითხზე საგანგებო წერილს აქვეყნებს ცნობილი პოლონელი მწერალი ჰ.სენკევიჩი. იგი აკრიტიკებს პოლიტიკოსებისა და პუბლიცისტების თვალსაზრისს პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობის გამწვავების მიზეზად პოლონელთა აჯანყებების დასახელების გამო. გამწვავებული ურთიერთობის მიზეზად კი ასახელებს ბიუროკრატias („ცნობის ფურცელი“ 1905. №2730).

1863 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, პოლონეთს რუსეთმა ყოველგვარი უფლება წაართვა, – გაუქმდა ადგილობრივი თვითმმართველობა, დაიწყო აჯანყებულთა სასტიკი დევნა: ყოველ პოლონელს ისე ექცოდნენ და დღესაც ისე ექცევიან, როგორც ბოროტ მომქმედსა და სახელმწიფო დამნაშავეს. ამის მიზეზი კი მხოლოდ ის არის, რომ ამ პოლონელის ძარღვებში პოლონელის სისხლი ტრიალებს.

ბიუროკრატია იქამდე მიაღწია, რომ თავის წინააღმდეგ მთელი პოლონეთი აამხედრა და გადაიმტერა. ეხლა ყოველი პოლონელი დარწმუნებულია, რომ რუსეთის მიერ დანიშნული მთავრობა მთელის პოლონეთისა და ყოველი პოლონელის მტერია („ივერია“ 1905. № 6).

როგორც ამონარიდიდან ჩანს, ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერს აკეთებდა ხელისუფლება. პირიქით, ბიუროკრატია თავისი ქმედებებით უფრო აძლიერებდა სიძულვილს და ბოროტებას ხალხში. პატრიოტად აცხადებდნენ ერთგულ მოხელეებს, რომლებიც პოლონელების გარუსებას ხელს

უწყობდნენ. სახელმწიფოს ზოგ პროვინციაში პოლონურ ენაზე ლაპარაკი სახელმწიფო დანაშაულად ითვლებოდა. იდენტობრივი მახასიათებლების ამგვარი დევნა „დამნაშავე პოლონური სისხლის“ უკმაყოფილებას დღითი-დღე ზრდიდა. რაც შეეხება სკოლას

პოლონეთის სკოლაში ბიუროკრატიულისა და „ჩინოვნიკურ“ რეჟიმის გარდა, გამეფებულია ერთა შორის სიძულვილის დამყარებისა და უმთავრესად კი – პოლონელების გარუსების პოლიტიკა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ პოლიტიკამ სულ მთლად მოულოდნელი ნაყოფი გამოიღო: უკანასკნელ ხანს შეჰქმნა ისეთი თაობა, რომელსაც რუსეთი და საზოგადოდ ყოველივე რუსული საშინელისა და აუწერელის ძალით სძულს და ეზიზღება. ეს საკვირველიც არ არის: ახალგაზრდობა ხედავს, რომ რუსებს სძულთ იმის მშობლიური ენა, სარწმუნოება, სისხლი, და თვითონაცა სძულს და ეზიზღება რუსული ენა, სისხლი და სარწმუნოება; ახალგაზრდობა ხედავს, რომ სკოლა მეცნიერებას სდევნის და ამიტომ სკოლის წარმომადგენელთ პატივს არა სცემს...

პოლონეთში რუსეთის პოლიტიკამ ის გააკეთა, რომ რუსეთთან დაახლოვებისა და შეკავშირების მაგიერ პოლონეთი უფრო დაშორდა და ზურგი შეაქცია იმ ქვეყანას, რომელსაც მისი განადგურება და ქვეყნის პირიდან აღგვა უნდოდა („ივერია“ 1905. № 6).

ამ ეპიზოდით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ეროვნული ტიხრების მოშლის მცდელობა წარმოშობს მძლავრ ეროვნულ წინააღმდეგობას.

ჰ.სენკევიჩის მოსაზრებაზე ყურადღებას ამახვილებს ქართული გაზეთი „ცნობის ფურცელი“ და ხაზგასმით მიუთითებს ცენტრსა და განაპირა მხარეებს შორის ურთიერთობის გამოსასწორებლად ძველი ბიუროკრატიული სისტემის მოსპობის აუცილებლობაზე.

იმ დროს, როცა ჩვენთვის (რუსებისათვის) ბიუროკრატია მახინჯი ხორც-მეტია ჩვენის საღის სხეულისა, არა რუსი თანამემამულე ჩვენი ხედავს მასში თავის ეროვნების უბოროტეს მტერს. განა შესაძლებელია, რომ სახელმწიფო კეთილდღეობაში იყოს, როცა ქვეშევრდომი დარწმუნებული არ არის, რომ ამ სახელმწიფოს მისთვის სიკეთე არა სურსო, ჰკითხულობს გაზეთი და დასასრულ ამბობს სანამ ძველი ბიუროკრატიული სისტემა არ მოისპობა, შეუძლებელია შეიცვალოს არსებული დამოკიდებულება ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორისო („ცნობის ფურცელი“ 1905. №2730).

პოლონელებსა და რუსებს შორის გამწვავებული ურთიერთობის მიზეზებზე გამოქვეყნებულ კიდევ ერთ პუბლიკაციაზე გავამახვილებ ყურადღებას. პუბლიკაცია თარგმნილია გაზეთ „პრავო“-დან. აქაც ურთიერთობის გამწვავების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დასახელებულია რუსული ბიუროკრატია, რომელსაც პუბლიკაციის მიხედვით, ადამიანური უფლება მხოლოდ ღვაწლის და დამსახურების მქონეებისთვის მიუნიჭებია, დანარჩენები კი „მავნებად“ მიუჩნევა. გარდა ამისა, ადამიანური უფლება ბიუროკრატias გაუნაწილებია ეროვნული ნიშნითაც: ამ მხრივ გამოურჩევა სანდო ერები, რადგან მათი საეჭვო ერებთან გათანაწორებას სანდოთა განაწილება არ განეპირობებინა. რუსული ბიუროკრატია განაპირა ადგილებში ისე იქცეოდა, რომ მისი სახელი დაუვიწყარი შეიქმნა ისტორიაში.

ბიუროკრატiam პირველ რიგში შეუტია ეროვნულ ენას და ძალ-ღონეს არ იმურებდა ხალხში მშობლიური ენის აღმოსაფხვრელად. რელიგიური თვალსაზრისით კი კათოლიკობა არ იყო აკრძალული, აკრძალეს მხოლოდ უნია. გაუქმდა საქალაქო და საერო თვითმართველობა, იმის შიშით, რომ პოლონელებს

კულტურულად არ გაესწროთ შიდა რუსეთში მცხოვრებლები-სთვის და ამით რუსეთის მთლიანობა არ დარღვეულიყო:

პოლონელებს აეკრძალათ ადგილ-მამულის შექმნა სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მხარეში. შემოიღეს განსაკუთრებული გადასახადი იმ ადგილ-მამულზე, რომელიც ეკუთვნოდა პოლონელებს, – უნდოდათ ამნაირად გამოეცალათ ის ადგილები პოლონელების ხელიდან, დაეკარგვინებინათ პოლონელებისათვის ტერიტორია, ზოგანო და ყოველსავე საპოლიტიკო იდეალებს მოკლებულ ერად ექციათ ის ერი, რომელიც წინათ ძლიერი ყოფილა, დამოუკიდებელი და თვით რუსებისთვისაც სიშიში!.. („ივერია“ 1905. №41).

პოლონეთში ბიუროკრატიამ ხალხს კეთილდღეობა თავისუფლების გარეშე მისცა. 80-იან წლებში თვით რუსების მომხრეებიც კი, მათ შორის, ლერუა ბოლიე, ხედავდა ამგვარი პოლიტიკის არამართებულობას. ადარებდა რა ერთმანეთს ირლანდიის და პოლონეთის მდგომარეობას (ამ ორი ქვეყნის ეროვნული ბედი ერთმანეთს ჰგავდა), აღნიშნავდა, ირლანდიაში ხალხს მინიჭებული აქვს თავისუფლება და არა აქვს მიწა, პოლონეთში კი პირიქით, აქვს მიწა და სრულებით არა აქვს თავისუფლება. ირლანდიამ თავისუფლების საშუალებით მოიხვეჭა ადგილ-მამულიც და ირლანდიელთა უმეტესობა იამაყებს ინგლისის სახელმწიფოს წევრობით. ამერიკაში გადასახლებული ირლანდიელები თანდათან ბრუნდებიან ირლანდიაში. პოლონელები კი ისევ მიდიან ამერიკასა და ბრაზილიაში. უფრო შევიწროებული არიან პოლონელები: წერა-კითხვის ცოდნასაც მოკლებული არიან, უნიატებმა არ მიიღეს მართლმადიდებლობა. რუსების საერო კრება პოლონელებისთვის უცხოა.

კორესპონდენციის მიხედვით პოლონელების ამგვარი შევიწროება რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის ნაწილი იყო. რუსები შიშობდნენ, რომ პოლონელები პოლონურ ენაზე თუ მიიღებდნენ სწავლა-განათლებას, პოლონურ ენაზე თუ იქნებოდა სასამართლოებში საქმის წარმოება, პოლონელები თვითონ თუ განაგებდნენ უჩინოვნიკებოდ თავიანთი საქმეებს, – რუსებს გაასწრებდნენ! ხალხის განვითარება ჩინოვნიკობისთვის არ არის სასურველი, ვინაიდან მაშინ ახლანდელ ჩინოვნიკობას დაეკარგება ფასი და გასავალი. განაპირა ადგილების უუფლებობა რუსეთის ჩინოვნიკობისთვის იყო საჭირო. რუსეთში ჩინოვნიკების გამწესება შეიქმნა უმთავრეს ეროვნულ საქმედ.

ცხადია, ცხოვრების საფუძველი ადამიანის უფლებაზეა დამყარებული, რომელიც ყველასთვის თანასწორი უნდა იყოს. რუსეთისათვის სასარგებლო იქნებოდა ამგვარი უფლების მინიჭება მის დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფოებისთვის. („ივერია“ 1905. №41).

თავისუფლებას და თანასწორობას შეუძლია მშვიდობიანობის დამყარება და არა ბიუროკრატიის განუსაზღვრელ ბატონობას ადამიანზე:

ბიუროკრატია პოლონეთშიაც უსპობდა ეროვნულ ბრძოლის უფლებას... უსპობდა პოლონელებს სამშობლო ენას, სასწავლებლებს, კულტურას, ცდილობდა აღმოეფხვრა გულში წარსულის ხსენება და მომავლის იმედი.

როგორც ვიცით, ბიუროკრატიის ასეთმა მეცადინეობამ უნაყოფოდ ჩაიარა და პოლონეთი დღეს ეროვნულად უფრო ფხიზელია, უფრო შეკავშირებული, ვიდრე წინად, და უფრო მეტის გატაცებითაც ცდილობს ეროვნულ თავისებურობის შერჩენას („ივერია“ 1905. №52).

სხვა ეროვნულ მახასიათებლებთან ერთად, ნაციონალური მეხსიერების გაქრობით ერის არსებობაც ქრება. ამიტომაც განსაკუთრებული სიფხიზლე გამოიჩინეს პოლონელებმა ეროვნული თავისებურებების გადარჩენისათვის.

„ივერიის“ გაცემას იწვევს ის გარემოება, რომ პოლონეთმა გაუძლო სამი მეზობელი სახელმწიფოს კოლონიალურ პოლიტიკას და შეინარჩუნა თავისი

სამშობლო ენა, ერთობის გრძნობა, მომავლის იმედი და დამოუკიდებელი საპოლიტიკო ცხოვრების სურვილი. პოლონელებს გულში აქვთ – აღადგინონ თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფო და მოაქციონ ერთ ფარგალში ყველა ის ნაწილი, რომელიც ახლა სამ მეზობელ სახელმწიფოს ხელში გადასულია.

სხვის ხელში გადასულმა პოლონელმა ერმა მაგრად მოჰკიდა ხელი თავის ეროვნულ ინტერესების დაცვას, სამსავე სახელმწიფოში. რუსეთსა, ავსტრიასა და გერმანიაში პოლონელების ეროვნულმა მისწრაფებამ შეჰქმნა პოლონელთა საკითხი, რომელიც სამსავე სახელმწიფოს ძილს უფრთხობს და მიაჩნია საშიშად („ივერია“ 1905. №52)

გამლიერდა ეროვნული მიმართულება. ეს მიმართულება დაიბადა ინტელიგენციაში, შემდეგ ერის უმეტესობაში გადავიდა. ეროვნულ მიმართულებას დემოკრატიული ხასიათი მიეცა, – ეროვნულ მიმართულებას დაადგა პოლონელი ერის უმეტესობა:

ყველა პროგრამას, ყველა დასს, ყველა ადამიანს პოლონეთში ერთი აქვს საერთო, ყველა საერთოდ მოითხოვს, რომ იქმნეს შემოდებელი პოლონეთის ავტონომია, აღდგენილი პოლონურ ენის უფლება, რომ პოლონეთის მართვა და გამგეობა პოლონელების ხელშივე გადავიდეს („ივერია“ 1905. №52).

ხაზგასმით არის აღნიშნული კორესპონდენციაში, რომ ამგვარი მოთხოვნა ჰქონდა პოლონელთა სხვადასხვა დასს, რაც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, პოლონელთა ეროვნულ მისწრაფებათა დასახასიათებლად, მეორე მხრივ, ეროვნული წარმატებისათვის („ივერია“ 1905. №52). პოლონური გაზეთებიც ეროვნული ერთიანობის აუცილებლობას ქადაგებდნენ „მთელი პოლონეთის ერი უნდა შეერთდეს საერთო მიზნების მისაღწევად, ვინაიდან ძალების დაქსაქსვა ახლა სამშობლოს წინაშე ბოროტმოქმედებად ჩაითვლება“ („ივერია“ 1905. №19).

პოლონეთის ისტორიაში განსაკუთრებული ხანა დადგა. გამოიღვიძა ხალხმა და მზაობა გამოხატა ხალხის აღორძინების საქმეში მონაწილეობის მისაღებად, ერის საკეთილდღეო საქმეში. პოლონეთში ყველა პარტია შეთანხმებულა პოლონეთისთვის ავტონომიის მინიჭების აუცილებლობაზე, რათა ერის ბუნებრივი განვითარება არ შეფერხებულიყო. ამ საკითხზე თანხმობა განუცხადებია რუსეთის ჟურნალისტთა კრებას და მოსკოვში შემდგარ პოლონელთა და რუსთა საზოგადოების წარმომადგენლების კრებას. კრებას მიუღია პოლონური ავტონომიის პრინციპი, რომლის მიხედვითაც რუსეთის იმპერიაში იქნებოდა ერთი ცენტრალური მთავრობა – სახელმწიფო წეს-წყობილების საერთო ფორმა, გარეშე საქმეთა ერთი სამინისტრო, საერთო საერთაშორისო ხელშეკრულებანი (პოლიტიკური და სავაჭრო), ერთი ჯარი და ფლოტი, საერთო სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვა და ვალი; ამასთან პოლონელებს ექნებოდა ავტონომიური საკანონმდებლო და პოლიტიკური ორგანიზაცია, საკუთარ კონსტიტუციაზე დამყარებული; ვარშავაში იქნებოდა პოლონური საყოველთაო, ფარული, თანასწორი და პირდაპირი კენჭისყრით არჩეული დამფუძნებელი კრება („ცნობის ფურცელი“ 1905. №2804).

მიღებამდე დიდი კამათი ყოფილა დამსწრეთა შორის. „თავისუფალი პოლონეთი – ნამდვილი რეალური ინტერესია თავისუფალ რუსეთისა“ – უთქვამს კრებაზე ს.ნ. ტრუბეცკოვის („ცნობის ფურცელი“ 1905. №2805). პოლონეთის ავტონომიის მინიჭების საწინააღმდეგო მოსაზრება გამოუთქვამს ნ. შჩეპკინს „რუსებს არ შეუძლიათ თავიანთ პროგრამაში შეიტანონ პოლონეთის ავტონომია, – რუსეთის ხალხი ასეთ პროგრამას არ მიიღებს და საქმეც შეუსრულებელი დარჩებაო“. ამ აზრის საპასუხოდ ა. ლედნიცკის აღუნიშნავს „გადაგვარების, გარუსების სისტემას არავითარი აზრი არა აქვს, მისი ნაყოფი უმნიშვნელოა. გადაგვარების პოლიტიკას, ეროვნულ დაჩაგვრას – ეროვნული აღორძინება მოჰყვება მხოლოდ“.

ბოლოს კრებას მიუღია რეზოლუცია:

რუსეთის საპოლიტიკო ერთობა რომ არ დაირღვეს, საჭიროა პოლონეთის ავტონომია. რუსეთში უნდა იყოს საერთო კრება, მაგრამ პოლონეთს უნდა ჰქონდეს თავისი სეიმი, საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით ამორჩეული, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად („ივერია“ 1905. №62).

პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნის პარალელურად ადგილი ჰქონდა გამოსვლებს, არეულობებს დროშების ფრიალით („ივერია“ 1905. №62; „ცნობის ფურცელი“ 1905. №2806; №2809), ყუმბარის აფეთქებას („ივერია“ 1905. №74). „ვარშავსკი დნევიკის“ სიტყვით, სოციალ-დემოკრატიებმა გადასწყვიტეს პატივი ეცათ 18 აპრილს დახოცილების ხსოვნისათვის და 21 აპრილს ბრძანება გასცეს, რომ დაეკეტათ ფაბრიკა-ქარხნები, სახელოსნოები, მაღაზიები და რედაქციები. წესიერების დასაცავად ქუჩებზე დადიოდნენ სამხედრო პატრულები („ცნობის ფურ-

ცელი“ 1905. №2808). ამ გამოსვლებს მოჰყვა პოლონელების მიერ მოთხოვნების წაყენება მთავრობისადმი. 300-მდე სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელს (მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, ბანკირებს, მემამულეებს, გლეხებს, მუშებს და სხვ.) განცხადებით მიუმართავს მინისტრთა საბჭოსთვის:

მართვა-გამგეობის სისტემას, რომელიც უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში გამეფებულია პოლონეთში, ერთადერთი საგანი ჰქონდა, ჩვენი ქვეყანა გაერუსებინა, რისთვისაც სასტიკი ომი გამოუცხადეს ჩვენს ერს. ამ სისტემის აღმასრულებელთა შეუძლებელი მიზანი დაისახეს: მოსპობა პოლონეთის ხალხის ეროვნულ ხასიათისა, ენისა, და, საზოგადოდ, ეროვნულ ინდივიდუალობისა. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის ბიუროკრატია არღვევდა კანონს, სპობდა ყველა ეროვნულ დაწესებულებათ და მათ მაგიერ ჰქმნიდა ახალს, რომელსაც არაფერი არ ჰქონდა საერთო პოლონეთის ხალხსა და ისტორიასთან. სკოლას დააკისრეს ხალხის განათლების მაგიერ ერის გარუსება; ამავე დროს ხელს უშლიდნენ ხალხისა და ინტელიგენციის დაახლოვებას, რათა ინტელიგენციას კეთილი რამ არ გამოეწყო ხალხის სასარგებლოდ.

რა თქმა უნდა, ბიუროკრატია ვერ განახორციელა თავისი საწადელი; პირიქით, სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა იმის მუშაობას, სახელდობრ: გაერთიანება პოლონეთის ერისა ერთ მისწრაფებითა და სურვილით; ეხლა ყველა პოლონელს ეზიზღება დღევანდელი რეჟიმი და ყველა გაჟღენთილია ერთის საგნის განხორციელების სურვილით: მიანიჭოს პოლონეთს ისეთი თავისუფალი პოლიტიკური თვითმმართველობა, რომელიც უზრუნველჰყოფს პოლონეთის განვითარებას („ცნობის ფურცელი“ 1905. №2865).

პოლონეთში ამგვარმა მოძრაობამ რუსული მმართველობა საგონებელში ჩააგდო და საგანგებო კომისია შექმნა მომხდარ

მოდრაობათა გამოსარკვევად. ამასთან, მიუღიათ პოლონეთში ცვლილებების გატარების გადაწყვეტილება („ივერია“ 1905. №39).

პოლონელები იმედოვნებდნენ, რომ რუსეთში მმართველობის სისტემის შეცვლას მართვა-გამგეობის წესის შეცვლა მოჰყვებოდა პოლონეთშიც, რაც ხელს შეუწყობდა ურთიერთობის გაუმჯობესებას რუსებსა და პოლონელებს შორის. მინისტრთა კომიტეტმა, მართალია დაგმო გარუსების პოლიტიკა, მაგრამ მცირე ცვლილების გატარება გადაწყვიტა, არსებითად-კი მართვა-გამგეობის ძველი სისტემა დატოვა. განათლების და კულტურის საზიანოდ, მინისტრთა საბჭომ დაადასტურა სწავლების არსებული გამარუსებელი სისტემა.

ამგვარმა მიდგომამ წარმოქმნა საყოველთაო, სახალხო წინააღმდეგობა. ეროვნულმა ბრძოლამ ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები მოიცვა და გააერთიანა ისინი ნაციონალური ინტერესების დასაცავად. პოლონელები მოითხოვდნენ: საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ავტონომიას, სახელმწიფო ენად პოლონურის ცნობას, პოლონეთის მართვა-გამგეობის ადგილობრივთათვის გადაცემას.

განცხადებისთვის ხელი მოუწერიათ გამოჩენილ მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს: ჰენრიკ სენკევიჩს, გრაფ ვლადისლავ ტიშკევიჩს, გრაფ მავრიკის, ორდინატს ზამოისკის, სტანისლავ ხოხლოვსკის, გრაფ თადეუშ ზიბერგპლატერს და სხვებს, მათთან ერთად მოხელეებს, ფინანსისტებს, თავად-აზნაურებს, მუშებს, ხელოსნებს და სხვათა („ცნობის ფურცელი“ 1905. №2865).

დაუმორჩილებლობის მოძრაობის შესახებ იუწყება რუსეთის სააგენტოს ინფორმაციებიც. სხვადასხვა ხერხით რევოლუციური გამოსვლების ჩახშობის მცდელობის მიუხედავად, მოძრაობა კვლავაც გრძელდებოდა. ებრაელთა „ბუნდამ“ მოახ-

დინა დიდი უწესოებანი ბერდიჩევსა, ლიუბლინსა, კოვნასა, ბელოსტოკსა, ეკატერინოსლავსა და დასავლეთ რუსეთის სხვა დაბა-სოფლებში, რასაც სამხედრო წესის შემოღება მოჰყვა („ივერია“ 1905. №144).

შავმა რაზმებმა „უდანაშაულო ადამიანთა სისხლით შეღებეს მიდამო“. ამავე დროს მთავრობამ გააძლიერა ადმინისტრაცია „იქ, სადაც საზოგადო ცხოვრების ძარღვი უფრო მაგრად სცემდა, სამხედრო წესებით, ჯარების გაგზავნით მონდომეს „შინაურ მტრის“ – თავისუფლების მოტრფიალეთა დამორჩილება“. დაიწყო

საზოგადო სამსახურში მყოფთა გადაყენება, თავის ნებაზე „საეჭვო“ პირთა დატუსაღება, გაზეთების შეჩერება, სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა, – ე.ი. ადამიანის ყველა საპოლიტიკო უფლების და ხალხში სამხედრო ადმინისტრაციის გაბატონება!..

17 ოქტომბრის მანიფესტმა რუსეთის შინაურ ცხოვრებაში ჯერ ვერაფერი ვერ შესცვალა, ან როგორ შესცვლიდა, როდესაც თავისუფლების შემომღებად ხალხში რჩებიან ისინი, ვისაც მის დღეში ხელიდან ხალხის დამმონებელი მათრახი არ გაუგდია?! („ივერია“ 1905. №196).

პუბლიკაციაში მითითებულია, რომ სამხედრო ძალამ რუსეთში ვერც წინათ შეაჩერა სარევოლუციო მოძრაობა და ვერც შემდეგში შეაჩერებს. აქა-იქ სამხედრო ძალის წინ დროებით ქედს მოიხრის ხალხი, მაგრამ ამით საერთო მოძრაობა არ მოისპობა.

პოლონეთში უკვე გაფიცვები დაიწყო, ტელეგრაფი და რკინის გზის მიმოსვლა შესწყდა, პოლონეთმა ბრძოლა გამოუცხადა რეაქციას („ივერია“ 1905. №196).

რეჟიმის შეცვლის მოთხოვნით რევოლუციას რუსეთში სათავეში ედგნენ განაპირა ქვეყნები: ფინეთი, ბალტიის მხარე,

პოლონეთი, კავკასია და, მათ შორის, საქართველოც. კერძოდ, გურია ყველაზე წინ გამოვიდა აქტიურ სამოქმედო ასპარეზზე და აგრარულ მოძრაობას ავანგარდად დაუდგა. ამას თვითონ შუა რუსეთი აღიარებს და ერთ დროს სატახტო ქალაქების გაზეთები იმასაც კი წერდნენ, რომ ჩვენ მხოლოდ განაპირა ქვეყნების იმედი გვაქვსო. მართალია, რუსეთი თვითმპყრობელობის ბასრი კლან-ჭებიდან მარტო განაპირა ქვეყნებში არ იხსნეს, მაგრამ ცხადია, რომ პოლონეთმა, ამიერკავკასიამ და ფინეთმა, მალოროსიამ და ბალტიის მხარემ თავისუფლებას დიდი მსხვერპლი შესწირეს. ამავე დროს შეერთებული ძალ-ღონით მოპოვებული თავისუფლება და რევოლუციის ნაყოფი შუა რუსეთმა და განაპირა ქვეყნებმა თანასწორად არ გაიყვეს. განაპირა ქვეყნების ამ საერთო ხიფათს თავი დააღწია მხოლოდ ფინეთმა, რომელმაც რუსეთის მდგომარეობით ისარგებლა და ატეხილ ქარიშხალს მომზადებული დახვდა. ფინეთმა მიიღო ავტონომია და 1899 წელს პლევეს მიერ წართმეული უფლებანი ხელმეორედ დაიბრუნა. პოლონეთს მხოლოდ სამხედრო წესები ერგო („ივერია“ 1905. №196).

მედია თვალყურს ადევნებს პოლონეთში 1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერში განვითარებულ მოვლენებს და ინტენსიურად აქვეყნებს ამ მოვლენის ამსახველ ინფორმაციებს. ვარშავენის რკინიგზის მუშებს მიტინგზე დაუდგენიათ შეატყობინონ ვიტეს⁸ სანამ პოლონეთში სამხედრო წესები, ცენზურა და ადმი-

⁸სერგეი ვიტე (დაიბადა 1849 წელს თბილისში – გარდაიცვალა 1915) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე. მუშაობდა რკინიგზების მიმოსვლის უფროსად. აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის მთავრობის საქმიანობაში და დიდ გავლენას ახდენდა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00010759/>

ნისტრაციის თვითნებობა არ მოისპობა, სანამ ოქტომბრის მანიფესტი არ განახლდება სანამ პოლიტიკურ პარტიებს არ გაანთავისუფლებენ, რკინიგზის მუშაობას არ განახლებენ. ხალხი მანამ არ დაწყნარდება, სანამ პოლონეთს სრულ ავტონომიას არ მიანიჭებენ. ეს დეპეშა გაუგზავნია რკინიგზის მუშათა კავშირს კომიტეტისათვის. მუშათა დეპუტატების საბჭოს კი მიუღია რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდებდა პეტერბურგის რევოლუციურ პროლეტარიატს, რომ გამოეცხადოს „თავისი ძმობა და სრული თანხმობა კრონშტადტელ პროლეტარიატს მიტინგების გამართვით და პოლიტიკურ გაფიცვის მოხდენით, რომელმაც დაამტკიცა თავისი ძალა და მრისხნება. ამ განცხადებებს ვიტე შემდეგს პასუხობს: მთავრობას აჯანყების არ ემინია, პოლონეთში სამხედრო წესებს შემოვიღებთო („ივერია“ 1905. №200).

მედიაში აღინიშნა ის გარემოებაც, რომ რუსეთში შექმნილი სახელმწიფო სათათბირო ვერ გამოიყვანდა რეჟიმს ჩიხიდან. სათათბიროს მანკიერ მხარეებზე მოსაზრებას გამოთქვამს სტანისლავ სკარჟინსკი.

რა რჩევის მიცემა შეეძლება ცენტრალისტურად მოწყობილ დაწესებულებას, სადაც თავმოყრილი იქმნება მთელი უზარმაზარ რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან მოსული წარმომადგენლები? თქმა არ უნდა, წარმომადგენელთა მოწვევა თავისთავად მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ შორეულ ციმბირიდან მოსულ წარმომადგენლებს ეცოდინებათ სამხრეთ რუსეთის, ან პოლონეთის ადგილობრივი საჭიროება, არ უნდა მოვთხოვოთ პოლონელს ციმბირის, ან ჩრდილო რუსეთის ეკონომიკურ საჭიროებათა გაცნობა („ივერია“ 1905. №150).

სკარჟინსკი აღნიშნავს, რომ გერმანიისა და ავსტრიის მსგავსად, ცენტრალურ პარლამენტს მხოლოდ საერთო საქმეები უნდა გადაეცეს განსახილველად.

საქმის ასეთი მოწყობა მხოლოდ პოლონელებისთვის როდია საჭირო, განაგრძობს სკარჟინსკი, თავის საკუთარ დაწესებულების მიღება ისეთივე საჭიროა მოსკოვისათვის, როგორც კიევისთვის, სადაც მალოროსები ცხოვრობენ, როგორც ტფილისისათვის, ან ირკუტსკისათვის, – ამნაირ ადგილობრივ საკანონმდებლო დაწესებულების აუცილებლობას მალე შეიგნებს ყველა და მისი მოწყობის საშინელ შედეგს გამოიწვევს: ახალ მსხვერპლსა და ბრძოლას გახდის რუსეთში საჭიროდ.

ეს დაწესებულებაა ადგილობრივი თვითმართველობა კანონმდებლობის საქმეში – ბუნებრივია და იმას, რასაც თვით ბუნება მოითხოვს, იმას ვერ მოსპობს ადამიანის სურვილი, ის შესრულდება უთუოდ! (რ.) („ივერია“ 1905. №150).

პოლონელები მოითხოვდნენ, რომ ადგილობრივი საქმეები ადგილობრივ ხალხს გადაეწყვიტა და ამისთვის არ დასჭირვებოდათ რუსეთის პარლამენტში უმრავლესობის მომხრეობა. ეს მოთხოვნა მთავრობამ სეპარატიზმის სახელით მონათლა და ეროვნულ თანასწორობის მოტრფიალე ხალხს ის მცირეოდენი უფლებებიც მოუსპო, რომელიც 6 აგვისტოს და 17 ოქტომბერს მიანიჭა.

ყველგან იგივეა ჩვენსა, პოლონეთსა და რუსეთის სხვადასხვა ნაწილებშიაც. მთავრობამ ხალხს მიანიჭა „თავისუფლება“, მაგრამ როდესაც ხალხმა ამ თავისუფლების გამოყენება დაიწყო და თავისი საკუთარი სურვილები გამოაცხადა და მოთხოვნილებანი წამოაყენა, – მმართველმა წრეებმა ჯარით ხალხის დახოცვით, სამხედრო წესების შემოღებით მოინდომეს ხალხში

მოდრაობის გასრესა რომ შემდეგ დამარცხებულ „მინაურ მტერს“ ზავი „წყალობად“ მიაღებინონ... („ივერია“ 1905. №194).

ავტონომიის მოთხოვნით გამართულ გამოსვლებს, გაფიცვებს, არეულობებს პოლონეთში, მოჰყვა რუსეთის ხელისუფლების მიერ სამხედრო წესების შემოღება. ამ გადაწყვეტილებამ უფრო გაამწვავა ურთიერთობა პოლონელებსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის. „ივერიაში“ გამოქვეყნებულია დეპეშები, რომლებშიც საუბარია ხელისუფლების მიერ სამხედრო რეჟიმის შემოღების მიზეზებზე. დეპეშებიდან ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლება თავის მართლების გზას დაადგა:

ვაპირებდი პოლონეთის შესახებ წინანდელი უსამართლობის მოსპობას, რამდენიმე კანონი საამისოდ უკვე გამოვეცი და ზოგიერთების შემოღებას ვაპირებდიო... მაგრამ პოლონელებმა ეს არ იკმარეს და მოინდომეს სახელმწიფოსგან განცალკევება, ითხოვეს პოლონეთის სრულს ავტონომიას და ამნაირად აპირებენ ნიადაგის მომზადებას მომავალში პოლონეთის ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოსაცხადებლადო („ივერია“ 1905. №194).

მთავრობის განცხადებით, საამისო ნაბიჯებიც გადაუდგამთ პოლონელებს – დაუწყიათ პოლონური ენის შემოღება სხვადასხვა დაწესებულებაში, რაც სახიფათოდ მიუჩნევია ხელისუფლებას, გაუუქმებია პოლონეთში მთავრობას ოქტომბრის მანიფესტის უფლებამოსილება და შემოუღია სამხედრო წესები („ივერია“ 1905. №194). სამხედრო წესებს ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელების დაპატიმრება მოჰყვა. ვარშავის გაზეთ „Дневник“-ის ინფორმაციით, გენერალ-გუბერნატორ სკალონის ბრძანებით დაუკავებიათ და ივანგოროდის ციხეში გადაუყვანიათ ნოვო-ალექსანდრეს სამთო ინსტიტუტის პროფესორი ლანგე

ინსტიტუტში მანიფესტაციის ხელმძღვანელობისთვის. ამასთან ხელმეორედ დაუპატიმრებიათ განთავისუფლებული პოლიტიკური პატიმრები და სახალხო მოღვაწეები. მათ შორის ცნობილი მწერალი პროფესორი სერომევესკი, გრაფი ტიმკევიჩი, ვეჟილი პოლიტოვსკი და სხვა. დაპატიმრებების პარალელურად, გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით დაიხურა ვარშავის სახაზინო თეატრები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გაფიცვაში და შეწყდა ხუთი პოლონური გაზეთის გამოცემა („ივერია“ 1905. №200). სრულიად რუსეთის კავშირთა კავშირი ეხმაურება მთავრობის გადაწყვეტილებას პოლონეთის საკითხში და სამხედრო წესების შემოღებას:

მთავრობამ რამდენიმე მილიონ მებრძოლს მოქალაქის ყოველივე უფლება წართვა და ისიც კანონით კი არა, არამედ ადმინისტრაციის უბრალო განცხადებით. ასეთ ძალმომრეობას მთავრობა იმით ამართლებს, ვითომ პოლონელები მოხელეებს ხოცავდნენ. ეს სიცრუეა. 17 ოქტომბერს აქეთ პოლონეთში ტერორი თითქმის მოისპო. სიცრუეა ისიც, ვითომ პოლონელებს დამოუკიდებლობა უნდოდათ. „პროვ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია აუარებელი დეპეშა პოლონეთის ქალაქებსა და საზოგადოებებისა, საიდანაც ჩანს, რომ პოლონელები თხოულობენ მხოლოდ ავტონომიას, რაც ბუნებრივი და სამართლიანი მოთხოვნილებაა. მთავრობა განზრახ ურევს ერთმანეთში ავტონომიას და სეპარატიზმს, რადგან ამით უნდა განხეთქილება შეიტანოს სარევოლუციო პარტიებში. მთავრობას უნდა გამანთავისუფლებელ მოძრაობის დაქსაქსვა და მისთვის ახალი კალაპოტის გამოჩენა; მაგრამ რუსეთის საზოგადოება არ მოტყუვდება. ის მშვენივრად იცნობს თავის მტრებსაც და მეგობრებსაც და მართოდ არ დასტოვებს ბრძოლის ველზე თავის მეგობარს, რომელიც დღესაც მედგრად ებრძვის ხალხის მტრებს. პოლონეთის შეურაცხყოფა მთელ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის შეურაცხყოფაა; მისი ტანჯვა ჩვენი ტანჯვაა, მისი ტკივილი – ჩვენი ტკივილია. კავშირთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს მტკიცედ

სწამს, რომ რუსეთისა და პოლონეთის მებრძოლთა რაზმები უფრო მჭიდროდ და მეგობრულად შეკავშირდებიან, რათა რუსეთის ყველა ერებთან ერთად მედგრად და მამაცურად დაასრულონ დიადი ბრძოლა საყოველთაო თავისუფლებისათვის („ივერია“ 1905. №200).

ამ ეპიზოდით საყურადღებოა ის გარემოება, რომ რევოლუციური გამოსვლების ცენტრში ხალხი და ხალხის კეთილდღეობა ექცევა, რაც მთავარი მოტივაცია ხდება სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისთვის და განაპირობებს მოძრაობის სოლიდარობას.

ვიტტეს მმართველობამ ნათლად დაინახა ის საშინელი ჭეშმარიტება, რომ თავისუფალ ხალხს აუცილებლად თავისუფალი მმართველობა უნდა ჰყავდეს, რომ ამ მმართველობას რეალურ ცხოვრების კალოზე აღზრდილნი უნდა შეადგენდნენ და არა კარისკაცი, რომელთაც შეიძლება მეტად დიდი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობაც ჰქონდეთ, მაგრამ ხალხის ნდობა-კი მაინც არ ექნებათ. გამოიჩინა, რომ გრაფ ვიტტეს მმართველობა – ხალხის მმართველობა არ არის, და თვით გრაფ ვიტტესთვის, რომ იმისი მისწრაფება „წესიერებისადმი“ – ხალხის მისწრაფება არ არის („ცნობის ფურცელი“ 1905. №2939).

პოლონელებმა სხვებზე მეტად გამოიყენეს 17 ოქტომბრის მანიფესტის თავისუფლება.

არსად რუსეთში ისეთი ხალხმრავალი და მწყობრი მიტინგები არ გამართულა, როგორც პოლონეთში, არსად ხალხს ისეთი ერთსულოვნება და პოლიტიკური სოლიდარობა არ გამოუჩენია, როგორც პოლონეთში. პოლონელები, დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი ერთხმად თხოულობენ საკუთარს ავტონომიურ დემოკრატიულს სეიმს თავის შინაურს საქმეების მოსაწყობად. აი სწორედ ეს მიტინგები ეჩვენა გრაფ ვიტტეს

მმართველობას სახიფათოდ, თუმცა თავისუფლება ყოვლის უწინარეს მიტინგების გამართვაში გამოიხატება, და, მოაგონარა, პოლონელებს 1863 წლის სისხლის ღვრა, უბრძანა პოლონელებს, ხელი აიღონ რეალურად თავისუფლებაზე. ხოლო ვიდრე ეს მოხდებოდა, სრულიად წართვა მათ „შეურყვევლი საფუძველნი“ სამოქალაქო თავისუფლებისა და სამაგიეროდ გაამეფა იქ სამხედრო დროის წესები („ცნობის ფურცელი“ 1905. №2939).

გაზეთი ასკვნის, 30 ოქტომბრის მთავრობის განკარგულება იმედს ვერ დაუკარგავს 17 ოქტომბრის ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას, პირიქით, ენერგიას და ძალას გაუძლიერებს („ცნობის ფურცელი“ 1905. №2939).

მედია აქცენტირებას ახდენს სამოქალაქო ცნობიერების ამალღებაზე. ისევ და ისევ საუბარია იმაზე, რომ სამოქალაქო თავისუფლების მიღწევა შეუძლებელია ბიუროკრატიული მსოფლმხედველობის შეცვლის გარეშე. „მოქალაქობრივი თავისუფლება ავალებს მთავრობას, რომ იგი ერთგული მოსამსახურე იყოს ხალხისა“. მთავრობა, პირიქით, ძალით ცდილობდა ხალხის დამოშმინებას. მთავრობისთვის უცხო იყო, რომ

განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყნარება და დამშვიდება შეუძლებელია ძველებურ ბიუროკრატიულ წესით. განმათავისუფლებელი მოძრაობა უარყოფაა ბიუროკრატიულ სისტემისა, და წმინდა უგუნურობაა ერთი მეორესთან შერიგება. უნაყოფოდ ჩაივლის მთავრობის ცდა შეათანხმოს ბიუროკრატიული სისტემა და მოქალაქეობრივი თავისუფლება. ცდა არ დააწყნარებს განმათავისუფლებელ ქარიშხალს, არამედ უფრო გააძლიერებს და მაშინ...

იმის მაგივრად, რომ არწმუნოს ხალხი: „ღმერთმანი, გულწრფელად მსურს მოქალაქეობრივ თავისუფლების მინიჭებაო“, სჯობს საჯაროდ გამოაცხადოს, რომ ამიერიდან მთავრობა

ეკუთვნის ხალხს და მას წარმომადგენელთ („ცნობის ფურცელი“ 1905. №2939).

დაიწყო რეაქციის ხანა, გაიგზავნა გენერალ-ადიუტანტები სარატოვის, ჩერნიგოვის და ტამბოვის გუბერნიებში „მშვიდობიანობის“ დასამყარებლად. ამ დავალების ასასრულებლად გენერალ-ადიუტანტებს დაუქვემდებარეს ადგილობრივი ჯარი, პოლიცია და აღიჭურვა უფლებებით. გენერალ-ადიუტანტებს უფლება მიეცათ

დააპატიმრონ საზოგადო მშვიდობიანობისა და წესიერებისათვის, მათის აზრით, მავნე პირნი, დაკეტონ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი, აკრძალონ გამოცემა გაზეთებისა, ჟურნალებისა, ბროშურებისა და სხვათა; გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი და სხვა („ცნობის ფურცელი“ 1905. №2940).

გრაფ ვიტეს სჯეროდა ადმინისტრაციული მძლეთამძლეობა და საზოგადოებრივ ძალთა მოქმედებას, ხალხის თავისუფალ სიტყვას და საქმეს გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა.

გენერალ-ადიუტანტების საქმიანობისთვის შეიძლება საზოგადოებას, ხალხს, პრესას ხელი შეეშალა, ამიტომ ვიტემ გადაწყვიტა განსაკუთრებული მზრუნველობის, ოპკვის შემოღება, რომელიც დაამყარებდა „მშვიდობიანობას!“ ადრე თუ გენერალ-გუბერნატორები ასრულებდნენ ამ მოვალეობას, ვიტეს გადაწყვეტილებით კი გენერალ-ადიუტანტები შეასრულებდნენ. ნათელი იყო, რომ შეიცვალა მხოლოდ სახელი, ბუნება კი წინანდელი დარჩა.

პოლონეთს სეპარატისტობა დასწამეს და ამიტომ წაართვეს სამოქალაქო საკონსტიტუციო უფლებანი. სარატოვის, ტამბოვის და ჩერნიგოვის გუბერნიის მცხოვრებთ სეპარატისტობას ვერ სწამებენ, მაგრამ უფლებები მაინც წაართვეს და მასთან მთავრობას ჯერ გაკვრიტაც არ უთქვამს, რა მიზეზით. უმიზეზოდ ხომ მთელს რუსეთს შეიძლება წაერთვას საკონსტიტუციო უფლებანი?

გაზეთი მიუთითებს, რომ „გულწრფელი განზრახვა რუსეთის სახელმწიფო წყობილების გადამენებისა ახალ პრინციპებზე ხალხის საკონსტიტუციო უფლებების გაუქმებას ვერასოდეს ვერ შეურიგდება, და ამიტომ სამართლიანი იქვი იბადება ვრ. ვიტტეს მმართველობისადმი“. რუსეთის ხალხი „მთავრობისაგან სიტყვას-კი არა, საქმეს ითხოვს. სიტყვის დრომ უკვე გაიარა“ („ცნობის ფურცელი“ 1905. №2940).

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და თუ რა მდგომარეობა იყო ერთობის თვალსაზრისით. გაზეთები ამ მხრივ საყურადღებო ინფორმაციებს ავრცელებდნენ. მართალია, პოლონეთის სოციალისტური, დემოკრატიული და ბურჟუაზიული პარტიები მხარს უჭერდნენ პოლონეთის ავტონომიას, მაგრამ ყველა პარტიას თავისებურად ესმოდა ეს ავტონომია. „პოლონეთის სოციალისტური პარტია“ ითხოვდა პოლონეთის დეპუტატების საყოველთაო კენჭისყრით არჩევას, პეტერბურგის მაგივრად ვარშავაში დამფუძნებელი კრების გახსნას, რომელიც შემდეგ პოლონეთის მუდმივ სეიმად უნდა გადაკეთებულიყო. ამ პარტიას არ ეთანხმებოდნენ დანარჩენი სოციალისტური პარტიები. სოციალ-დემოკრატები აცხადებდნენ, რომ პოლონეთის მუშათა პარტია უნდა ერიდოს ყველაფერს, რაც რუსეთისა და პოლონეთის მუშათა შორის შუღლს ჩამოაგდებდა.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ოფიციალური ორგანო, გაზეთი „Голос“-ი წერს: „იმ დრომდის, სანამ მთელს რუსეთში მთავრობა მხოლოდ კაპიტალისტებისა და არისტოკრატების ხელში იქნება და სანამ ეს მთავრობა ხალხის ინტერესების გამო-მხატველი არ იქნება (სანამ საყოველთაო არჩევნები არ იქნება შემოღებული), მანამდის პოლონეთისა და რუსეთის მუშებმა ერთ დროში კვებ უნდა იბრძოლონ. მაგრამ რათა ყველა ეროვნებამ ეროვნულ თვითგამორკვევის უფლება მიიღოს და თავის საკუ-თარ კულტურის თანახმად იცხოვროს – სოციალ-დემოკრატების პარტია და მასთან ერთად ებრაელთა სოც. დემ. „ბუნდი“ რუსეთ-ში მცხოვრებ ყველა ერთათვის თხოულობენ ეროვნულ ავტონო-მიას და არა ტერიტორიალურს, ამასთან ეს ავტონომია ამა თუ იმ ეროვნების კულტურულ ინტერესებს არ უნდა გასცილდეს. სამაგიეროდ პოლიტიკურად და ეკონომიურად მთელი რუსეთის იმპერია უნდა განაგოს ერთმა პარლამენტმა.

დანარჩენი დემოკრატიული და ბურჟუაზიული პარტი-ებიც თხოულობენ პოლონეთის ავტონომიას, მაგრამ სხვადა-სხვანაირად. სახალხო დემოკრატიული პარტია მომხრეა პოლო-ნეთის ავტონომიისა, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ ახლან-დელი დრო ხელსაყრელი არ არის ავტონომიის მოთხოვნი-სათვის. პროგრესიულ-დემოკრატიული პარტია სავსებით ეთან-ხმება პოლონეთის სოციალისტური პარტიის პროგრამის თით-ქმის ყველა მუხლს („ივერია“ 1905. №199).

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ ვიტემ დეპეშა გაუგზავნა გაფიცულ ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებს „ძმებო-მუშებო, ხელი მიჰყავით საქმეს, თავი დაანებეთ შფოთს, გებრა-ლებოდეთ ცოლ-შვილი, ყური მოარიდეთ მავნე რჩევას. ხელ-მწიფემ გვიბრძანა, რომ მუშათა საკითხს მიექცეს განსაკუთრე-

ბული ყურადღება და ამისთვის მისმა უდიდებულესობამ და-
არსა სავაჭრო-სამრეწველო სამინისტრო, რომელმაც უნდა და-
წესოს კანონიერი დამოკიდებულება მუშათა და საქმის მოთავე-
თა შორის. გვადროვეთ და ყოველივე შესაძლებელი თქვენ
სასარგებლოდ მოწყობილი იქნება. გაუგონეთ თქვენს კეთილის
მყოფს და თქვენ მომხრე კაცებს“. გრაფსა გულუბრყვილოდ
უფიქრნია, რომ ორიოდე უაზრო სიტყვით შეიძლება გაფიცვის
შეჩერება, დარწმუნება მუშებისა, რომ იმათ ბედისთვის ზრუნა-
ვენ, მალე იმათ მდგომარეობას ისე მოაწყობენ, რომ მუშების ბედს
ძალი არ დაჰყევს. რა ადვილი ყოფილა ძნელი საქმის გაკეთება!
მაგრამ მუშები, რომ ყურს არ უგდებენ ამ კეთლ რჩევას და გაფი-
ცვას თავს არ ანებებენ, არ იბრალებენ თავის ცოლ-შვილს, შიმ-
შილ-წყურვილს რჩეობენ და უფრო უარესისთვისაც მზად არიან.
რატომ არ დაეკითხება გრაფი ვიტტე თავის თავს: „რისაგან არის,
რომ მუშები ყურს უგდებენ „მავნე რჩევას“ და აღარ უცდიან
მთავრობის მზრუნველობის ნაყოფს?“ არა, მუშები არ მოიცდიან,
არ დაიჯერებენ და მაგრად ეჭირებათ ხელში თავიანთი ძლიერი
იარაღი – გაფიცვა, რომელიც მოაპოვებინებს ყველაფერს. ვერა-
ვინ მოატყუებს მუშებს იმ დაპირებით, რომ ნაბრძანები გაქვე
განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ მუშათა მდგომარეობას.
ვერავინ გააბამს მუშებს მახეში ბიუროკრატიულის ხრიკით,
რომელიც დაფარულია „პროკლამაციაში“.

მთავრობას ნებავეს მუშა ხალხი ჩამოაშოროს განმათავის-
უფლებელ ლაშქარს და იმიტომ ჰპირდება მდიდარ წყალობას.
მაგრამ ნუ გგონიათ, რომ მუშა ხალხი მხოლოდ კუჭზედა
ჰფიქრობს და მარტო იმისთვის იბრძვის. არა, გრაფმა ამისთანა
იდეალები ახლო მახლო, ბიუროკრატიულ წრეებში უნდა
მოიკითხოს, იქ უფრო ნახავს კუჭის მოტრფიალეთ. რუსეთის
მუშა ხალხი კი დამშეულის კუჭით წინ წავა საბრძოლველად,

დაივიწყებს ცოლსაც და შვილსაც, დაივიწყებს თავის თავს და ბრჭყალებიდან გამოგლეჯავს დაპატიმრებულს, ბორკილ დადებულ თავისუფლებას. გაუმარჯოს თავგანწირულად მებრძოლ მუშას! („ცნობის ფურცელი“ 1905. №2944).

გრაფ ვიტეს ხელისუფლება საზოგადოების თანაგრძნობის მოსაპოვებლად განუწყვეტლივ აცხადებს, ჩემი გულის წადილი სამოქალაქო თავისუფლების დამყარება და განმტკიცებააო.

ჯერ-ჯერობით გრაფ ვიტეს მმართველობის საუკეთესოდ დამახასიათებელი ფაქტი პოლონეთში საომარ დროის წესების შემოღებაა. საომარი წესები, ე.ი. მათრახის და ხიშტის მოწოდება სახელმწიფო მშვიდობიანობის და მყუდროების დასაცველად, ცხადია, ისევე შეურიგებელია სამოქალაქო თავისუფლებასთან, როგორც ცეცხლი და წყალი. ფიზიკურს ძალას ადვილად შეუძლიან გარეგნობით მოსპოს ხალხის იდეური მისწრაფება, მაგრამ არსებითად-კი ფიზიკური ძალა ამ მოძრაობას უფრო აძლიერებს, უფრო მეტს ზნეობრივ ღონეს აძლევს. საომარ წესების საშუალებით ბრძოლა ხალხის საზოგადოებრივ მისწრაფებასთან სწორედ ძველი რეჟიმის ერთი მთავარი ნაკლულევაწება იყო, რომლის გასაუქმებლადაც ამოძრავდა ეხლანდელი რუსეთი. ამიტომ მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო გრაფ ვიტესთვის, რომ საზოგადოების თითქმის ყველა წრეებმა, განთავისუფლებისათვის მებრძოლმა ჯგუფებმა ყველგან მტრულად შეხედეს პოლონეთში საომარ წესების შემოღებას და პროტესტი გამოაცხადეს.

ცხადია, რუსეთის ეხლანდელი ლიბერალური მთავრობა წინანდელ ოპეკუნობის როლს კისრულობს: მთავრობას ჰსურს საზოგადოებრივ მოძრაობის და აზრის განვითარებას წინ წაუსწროს, იმისი რეგულიატორი შეიქმნეს და ხიშტით და მათრახით

ანადგუროს ის, რაც ჯერ თუმცა არ არსებობს, მაგრამ შეიძლება კი გაჩნდეს, როგორც მთავრობის შორს მჭვრეტელობას ჰგონია („ცნობის ფურცელი“ 1905. №2945).

მომდევნო ნომრებში კვლავაც ვრცელი მეთაური წერილი გვხვდება „ივერია“-ში პოლონეთისა და პოლონელების შესახებ. რედაქცია მიუთითებს, რომ უთხოვიათ რამდენიმე პოლონელი მწერლისთვის დაეწერა პოლონეთის შესახებ სპეციალურად „ივერიელებისათვის“. ერთ-ერთი მწერლის რ. ბოდუენ დე კურტენეს წერილს აქვეყნებენ პოლონეთის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ. ეს მწერალიც ამახვილებს იმ საკითხზე ყურადღებას, რომ მათი სოციალ-დემოკრატიაც უარყოფს ეროვნული საკითხის მნიშვნელობას. მიუთითებს, თუმცა, ამ ერთ საუკუნის განმავლობაში ეროვნულმა მიმართულებამ თანდათან ფეხი მოიკიდა პოლონელ პროლეტარიატის და საზოგადოდ, ეგრედ წოდებულ, „დაბალ ხალხის“ პოლიტიკურ მიმართულებაში. ხალხი თითონ გამოვიდა ბრძოლის ველზე. მას გადაწყვეტილი აქვს ან სიცოცხლე და ეროვნულ, სოციალურ და პოლიტიკურ თავისუფლებათა მოპოვება, ან სიკვდილი, და, მე მგონია, ვერავითარი ძალა ვერ შეაყენებს მის სურვილებს, მის მისწრაფებას...

ბოდუენ დე-კურტენეს წერილში საუბარია სოლიდარობის არსებობის საჭიროებაზე პოლონელებსა და კავკასიელებს, პოლონელებსა და რუს ხალხს შორის. ადრე რუს ხალხთან დიდი უფსკრული გვქონდა, ახლა სოლიდარობა შეინიშნებაო:

მაგრამ დღეს სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორ ხალხს შუა ისეთი უფსკრული აღარ არის, ბევრი რამ შეექმნათ საერთო და ბრძოლის საერთო ნიადაგი დიდი ხანია გაუმტკიცდათ. ბევრ შემთხვევაში თითქმით ერთგვარად ფიქრობენ და ერთგვარად ჰმოქმედობენ. წერილმანია, მაგრამ ეს წერილმანიც კი

ახასიათებს მისწრაფებათა გაერთიანებას. მე მოგახსენებთ იმ გარემოებაზე, რომ კრაკოვშიაც კი გაისმის რუსული „დუბინუშკა“, ხოლო მოსკოვისა და პეტერბურგის ქუჩებზე დასძახიან პოლონურ „ვარშავიანკას“.

აუცილებელი სოლიდარობა არსებობს პოლონელ და კავკასიელ მეზრძოლთა შორისაც, თუმცა, სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდე, რომ ჩვენის ხალხის უმრავლესობამ ნაკლებად იცის, რა ცეცხლი ტრიალებს ახლა კავკასიაში („ივერია“ 1905. №201).

ზემოთ აღნიშნულ თითქმის ყველა ნომერში ხაზგასმულია ბეჭდური მედიის როლი ინფორმირებულობის თუ დარაზმულობის მხრივ, ეროვნული სენტიმენტების გაძლიერების მიზნით.

უცხოთა მაგალითების მოხმობით, კერძოდ, პოლონური იდენტობის ნაციონალური მოძრაობის ამსახველი მაგალითების ქართველი მკითხველისათვის მიწოდებით ქართული ბეჭდური მედია, ერთი მხრივ, სოლიდარობის გრძნობას გამოხატავდა ეროვნული თვითობისათვის მეზრძოლი პოლონელების მიმართ, მეორე მხრივ, ცდილობდა ქართული საზოგადოების ინდიფერენტული ნაწილის ეროვნული სენტიმენტების გაღვიძლებას ქართული ერთობის ფორმირების გზაზე.

2. დამოუკიდებლობის 21 წელი და პოლონური იდენტობა

დამოუკიდებლობის 21 წელი პოლონეთის ისტორიაში აღნიშნება მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის თავდაუზოგავი ბრძოლით. საქართველომ და პოლონეთმა, ორივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა 1918 წელს მოიპოვა. თუმცა, ვერცერთის თავისუფლებას ეგუებოდა რუსეთი. რუსეთთან ერთად, პოლონეთს ვერ თმობდა გერმანიაც.

საქართველომ მეზობელი სახელმწიფოს იმპერიულ ზრახვებს დიდხანს ვერ გაუძლო და 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა მისი ოკუპაცია. პოლონეთი 21 წელი უმკლავდებოდა საშინაო თუ საგარეო გამოწვევებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა როგორ აისახა იდენტობის შენარჩუნებისათვის პოლონელთა ბრძოლა ქართულ ბეჭდურ მედიაში. ამ მხრივ განსხვავებული ვითარება გვაქვს განსახილველ პერიოდში, რაც განპირობებული იყო საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლით. 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიზღუდა ეროვნული მიმართულების გაზეთების ბეჭდვა. თუმცა, ქართველი კომუნისტებისთვის აქტუალური იყო დამოუკიდებელი პოლონეთის პოლიტიკური ცხოვრება, ვინაიდან პოლონეთი ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას მეორე მსოფლიო ომამდე. ამიტომაც, კომუნისტური იდეოლოგიის გამომხატველი გაზეთი „კომუნისტი“ ინტენსიურად აშუქებდა პოლონეთის ხელისუფლების პოლიტიკურ ცხოვრებას. გამოქვეყნებული მასალები ხშირ შემთხვევაში ეყრდნობოდა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს (საკდესის) ინფორმაციებს, ქვეყნდებოდა რუსული და უცხოური პრესის მასალები. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი კომუნისტური იდეოლოგიის

მეხოტბეა, საყურადღებო ინფორმაციებს ვხვდებით პოლონური იდენტობის ისტორიის თვალსაზრისით.

რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს, პუბლიკაციები განსხვავებულ ხასიათს ავლენს, სოლიდარობის გრძნობას გამოხატავს. ამგვარი მიმართულება აქვს ეროვნულ-დემოკრატიების გაზეთს „საქართველო“.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველო-პოლონეთს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება ორივე მხარის კეთილი ნებით იყო განპირობებული, რასაც ერთ-გვარად განამტკიცებდა ორივე ერის ერთნაირი ისტორიული ბედი. კელთილმეგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით ჩამოსულ პოლონელთა დელეგაციას თბილი შეხვედრა მოუწყო ქართველმა ხალხმა. დელეგაცია მიიწვიეს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე და თბილი სიტყვით მიმართა ორივე მხარის წარმომადგენლებმა ერთმანეთს. ამ მიმართებებში ხაზგასმული იყო ნაციონალური თავისებურების შენარჩუნებისათვის ისტორიული მეხსიერების მნიშვნელობა („საქართველო“ 1920. №73).

პოლონეთ-რუსეთის ომი

ევროპის ახალი ტერიტორიული საზღვრები, რომელიც ვერსალის კონფერენციით დადგინდა, მიუღებელი აღმოჩნდა ზოგიერთი სახელმწიფოსათვის და ახალი დაპირისპირების საფუძველი გახდა. ამ ნიადაგზე გაღვივდა პოლონეთსა და რუსეთს შორის უთანხმოება, რომელიც 1919 წელს ომში გადაიზარდა. პოლონეთს უნდოდა მის შემადგენლობაში დაყოფამდე შემავალი ტერიტორიების დაბრუნება, რუსეთს კი – ამ ტერიტორიებზე კონტროლი.

მიუხედავად იმისა, რომ „კომუნისტი“ პოლონეთში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გადმოცემით გამოირჩევა, რუსეთ-პოლონეთის ომზე მასალის სიმწირით ხასიათდება, რაც ალბათ, განპირობებულია რუსეთის წარუმატებელი საომარი მოქმედებებით. სამაგიეროდ ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (საკითხს ქვემოთ შევხები) და პოლონეთისთვის გადაცემული დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობაში ეროვნული საკითხების გამწვავებასთან დაკავშირებული არცერთი ნიუანსი რჩება უყურადღებოდ.

პოლონეთ-რუსეთის ომის მიმდინარეობაზე ცნობები დაცულია გაზეთ „საქართველო“-ში. აპრილში პოლონეთის ჯარები შევიდნენ უკრაინის ტერიტორიაზე. 7 მაისს უკრაინისა და პოლონეთის ჯარებმა აიღეს კიევი. ამ ბრძოლაში პოლონელებთან ერთად მონაწილეობდა უკრაინის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი სიმონ პეტლიურა. პოლონელთა შეტევას ბოლშევიკების კონტრშეტევა მოჰყვა და პოლონელებს ვარშავამდე დაახევინეს. 8 აგვისტოს წითელ არმიაში ვარშავის აღების ბრძანება გაცა. ქალაქისათვის ბრძოლა 12-24 აგვისტოს მიმდინარეობდა და მოიხსენიება როგორც „სასწაული ვისლაზე“, რაც პოლონეთის გამარჯვებით დასრულდა.

ქართული მედია-პუბლიკაციების კვალდაკვალ განვიხილავ განვითარებულ მოვლენებს.

პოლონელთა იდენტობის გადარჩენისათვის ბრძოლა ნათლად არის წარმოდგენილი წერილში „პოლონეთი და რუსეთი“. როდესაც ბოლშევიკური არმია ელვის სისწრაფით მიეშურებოდა ვარშავისაკენ და პოლონეთს, როგორც სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, განადგურების საფრთხე დაემუქრა, დამოუკიდებლობის დასაცავად მთელი პოლონეთი დადგა ფეხზე:

ადგენილ სახელმწიფოს მილიტარულ ენერჯის უკიდურეს დაჭიმვამ გასტეხა წითელ-არმიელების ფოლადის რკალი („საქართველო“ 1920. №83).

ეს იყო ერთობის აუცილებლობის მძაფრ თვითშეგნებაზე დაფუძნებული სამაგალითო ბრძოლა ტერიტორიული იდენტობის გადარჩენისათვის. ამ ფაქტორმა განსაზღვრა ის გარემოება, რომ პოლონურმა ეროვნულმა ერთობამ შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა ისტორიულ-ტერიტორიულ საზღვრებში.

საერთო დარაზმულობამ რუსეთის ჯარების უკან დახევა და პოლონელების მიერ ბრესტ-ლიტოვსკის დაკავება განაპირობა. ამავე დროს, ვარშავის აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით 16 მილზე მდებარე პოზიციები შეინარჩუნეს („საქართველო“ 1920. №81; №82). მოსკოვი ბოლშევიკების დამარცხებაში საფრანგეთს ადანაშაულებდა პოლონეთისთვის სამხედრო დახმარების გაწევის გამო. პეტროგრადის კომიტეტი ადგენს, რომ რაც არ უნდა დაუჯდეთ, ვარშავა უნდა აიღონ („საქართველო“ 1920. №84).

მაგრამ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა პოლონელთა ეროვნული სენტიმენტები იდენტობის გადარჩენისათვის ბრძოლაში, რომ სასტიკად ამარცხებენ ბოლშევიკებს. მათ ხელთ იგდეს 36000 ტყვე და 100 ზარბაზანი. პოლონელთა წარმატებებმა აიძულა რუსეთი საზავო მოლაპარაკებაზე ეფიქრა, თუმცა ისეთი მოთხოვნები წამოაყენა, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა პოლონეთისთვის (დელეგაციის თავმჯდომარე დომბსკი). საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა პოლონეთის ჯარის დემობილიზაციას და 200 000 რუსი ჯარისკაცის დატოვებას ნეიტრალურ ზონაში, რაც ნიშნავდა პოლონელთა ჯარის შემცირებას 50000 მდე და საბჭოთა

ჯარების ოთხჯერ გაზრდას პოლონეთის საზღვართან. ამ მოთხოვნებს არ დათანხმდა პოლონეთი და დაიწყო შეტევა მინსკზე. ვილნო 5 აგვისტოს დატოვეს რუსებმა, იქ ლიტვის ჯარები შევიდნენ. ჩრდილოეთის მიმართულებით პოლონელებმა სასტიკად დაამარცხეს საბჭოთა ჯარი, დასავლეთით შეტევას განაგრძობდნენ, სამხრეთით ბოლშევიკებმა დატოვეს ბრძოლის ველი. აქვე, ბოლშევიკების უმაგალითო სისასტიკეზეც არის საუბარი. ისინი თავს დაესხნენ მატარებელს, რომელშიც ისხდნენ უკრაინის გენერალური შტაბის წარმომადგენლები და მინისტრები. პოლონელებმა მათი დასახიჩრებელი გვამები იპოვეს ლიტვაში („საქართველო“ 1920. №85, №89).

ომის მიმდინარეობამ თვალსაჩინო გახადა ბოლშევიკების საფრთხე. ამიტომაც უფრო და უფრო აქტუალური იყო რუმინეთის, უნგრეთის, სერბეთის და ჩეხოსლოვაკიის სახით პოლიტიკური ერთობის შექმნის აუცილებლობა ბოლშევიკების დასამარცხებლად („საქართველო“ 1920. №88). ქვემოთ ვნახავთ, მცირე ანტანტის შექმნის მცდელობა ამას აღმოჩნდა.

ვარშავაში განცდილი მარცხის და უკან დახევის შემდეგ, რუსეთი ისევ ზავს ითხოვს. რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარი გ.ჩიჩერინი პოლონეთის მთავრობას ატყობინებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სურს პოლონეთთან ზავი და კეთილმეზობლური ურთიერთობა. ჩიჩერინი პოლონეთის დელეგაციას შეუთანხმდა საზავო მოლაპარაკების ნეიტრალურ ქვეყანაში გამართვაზე. თუ ზემოთ პოლონეთისთვის მიუღებელ ზავზე გვქონდა საუბარი, ამჯერად, რუსეთი დათმობებზე მიდის და საზავო პირობების განსაზღვრის უფლებას პოლონელებს გადასცემს. მოლაპარაკების მიზანი იყო საერთო განიარაღება და რაციონალური საზღვრის დადგენა („საქართველო“ 1920. №89; №92).

საინტერესოა, როგორ წარმოაჩინეს მედია ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულებას განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

საგაზეთო მასალებიდან ირკვევა, რომ პოლონეთის მიმართ გამაფრთხილებელი ზომები იქნა მიღებული აშშ-ს მთავრობის მხრიდან. აშშ-ს მთავრობა მოუწოდებდა პოლონეთს თავის ტერიტორიას არ გასცდენოდა („საქართველო“ 1920. №88). ინგლისიც შიშობდა პოლონელები არ გაეტაცებინა ნაყოფიერ კონტრშეტევას და ცუდად არ ემოქმედა წარმატებას მათზე. ამ მიზეზით ურჩევდა პოლონეთის მოკავშირე საფრანგეთს, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა პოლონეთზე, დროულად ჩარეულიყო მისი შეჩერების მიზნით. საპასუხოდ საფრანგეთის და პოლონეთის მარშალი ფერდინანდ ფოში კატეგორიულ განცხადებას აკეთებს: პოლონეთის მიზანი წითელ არმიელთა პოლონეთიდან განდევნა იყო და არა რუსეთის ტერიტორიის დაპყრობა („საქართველო“ 1920. №93). ბოლშევიკების, და არა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე ამახვილებს ყურადღებას პილსუდსკიც ლაშქრისადმი მიმართვაში. ვინაიდან თვლიდა, რომ პოლონელები ეწეოდნენ ბრძოლას სხვა ხალხთა თავისუფლებისათვის, რომ ბოლშევიკებმა მოსპეს თავისუფლება თავიანთ ქვეყანაში, გაანადგურეს რუსეთი და ამასვე უპირებენ პოლონეთს („საქართველო“ 1920. №96).

საზოგადო თავისუფლების იდეა – აი რამ უნდა იხსნას ევროპა ბოლშევიკების დიქტატურისაგან, „წითელი იმპერიალიზმისაგან“. პოლონეთი არამარტო საკუთარ მიწა-წყალს იცავდა, არამედ ევროპის გაწითლებისაგან შემაკავებლის როლს ასრულებდა.

სამართლიანობის საკუთარი ხედვა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც ირგებდა პანების დიქტატურისაგან განმათავისუფლებლის მანტიას და დაჩაგრულის დამცველის როლს.

მოსკოვის ცნობებით, პოლონელთა ჯარი შევიდა ლიტვის ტერიტორიაზე და მის დამოუკიდებლობას საფრთხე დაემუქრა. წითელარმიელები იძულებული გახდნენ ეპასუხათ მათთვის. პოლონელთა დამარცხების შემდეგ საბჭოთა ჯარები დატოვებენ ლიტვის ტერიტორიას, სადაც შევიდნენ როგორც განმათავისუფლებელი („საქართველო“ 1920. №93). ნათელია, რომ მოსკოვის ცნობა ქმნის საბჭოთა ნარატივს.

დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობის ფონზე, გაზეთი „საქართველო“ იტყობინება, საქართველოს პოლონეთთან ურთიერთობის დამყარების შესახებაც. ეს ის პერიოდია (1920 წლის სექტემბერი), როდესაც გამოკვეთილია რუსეთის გეგმები კავკასიის და საქართველოს მიმართ. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პოლონეთთან ურთიერთობის დამყარებას. გაზეთი აქვეყნებს „ვარშავსკი კურიერის“ ცნობას, რომლის მიხედვითაც პოლონეთში პოლონეთ-საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარების მიზნით შექმნილა ქართველთა ეროვნული საბჭო ყურულაშვილის მეთაურობით. მათ განუზრახავთ პოლონურ და ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემა და პოლონელ-ქართველთა ბანკის დაარსებაც. ვარშავაში გახსნილი ყოფილა ასევე, პოლონელთა და ქართველთა კლუბი („საქართველო“ 1920. №95).

თვალსაჩინოა, რომ პოლონეთში არამარტო პოლონეთ-რუსეთის საკითხი, არამედ ევროპის მომავლის ბედიც წყდებოდა. ბოლშევიკები ცდილობდნენ გერმანიასთან კავშირის დამყარებას და ერთობლივი წინააღმდეგობის გაჩაღებას. ამიტომაც პოლონე-

თისათვის აუცილებელი გახდა ანტანტის დახმარების გაძლიერება, რათა მოკავშირეთა გაერთიანებულ პოლიტიკას ეხსნა ევროპა გერმანელებისა და ბოლშევიკებისაგან. მითუმეტეს, ბოლშევიკებმა განმათავისუფლებლის სახელით პოზიციების გამყარება დაიწყეს და ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში კამენეც-ლიტოვსკი დაიკავეს („საქართველო“ 1920. №95). ამ შემთხვევაში ლიტვას ადანაშაულებს პოლონეთი და საერთაშორისო სამართლის ნორმების – ნეიტრალიტეტის დარღვევაზე მიუთითებს „პოლონეთის ჯარის უკან დახევის დროს ლიტვის მთავრობა შეუთანხმდა მოსკოვის მთავრობას, ესარგებლა ლიტვის ტერიტორიით როგორც ჯარის გადაყვანასა, ისე სამხედრო ბაზის მოსაწყობათ. ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისა, რომ ლიტვამ რუსეთ-პოლონეთის ომში დაარღვია ნეიტრალიტეტი, როდესაც პოლონეთი იძულებული შეიქმნა, თავისი ჯარები გამოეყვანა იმ ტერიტორიიდან, რომელიც ეთნოგრაფიულად პოლონეთს ეკუთვნის. ეს ტერიტორია დაიკავა ლიტვის მთავრობამ“. პოლონეთმა საგანგებო მიმართვა გაუგზავნა ერთა ლიგას და შეატყობინა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის შესახებ („საქართველო“ 1920. №96).

შემდეგ პოლონეთის ჯარმა უკუაქცია და ისევ დაიკავა სუვალკი. ლიტვის მთავრობამ პოლონეთის მთავრობას ნოტიო მიმართა, რომელშიც არ ცნობდა ძველ საზღვრებს და მოითხოვდა ჯარის გაყვანას. პოლონეთის მთავრობამ საპასუხო ნოტაში მოითხოვა ლიტვის ჯარისთვის ეჩვენებინათ საზღვარი და სადავო საკითხების გადასაწყვეტად გამართულიყო მოლაპარაკება. პოლონეთი შეეცადა საკითხის სისხლისღვრის გარეშე, მშვიდობიანად გადაწყვეტას. ლიტვის მთავრობამ გააგრძელა შეტევა. როგორც კორესპონდენციიდან ჩანს, ლიტვის მთავრობა ბოლშევიკებთან შეთანხმებით მოქმედებდა, ბოლშევიკების ჯარები მო-

ბილიზებული იყო ლიტვის ტერიტორიაზე. ლიტვის მთავრობა იქცა საბჭოთა მთავრობის იარაღად, რითაც დაირღვა პოლონეთისა და ლიტვის მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობა. ლიტველებმა გადაკვეთეს საზღვარი და გადმოვიდნენ პოლონეთის ტერიტორიაზე („საქართველო“ 1920. №96). პოლონეთის მთავრობა მოითხოვდა ლიტველთა ჯარის გაყვანას იმ ოლქებიდან, რომლებიც უმაღლესი საბჭოს მიერ პოლონეთის საკუთრებად იყო აღიარებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით ემუქრებოდა („საქართველო“ 1920. №97). ამ საკითხზე 21 სექტემბერს გაიმართა ლიტვა-პოლონეთის კონფერენცია ლიტვაში, რომელიც ლიტველთა მოთხოვნის გამო, უშედეგოდ დასრულდა („საქართველო“ 1920. №104). ლიტვა მოითხოვდა პოლონელთა ჯარის სადემარკაციო ხაზამდე დახევას და ნეიტრალურ ზონაში შერეული მმართველობის შემოღებას („საქართველო“ 1920. №105). პოლონელები წარმატებით განაგრძობდნენ ბრძოლას. მათ შეუტიეს ლიტველთა ჯარებს პოლონეთის ტერიტორიაზე. ლიტვა ხალხთა ლიგას მიმართავს თხოვნით დაუყოვნებლივ ჩაერიოს კონფლიქტში („საქართველო“ 1920. №107).

როგორც აღვნიშნე, ჩემი მიზანია საზოგადოებრივ აღქმებზე დაკვირვება. საინტერესოა მშრომელი მასებისა და წითელარმიელების განწყობა ომთან დაკავშირებით. გაზეთში გამოქვეყნებული „პრავდის“ ინფორმაცია გვიდასტურებს, რომ რუსეთში ომთან დაკავშირებით ამაღლებული განწყობა არ ჩანს, ამიტომაც კორესპონდენციაში ხაზგასმულია მშრომელი მასებისათვის ამ საკითხზე ხშირი საუბრების გამართვის მნიშვნელობა („საქართველო“ 1920. №108). ამგვარად, პუბლიკაციით დასტურდება ფრონტზე და ზურგში პროპაგანდის გაძლიერების აუცილებლობა წითელარმიელებში პატრიოტული განწყობის ასამაღლებლად.

წითელარმიელების განწყობაზე, ხაზგასმით არის საუბარი პოლონეთში გადასული ყაზახი ოფიცრის ვიქტორ სავინკოვის (იგი ბოლშევიკების არმიაში იბრძოდა და თავისი ნებით დატოვა ფრონტი) წერილშიც. სავინკოვი აღნიშნავს, რომ წითელ არმიაში არ იყო პატრიოტული განწყობა, მათ მახვილი ხელში შიმშილმა ააღებინა:

წითლებში დღეს არავითარი პატრიოტული აღფრთოვანება არ არსებობს. ნურც მოვლით, რომ ეგენი („წითლები“) რაიმე ზიზღით უყურებდნენ პოლონელებს, თუ მათ მახვილი უჭერიათ ხელში და წინ მიდიან, ეს იმიტომ, რომ „შიმშილი აიძულებს, რომ დაიხიონ, სადღა უნდა დაიხიონ, სადღა უნდა დაიმალონ, როდესაც ყოველისფერი უკვე გაუდაბნოებულია. პოლონეთისკენ მათ ვერ წამოიყვანდათ რა, რომ პურის შოვნის იმედი არ ჰქონოდათ. რომ მოახერხონ პოლონეთის გასრესა ისინი იქ არ შეჩერდებიან და ახლა ბერლინს ამოიღებენ ნიშანში, შემდეგ პარიზს და ასე ქვევით, სადაც მათი ინსტიქტი მიუთითებდა, რომ ლუკმა პურის შოვნა შესაძლებელი იქნეს...

წითელი ლაშქრის უმრავლესობა თუ იბრძვის, იბრძვის უმიზნოდ. არავინ უწყის, რა არის მათი მოძრაობის მთავარი ძარღვი, რისთვის ამდგარან ერთადერთი საშუალება რომ რუსეთში ადამიანი შიმშილით არ მოკვდეს, ესაა წითელ არმიაში ჩაწერა.. („საქართველო“ 1920. №108).

იქვე გამოქვეყნებული მოსკოვის ცნობების მიხედვით, სავინკოვი პოლონეთში რუსების პოლიტიკურ კომიტეტს ქმნის, რომლის მიზანიც იგივეა, რაც თეთრი პოლონეთის, – რუსეთის ბოლშევიკებისგან განთავისუფლება („საქართველო“ 1920. №108).

ასეა თუ ისეა სავინკოვის წერილი ნათლად გვისურათებს დემორალიზებულ რუსული არმიის მდგომარეობას.

გაზეთში კვლავ პოლონეთის ჯარების წარმატებაზეა საუბარი. აიღეს გროდნო და რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ვილნო („საქართველო“ 1920. №109).

უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი, პოლონელთა მოკავშირე პეტლიურა მილოცვის დეპეშას უგზავნის პილსუდსკის: „მთელი უკრაინის ლაშქარი მიესალმება პოლონეთის ლაშქრის ზეიმს და უხარიან გამარჯვება საერთო მტერზე. უკრაინელ ლაშქარს უნდა პოლონეთის ლაშქართან ერთად იბრძოდოს, რათა ქვეყნიერება იხსნას ძალმომრეობიდან“ („საქართველო“ 1920. №109). პეტლიურა სათავეში ედგა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ეს მილოცვა საინტერესოა იმ მხრივ, რომ უკრაინის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ამ ფაქტს აღიქვამს როგორც საერთო მტრის წინააღმდეგ გამარჯვებად და ქვეყნიერების ძალმომრეობისაგან ხსნად.

პოლონელების წარმატებებმა როგორც ბოლშევიკები, ასევე, ანტიბოლშევიკი რუსები საგონებელში ჩააგდო. ვინაიდან მათ „არ შეეძლოთ შერიგებოდნენ პოლონელთა პრეტენზიებს რუსეთის მიწა-წყალზე, რაც უნდა „დემოკრატიული“ არ ყოფილიყო ეს პრეტენზია“, მიუთითებს პარიზში გამომავალ გაზეთ „ობზე დელო“-ში გამოქვეყნებულ წერილში ემიგრირებული რუსი პოლიტიკოსი პ.მილიუკოვი. იქვე, ხაზგასმით მიუთითებს პოლონელთა პატრიოტულ სულისკვეთებას. როდესაც პოლონეთს ვარშავის ალაყაფის კარებთან მომდგარ რუსების წინააღმდეგ დახმარებაზე უარი უთხრა ინგლისმა და პოლონეთს ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების საფრთხე დაემუქრა „მოხდა „სასწაული“ პოლონელებში იფეთქა პატრიოტულმა ცეცხლმა“. აი

ამ „ცეცხლმა“ დააფრთხო რუსეთი ეთნოგრაფიულ საზღვრებს არ გასცდენოდა პოლონელთა შეტევა. მილიუკოვი სვამს კითხვას „რა არის რომ ზოგიერთ რეალურ ტერიტორიის შემოერთების ნაცვლად, რომელიც 1919 წელს საზავო კონფერენციამ გამოიწვნა, პოლონეთის დელეგატები მინსკში ბუნდოვან მოთხოვნილებებს აყენებენ პოლონელ უმცირესობით დასახლებულ ტერიტორიის შემოერთების შესახებ“ („საქართველო“ 1920. №109).

სასწაული, რომელიც ვისლაზე დაატრიალეს პოლონელებმა, არის პატრიოტული ცეცხლი, იდენტობის თავისთავადობის გადარჩენა-შენარჩუნებისათვის ბრძოლა.

მედიამ გამოამჟღავნა პოლონეთთან მიმართებაში საბჭოთა ხელისუფლების მიზნები. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს ფრანგული გაზეთების მიერ მოპოვებულ გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციას. ასეთნაირად გამოიყურება ლენინის ბრძანებით, პოლონეთის დამორჩილების გეგმა: სამოქალაქო ომის გაჩაღება პოლონეთში, პოლონელთა მასობრივი ამოჟლეტა, პურის კონფისკაცია და სურსათის საბჭოთა რუსეთისთვის შეგროვება, შიდა რუსეთიდან უღარიბესი მოსახლეობის აქ გადმოსახლება, მათთვის პოლონელებთან შედარებით უპირატესი მდგომარეობის შექმნა, პოლონელთა სოფლებში რუსი ჯარისკაცების ჩასახლება მშვიდობის დასამყარებლად. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ ბედი გაუღიმებდათ, მაგრამ

წითელ ატილას ვარშავასთან პოლონელთა ყუმბარამ ადრევე კისერი წასწყვიტა, ვიდრე ვარშავის ნანგრევებზე იმ საშინელებას გაამეფებდა, რაც შემდეგ ლენინის აგენტებმა აზერბაიჯანში მინიატურულ სახით განახორციელეს („საქართველო“ 1920. №111).

წითელი იმპერიალიზმის მიზნები გაზეთისავე შეფასებით, ნიშნავდა „ხელშეკრულების დაცვას“, „წითელ იმპერიალიზმის სადღესასწაულოდ“ („საქართველო“ 1920. №111).

ნათელია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას პოლონელთა ეროვნული თავისთავადობის წაშლა ჰქონდა განზრახული. თავისი მიზნების განსახორციელებლად ეროვნულ უმცირესობებს იყენებდა და დაფინანსებასაც არ იშურებდა.

პოლონეთის ხელისუფლებამ გამოარკვია, რომ ამ მიზნით ფინანსდებოდა პოლონეთში ებრაელების ორგანიზაცია „ბუნდა“ მოსკოვიდან. მთავრობამ დააპატიმრა ორგანიზაციის წევრები და გამოავლინა ფარული სტამბა, სადაც მთავრობის საწინააღმდეგო პუბლიკაციები იბეჭდებოდა („საქართველო“ 1920. №122).

14 ოქტომბერს პოლონეთმა და რუსეთმა დროებით ზავს მოაწერეს ხელი, რომელიც ძალაში 18 ოქტომბერს უნდა შესულიყო. ზავის პირობების ძალაში შესვლამდე პოლონეთმა დაიკავა მინსკი („საქართველო“ 1920. №125). ჟურნალი „მხედარი“ ზავის გაფორმებას წითელ არმიელებში გავრცელებული შიშის ფაქტორით ხსნის:

წითელ არმიელებს ემინოდათ რომ პოლონელები გაიმარჯვებენ და მიწასთან გაგვასწორებენო. შიში იმდენად ძლიერი იყო, რომ ტროცკისთან წითელ არმიელებიდან დელეგაცია მისულიყო და ეთქვათ, რომ თუ მთავრობა არ შეკრავს ზავს პოლონეთთან, მაშინ თვით ჯარის-კაცები დასდებენ ზავსო. ამის გამო ტროცკის ბრძანებით დახვრიტეს რამდენიმე ჯარის-კაცი. ამან გამოიწვია ის, რომ ჯარებმა დახვრიტეს რამდენიმე კომისარი და ამ რიგად წითელ არმიაში არეულობა მოხდა („მხედარი“ 1920. №23: 9).

პოლონეთ-რუსეთის ომი 1921 წლის 18 მარტს დასრულდა პოლონეთის გამარჯვებით და გაფორმდა რიგის სამშვიდობო

ხელშეკრულება. ხელშეკრულებით რუსეთმა დათმო დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორია:

ორივე მხარე ვალდებულია ეროვნებათა უმცირესობას მიანიჭოს ფართო უფლებები, ორივე მხარე ლაპარაკობს სამხედრო ხარჯების და ზარალის ანაზღაურებაზე, ურთიერთი ამნისტიაზე. რუსეთი და უკრაინა ვალდებულია გადაუხადოს პოლონეთს ოცდა ათი მილიონი ოქროთი ერთი წლის განმავლობაში. რადგანაც პოლონეთი მონაწილე იყო ყოფილ რუსეთის იმპერიის სამეურნეო ცხოვრებისა, რუსეთმა და უკრაინამ უნდა დაუბრუნონ პოლონეთს ევაკუაციის დროს წამოღებული რკინის გზის ქონება 20 მილიონი მანეთი („კომუნისტი“ 1921. №16).

ტერიტორიის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არამარტო უკრაინის და ბელორუსიის უკმაყოფილებას იწვევდა, არამედ საბჭოთა ხელისუფლებისაც. უკრაინის საგარეო საქმეთა კომისარმა რაკოვსკიმ საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობებს გაუგზავნა ნოტა, რომლითაც განაცხადა პროტესტი პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრების ელჩთა საბჭოსთვის გადაცემის და პოლონეთის მიერ $\frac{3}{4}$ უკრაინელებით დასახლებული აღმოსავლეთ გალიციის დაკავების გამო. უკრაინის მთავრობა არ ცნობდა აღმოსავლეთ გალიციის საკითხის გადაწყვეტილებას („კომუნისტი“ 1923. №59). ასევე პროტესტს გამოთქვამს ლიტვის მთავრობაც ელჩთა კონფერენციის მიერ ვილნოს პოლონეთისთვის გადაცემის გამო („კომუნისტი“ 1923. №62).

პოლონეთმა ერთა ლიგას მიმართა თხოვნით პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრების ცნობის თაობაზე. საკითხის ერთა ლიგისათვის გადაცემის საწინააღმდეგო ნოტა გაუგზავნია საბჭოთა მთავრობას („კომუნისტი“ 1923. №61). აღმოსავლეთ გალიციის შესახებ ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილების გამო უკრაინის

ნაციონალისტთა ნაწილი საგარეო საქმეთა სტატუს-სეკრეტარ კოსტლევიცკის მეთაურობით პოლონეთთან შერიგების გზას დაადგა აღმოსავლეთ გალიციის ავტონომიის მინიჭების პირობით. ამავე დროს ლვოვში გრანდიოზული დემონსტრაცია გაიმართა, რომელიც პოლიციამ დაარბია და დააპატიმრა აქტივისტები („კომუნისტი“ 1923. №64).

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი ამით არ დასრულებულა. აღნიშნულ თემაზე ქვემოთ გავაგრძელებ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით საუბარს.

სამთავრობო კრიზისი

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მედიაში პოლონეთში მომხდარი სამთავრობო ცვლილებების განხილვას. საბჭოური პრესის ინტერესს იწვევდა ვინ ჩაუდგებოდა პოლონეთს სათავეში – დემოკრატიის თუ კომუნისტური იდეოლოგიის მომხრეები. ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირისთვის, ვინაიდან პოლონეთი მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უქმნიდა მისი იმპერიული მიზნების განხორციელებას. ამით იყო განპირობებული გაზეთის ფურცლებზე გაშლილი ანტიპოლონური პროპაგანდა.

20-იან წლებში პოლონეთში არაერთხელ ჰქონდა ხელისუფლების ცვლილებას ადგილი. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზე საუბრობს „კომუნისტის“ მოწინავე სტატია, რომელიც იტყობინება სიკორსკის მთავრობის გადადგომის და ვიტოსის მეთაურობით ახალი მთავრობის შედგენის შესახებ. პუბლიკაცია ამ ფაქტს განიხილავს, როგორც ფაშისტური დიქტატურის დამყარება. გაზეთს აღელვებს ის გარემოება, რომ ახალი მთავრობის მეთაური ვიტოსი პოლონეთს „კომუნიზმისაგან ევროპის დამფა-

რველ კედელად“ ასახელებს, თან რიგის ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების განცხადებასაც აკეთებს („კომუნისტი“ 1923. №129).

როგორც ჩანს, პოლონეთის შემაკავებელი ფუნქცია აღიზიანებს კომუნისტურ პრესას. ამიტომაც უწოდებს ფაშისტურ დიქტატურას გაზეთი ახალი მთავრობის შემადგენლობას. ამავე დროს, პრესა საუბრობს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაშლილ საქმიანობაზე – პოლონეთის ეროვნული მიმართულების საწინააღმდეგოდ კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების თაობაზე, რაც, რა თქმა უნდა, ყურადღების მიღმა არ რჩებოდა პოლონეთის ხელისუფლებას. ამ ფაქტის გამოძახილია რევოლუციონერი ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩის მკვლელობა პოლონეთის პოლიციელების მიერ. გაზეთის მითითებით, ვეჩორკევიჩისა და ბაგინსკის ცხედრები სასწრაფოდ დაუსაფლავებიათ წამების კვალის დაფარვის მიზნით („კომუნისტი“ 1925. №76).

რევოლუციონერების მკვლელობის ფაქტი ფართო განხილვის საგანი გახდა. საკითხს უფრო ამწვავებდა ის გარემოება, რომ მკვლელი მურაშკო სტოლბცის საიდუმლო პოლიციის საგამომიებო ნაწილის უფროსი აღმოჩნდა. პოლონეთის მთავრობამ (მთავრობის მეთაური გრაბსკი) საგანგებო სხდომა მიუძღვნა მკვლელობის განხილვას, სადაც სხვადასხვა კომიტეტებთან და პარტიებთან ერთად მიიღო დამნაშავეების სასტიკად დასჯის გადაწყვეტილება.

მოვლენამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საბჭოთა კავშირში. მოსკოვში გაიმართა მუშების საპროტესტო გამოსვლები. მოსკოვის პროფესიონალური განათლების სკოლების კრებაზე კომინტერნის წარმომადგენელმა კობინსკიმ ვეჩორკევიჩისა და ბაგინსკის მკვლელობა თეთრ ტერორად დაახასიათა. საპროტეს-

ტო მიტინგები გაიმართა ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნებშიც. „კომუნისტი“ გადმოცემით გაზეთ „პრავდას“ მკვლელობა სიმხეცისა და გაიძვერობის რეკორდად მოუწათლავეს („კომუნისტი“ 1925. №74). პროტესტს შეუერთდნენ საქართველოს მშრომელებიც („კომუნისტი“ 1925. №79).

ბოლშევიკურმა პრესამ მკვლელობის საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოყენებაც სცადა. მართალია, „კომუნისტი“ აქვეყნებს ვარშავის გაზეთ „ექსპრეს პორანის“ ცნობას იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კორესპონდენტებს ხელისუფლებისგან მიუღიათ მკვლელობის ანტიპოლონური კამპანიის გასაჩაღებლად გამოყენების ინსტრუქცია, თუმცა, იქვე ცილისწამებას უწოდებს ამ ფაქტს („კომუნისტი“ 1925. №79).

ცხადია, რევოლუციონერების საქმიანობა პოლონეთში იქ არსებული მდგომარეობის შეცვლას უკავშირდებოდა. ანტიპოლონური საქმიანობის ამსახველი არაერთი პუბლიკაცია გვაქვს აღნიშნული ნაშრომში. არცაა გასაკვირი, პოლონეთი თუ არ დაუშვებდა იდენტობის ხელყოფისადმი მიმართულ საქმიანობას საკუთარ მიწა-წყალზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, XX საუკუნის 20-იან წლებში ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა ევროპა, მათ შორის, პოლონეთიც. დღითიდღე იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი. იხურებოდა ფაბრიკა-ქარხნები, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მრეწველობა. გაძვირდა საქონელი, შემცირდა ექსპორტი, რამაც გამოიწვია სავაჭრო-სამრეწველო კრიზისი. მწვავედ იდგა გლეხთა საკითხი. გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერ უშველა მთავრობის მიერ გატარებულმა აგრარულმა რეფორმამ, რომელიც, გაზეთის შეფასებით, მოჩვენებით ხასიათს ატარებდა. არსებულ ეკონომიკურ კრიზისს, რომე-

ლიც უცხო არ იყო სხვა სახელმწიფოებისთვისაც, მთავრობის დანაშაულად აცხადებს გაზეთი. აკრიტიკებს პანების ბატონობას პოლონეთში. მათი ბატონობის შედეგად ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი შეექმნა ქვეყანას და მთელი სიმძიმე მუშათა კლასს დააწვა მხრებზე. დაიწყო მუშათა გაფიცვები ლოდში, დომბროვოში, კრაკოვში, ჩენსტოხოვში, გაფიცვები თანდათან მასობრივ ხასიათს იღებდა და რკინიგზის ხაზი მოიცვა. მუშები მოითხოვდნენ პანების მთავრობის გადადგომას. სტატიის ავტორის აზრით, ეს გაფიცვები მანიშნებელია იმისა, თუ როგორ შეანელებს პანების ბატონობას და საგარეო ავანტიურისაკენ სწრაფვას. მუშათა გამოსვლები, მიუხედავად იმისა, გაიმარჯვებს თუ არა, ცვლის საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედ ძალთა განწყობილებას პროლეტარიატის სასარგებლოდ. პოლონეთის მშრომელი მასები საერთაშორისო პროლეტარიატის საიმედო მოკავშირეები ხდებიან: „საერთაშორისო ბურჟუაზია იძულებული გახდება ანგარიში გაუწიოს მის ხმას“ („კომუნისტი“ 1923. №252).

პრესაში სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, წინ არის წამოწეული ნაციონალური უმცირესობების საკითხიც. აღნიშნულია, რომ უკრაინლები, ბელორუსები, ებრაელები სასტიკ დევნას განიცდიან. თუმცა, აქვე აღნიშნავს პოლონელ ნაციონალ-დემოკრატების (მთავრობის პარტია) და ებრაელთა ბურჟუაზიის შეთანხმების შესახებ, რომელმაც (დროებით მაინც) ხელი შეუშალა საბჭოთა მთავრობას ეროვნული უმცირესობათა დევნის ფაქტი გამოეყენებინა თავისი მიზნებისთვის. საუბარია კომუნისტების დევნა-დაპატიმრებაზე, ასევე, გამწვავებულ საგარეო მდგომარეობაზეც. რაც შეეხება საგარეო ფაქტორს, მითითებულია, რომ გერმანია არასდროს შეურიგდება პოლონეთის მიერ მისი მიწა-წყლის მიტაცებას („კომუნისტი“ 1925. №166). გაზეთი

არაერთ პუბლიკაციას უძღვნის იმაზე საუბარს, თუ როგორ სუსტდება სოციალ-დემოკრატიული პარტია, როგორ იზრდება ხალხში რევოლუციური განწყობა და კომუნისტური პარტიის ძლიერება. გასაკვირი არც არის გაზეთის ამგვარი ანალიზი, „კომუნისტი“ ხომ კომუნისტური იდეოლოგიის ქადაგებას ემსახურებოდა.

პოლონეთში სამრეწველო-სამეურნეო და ფინანსური კრიზისი დღითი-დღე მწვავედებოდა. გაზეთის აღნიშვნით, პოლონეთის არასახარბიელო სამრეწველო მდგომარეობა განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ დამოუკიდებელი პოლონეთის რესპუბლიკის შექმნით დააკლდა საბჭოთა კავშირის ბაზარი, აგრეთვე ნაწილობრივ გერმანიის ბაზარიც. ასეთ პირობებში ფაბრიკა-ქარხნები იძულებული გახდნენ შეეჩერებინათ წარმოება და დაეთხოვათ მუშები. ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ ამერიკელი ექსპერტების რჩევით ბიუჯეტის 600-700 მილიონი ზლოტით ცნობის ნაცვლად, 1925 წლის ბიუჯეტმა 2 მილიარდს გადააჭარბა, ხოლო 1926 წლის ბიუჯეტი ფინანსთა მინისტრ ზდზეხოვსკის პროექტით 1. 650. 000 ზლოტს აღწევდა. სკაშინსკის მთავრობას გადახარჯვის გადასაფარად განუზრახავს გადასახადების გაზრდა. აღნიშნულმა მდგომარეობამ მშრომელთა მასებში გააძლიერა რევოლუციური განწყობა („კომუნისტი“ 1926. №95). რაც რევოლუციურ გამოსვლებში გადაიზარდა.

ამბოხებულთა მხარეზე გადავიდა ვარშავის გარნიზონის ნაწილი. ვიტოსის ჯარები თანდათან უკან დაიხვევნ. 14 მაისს ამბოხებულებმა დაიკავეს პრეზიდენტის სასახლე, დააპატიმრეს პრეზიდენტი სტანისლავ ვოიცეხოვსკი⁹ და მინისტრები, მაგრამ მალევე გაანთავისუფლეს („კომუნისტი“ 1926. №108). ვიტოსის

⁹ სტანისლავ ვოიცეხოვსკი პოლონეთის პრეზიდენტად არჩეულ იქნა 1922 წელს („კომუნისტი“ 1926. №114).

მთავრობამ გენერალ გალერას და სიკორსკის მეთაურობით სცა-
და წინააღმდეგობის გაწევა პოზნანში, ვიტოსმა პრესის საშუალებითაც დაადანაშაულა პილსუდსკი ბოლშევიკებთან კავშირში, მაგრამ ამოდ („კომუნისტი“ 1926. №109).

სოციალურ ნიადაგზე შექმნილი კრიზისი პოლონეთში სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა („კომუნისტი“ 1926. №107). გაზეთი ამ ფაქტს ფაშისტურ გადატრიალებას უწოდებს და მიუთითებს, რომ იოზეფ პილსუდსკის¹⁰, რომელიც სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო გადატრიალებას, მხარს უჭერდა ინგლისის დიპლომატია. ბრიტანეთის ელჩი მაკ მიულერი გადატრიალების მომზადებაში ღებულობდა მონაწილეობას, რათა პოლონეთის ხელისუფლება ინგლისის იმპერიალიზმის მომხრე პილსუდსკისტვის ჩაებარებინა. ცდილობდა საფრანგეთის ყოფილი ვასალის ინგლისის ვასალად გადაქცევას („კომუნისტი“ 1926. №108).

აი, ასეთია საბჭოთა ნარატივი პოლონეთში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

უცხოეთის პრესას უყურადღებოდ არ რჩება ის ფაქტი, რომ პოლონეთში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ საბჭოთა კავშირი ჯარების კონცენტრაციას ახდენს საზღვართან. თუმცა, ამ ფაქტსაც უარყოფს საკავშირო დეპეშათა სააგენტო („კომუნისტი“ 1926. №110).

პილსუდსკიმ დააკომპლექტა დროებითი მთავრობა (პრემიერ-მინისტრი – ბარტელი, საგარეო საქმეთა მინისტრი – ზალესკი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვილნოს ვოევოდა – მლოდუხიანო-

¹⁰ იოზეფ პილსუდსკი – პოლონეთის რესპუბლიკის მეთაური 1918-1922 წლებში, პრემიერ-მინისტრი – 1926-1928, 1930 წლებში, სამხედრო მინისტრი – 1926-1935 წლებში.

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/65702>

ვსკი, სამხედრო მინისტრი პილსუდსკი), რომელიც იმოქმედებდა ახალი პრეზიდენტის არჩევამდე. ასევე, შეხვდა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ დაიცავდა მათ უფლებებს. სეიმის თავმჯდომარის რატაის დეკრეტით გამოცხადდა სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა. ვარშავის კომისარმა სახნოვსკიმ აკრძალა ყოველგვარი კრებები და დემონსტრაციები. შემოღებულ იქნა ბეჭდურ მედიაზე ცენზურა („კომუნისტი“ 1926. №110).

31 მაისს ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები და ეროვნულმა ყრილობამ პილსუდსკი აირჩია პრეზიდენტად („კომუნისტი“ 1926. №122). მაგრამ პილსუდსკიმ უარი განაცხადა პრეზიდენტობაზე. პილსუდსკის რეკომენდაციით, პრეზიდენტად ლვოვის პოლიტიკური პროფესორ ეგნატე მოსციცკის არჩევას დაუჭირა მხარი ყრილობამ („კომუნისტი“ 1926. №123).

პილსუდსკის გადაწყვეტილებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც პოლონეთში სეიმსა თუ ფართო მასებში, ასევე, საერთაშორისო თვალსაზრისით, მათ შორის, ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკურ წრეებში. პოლონეთში კი პოლიტიკურმა წრეებმა პილსუდსკის გადაწყვეტილება შეაფასეს, როგორც მემარჯვენეთან დაახლოების მცდელობა. პოლონური გაზეთი „რეჩ-პოსპოლიტა“ ყურადღებას აქცევს პილსუდსკის წერილის იმ ადგილს, სადაც პრეზიდენტის როლზეა საუბარი. პეპესოველების ორგანო „რაბოტნიკი“ კი აღნიშნავს, რომ „დემოკრატიისათვის პილსუდსკის არჩევა არ იყო მართო დემონსტრაცია“. მოსციცკის არჩევა პოლიტიკურმა წრეებმა გამოაცხადეს როგორც პილსუდსკის პოლიტიკური სვლა კონსტიტუციური რეფორმის ჩასატარებლად და პრეზიდენტისთვის განსაკუთრებული რწმუნებულების მისანიჭებლად. სამისოდ, მათი აზრით, გამოიყენებდა მოსციცკის,

შემდეგ კი ისევ თავის კანდიდატურას წამოაყენებდა („კომუნისტი“ 1926. №124). პრეზიდენტმა მოსციცკიმ თავის გამოსვლაში უმთავრეს მიზნად ერის მთლიანობის აღდგენა დაასახელა.

პოლიტიკურმა ცენტრმა პოლონეთში სამეფო კომპში გადაინაცვლა, სადაც ცხოვრობდნენ მოსციცკი და პილსუდსკი („კომუნისტი“ 1926. №128). პუბლიკაციებში ხდება იმის ხაზგასმა, რომ ახალი მთავრობა (პრემიერი – ბარტელი, სამხედრო მინისტრი – პილსუდსკი, შინაგან საქმეთა მინისტრი – მლოდზიანოვსკი, ფინანსთა მინისტრი – კლარნერი, საგარეო საქმეთა მინისტრი – ზალესკი) ჩამოყალიბებულ იქნა არადემოკრატიული პრინციპით – პოლიტიკურ პარტიებთან და სეიმის ჯგუფებთან მოლაპარაკების გარეშე, პრეზიდენტთან შეთანხმებით მძიმე სოციალური მდგომარეობის (მუშების გამოსვლებისა და მუშებსა და პოლიციელებს შორის შეტაკების, კონსტიტუციის პროექტის განხილავის, კომუნისტური ლიტერატურის აკრძალვის, კომუნისტური ლიტერატურის ბეჭდვის მიზეზით სტამბის დახურვის) ფონზე („კომუნისტი“ 1926. №131 №132; №133). ამავე დროს, პრესის ფურცლებზე ქვეყნდება პილსუდსკის საწინააღმდეგო განცხადებები მუშების ამხედრების მიზნით, აქცენტი კეთდება მძიმე მდგომარეობაზე, უმუშევრობაზე. ოპოზიციონური ელემენტების (გლახთა პარტიის) დევნაზე მთავრობის მიერ („კომუნისტი“ 1926. №134). ე.ი. აქტიურად მუშაობდა ანტიპილსუდსკური პროპაგანდა.

ანტიპილსუდსკური კამპანიის ნაწილი იყო პოლონეთის დასავლეთ პროვინციებში ანტიპოლონური გამოსვლები, სადაც შემოღებულ იქნა სამხედრო მდგომარეობა. დააპატიმრეს 100-მდე სტუდენტი, ცენზურა დაწესდა პრესაზე. პოზნანში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების მიზეზად დასახელებულია გერმა-

ნელი რევოლუციონერების შოვინისტური აგიტაცია. მემარჯვენე-ებმა სეიმის დაშლა მოითხოვეს კონსტიტუციის და საარჩევნო კანონის შეცვლისა და ფინანსური გაჯანსაღების ზომების მიღების შემდეგ („კომუნისტი“ 1926. №128).

პილსუდსკის მოღვაწეობის განხილვას საგანგებო წერილს „პოლონეთის უკანასკნელი ამბები“ უძღვნის „კომუნისტი“. გაზეთი გვერდს ვერ უვლის პილსუდსკის პოპულარობის ფაქტს. გავრცელებული აზრით, პილსუდსკი ხელმძღვანელობდა რევოლუციურ მოძრაობას, იცავდა გლეხობას მემამულეების წინააღმდეგ, მუშებს – კაპიტალისტების წინააღმდეგ, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს პოლონეთის შოვინიზმის და ფაშიზმის წინააღმდეგ. გაზეთი ცდილობს საპირისპიროს დამტკიცებას და მიუთითებს კომუნისტური პარტიის სისუსტეზე პოლონეთში („კომუნისტი“ 1926. №130). პილსუდსკისადმი მიძღვნილი კრიტიკული წერილები ქვეყნდება 138-ე ნომერშიც სათაურით: მარშალ პილსუდსკის კონსტიტუცია, ახალი კონსტიტუცია დიქტატორულ უფლებებს ანიჭებდა პრეზიდენტს, პილსუდსკი რჩებოდა სამხედრო საქმის თავმჯდომარედ და მთავარსარდლად, ეროვნულ უმცირესობათა საკითხი გამწვავებულია. ასევე, ქვეყნდება კონსტიტუციის შეცვლის პროექტი. გაზეთის ინფორმაციით, ცვლილებები ეხებოდა ბიუჯეტის საკითხს – იმ შემთხვევაში თუ სეიმი თავის დროზე არ მიიღებდა ბიუჯეტს, მაშინ მთავრობის მიერ წარდგენილ ბიუჯეტს კანონის ძალა ეძლეოდა და პრეზიდენტის დეკრეტით გამოქვეყნდებოდა; კონსტიტუციას ემატებოდა ახალი მუხლი, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს შეეძლო სეიმი და სენატი დათხოვნა მინისტრთა კაბინეტის წინადადებით. მეორე მუხლი პრეზიდენტს აძლევდა უფლებას აეკრძალა სეიმის მიერ მიღებული ყოველგვარი კანონი. უკანასკნელი მუხლით სეიმის

რწმუნებულობის ვადის გასვლის შემდეგ პრეზიდენტს და მთავრობას დიქტატორული უფლებები ენიჭებოდათ. ამასთან, კორესპონდენცია გვაწვდის ინფორმაციას კომუნისტების გააქტიურებაზე და პარტიულ შეკრებაზე უსაუბრიათ მათი დაფინანსების შესახებაც. „თუ მოსკოველი კომუნისტები 400 000 გირ. სტერლინგს უგზავნიან ინგლისელ გაფიცულებს, არ იფიქროთ, რომ ისინი ივიწყებენ პოლონეთს, რომელშიაც მათი აზრით გადატრიალება მოსალოდნელია“ – განუცხადებია შეკრებაზე ვარშავაში ქრისტიანულ-ნაციონალური პარტიის ერთ-ერთ მეთაურს სტრანსეის („კომუნისტი“ 1926. №131, №138). აღნიშნული ინფორმაციით საყურადღებოა ორი საკითხი: პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდა და თავდაცვის გაძლიერების აუცილებლობა.

ისევ საგაზეთო პუბლიკაციების თემატიკით მივიქვეყნო ყურადღებას: ბიუჯეტის საკითხი, სოციალური ფონი, კონსტიტუციური ცვლილებები. ამ საკითხებს მწვავე ფორმით წარმოაჩენს გაზეთი. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი საკითხია პოლონეთის ბიუჯეტის განხილვა. გაზეთში აღნიშნულია, რომ უახლოესი სამი თვის ბიუჯეტი პროექტით 1.600.800.000 ზლოტის ოდენობით განისაზღვრა. თუმცა, იქვეა მითითებული, რომ გადიდებული ხარჯების დაფარვა განზრახულია გადასახადების გაზრდით („კომუნისტი“ 1926. №139). მთავრობამ პირველი მოსმენით მიიღო წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი („კომუნისტი“ 1926. №146). ბიუჯეტის პროექტის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სამხედრო დაფინანსების გაზრდის მოთხოვნა.

გაზეთი კვლავაც საუბრობს გაფიცვების თემაზე, რომლის დროსაც სისხლისმღვრელი შეტაკებები მომხდარა მუშებსა და პოლიციას შორის. აღნიშნავს პილსუდსკის მიერ განხორციელებულ

ბულ წმენდას ჯარში (350 ოფიცერი და 250 მოხელე გაანთავისუფლა) („კომუნისტი“ 1926. №140; №72).

რაც შეეხება კონსტიტუციურ ცვლილებებს, როგორც აღვნიშნე, გაზეთის ფურცლებზე აქტიური განხილვის საგანია. პუბლიკაციაში სათაურით „პოლონეთი დიქტატურის გამოცხადების მოლოდინშია“ („კომუნისტი“ 1926. №142), ავტორი მსჯელობს სეიმის სხდომაზე ბიუჯეტის წონასწორობის გადასახადების 10%-ით გაზრდის ხარჯზე მიღწევის („კომუნისტი“ 1926. №164) და კონსტიტუციის პროექტის მიღების თაობაზე. კონსტიტუციური ცვლილებებით პრეზიდენტს ენიჭებოდა სეიმის დათხოვნის დროს ახალი სეიმის მოწვევამდე დეკრეტების გამოცემის („კომუნისტი“ 1926. №165, №166) და მინისტრთა საბჭოს წინადადებით ან ერთი რომელიმე პალატის გადაწყვეტილებით პალატის დათხოვნის უფლება („კომუნისტი“ 1926. №167, №168).

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევა პილსუდსკის მთავრობამ სცადა უცხოეთიდან სესხის აღებით. საამისოდ საგანგებოდ მოიწვიეს ამერიკელი ფინანსური ექსპერტი კემერერი, რომელსაც უნდა მოეხდინა პოლონეთის ეკონომიკურ-ფინანსური გაჯანსაღება („კომუნისტი“ 1926. №190). ფინანსებზე და ეკონომიკაზე დამყარდა კემერერისეული კონტროლი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, რადგან კემერერმა უარი თქვა პოლონეთისთვის სესხის მიცემაზე. „კომუნისტს“ პოლონეთის ეკონომიკის გაუმჯობესების გზად მეზობლებთან კარგი ურთიერთობის დამყარება წარმოუდგენია.

ეკონომიკური კრიზისის ფონზე სეიმის საბიუჯეტო კომისიამ გადაწყვიტა შეემცირებინათ მეოთხე კვარტლის ბიუჯეტი. მთავრობას მესამე კვარტალში ბიუჯეტით დამტკიცებულზე 12 მლნ-ით მეტი დაუხარჯავს არმიაზე და მეოთხე კვარტალში

სამხედრო ხარჯების გადიდებას 19 მლნ ზლოტით მოითხოვდა. 22 სექტემბერს მესამე მოსმენით პირვანდელ გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი სეიმმა, გარდა ამისა შეამცირა სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი 3 მლნ ზლოტით. საბიუჯეტო საკითხთან დაკავშირებით კონფლიქტი გამწვავდა პოლონეთის მთავრობასა და სეიმს შორის. პოლონეთის სახელმწიფოს მეთაურმა იოზეფ პილსუდსკიმ მთავრობას მისცა ინსტრუქცია, რომ არ წავიდეს არავითარ დათმობაზე. სეიმმა მიიღო მთავრობის საბიუჯეტო პროექტი, მაგრამ ნდობის ვოტუმი გამოუცხადა შინაგან საქმეთა (მლოძიანოვსკის) და განათლების (სუიკოვსკის) მინისტრებს. პრემიერმა ბარტელმა გამართა მინისტრთა საგანგებო სხდომა, რის შემდეგაც გაემგზავრა პრეზიდენტთან და გადასცა გადადგომის შესახებ თხოვნა. პრეზიდენტმა 25 სექტემბერს მიიღო მთავრობის გადადგომა. პილსუდსკის ორგანო „გლოს პრავდი“ აცხადებს, რომ სახელმწიფოს არავითარი საშიშროება არ ემუქრება. ამ ფაქტიდან „კომუნისტი“ ასკვნის, რომ პილსუდსკის მთავრობა გაძლიერებულ სამხედრო სამზადისს აწარმოებს. ევროპაში საფრანგეთის მერე ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავს პოლონეთს. მიუხედავად იმისა, მილიტარიზაცია მძიმე ტვირთად აწევს მშრომელ ხალხს, ახალი ხარჯების გაღებას მოითხოვს სამხედრო ძალებისთვის („კომუნისტი“ 1926. №219). სახელმწიფოს ძლიერება ხომ სამხედრო ძალაზე დგას. სწორედ, სამხედრო ძალის გაძლიერებისთვის მოითხოვს ბიუჯეტის გაზრდას. აი, რა ამფოთებს გაზეთს.

მომდევნო ნომერში გაზეთი იტყობინება, რომ პოლონეთის პრეზიდენტმა დაამტკიცა ახალი მთავრობა ძველი შემადგენლობით („კომუნისტი“ 1926. №220). 30 სექტემბრის სეიმის სხდომაზე განიხილეს სენატის შესწორება საბიუჯეტო საკითხში,

რომელიც მეოთხე კვარტლის ბიუჯეტს 140 მლნ ზლოტით ამცირებდა. სეიმმა შესწორება მიიღო ხმების უმრავლესობით, რაც ნიშნავდა მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას. იმავე საღამოს სეიმმა მიიღო მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების რეზოლუცია. მთავრობა ისევ გადადგა. ახალი მთავრობის შედგენა პრეზიდენტმა პილსუდსკის მიანდო („კომუნისტი“ 1926. №225). გაზეთის შეფასებით პრეზიდენტი არ მოაწერს ხელს სეიმის დაშლას, რომელიც დემოკრატიის თვალის ასახვევად იყო საჭირო. პილსუდსკი არ დასთანხმდება, რადგან დაშინებულია საშინაო ეკონომიკური დასუსტებით და საგარეო ფაქტორით – საფრანგეთ-გერმანიის დაახლოებით და საბჭოთა კავშირ-ლიტვის აგრესიული გამოსვლით („კომუნისტი“ 1926. №225).

ამჯერად, პილსუდსკიმ შეადგინა მთავრობის ახალი კაბინეტი, რომელსაც თვითონ უხელმძღვანელებდა და აგრეთვე, იქნებოდა სამხედრო მინისტრი. თუ მანამდე სამხედრო მინისტრს ჰქონდა გადაწყვეტი მნიშვნელობა, მთავრობა ფაქტობრივად მისი კარნახით მოქმედებდა, ბარტელი ინსტრუქციებს მისგან იღებდა, ამჯერად ფორმალურადაც ჩაუდგა მთავრობას სათავეში. ამგვარია გაზეთის გადმოცემით პოლონეთის მიწათმფლობელების ლიდერის სტომსკის შეფასება პოლონეთის მთავრობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. გაზეთი მართებულად მიიჩნევს სტომსკის აზრს იმის შესახებ, რომ პილსუდსკის არა მარტო მთავრობის ძალაუფლება ეჭირა ხელში, არამედ სრული დიქტატორია „არა მარტო პრეზიდენტი მოსციცვი წარმოდგენს მის სათამაშო ტიკანას, არამედ სეიმის უფლებებსაც ფექქემ თელავს („კომუნისტი“ 1926. №226).

წარმოდგენილი მასალა ადასტურებს თუ როგორ ქმნის ნაბიჯ-ნაბიჯ ძლიერ სახელმწიფო ინსტიტუციას ძლიერი მეთა-

ური იოზეფ პილსუდსკი, რომელიც წარმატებით უმკლავდება ამ ბრძოლაში საშინაო და საგარეო გამოწვევებს. თავისთავადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გზაზე უპირველესად ახდენს სამხედრო მობილიზაციით ძალაუფლების გაძლიერებას. საამისოდ გადადგმული ნაბიჯები – სახელმწიფო ბიუჯეტის სამხედრო რესურსებში ინვესტირება მძიმე სოციალური ცხოვრების ფონზე ანტიპილსუდსკური განწყობის საფუძველიც კი ხდება, მაგრამ ძლიერი სამხედრო მობილიზაციით ინარჩუნებს ისტორიულად დასაზღვრულ ტერიტორიაზე თავისთავადობას, რასაც ვერ ვიტყვით პილსუდსკის გარდაცვალების შემდგომ პერიოდზე.

საბჭოთა კავშირის ელჩის მკვლელობა

გაზეთი რეზონანსულ მკვლელობაზე ავრცელებს ინფორმაციას. 7 მაისს (1927) ვარშავის მატარებლის სადგურზე რუსმა თეთრგვარდიელმა ბორის კავერდამ ტყვიით მოკლა საბჭოთა კავშირის ელჩი პოლონეთში პეტრე ვოიკოვი. ელჩი ვოიკოვი სადგურზე მისული იყო, პოლონეთის გავლით რუსეთში მიმავალი, ლონდონში საბჭოთა კავშირის ყოფილი რწმუნებულის, როზენგოლცის მისასალმებლად („კომუნისტი“ 1927. №128; №133). გამოირკვა რომ ვოიკოვის მკვლეელი არის მონარქისტი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლიტვინოვის ნოტაში საბჭოთა კავშირში პოლონეთის ელჩისადმი, აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა მკვლელობას უკავშირებს

მთელ რიგ აქტებს, რომელნიც მიზნად ისახავენ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობათა დარღვევას და ქმნიან ომის აუცილებელ საფრთხეს. თავდასხმა საბჭოთა კავშირის პეკინის საელჩოზე, შანხაის საკონსულოს გარემოცვა, პოლიციელთა თავდასხმა სავაჭრო დელეგაციაზე ლონდონში, ინგლისის

მხრივ დიპლომატიურ ურთიერთობათა პროვოკაციული შეწყვეტა – ასეთი აქტების მთელმა რიგმა ფართო გასაქანი მისცა რეაქციონური ჯგუფების პროვოკაციულ მოქმედებას... საკავშირო მთავრობა თავის ელჩის მკვლელობის ფაქტში ხედავს აგრეთვე პოლონეთის მთავრობის მხრით აუცილებელი ზომების მიუღებლობის შედეგს პოლონეთის ტერიტორიაზე იმ რუს კონტრრევოლუციონურ-ტერორისტულ ორგანიზაციების წინააღმდეგ პოლონეთის ტერიტორიაზე, რომელნიც განსაკუთრებით საშიშნი არიან მშვიდობიანობისათვის ამჟამად გამწვავებულ საერთაშორისო ატმოსფერაში („კომუნისტი“ 1927. №128).

საპასუხოდ პოლონეთის მთავრობის ნოტაში დაგმობილია საბჭოთა მთავრობის ზემოთ აღნიშნული ბრალდებები. მთავრობა ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით და თავშესაფრის უფლებას აძლევდა სხვადასხვა ეროვნების პოლიტიკურ ემიგრანტებს. მაგრამ ეწინააღმდეგებოდა პოლონეთის ტერიტორიაზე რაიმე გეგმაშეწონილ მოქმედებას უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ. ნოტით ირკვევა, რომ ელჩი თავისი სურვილით ხელისუფლების გაუფრთხილებლად და პირადი მცველების გარეშე თავისუფლად მოგზაურობდა, რამაც გააადვილა ბოროტმოქმედება. პოლონეთის მთავრობა მკვლელობას ინდივიდუალურ აქტად აცხადებს და იცილებს პასუხისმგებლობას („კომუნისტი“ 1927. №133).

საკავშირო მთავრობის მეორე ნოტით, ფაქტი სცილდება ინდივიდუალურ აქტს და უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს. აქტს საბჭოთა ხელისუფლება მიიჩნევს მშვიდობიანობის მტრების საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლის გამოხატულებად, რომელიც საფრთხეს უქმნის ორი სახელმწიფოს მშვიდობიან ურთიერთობას, რომლის განმტკიცებაზე საკავშირო მთავრობა ელჩ ვოიკოვთან ერთად მუშაობდა. პასუხისმგებლობას სა-

კავშირო მთავრობა აკისრებს ინგლისის ხელისუფლებას, რომელმაც თავისი ანტისაბჭოთა კამპანიით ხელი შეუწყო რუსეთის ემიგრანტების კონტრრევოლუციონურ ორგანიზაციებს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ. ასევე, დიდი პასუხისმგებლობას აკისრებს პოლონეთის ხელისუფლებას, არა მარტო, იმიტომ რომ მკვლელობა მოხდა მის ტერიტორიაზე, ან პოლონეთის მოქალაქემ ჩაიდინა, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ პოლონეთი თეთრგვარდიელთა თავშესაფრად იქცა და პოლონეთის მთავრობა მათ ანტისაბჭოთა მოქმედების შესამღებლობას აძლევდა, ეხმარებოდა კიდევ ფინანსურად. ის ფაქტი, რომ ვოიკოვმა უარი განაცხადა მკვლელებზე, რომ არ შეატყობინა როზენგოლცთან მისასალმებლად შეხვედრის შესახებ, არ ანთავისუფლებს პოლონეთს პასუხისმგებლობისგან, მითუმეტეს პოლონეთის ხელისუფლები-სთვის ცნობილი იყო საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი ორგანიზაციების განზრახვის შესახებ საბჭოთა წარმომადგენლის მიმართ. საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა ბოროტმოქმედების უსწრაფესად გამოძიებას და დამნაშავეს დასჯას, გამოძიებაში მონაწილეობის უფლებას, დაუყოვნებლივი ზომების მიღებას კონტრრევოლუციონური დაჯგუფებების საქმიანობის ასაღამად პოლონეთის ტერიტორიაზე („კომუნისტი“ 1927. №133).

საბჭოთა ხელისუფლების მეორე ნოტამ ურთიერთობის დაძაბვა განაპირობა. ამ მიზეზით გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გასცემს პასუხს პოლონეთის მთავრობა („კომუნისტი“ 1927. №158). ვარშავის გაზეთი „პშეგლონდ ვეჩორნი“ კი ყურადღებას ამახვილებს პოლონეთის მთავრობის ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფლიქტში ნეიტრალურ პოზიციაზე და აღნიშნავს, რომ პოლონეთი არ დაუშვებს ვოიკოვის მკვლელობა გამოყენებულ იქნეს ამ პოზიციიდან გადახვევის იარაღად („კომუნისტი“ 1927.

№133). თუმცა, როგორც მედიის ინფორმაციით ირკვევა, აღნიშნულმა ფაქტმა გავლენა მოახდინა პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობაზე. შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირ-პოლონეთს შორის ურთიერთობის დაძაბვის გამო გადადო პოლონეთისათვის სესხის მიცემა.

გაზეთი მიუთითებს, რომ კავერდას იცავენ ვილნოელი ვექილი ანდრეევი, პილსუდსკის თავგამოდებული დამცველი პასხალსკი და ეტინგერი. აქვეა სხვადასხვა პირის ინფორმაცია გამოქვეყნებული. პოლონეთში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის პირველი მდივანი არკადიევი აღნიშნავს, რომ ვოიკოვი სისხლის დაცლისგან გარდაიცვალა და მას არ ჰქონდა არცერთი სასიკვდილო ჭრილობა. აქვე მცირე ინფორმაციაა იმის შესახებ თითქოს გლეხობაში ძლიერდება მოძრაობა პილსუდსკის მთავრობის წინააღმდეგ („კომუნისტი“ 1927. №134).

სასამართლოზე კავერდა აცხადებს, რომ შური იძია ბოლშევიკებზე. ვარშავის სასამართლომ კავერდას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა და ამავე დროს აღძრა შუამდგომლობა პრეზიდენტის წინაშე სამუდამო პატიმრობის 15 წლამდე შემცირების შესახებ („კომუნისტი“ 1927. №136).

საყურადღებოა პროკურორის სიტყვა სასამართლოზე: კავერდას სიტყვებში პირველი ადგილი ეკავა სიყვარულს სამშობლოსადმი მისი კულტურისა და ჩვეულებებისადმი. პროკურორის სიტყვაში ფორმალურ ბრალდებებთან ერთად იკვეთებოდა ფაქტობრივი დაცვის მომენტებიც. კავერდას დამცველები (პასხალსკი) მის „გმირობაზე“ ლაპარაკობენ. მოუწოდებენ სასამართლოს გამოიჩინოს კაცთმოყვარეობა („კომუნისტი“ 1927. №137).

მკვლელობის ნამდვილი გარემოებების გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებად აცხადებს როზენგოლცი ვარშავის სასამარ-

თლოს გადაწყვეტილებას, შეიმჩნეოდა განაჩენის მაქსიმალურად შემსუბუქების ტენდენცია, პროკურორი გამოდიოდა არა ბრალმდებლად, არამედ დამცველის როლში სასამართლო პროცესი იყო ტენდენციური („კომუნისტი“ 1927. №142).

ელჩის მკვლელობის შესახებ მასალებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „კომუნისტის“ ფურცლებზე. ამგვარი ინტერესი განპირობებული იყო იმით, რომ მკვლელობის ფაქტი ეხებოდა საბჭოთა წარმომადგენელს პოლონეთში.

ქართველი მენშევიკების საქმე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მენშევიკების წარმომადგენლები მოკავშირეებს რუსეთისგან გამოყოფილ სახელმწიფოებში ეძებდნენ. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ურთიერთობის დამყარების მიზანს ემსახურებოდა მენშევიკების ნ.რამიშვილის და კ.ჩხეიძის პოლონეთში ვიზიტი. მათ პოლონეთის ხელისუფლებას გააცნეს საქართველოში არსებული მდგომარეობა. აქ ხაზგასმით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პოლონეთის მთავრობა დაინტერესებულია საქართველოს ბედით, როგორც „ყველა სხვა რუსეთიდან გამოყოფილ სახელმწიფოების და, მათ შორის, კავშირის გაბმა აუცილებელ და მორიგ პოლიტიკურ საკითხად მიაჩნია“. თავიანთი ვიზიტის დროს ქართველი მენშევიკები შეხვდნენ რუსეთის ყოფილი ერების ხალხთა საზოგადოებასაც და გადასცეს კავკასიის ერთა შეთანხმების ცნობა. იმედოვნებენ ამ კავშირში უკრაინის გაერთიანებასაც უკრაინის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ („თავისუფალი საქართველო“ 1921. №6: 12). ე.ი. დღის წესრიგში დადგა თავისუფლებისათვის ბრძოლაში პოლიტიკური ერთობის, აუცილებლობის საკითხი.

აღნიშულიდან გამომდინარე გაზეთ „კომუნისტი“ განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევდა ქართველი მენშევიკების საქმიანობა ემიგრაციაში. ქართველი მენშევიკების პოლონეთში ვიზიტმა არათუ ბოლშევიკები, მენშევიკებიც კი აღაშფოთა რუსეთში. აი, როგორ შეფასებას აძლევს ამ ფაქტს მენშევიკი მარტოვი ჟურნალ „სოციალისტ. ვესტნიკ“-ში:

ქართველი მენშევიკები იმპერიალიზმის ლაქიებია, რომ თავისი მოქმედებით მხოლოდ საერთაშორისო რეაქციას ემსახურებიან ისინი სოციალ-დემოკრატიული იარლიკის ქვეშ, და მუშათა კლასის ინტერესებს, პროლეტარიატის კლასიურ მიზანს დიდ და მცირე ანტანტას ათელვინებენ ფეხებით („კომუნისტი“ 1921. №167).

„კომუნისტი“ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ მენშევიკი მარტოვიც კი აღაშფოთა ამ ფაქტმა. ცხადია, ზემოთ აღნიშნული კავშირის შექმნა უკარგავდა მოსვენებას საბჭოთა ხელისუფლებას.

გაზეთის ინტერესის საგანია ემიგრაციაში წასული ქართველი მენშევიკების ბრძოლა თავისუფლებისათვის და ამ ბრძოლაში პოლონეთთან კავშირი. 1922 წლის აგვისტოს ამბების შემდეგ, მენშევიკთა საზღვარგარეთელ ბიუროს მოესპო ოსმალეთიდან საქართველოში რეგულარულად შემოსვლის საშუალება ხშირი დაპატიმრებების გამო. ამიტომაც საზღვარგარეთელმა ბიურომ ახალი გზა – პარიზი-ვარშავა-კიევი-თბილისი და პოლიტიკური მოკავშირე – პოლონეთი აირჩია. ეს ფაქტი „კომუნისტი-სთვის“, რა თქმა უნდა, არ იყო მისაღები, რაც მჟღავნდება შეფასებებში – ქართველი მენშევიკების „ფაშისტებად“ და „იმპერიალისტების ლაქიებად“ მოიხსენიებაში. 1925 წელს ნ. ჟორდანიას ყოფილ ოფიცერს კანჯაფარიძეს პოლონეთის გზით საგანგებო

მისიით აგზავნის საქართველოში. პოლონეთში ჩასულ კანჯაფარიძეს ნ.ჟორდანიას მითითებით, მისივე პირადი მდივანი კ.იმნაძე დაეხმარებოდა. კანჯაფარიძეს საქართველოში უნდა აეღორძინებინა ეროვნული ფრონტი. არალეგალების ხშირი დაპატიმრების გამო, ცენტრალური კომიტეტი ერთ-ერთ სოფელში უნდა გადაეტანა, შესაბამისი საქმიანობისთვის 11000 ფრანკი გადაეცა. კანჯაფარიძე, კ.იმნაძესთან და ზაქარიასძესთან ერთად ვარშავიდან ლვოვში გადავიდნენ. იქ ვინმე „კოსტია“ პოლონეთის გენერალური შტაბის ოფიცერი გადასცემს ანჯაფარიძეს ყალბ დოკუმენტს სახელზე და გაემგზავრებიან კიევში. „კოსტია“, იგივე კ.პენკოვ-პოლოჟნი იყო უკრაინის მოქალაქე, პოლონეთის გენერალური შტაბის ჯაშუში. იგი უკრაინაში მომუშავე ჯაშუშურ ჯგუფებს აწვდიდა ფულს და დირექტივებს პოლონეთის შტაბიდან („კომუნისტი“ 1927. №153).

კანჯაფარიძეს დავალებული ჰქონდა კავშირის გაბმა ემიგრაციასა და საქართველოში მომუშავე არალეგალურ ორგანიზაციებს შორის. კიევში კანჯაფარიძემ ექიმ გოგლიჩიძეს გადასცა ნ.ჟორდანიას დირექტივა, რომლის თანახმადაც კიევში უნდა მოეწყო უცხოეთის ფოსტის გადასაცემი და არალეგალური საქმიანობისთვის საიდუმლო ბინა. ქართველი ჯაშუშები კიევში არალეგალური მუშაობის გეგმის გაფართოებას ისახავდნენ მიზნად. ამ მიზნით კოლოშვილი გაემგზავრებოდა ასტრახანში ქართველთა კოლონიის მოსაწყობად და ამ ლეგალური საბაზით დაიწყებდა არალეგალურ მუშაობას. მიაწვდიდა მათ პარიზიდან ლიტერატურას, ასევე, საქართველოშიც გადაგზავნიდა („კომუნისტი“ 1927. №153).

უკრაინის საბჭოთა მთავრობის მიერ დაპატიმრებულ იქნა მენშევიკთა არალეგალური ჯგუფი: კანჯაფარიძე, გ. გოგლიჩიძე,

კ. კოდოშვილი, ს. შექეშვილი, კ.პენკოვ-პოლოჟნი, გ.ფეოდოროვი, ნ.დრობოტი, ნ.არეშიძე-გოგორიშვილი, ს.შექეშვილი, ფ. ბროკოპი, ი.ულმერი, ა.ბერუაშვილი. მათი საქმის განხილვა შედგება ხარკოვში¹¹. საინტერესოა ამ ფაქტის გაზეთისეული დასათაურება „ქართველი მენშევიკები პოლონეთის შტაბის ჯამშეები“ („კომუნისტი“ 1927. №153).

ქართველ მენშევიკებს ბრალდებოდან ბურჟუაზიულ მთავრობებთან და კონტრრევოლუციონურ ემიგრანტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა („კომუნისტი“ 1927. №153).

გაზეთი მიუთითებს, რომ ქართველ მენშევიკთა უკრაინელ კონტრრევოლუციონერებთან და პოლონეთის კონტრდაზვერვასთან კავშირმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ამიერკავკასიის და უკრაინის მშრომელ მასებში („კომუნისტი“ 1927. №162), რამაც განაპირობა გასამართლების საჩვენებელი ხასიათი. მუშებმა მოითხოვეს რევოლუციის მოღალატეების პოლონელ პანების ჯამშეებად გადაქცეული ქართველი მენშევიკების პროცესზე დასწრება. განსაკუთრებული ინტერესის გამო პროცესი გადატანილ იქნა უფრო დიდი დარბაზში, მელითონეთა კლუბიდან ხარკოვის ცენტრში მდებარე საოლქო სასამართლოს შენობაში („კომუნისტი“ 1927. №163).

საერთოდ ბრალდებულთა პასუხებიდან იქმნება ასეთი შთაბეჭდილება, თითქოს მათი ნახევარი, რაღაც გაუგებრობის გამო ზის საბრალდებო სკამზე. მაგალითად, ამ ჯამშეთა ბანდის მეთაური კაპიტონ ანჯაფარიძე, მის მიმართ წარდგენილ ბრალდებათა ნაწილს დანაშაულებათ კი არ თვლის, არამედ დამსახუ-

¹¹სასამართლო პროცესის ამსახველი მასალებს გაზეთში აშუქებს ა. ჭყონია.

რებათ, თუმცა არ ამბობს ვის წინაშე... („კომუნისტი“ 1927. №165).

– აღნიშნავს გაზეთი.

პენკოვი სასამართლო პროცესზე სიამაყით განაცხადებს, რომ აქტიურად მუშაობდა ქართველ მენშევიკების სასარგებლოდ, რომ მისი ჯაშუშური ქმედება სრულიად არ უთხრიდა ძირს საბჭოთა კავშირის ძლიერების ილუზიას. კოლოშვილი კი აცხადებდა, რომ პენკოვი პოლონეთმა მიავლინა ანჯაფარძის გასაყოლად და ეს უსათუოდ საერთაშორისო თავაზიანობის გამოხატულებას პოლონეთის მხრიდანო.

სასამართლო პროცესზე ბრალმძებელი პოპოვი მოითხოვს საბრალდებო ოქმს დაურთონ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა, რომელიც ახასიათებს მენშევიკურ ბატონობის დროს საქართველოში გამეფებულ ტერორს. ამგვარი შეფასება გაზეთის გასკვირი არც არის.

ამ პროცესზე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ანჯაფარძემ მოითხოვა სასამართლო პროცესზე ჩვენების ქართულ ენაზე მიცემის უფლება რუსულის უცოდინრობის მომიზეზებით. თუმცა, კორესპონდენდციაში იქვე აღნიშნულია, რომ იცოდა რუსული. სასამართლო რთავს ქართულად საუბრის ნებას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიძლება ის, რომ ბრალდებულს ნებას აძლევენ ქვეყანაში, რომელიც ასე დაშორებულია საქართველოდან, ილაპარაკოს თავის მშობლიურ ენაზე სასამართლოს ისეთ შემადგენლობაში, რომელსაც არაფერი ამ ენის არ გაეგება („კომუნისტი“ 1927. №165).

ამგვარ შეფასებას აძლევს გაზეთი აღნიშნულ ფაქტს. არც არის გასაკვირი ანჯაფარძის მოთხოვნა, ის ხომ საქართველოს

დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი პირია, თუმცა, ბრჭყალებში მაგრამ ამავეს მიუთითებს გაზეთიც. ანჯაფარიძის ჩვენებიდან ჩემი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ხშირად იმეორებდა სიტყვა „ქართველს“, არასაჭირო შემთხვევებშიც კი.

პროცესზე ანჯაფარიძის დამცველი რივლინი იმოწმებს „სოციალისტურ ვესტნიკში“ გამოქვეყნებულ აბრამოვიჩის წერილს, სადაც აღნიშნულია, რომ ქართველმა მენშევიკებმა კლასობრივი ბრძოლა შეცვალეს ნაციონალური ბრძოლით. ამის საპასუხოდ ბრალმდებელს მოჰყავს იმავე წერილიდან ამონაწერი, სადაც ნათქვამია, რომ ჩხეიძე-გეგეჭკორის ჩასვლამ ვარშავაში ხელი შეუწყო პოლონელ „სოციალისტებს“ ანტირუსული დემონსტრაციის მოწყობაში. წერილი პოლონეთს უწოდებს აღმოსავლეთის ჟანდარმს. ბრალმდებელი სასამართლოს ყურადღებას იქცევს იმ გარემოებით, რომ რუსი მენშევიკებიც ჟანდარმს უწოდებენ პოლონეთს, რომელიც ქართველ მენშევიკების საზღვარგარეთულ ბიუროს, საქართველოს განთავისუფლების ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენდა.

ქართველი მენშევიკების საქმე საყურადღებოა, ერთი მხრივ, იმ თვალსაზრისით თუ რა გზას გადიან იმიგრირებული ქართველები თავისუფლებისათვის ბრძოლაში საბჭოთა პერიოდში, მეორე მხრივ, როგორ გახდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველებისთვის თავშესაფარი პოლონეთი. თუ წინარე პერიოდში ტერიტორიულ საზღვრებში წარმოებდა ბრძოლა იდენტობის შენარჩუნებისათვის, სამშობლოს საზღვრებს მიღმა მყოფ ქართველებში თავისთავადობის განმსაზღვრელ მარკერად იქცა მშობლიური ენა, რასაც მოწმობს სასამართლო პროცესზე მათი ქართულ ენაზე გამოსვლა.

თავისთავადობის შენარჩუნების ერთადერთ გზად ქართველობას ამ დროისათვის ესახებოდა თავისუფლების იდეის გარშემო მოკავშირეების ძიება და იდეური ერთობის შექმნა. ასეთი მოკავშირე იყო პოლონეთი.

ბალტიისპირეთის პოლიტიკური ერთობის შექმნის მცდელობა.

პოლონეთისთვის მნიშვნელოვანი ბალტიის სახელმწიფოების შესაძლო პოლიტიკური ერთობა ხელისშემშლელ ფაქტორად ესახებოდა საბჭოთა კავშირს. ამიტომაც, საბჭოთა ხელისუფლება მედიას აქტიურად იყენებდა ანტიპოლონური პროპაგანდისათვის, რათა ხელი შეეშალა ამ გაერთიანების შექმნისათვის. საქართველოს კომუნისტური პრესაც აქტიურად იყო ჩაბმული ანტიპოლონურ კამპანიაში.

„კომუნისტი“ თითქმის ყოველდღიურად აქვეყნებდა ინფორმაციას თუ როგორ ემზადება პოლონეთი ლიტვაზე თავდასხმისთვის სადემარკაციო ხაზთან („კომუნისტი“ 1926. №165), რომ მარტო ამას არ დასჯერდება, ამასვე უნდა მოელოდნენ ბალტიის სახელმწიფოებიც („კომუნისტი“ 1926. №173). ქვეყნდება ლონდონის როიტერის სააგენტოს ინფორმაცია ლიტვაში დიდი მღელვარების შესახებ პოლონეთის სამხედრო მზადებასთან დაკავშირებით („კომუნისტი“ 1926. №167).

პოლონეთს სურს შექმნას სახელმწიფოთა „ახალი წონასწორობა“ მეტად საეჭვო ხასიათის. ამ „წონასწორობის“ სახე შემდეგნაირია: ერთის მხრივ: ჩვენ გვაქვს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, მეორეს მხრივ: პოლონეთ-რუმინეთის ბლოკი, რასაც ზედ ერთვის პოლონეთის მიერ „ჩაყლაპული“ ლიტვა, ლონდონიდან ჩვენს წინააღმდეგ მიღებული დირექტივების უსიტყვოდ შესრულება და პოლონეთის გაძლიერებული ზეგავ-

ლენა ბალტიის განაპირა სხვა სახელმწიფოებზე („კომუნისტი“ 1926. №168).

ე.ი. პოლონეთისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთობა მიუღებელია საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

პოლონეთს ინგლისის პროექტის „ზღვიდან ზღვამდე“ მოთამაშედ მიიჩნევს რუსული პრესა. „კომუნისტი“ ბეჭდავს რუსული გაზეთ „პრავდის“ წერილს „პოლონეთი და ლიტვა“, სადაც საუბარია მცირე სახელმწიფოების ანტისაბჭოთა გაერთიანების შექმნაზე ინგლისის მხარდაჭერით. ამ პროექტის ნაწილს წარმოადგენდა პოლონეთის პრეტენზიები ლიტვაზე („კომუნისტი“ 1926. №168). აღნიშნული მიზეზით ასახელებს პოლონეთს მშვიდობიანობის საფრთხედ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში და აქტიურ პროპაგანდას ეწევა ნაციონალურ უმცირესობათა ჩაგვრის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლება ამ კუთხით საგანგებოდ ამწვავებდა მდგომარეობას. ზემოთ ვნახეთ თუ როგორ ფინანსდებოდა პოლონეთში მცხოვრები ებრაელთა „ბუნდის“ ორგანიზაცია მოსკოვიდან. ნათელია, რომ საბჭოთა კავშირის შემფოთებას იწვევს პოლონეთისა და მისი მოკავშირეების „ახალი წონასწორობის“ შექმნის სურვილი:

ერთის მხრივ ჩვენ გვაქვს სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. მეორეს მხრივ: პოლონეთ-რუმინეთის ბლოკი, რასაც ზედ ერთვის პოლონეთის მიერ „ჩაყლაპული“ ლიტვა, ლონდონიდან ჩვენს წინააღმდეგ მიღებული დირექტივების უსიტყვოდ შესრულება და პოლონეთის გაძლიერებული ზეგავლენა (ლიტვის ჩაყლაპვის შემდეგ) ბალტიის განაპირა სხვა სახელმწიფოებზე („კომუნისტი“ 1926. №168).

პოლონეთის მთავრობის მეთაური ბარტელი ამგვარ პროპაგანდას ტენდენციურს უწოდებს („კომუნისტი“ 1926. №174).

პილსუდსკის გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნულია, რომ პოლონეთს არ აქვს სხვისი ტერიტორიის მითვისების განზრახვა, მაგრამ მთელი ძალ-ღონით დაიცავს საკუთარ მიწა-წყალს. „პოლონეთი მზადაა, რომ შექმნას ლოკარნო¹² აღმოსავლეთ ევროპისათვის, ვინაიდან იგი ისწრაფვის მშვიდობიანობისკენ“ („კომუნისტი“ 1926. №174).

სამხედრო სამინისტროს ოფიციაში „პოლსკა სბროინა“ საბჭოთა პრესის ცნობებს პოლონეთის აგრესიული ზრახვების შესახებ „ქარის წისქვილებთან ბრძოლას“ ადარებს. გერმანული გაზეთ „ლოკალ ანციეგერის“ ვარშაველი კორესპონდენტი ადასტურებს საბჭოთა პრესის ცნობას ლიტვის საზღვარზე პოლონეთის სამხედრო მზადების თაობაზე („კომუნისტი“ 1926. №171; №173). ეს იყო ტენდენციური პროპაგანდა პოლონეთის მთლიანობის და ავტორიტეტის შესარყევად. პილსუდსკი გამოეხმაურა მძლავრ საბჭოთა პროპაგანდას:

ყოველგვარი მითქმა-მოთქმა ჩემი იმპერიალიზმის შესახებ მოგონილია. პოლონეთს რომ ჰქონდეს რწმენა იმისა, რომ მას არავინ დაესხმის თავზე, მე პირველი ვიქნებოდი პოლონეთის არმიის დაშლის მომხრე. პოლონეთს არ აქვს განზრახვა წაართვას ტერიტორიის პატარა ნაჭერიც კი, რომელიმე მეზობელ სახელმწიფოს, მაგრამ იგი მთელი ძალ-ღონით დაიცავს საკუთარი მიწა-წყლის თითოეულ მტკაველს („კომუნისტი“ 1926. №174).

¹²ლოკარნოს სამშვიდობო ხელშეკრულებით საფრანგეთი, პოლონეთი, ბრიტანეთი, გერმანია, ბელგია, იტალია ჩეხოსლოვაკია შეთანხმდნენ აღმოსავლეთ ევროპის ახალი საზღვრებზე და მის ურღვევობაზე („კომუნისტი“ 1936. №56).

გაჩაღებული ანტიპოლონური კამპანიის საპასუხოდ, პოლონეთის მთავრობამ დაიწყო ეროვნულ უმცირესობათა საგანგებო პროექტზე მუშაობა. პროექტის განხილვისას პილსუდსკი მოითხოვდა ლვოვში უკრაინის უნივერსიტეტის დაარსებას და განაპირა ქალაქებში თვითმმართველობის შემოღებას („კომუნისტი“ 1926. №190).

პოლონეთს არ ჰქონდა აგრესიული ზრახვები მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. ცდილობდა მეზობლებთან, მათ შორის, ბალტიის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებას – ფედერაციული კავშირის შექმნას. ამ მიზნით რუმინეთთან გაფორმდა ხელშეკრულება, რაც საბჭოთა კავშირს მის წინააღმდეგ გაფორმებულ საფრთხედ მიაჩნდა და პოლონეთსა და რუმინეთს შორის გაფორმებულ მეგობრულ ხელშეკრულებას იარაღის გაღების პოლიტიკად მიიჩნევდა („კომუნისტი“ 1926. №224).

მეორე ხელშეკრულება, რომელიც აქტუალურია გაზეთისათვის, არის 1926 წლის 28 სექტემბერს მოსკოვში საბჭოთა კავშირ-ლიტვის თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება, რომელიც ვილნოს საკითხსაც ახლებურად წყვეტდა. ქვეყნდება პოლონეთის ოფიციალური გაზეთების შეფასება ხელშეკრულების შესახებ. ახალი ხელშეკრულებით ვილნოს საკითხის რიგის ხელშეკრულების საწინააღმდეგო განმარტება მოხდა. რიგის შეთანხმებით პოლონეთის საზღვრებში მოქცეული ვილნო „რუსეთის ავანგარდად იქცა პოლონეთის წინააღმდეგ“. ამგვარი ხელშეკრულების გაფორმება ერთა ლიგის წევრ ლიტვის მიერ, ეწინააღმდეგებოდა ლიგის წესდებას. მართებულად ასახელებს პილსუდსკის ორგანო „გლოს პრავდი“, აღნიშნულ ფაქტს საერთაშორისო უფლების დარღვევის ნათელ მაგალითად.

ამ ფაქტს წინ უძღოდა პრესის ფურცლებზე ანტიპოლონური პროპაგანდა იმის თაობაზე თუ როგორ ჩაგრავს ეროვნულ უმცირესობებს პოლონეთი. საბჭოთა კავშირ-ლიტვის ხელშეკრულების გაფორმება თავად მეტყველებს საბჭოთა კავშირის მიზნებზე. საამისოდ, ერთი მხრივ, ცდილობდა დაჩაგრულის დამცველის სცენარით ტერიტორიულ გაფართოებას, მეორე მხრივ, ხელს უშლიდა პოლონეთ-ბალტიის ქვეყნების გაერთიანებას.

პოლონეთის ოფიციალური გაზეთების საპასუხოდ „კომუნისტი“ აქვეყნებს ცნობებს შეთანხმების შესახებ ლიტველთა განწყობაზე. ინფორმაციით, საბჭოთა ხელისუფლება მოეველინა მხსნელად ლიტვას და დადებითად აფასებენ საბჭოთა მთავრობის მხარდაჭერას, ვილნოს ცნობას ლიტვის შემადგენლობაში. ამ ფაქტმა გაამლიერა სიმპათიები ლიტველებში საბჭოთა კავშირის მიმართ („კომუნისტი“ 1926. №225).

რაც შეეხება პოლონეთის დამოკიდებულებას ლიტვა-საბჭოთა შეთანხმებაზე, 27 ოქტომბერს პოლონეთის საქმეთა რწმუნებულმა, ვიშინსკიმ მოსკოვში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გადასცა პოლონეთის მთავრობის ნოტა შეთანხმების გამო. პოლონეთის მთავრობა ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ ხელშეკრულება ეხება რიგის ხელშეკრულების მე-2 მუხლით დაწესებულ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრიდან დასავლეთით მდებარე მიწებს, რომლებიც წარმოადგენდნენ პოლონეთის ტერიტორიის უდავო ინტეგრარულ ნაწილს. რიგის ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, უარი თქვა საბჭოთა მთავრობამ ამ მიწებზე უფლებების წამოყენებაზე და განაცხადა, რომ თუ ამ მიწებში შედიან პოლონეთსა და ლიტვას შორის სადავო ტერიტორიები, მაშინ ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ამ ორი სახელმწიფოს კომპეტენციას შეადგენდა. ნოტაში აღნიშნულია, რომ

ლიტვის მთავრობის ინიციატივით, ამ ტერიტორიების უფლებრივ პოლიტიკური მდგომარეობა გადაწყვეტილი იყო ელჩთა კონფერენციის დადგენილებით 1923 წლის 15 მარტს („კომუნისტი“ 1926. №246). აქედან გამომდინარე, პოლონეთის უფლება ვილნოზე არ შეიძლება სადავო გამხდარიყო ისეთი საერთაშორისო აქტით, რომელშიაც პოლონეთს არ მიუღია მონაწილეობა. აღნიშნული ნოტა პოლონეთის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას გაუგზავნა იმ დროს, როცა ელჩთა კონფერენციამ თავის დადგენილებაში კიდევ ერთხელ დაადასტურა წინათ გამოტანილი გადაწყვეტილება ვილნოს შესახებ. 1923 წლის 15 მარტის ელჩთა კონფერენციამ ვილნო ცნო პოლონეთის შემადგენელ ნაწილად („კომუნისტი“ 1926. №246). ლიტვის მთავრობა არ ცნობდა ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებას ვილნოს საკითხთან დაკავშირებით.

საპასუხო ნოტით (19 ნოემბერი), რომელიც პოლონეთის მთავრობას გადასცა ვარშავაში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა ელჩმა ვოიკოვმა, საბჭოთა მთავრობა სავალდებულოდ არ მიიჩნევს რიგის ხელშეკრულების საერთაშორისო აქტად ცნობას, იმ მიზეზით, რომ რომელიმე მესამე მხარის სახელმწიფოებს არა აქვთ არც იურიდიული, არც ისტორიული და არც ზნეობრივი უფლებები სადავო ოლქების ბედი გადაწყვიტონ („კომუნისტი“ 1926. №266). ისევ დაჩაგრულის დამცველად გამოდის საბჭოთა ხელისუფლება.

როგორც აღვნიშნე, აქტიურ ანტიპოლონურ პროპაგანდას ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლება პოლონეთის განაპირა მხარეების ბელორუს მოსახლეობაშიც. ამ პროპაგანდის შედეგი დასტურდება გრომადას მიერ სოფლებში 500-მდე პარტიული ორგანიზაციის შექმნით, რომელშიც 50 000-მდე გლეხი ერთიანდებო-

და. გაზეთს აშფოთებს ის, რომ ვილნოს პოლონური გაზეთები გრომადის ლიკვიდაციას მოითხოვენ („კომუნისტი“ 1926. №242).

გაზეთს საფრთხედ ესახება პოლონეთის ხელისუფლების ინგლისთან ურთიერთობა და ანტისაბჭოთა კამპანიაში ჩართვა. აქვე, უთითებს პილსუდსკის ორგანოს „პოლსკა ზბროინას“ აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით:

ჩვენ არ ვიცით, რით დამთავრდება ინგლისის ბრძოლა, რომლის მიზანია ინგლისელ მოქალაქეთა ინტერესების დაცვა (!) ჩინეთში და რა როლს ითამაშებს ჩვენ მეზობელ სახელმწიფოს პოლიტიკა და აგრეთვე რამდენად დაინტერესებულია ამ საქმეებში მეორე მეზობელი სახელმწიფო, თავის აღმოსავლეთ საზღვრებზე აშენებს სიმაგრეებს. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია განმარტოებული და ნეიტრალური დავრჩეთ ამ თამაშში. ჩვენ მასში უნდა მივიღოთ მონაწილეობა („კომუნისტი“ 1927. №33).

ასეთ ვითარებაში ისევ აქტუალური ხდება ანტისაბჭოთა გაერთიანების შექმნის იდეა, რომლის შექმნაში როგორც წინა წლებში, ამჯერადაც, გამოკვეთილია პოლონეთის აქტიურობა.

ამავე დროს, გადამწყვეტ ფაზაში შედის ანტიპილსუდსკური კამპანია. მედია პროპაგანდა წარმოებს, როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორებთან დაკავშირებით. გაზეთი პილსუდსკის ადანაშაულებს ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ გალაშქრებაში – ბელორუსთა გრომადის წევრების დაპატიმრებაში, დეპუტატების ხელშეუხებლობის კანონის დარღვევასა და სემის ბელორუსთა წარმომადგენლების დაპატიმრებაში. „კომუნისტის“ აზრით ეს განპირობებული იყო იმით, რომ დღითიდღე იზრდებოდა „გრომადას“ გავლენა. იგი იცავდა მშრომელთა ნაციონალურ და ეკონომიურ ინტერესებს პოლონელ პანების თავდასხმებისგან. ბელორუსულ დეპუტატებს ბრალს სდებდნენ „მეზობელ

სახელმწიფოსთან“ კავშირის გაბმვაში, ე.ი. საბჭოთა კავშირთან საიდუმლო დამოკიდებულებაში, ჯაშუშობაში („კომუნისტი“ 1927. №33). გაზეთს იქეთვენი მიჰყავს მსჯელობა, რომ პილსუდსკის საშინაო მდგომარეობა ძალიან შერყეულია და თუ მიიღებს ინგლისის თამაშში მონაწილეობას, ამით დააჩქარებს რევოლუციას პოლონეთში.

გაზეთის ინფორმაციით, პოლონეთს გართულებული აქვს საგარეო ურთიერთობაც. ირკვევა, რომ ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გაამწვავა გერმანიასთან ურთიერთობა. შეწყდა მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. მოლაპარაკების შეწყვეტის მიზეზი გახდა ზემო სილეზიის პოლონეთის ნაწილიდან ოთხი გერმანელი მოქალაქის, რკინიგზის საზოგადოების დირექტორების გაძევება („კომუნისტი“ 1927. №33).

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ პოლონეთი აქტიურად მონაწილეობს ანტისაბჭოთა გაერთიანების შექმნაში. პოლონეთი ცდილობს ლიტვასთან კავშირის დამყარებას. პოლონეთ-ლიტვის კავშირი ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც მოსვენებას უკარგავს ბოლშევიკურ ხელისუფლებას. შესაბამისად, გაზეთი „კომუნისტი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს და მოვლენების შემდგომ განვითარებაზე თითქმის ყოველდღიურად ქვეყნდება ინფორმაცია სათაურით „პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი“.

პოლონეთ-ლიტვის კავშირის შექმნაში აქტიურობდნენ საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის ელჩები. ისინი მონაწილეობდნენ ვილნოს ოლქის პოლონეთისთვის გადასაცემად საგანგებო ნოტის მომზადებაში, რომელიც კოვნიში უნდა წარედგინათ ლიტვის მთავრობისთვის („კომუნისტი“ 1927. №114). დროს არ კარგავდა საბჭოთა ხელისუფლებაც. საბჭოთა კავშირის სრულ-

უფლებიანი ელჩი ლიტვაში აროსევი ლიტვის პრეზიდენტს გადასცემს რწმუნების სიგელს, რომელშიც საბჭოთა კავშირ-ლიტვის ხელშეკრულების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას ლიტვის პრეზიდენტი სმეტონა. ხელშეკრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ლიტველებისთვის, რადგან ხელშეკრულებით ვილნო ლიტვის კუთვნილებადაა ცნობილი („კომუნისტი“ 1927. №132). ამით წაქეზებული ლიტვის საგარეო მინისტრი ვოლდემარასი განაცხადებს, რომ პოლონეთთან მხოლოდ მას შემდეგ აღდგება ნორმალური ურთიერთობა თუ პოლონეთი პატივს სცემს ლიტვის დამოუკიდებლობას („კომუნისტი“ 1927. №270). ერთა ლიგის გენერალური მდივნისთვის გაგზავნილ წერილში კი ვოლდემარასი მიუთითებს ლიტვის მთავრობის წინააღმდეგ პოლონური გაზეთების გააფთრებულ საქმიანობაზე და პილსუდსკის მზაობაზე სამხედრო დახმარება გაუწიოს კოვნოში პლექსაიტისონის მეთაურობით მთავრობის დაარსებას. წერილი პოლონეთის მოქმედებებს კოვნოში ლიტვის ანექსიას უწოდებს („კომუნისტი“ 1927. №270). მოვლენების ამგვარი განვითარება საფრთხეს უქმნიდა რუსეთისა და გერმანიის ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში გერმანია მიიღებს შესაბამის ზომებს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ვოლდემარასის მითითებით, საბჭოთა კავშირმაც განაცხადა, რომ თუ პოლონეთი თავს დაესხმევა ლიტვას, საბჭოთა კავშირის პოზიცია არ იქნება ნეიტრალური („კომუნისტი“ 1927. №271).

შემდეგ ნომერშიც არის აქცენტები დასმული გაზეთების როლზე. ლიტვის დეპუტატთა სააგენტოს ინფორმაციით პოლონელები უკიდურესად იყვნენ დაინტერესებული ლიტვაში მღელვარებით იმ მომენტისათვის, როცა ერთა ლიგის სხდომაზე ლიტვის საკითხის განხილვა იქნება. საამისოდ პოლონელები საგანგებოდ

ავრცელებდნენ ხმებს ლიტვაში შექმნილი სერიოზული პრობლემების შესახებ, რასაც ლიტვის მთავრობა საფუძველს მოკლებულად აცხადებდა („კომუნისტი“ 1927. №270). თავის მხრივ, ვარშავა აღმამფოთებელს უწოდებდა კოვანოში შექმნილ მდგომარეობას და მიუთითებდა, რომ პოლონეთს არ შეუძლია გულგრილად უცქიროს მეზობელი სახელმწიფოს მიერ საკუთარი ხალხის ჩაგვრას კოვანოში („კომუნისტი“ 1927. №271). ურთიერთობა უფრო მწვავედება. პლეჩკაიტისი სახელმწიფო ღალატის ბრალდებით დააპატიმრეს („კომუნისტი“ 1927. №275).

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერთა ლიგის პოზიციის გამორკვევას, რაც ამავე დროს, ინგლის-საფრანგეთის პოზიციის გარკვევას ნიშნავდა. ამიტომაც მედიის მთელი ყურადღება ერთა ლიგის მუშაობისკენ იყო გადართანილი. ქვეყნდება წმინდა ფორმარული ხასიათის, ზალესკის (პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი) და ვოლდემარასის (ლიტვის პრემიერი) ერთა ლიგაში გამოსვლის ტექსტი. ვოლდემარასი მოითხოვდა ერთა ლიგის კომისიის დანიშვნას პოლონეთისა და ლიტვის ჯარების დაბანაკებაში ცვლილებების გამოსარკვევად, პოლონეთის ტერიტორიაზე ლიტვისადმი მტრულად განწყობილი დაჯგუფებების გაუქმებასა და ვილნოს ლიტველი მოსახლეობის რეპრესიების გამორკვევას („კომუნისტი“ 1927. №279). ზალესკი ლიტვას ადანაშაულებდა 1919 წლიდან მემორანდუმის შეუსრულებლობას და მემელის მაგალითი მოჰყავდა თუ რა ზიანი მოუტანა ეკონომიკური თვალსაზრისით ლიტვის მთავრობის პოლიტიკამ, რის გამოც ეს რაიონი ზღვაში გასავალს მოკლებულია. მაგრამ გამოთქვა სურვილი, რომ პოლონეთი კიდევ ერთხელ მზად არის შერიგებისთვის („კომუნისტი“ 1927. №280). აქნევაში ვოლდემარასის განცხადებამ თითქოს ლიტველ ემი-

გრანტებს სურთ ხელი შეუწყონ პოლონეთის ჯარებს ლიტვაზე თავდასხმაში, ემიგრანტების უკმაყოფილება გამოიწვია. განცხადების საპასუხო საპროტესტო წერილი გამოაქვეყნეს ემიგრანტებმა, სადაც აღნიშნულია, რომ ისინი დევნამ აიძულა პოლონეთში ემებნათ თავშესაფარი, მაგრამ ამის გამო არ უცდიათ ლიტვის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა („კომუნისტი“ 1927. №283).

ლიტველ ემიგრანტების ლიდერებმა პლეჩაკიტისმა და პოპლაუსკასმა განაცხადეს, რომ ისინი აჯანყებას ამზადებენ და დაამზობენ ვოლდემარასის მთავრობას, რომელმაც ადგილი უნდა დაუთმოს დემოკრატიულ რეჟიმს, რომ საამისოდ არავითარი ხელშეკრულება არ აქვთ გაფორმებული პოლონეთის ხელისუფლებასთან. პოლონეთმა მხოლოდ თავშესაფარი მისცა თავის ტერიტორიაზე („კომუნისტი“ 1927. №284). პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის მოგვარება ვერ შეძლო ერთა ლიგამ. გერმანული გაზეთის ინფორმაციით, რომელსაც იშველიებს „კომუნისტი“, „თოფის წამლის საწყობები აღმოსავლეთ ევროპაში კვლავ პირამდე გატენილია“. ეს ფაქტი უკარგავს მოსვენებას კონფლიქტის გარშემო შემოკრებილ სახელმწიფოებს და, მათ შორის, საბჭოთა კავშირს. კოვნოში გამართული მოლაპარაკებაც უშედეგო აღმოჩნდა მოგვარების თვალსაზრისით, რადგან პოლონეთი თავდაუსხმელობის ხელშეკრულების პროექტით ფარულად ვილნოს ოლქს პოლონეთის ტერიტორიის ნაწილად აღიარებდა. ლიტვა უარყოფდა ამ თვალსაზრისს. ამგვარად, შეუძლებელი გახდა შეთანხმება. პოლონეთს მხარს უჭერდა ინგლისი და საფრანგეთი. ეს მხარდაჭერა ნათლად გამოვლინდა ერთა ლიგის შეხვედრაზე, სადაც ჩემბერლენი პირდაპირ მუქარით გამოვიდა ლიტვის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს მშვიდობიანობას ემუქრებოდა.

და პოლონეთთან ომისთვის ემზადებოდეს. ჩემბერლენს ზურგს უმაგრებდა საფრანგეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში ბონკური. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიანმა შეაქო „ვარშავის მთავრობის „მშვიდობისმოყვარეობა“ და მოითხოვა ლიტვის მესვეურთა „მოჭკვიანება“, ე.ი. ლიტვის დამონება პოლონეთისადმი“. ერთა ლიგის ამ შეკრებაზეც ვერ გადაწყდა ეს საკითხი, ვინაიდან ნიადაგი არ იყო საკმაოდ მომწიფებული, რომ ინგლის-საფრანგეთს ლიტვისთვის თავისი ნება მოეხვია თავზე. ამისთვის ომი გახდებოდა საჭირო თუ ლიტვა ნებაყოფლობით არ დასთანხმდებოდა პოლონეთის მოთხოვნებს. ამგვარად, საკითხი კვლავ გადაიდო („კომუნისტი“ 1928. №160).

ამ მასალებით „კომუნისტი“ ცდილობს წარმოაჩინოს პოლონეთი როგორც დამპყრობელი, საბჭოთა კავშირი კი გამოჰყავს როგორც ხალხთა უფლებების და მშვიდობიანობის დამცველი.

ერთა ლიგის მორიგ შეხვედრაზე ზალესკიმ განაცხადა, რომ პოლონეთმა ყველაფერი გააკეთა ურთიერთობის მშვიდობიანად მოსაგვარებლად („კომუნისტი“ 1928. №209). ვოლდემარასმა კი თავის გამოსვლაში მოლაპარაკებების უნაყოფოებაში პასუხისმგებლობა დააკისრა პოლონეთს და ვილნოს პრობლემის მოსაწესრიგებლად ერთადერთ შესაძლებლობად დაასახელა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა. საკითხის განხილვა კიდევ ერთხელ გადაიდო („კომუნისტი“ 1928. №210). ლიგის საბჭოს რეზოლუციით ახლო მომავალში პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების უნაყოფოების შემთხვევაში ერთა ლიგის საბჭო ექსპერტებს მიანდობდა პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტთან დაკავშირებით წარმოქმნილ იმ სიძნელეთა გამორკვევას, რომლებიც მესამე მხარის ინტერესებს ეხებიან („კომუნისტი“ 1928. №211). აქვე ქვეყნდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ზალესკიმ მიიღო ვოლ-

დემარასის წინადადება კენიგსბერგში პოლონეთ-ლიტვის კონფერენციის მოწვევის შესახებ, რაც, გაზეთ „კომუნისტი“ მითითებით, ვარშავის წრეებში პოლონეთის დიპლომატიის დამარცხებად და ლიგის უძლურებად მიაჩნდათ. ამასთან, ვარშავამ გაამკაცრა ცენზურა და დახურა რუსული გამომცემლობა „როსიკა“, რომელიც ავრცელებდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ შეტანილ ბოლშევიკურ ლიტერატურას („კომუნისტი“ 1928. №212).

„კომუნისტი“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვოლინის ვოევოდა, როგორც პილსუდსკის უკრაინული პოლიტიკის დასაყრდენი. იუზეფსკი სენატორებისა და პოლონეთის მთავრობის მომხრე დეპუტატების კრებაზე აცხადებს, რომ მხარს უჭერს ახალი უკრაინის შექმნას, რომელიც უნდა ყოფილიყო პოლონეთთან მჭიდრო კავშირში. მას განუცხადებია, რომ

აქვს უფლება შეეხოს ამ საკითხს როგორც პილსუდსკის დროშის ქვეშ წარმოებული განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილეს და როგორც პეტლიურას მთავრობის წევრს. იუზეფსკი ფიქრობს, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს უკრაინის დამოუკიდებლობის კონცეფციასა და ვოლინის პოლონეთის მფლობელობაში დატოვების შორის. „ის უკრაინელი, – სთქვა იუზეფსკიმ, – რომელიც ხელს უწყობს პოლონეთ-უკრაინის დაახლოებას ვოლინში, არ ეწინააღმდეგება უკრაინის დამოუკიდებლობის იდეას, უკრაინის, რომელიც ამ ტერიტორიის მეზობლად მდებარეობს. ეს კარგად ჰქონდა შეგნებული პეტლიურას, რომელმაც იცოდა, რომ უდიდესი განსხვავებაა „მოსკოვ-კიევის“ და „კიევ-ვარშავას“ ურთიერთ დამოკიდებულებაში. „მოსკოვ-კიევის“ ურთიერთ დამოკიდებულება ემყარება არსებობის უფლების უარყოფას, ხოლო „ვარშავა-კიევის“ დამოკიდებულება კულტურულ შეჯიბრებისა და სამეურნეო და სულიერ ექსპანსიას“ („კომუნისტი“ 1928. №214).

იუზეფსკის ამ განცხადებამ საბჭოთა ხელისუფლების აღშფოთება გამოიწვია. თუმცა, „კომუნისტი“ ცდილობს წარმოაჩინოს თითქოს იუზეფსკის განცხადებამ აღაშფოთა პოლონური პრესაც. ამის დასადასტურებლად მოიხმობს პოლონური გაზეთების ინფორმაციებს. მათ შორის, გაზეთ „ვარშავსკას“ ცნობას: „პრაქტიკულად, ვოევოდის მიერ წამოყენებული პროგრამის მიხედვით, ვილნო უნდა გადაიქცეს იმ ადგილად, სადაც ჩამოყალიბდება უკრაინის აგრესიული ძალა დნეპრის მხარის უკრაინის წინააღმდეგ. ასეთი ხაზი ეწინააღმდეგება პოლონეთის ინტერესებს, ვინაიდან ამ გეგმის რეალიზაციის ცდა გამოიწვევს ხანგრძლივ და მძიმე ომს რუსეთთან“. გაზეთი „ნაშ პშეგლონდი“ იუზეფსკის ასახელებს პოლონეთის არალეგალური სამხედრო ორგანიზაციის ერთ-ერთ ორგანიზატორად უკრაინაში („კომუნისტი“ 1928. №215).

ოფიციალური პრესის ინფორმაციით:

ნაციონალ-დემოკრატები შეაშინა აზრმა დამოუკიდებელი უკრაინის შესახებ. ნაც.დემოკრატებს მიუღებლად მიაჩნიათ ყოველივე ის რაც დაკავშირებულია უკრაინის დამოუკიდებლობის შესაძლებლობასთან პოლონეთის საზღვრებს იქითა მხარეს („კომუნისტი“ 1928. №217).

იუზეფსკის სიტყვაში საბჭოთა ხელისუფლება უკრაინის ტერიტორიის საბჭოთა კავშირიდან ჩამოცილების საფრთხეს ხედავდა. აღნიშნულის თაობაზე პოლონეთში საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა კოციბინსკიმ პროტესტი განუცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვისოცკის. ვისოცკიმ საპასუხოდ განაცხადა რომ ოფიციალურ კომუნიკეს გამოაცხადებს პრესისათვის, სადაც აღნიშნული იქნება, რომ იუზეფსკის სიტყვის ტექსტი სწორად არ არის გადმოცემული გაზეთებში. იმის

დასტურად რომ ამ ფაქტმა უკრაინის მშრომელებში აღშფოთება გამოიწვია, ქვეყნდება ინფორმაცია ხარკოვის მშრომელების გამოსვლების და რეზოლუციის მიღების შესახებ. რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ იუზეფსკის სიტყვაში აშკარა მოწოდებაა უკრაინაზე თავდასხმისათვის, რომ პოლონელი პანების ოცნება დამსხვრეული იქნება ჩვენი მთლიანობით. ხარკოვის პოლონელი მუშები არ დაუშვებენ, რომ მისი ბედი ვინმემ თვითნებურად გადაწყვიტოს. არტემოვსკის ოლქის მშრომელების კრებამ ვოლინის ვოევოდას გამოსვლა შეაფასა, როგორც „პოლონური ფაშიზმის ახალი ავანტიურა და როგორც იდეური მომზადება გალამქრებისა საბჭოთა უკრაინის და მთელი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“ („კომუნისტი“ 1928. №218).

თუმცა, იუზეფსკი, სანამ თავის ცნობილ სიტყვას იტყოდა, ერთი თვით ადრე შეაჩერა უკრაინის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების „პროსვიტა“-ს განყოფილებების მოქმედება დუბნოსა და როვნოში სალაროებსა და კანცელარიებში სხვადასხვა ნაკლის გამო („კომუნისტი“ 1928. №219).

რაც შეეხება პოლონეთ-ლიტვის საკითხს, კოვნოს ოფიციალური გაზეთი იტყობინება ლიტვის ელჩის პარიზში ცნობილ ფრანგ იურისტებთან შეხვედრის შესახებ. საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს პროფ. ლუი რადელს, ლუი ლეფურს და მანდელ შტამს მიმართა თხოვნით გამოთქვან აზრი ელჩთა კონფერენციის იმ დადგენილებების გამო, რომლითაც საზღვრები ლიტვასა და პოლონეთს შორის დაწესებულ იქნას იმგვარად, რომ ვილნო პოლონეთის ნაწილად იქნა ცნობილი. სპეციალისტებმა უფლებრივი ექსპერტიზის შემდეგ, ერთსულოვნად აღიარეს, რომ ელჩთა კონფერენციის დადგენილება ეწინააღმდეგება უფლებას

და სამართლიანობას, რაც ამ ვალდებულებისგან ათავისუფლებდა ლიტვას („კომუნისტი“ 1928. №219).

თავის მხრივ, მედია კვლავაც აგრძელებს ანტიპოლონური ინფორმაციების ბეჭდვას. აი, კიდევ პრესის ანტიპოლონური პროპაგანდის მაგალითი: „ქენევაში და ყველა საერთაშორისო კონფერენციებზე პოლონელები არ უშვებენ შემთხვევას, რომ არ დაიკვებონ თავისი „პაციფიზმით“ და თავის საპატიო როლით „დასავლეთის ცივილიზაციის დაცვის საქმეში აღმოსავლეთის ბოლშევიზმისგან“ („კომუნისტი“ 1928. №220).

ლოვსა და აღმოსავლეთ გალიციაში პოლონეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციები გაიმართა, რომელიც სისხლისმღვრელი შეტაკებებით დასრულდა. პოლონურმა პრესამ მომხდარში უკრაინელთა სამხედრო ორგანიზაცია დაადანაშაულა. „ძნელი გამოსარკვევია, რამ გამოიწვია ეგ ამბები: ნაციონალისტური გრძნობების გაღვივებამ თუ ბოლშევიკების ფულმა, რომელსაც ხელგაშლილად ურიგებენ უკრაინელ პატრიოტებს“ – წერს „კურიერ პორანი“. მემარჯვენე ოპოზიცია ნაციონალური უმცირესობებისადმი მეტად ლიბერალური დამოკიდებულების შედეგად მიიჩნევს და მთავრობას ურჩევს დაადგეს უფრო მტკიცე კურსს („კომუნისტი“ 1928. №257).

პარალელურად კომუნისტური პრესა საბჭოთა კავშირში ცხოვრების პოპულარიზაციას ეწევა:

ყოველი ხალხი თავისუფლებით სარგებლობს, სადაც კერძოთ უკრაინელები და ბელორუსები თავიანთი ქვეყნების ნამდვილი ბატონ-პატრონები არიან, აძლიერებს უკანასკნელთა პოლონელ თანამომხმეების მისწრაფებას თავისუფლებისაკენ. პოლონეთში მოქცეულ უკრაინელ და ბელორუსთა მშრომელი მასები, რომელნიც კლასობრივთან ერთად, ეროვნულ ჩაგვრას იტანენ, ისწრაფვიან საბჭოთა კავშირს დაუახლოვდნენ. პოლონეთის დიდმპყ-

რობელი ბურჟუაზია აბა ამას მოითმენს, როცა ის საერთოდ ვერ ურიგდება ეროვნულ უმცირესობისათვის რაიმე უფლებების მინიჭებას პოლონეთის ფარგლებში („კომუნისტი“ 1928. №258).

შემდეგ ისევ მოხმობილია პილსუდსკის მთავრობის მიერ ბელორუსთა დაჯგუფების, „გრომადის“ დევნის მაგალითი. ორგანიზაციის დახურვის, წევრების დაპატიმრების ფაქტები გაზეთს მოჰყავს პოლონეთში ფაშისტური რეჟიმის დასადასტურებლად. პროცესზე საბჭოთა წარმომადგენლების ხელმძღვანელობის დამამტკიცებელი ჩვენებებიც ყოფილა მიცემული. მართალია უარყოფდა საბჭოთა მთავრობა „გრომადის“ ხელმძღვანელობას პოლონეთს წინააღმდეგ აჯანყებაში, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, ნათელია, რა ხერხს მიმართავდა საბჭოთა კავშირი დემოკრატიულ სახელმწიფოებში კომუნისტური რეჟიმის და საბჭოთა გავლენის გასავრცელებლად.

გაზეთის ცნობით, ეროვნული უმცირესობის მორიგი დევნა დაიწყო ლვოვის სამხედრო სასაფლაოზე ლვოვის დაცვის დროს დაღუპულ პოლონელთა ძეგლის აფეთქების გამო. ეს გახდა პოლონელებსა და უკრაინელებს შორის სისხლისმღვრელი შეტაკებების საბაზი. ძეგლის აფეთქებას პოლონელების პროვოცირებულ ფაქტად ასახელებს უკრაინელი მოსახლეობის რეპრესიების განსახორციელებლად.

პილსუდსკი ოცნებობს საბჭოთა კავშირისაგან უკრაინის ჩამოგლეჯაზე და მის ბუფერულ სახელმწიფოდ გადაქცევაზე თავისი მფარველობის ქვეშ. პოლონელ იმპერიალისტებს სურთ საბჭოთა უკრაინა „გააბედნიერონ“, გაანთავისუფლონ ის მონობისაგან“, თუ როგორი ხასიათის იქნება ეს „თავისუფლება“, ყველასთვის ცხადია, ამას, სხვათა შორის, გვიჩვენებს პოლონეთში მყოფ უკრაინელების, ბელორუსების და სხვა ეროვნულ უმცირესობათა მძიმე ხვედრი. ასეთი ცდის წინააღმდეგ თავის დრო-

ზე (იუზეფსკის ცნობილ გამოსვლასთან დაკავშირებით) ამხედრდენ როგორც საბჭოთა უკრაინის, ისე მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები. უეჭველია, რომ ამ გეგმას გადაჭრით უარყოფს პოლონეთის უკრაინის მშრომელი მოსახლეობაც. მისი და პოლონეთის სხვა ნაციონალურ უმცირესობათა ბრძოლა მიმართულია პოლონელ დიდმპყრობლურ ბურჟუაზიის და ფაშისტების უღლის დამსხვრევისაკენ.

დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ერთად, პოლონეთში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება, დაამხოვს იმპერიალიზმსა და ფაშიზმს პოლონეთში („კომუნისტი“ 1928. №258).

უშედეგოდ ჩაიარა პოლონეთ-ლიტვის მორიგმა კონფერენციამ. კონფერენციაზე მხოლოდ გაზიარებულ იქნა ზალესკის წინადადება პოლონეთ-ლიტვას შორის მიმოსვლის საკითხის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ. აქვე საუბარია კომუნისტური გავლენის გაძლიერებაზე განაპირა ოლქებში, რაც მენშევიკური პოლონეთის ხელისუფლებას მეტად სერიოზულ საფრთხედ მიაჩნია. ძველ სოციალისტურ პარტიას გამოეყო ახალი ჯგუფი, რომელმაც შეკრება მოაწყო კატოვიცაში („კომუნისტი“ 1928. №258).

უმნიშვნელო შედეგით დასრულდა პოლონეთ-ლიტვის საკითხისადმი მიძღვნილი კენიგსბერგის კონფერენციაც. კონფერენციაზე პოლონეთის წარმომადგენლები ცდილობდნენ კონფერენციის უშედეგობის ხაზგასმას და ამ მიზეზით მოითხოვდნენ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი განსახილველად გადაეცათ ერთა ლიგისათვის. პოლონეთის ამ მცდელობას ასუსტებდა ის გარემოება, რომ ვოლდემარასმა მიაღწია შეთანხმებას გაიმართოს მოლაპარაკება საქონლის გაცვლა-გამოცვლის საკითხის გამო ყოველგვარი პოლიტიკური საკითხების გარეშე. ვოლდემარასი

კენისგსბერგის კონფერენციას მთლად უნაყოფოდ არ მიიჩნევდა იმის მითითებით, რომ მოხდა შეთანხმება ადგილობრივი მიმოსვლის შესახებ სადემარკაციო (გამყოფი) ხაზის გზით („კომუნისტი“ 1928. №260). ზალესკი გერმანული გაზეთის წარმომადგენლებთან საუბარში აღნიშნავს, რომ დეკემბერში შეკრებილი ლიგის საბჭო, ექსპერტთა კომისიას დაავალებს პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებას სადავო საკითხებში. ფრანგული ოფიციალური პრესა ვოლდემარასს აბრალებს კონფერენციის უშედეგოდ დასრულებას და ვინაიდან უშუალო მოლაპარაკება მიზანს ვერ აღწევს, ერთა ლიგამ ექსპერტთა კომისიას უნდა დაავალოს საკითხის პრაქტიკული მოგვარება. კოვნოს გაზეთებში ვოლდემარასი კი პოლონეთს ადანაშაულებს იმაში, რომ ლიტვას აიძულებდა ვილნო დათმობას („კომუნისტი“ 1928. №261). ერთა ლიგის საბჭოს მორიგ სხდომაზე ვოლდემარასი აკეთებს შემდეგ განცხადებას:

წყარო, რომელიც კვებავს კონფლიქტს, არის ოცნება 1772 წ. საზღვრებზე, რომ პოლონეთი ჯერ კიდევ შეპყრობილია ამ ოცნებით, ამას ამტკიცებს არა მარტო მისი დამოკიდებულება ლიტვასთან, არამედ პეტლიურას მომხრებთან დამოკიდებულების მთელი ისტორიაც. ეს ისტორია მოწმობს, რომ პოლონეთი ცდილობს უკრაინა გადააქციოს პოლონეთის ტერიტორიად, სრულებით უსაფუძვლოა არგუმენტი პოლონელებისა, რომელნიც ამბობს: საბჭოთა მთავრობამ 1918 წელს განაცხადა, რომ იგი არა სცნობს პოლონეთის დაყოფის აქტს, ამით მან იცნო 1772 წლის საზღვრებით. პოლონელებს ავიწყდებათ, რომ ამ დეკრეტში ლაპარაკია იმ ერების თვითგამორკვევის უფლების შესახებ, რომელნიც სცხოვრობენ პოლონეთის ტერიტორიაზე. მოსკოვის ხელშეკრულებაში საბჭოთა მთავრობამ სცნო ლიტვის უფლება ვილნოს ოლქზე, პოლონეთსა და ლიტვას შორის წარმომონილი კონფლიქტის წყარო პოლონეთის მთავრობის პოლიტიკური

პროგრამა. ლიტვა იბრძვის არა ვილნოსთვის, არამედ თავის დამოუკიდებლობისათვის: ლიტვა ან უკან დაიბრუნებს ვილნოს და უზრუნველყოფს თავის დამოუკიდებლობას ან სრულებით დაჰკარგავს დამოუკიდებელ ტერიტორიას და მოექცევა პოლონეთის ბატონობის ქვეშ („კომუნისტი“ 1928. №289).

პოლონელთა მოთხოვნა ექსპერტთა საბჭოს გადასცემოდა პოლონეთ-ლიტვის საკითხი განსახილველად, ჩაიშალა, რაც ერთგვარად ვოლდემარასის პოლიტიკის გამარჯვებას ნიშნავდა („კომუნისტი“ 1928. №292).

ერთა ლიგის სესიაზე, განიხილებოდა პოლონეთის ზემო სილეზიის გერმანული მოსახლეობის საკითხიც. სილეზიის კუთვნილების საკითხი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, უფრო რეზონანსული გახდა, ვინაიდან ევროპის სახელმწიფოების მიზანი გერმანიის ყოველმხრივ დასჯა/დასუსტება იყო. ჩატარებულმა პლემბისციტმა მათთვის სასურველი შედეგი არ აჩვენა. უმაღლესმა საბჭომ ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი: ინგლისი გერმანიისთვის გადაცემას ითხოვდა იმ მიზეზით, რომ უამისოდ ვალებს ვერ გადაიხდისო, საფრანგეთი კი თხოულობდა ამ რაიონის პოლონეთისთვის გადაცემას. განხეთქილების ასაცილებლად საკითხის გადაწყვეტა დაევალა ერთა ლიგის ოთხ ნეიტრალურ სახელმწიფოს. კომისიამ იმუშავა ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მცხოვრებლებს ანდობდა სილეზიის ბედს. რადგან სილეზია, რომელიც სამთო-სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა და მდიდარი იყო ქვანახშირით და სხვა მადნებით თუ ქარხნებით, არ უნდოდათ გამარჯვებულ სახელმწიფოებს გერმანიისთვის დაეტოვებინათ, ორ ნაწილად გაყვეს იმის მიხედვით თუ რომელ რაიონში, ვის სასარგებლოდ იყო ხმები მიცემული. ამგვარად პოლონეთს მიეკუთვნა პლესის, კატოვიცას, კონიგს-

ჰუტეს, ბეუტინის მაზრები. ერთა ლიგამ შეიმუშავა სილეზიის ეკონომიკური ცხოვრების წესები. ამ დადგენილების ძალით უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება პოლონეთსა და გერმანიას შორის. საფრანგეთის პრემიერმა ეს შეაფასა როგორც გერმანიისთვის აღმოსავლეთის არსენალის ჩამორთმევის ფაქტი. ეს იყო ერთა ლიგაში საფრანგეთის პოლიტიკის გამარჯვების ფაქტი („თავისუფალი საქართველო“ 1921. №12: 13-16). 1928 წლისათვის გერმანელ მოსახლეობას მათი უფლებების დარღვევის თაობაზე 9 პეტიცია შეუტანია ერთა ლიგაში განსახილველად. სხდომის დაწყებისთანავე გერმანიის დელეგაციას განუცხადებია, რომ გერმანია არ არის დაინტერესებული გერმანელი მოსახლეობის უფლებათა დარღვევის გამო დაუსრულებელი დავის გამართვით პოლონეთთან, არამედ სურს შეთანხმების მიღწევა ამ საკითხთან დაკავშირებით. ზალესკის განცხადებით „პეტიციის ინიციატორი – „დოიჩერ ფოლკსბუნდი“ – არის „სახელმწიფო ღალატისა და ეკონომიური ჯაშუშობის ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს ზემო სილეზიის ეკონომიური კონსოლიდაციის შეფერხებას. ამგვარი ორგანიზაციის მოქმედების მოთმენა მომავალში საფრთხეს შეუქმნიდა მშვიდობიანობას აღმოსავლეთ ევროპაში“, შტრეზემანის აღშფოთება გამოიწვია:

ზალესკის პირითო ლაპარაკობდა სიძულვილი გერმანული უმცირესობისადმი და სურვილი – ჩაჰკლან ის ბრძოლა, რომელსაც ეს უმცირესობა აწარმოებს ერთა ლიგის მიერ უზრუნველყოფილ უფლებებისათვის, პეტიციის საქმიანი გარჩევის ამგვარ პოლემიკით გადაქცევის ცდა შეიძლება ავხსნათ მხოლოდ რაიმე პოლიტიკური მიზეზებით, სახელმწ. ღალატი, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ზალესკი, ზოგჯერ იგივეა, რაც სამშობლოს სიყვარული. ამ გრძნობის ზეგავლენით მრავალ იმათგანს ვინც აქ ზის ჩაუდენია ის, რასაც ზალესკი სახელმწიფო ღალატს უწო-

დებს, გერმანული მოსახლეობის დევნა-შევიწროების მოთმენა აწ აღარ შეიძლება, რომ ლიგას თავისი მომავალი მოღვაწეობის საფუძვლად მიეღო ზალესკის თვალსზრისი ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ, იგი ამით დაასამარებდა თავის ერთ უმთავრეს იდეას – ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას, რაც ლიგამ იკისრა. ეს აიძულებდა ზოგიერთ ხალხებს გადაესინჯათ ის მიზეზები, რომელთაც აიძულებს იგი ერთა ლიგაში შესულიყო („კომუნისტი“ 1928. №291).

გაზეთის ფურცლებზე კვლავაც აქტუალურია ლვოვის მოვლენები, სადაც გრძელდებოდა დაპირისპირება უკრაინელებსა და პოლონელებს შორის. პოლონელმა სტუდენტებმა გადაწყვიტეს არ შეეშვათ უკრაინელი სტუდენტები უნივერსიტეტებში. პოლონელმა სტუდენტებმა დააპატიმრეს 80 უკრაინელი სტუდენტი და ჟურნალ „დილო“-ს თანამშრომელი ქალი მეორე სართულიდან გადმოაგდეს. ლვოვის ვოევოდამ ყველაფერში უკრაინელები დაადანაშაულა. ამით აღშფოთებულმა უკრაინელებმა სეიმში მოითხოვეს საგამოძიებო კომისიის შექმნა, ვოევოდას¹³ გადაყენება და ფულადი ზარალის ანაზღაურება. შინაგან საქმეთა მინისტრმა სლადკოვსკიმ ლვოვის ამბებში უკრაინელებს დააკისრა პასუხისმგებლობა და დაამატა, რომ მთავრობას ყოველგვარი ძალა აქვს წესრიგის დასამყარებლად. უკრაინელმა დეპუტატებმა სეიმის სხდომაზე, პროტესტის ნიშნად წამოდგნენ და უკრაინის ნაციონალური ჰიმნი იმღერეს („კომუნისტი“ 1928. №260). კომფრაქციის წარმომადგენელმა ბიტნერმა კი პოლონეთი ეროვნულ უმცირესობათა საპატიმროდ გამოაცხადა („კომუნისტი“ 1928. №265). უკრაინელთა ორგანიზაციებს დაბრალდა აგრეთვე, „სლოვო პოლლსკეს“ და „კურიერ ილიუსტრიროვანი“-ს რედაქციაში

¹³ ლვოვის ვოევოდა ოგოლუხოვსკი („კომუნისტი“ 1928. №265).

მომხდარი ტერორისტული აქტები („კომუნისტი“ 1928. №285). ამ მიზეზით ხელისუფლებამ დააპატიმრა 40-ზე მეტი უკრაინელი („კომუნისტი“ 1928. №286).

როგორც ირკვევა, საბჭოთა კავშირი აფინანსებდა გაფიცვებს პოლონეთში. მას შემდეგ, რაც პოლონეთის ფოსტამ არ გადასცა საბჭოთა კავშირის მიერ ლოდის მუშებისთვის გაგზავნილი ფულადი დახმარება, სეიმის კომფრაქციას გაუგზავნა 10 000 დოლარი გაფიცულთა დასახმარებლად, ასევე დახმარება მიუღიათ გაფიცულებს გერმანიიდან და ჩეხოსლოვაკიიდან („კომუნისტი“ 1928. №269).

ანტიპოლონური საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად, კვლავ აქტუალური გახდა ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის აუცილებლობა. ბლოკის შექმნის მიზნით რუმინეთის მთავრობა მოლაპარაკებებს მართავდა საფრანგეთთან. ამ ბლოკში უნდა გაერთიანებულიყო პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, სამხრეთ სლავია („კომუნისტი“ 1928. №270). პოლონეთსა და რუმინეთს, პოლონეთსა და უნგრეთს შორის კავშირის დამყარება ორივე მხარისთვის იყო ერთი მხრივ, რუსეთის აგრესიისგან დაცვის საშუალება, მეორე მხრივ, ისახებოდა პოლონეთის შუამავლობით რუმინეთ-უნგრეთის კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა. ყველაზე დიდი საფრთხე რუმინეთს რუსეთისგან მოელოდა, რომელიც ვერ ურიგდებოდა ბესარაბიის დაკარგვას. ამასთან, ბესარაბიის უკრაინელი მოსახლეობა ან უკრაინის დამოუკიდებლობით იყო გამსჭვალული, ან უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისადმი სიმპათიით იყო გატაცებული („კომუნისტი“ 1928. №281).

გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე კიდევ ერთი სამთავრობო ცვლილების შესახებ იტყობინება გაზე-

თი, რასაც პოლონეთის შემდგომ ფაშიზაციას უწოდებს. სამთავრობო ცვლილებები აღქმულ იქნა ბარტელის „ზომიერი“ ჯგუფის დამარცხებად და ფაშისტური რეჟიმის მხარდამჭერი სვიტალსკის მთავრობის შედგენად, სეიმის ძალაუფლების შემცირებად, პილსუდსკის მიერ სეიმის გამათრახებად. გაზეთს პოლონეთში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი: მრეწველობის დაცემა, უმუშევრობის გაზრდა, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა დიქტატორულ-ფაშისტური მმართველობა, ესახება პილსუდსკის ხელისუფლების დამხობის გზად („კომუნისტი“ 1929. №90).

არსებული პოლიტიკური ვითარების და პოლონეთ-საფრანგეთის სახელმწიფო ინტერესების პარალელიზმის გათვალისწინებით, მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად და სამხედრო კავშირის გასამლიერებლად პოლონეთსა და საფრანგეთს შორის გაფორმდა სამხედრო კონვენცია („კომუნისტი“ 1929. №120).

ანტისაბჭოთა გაერთიანების შექმნასთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლებას მოსვენებას უკარგავდა მოკავშირეების ყოველგვარი შეკრება. მათ შორის, მმართველი წრეების გაღიზიანება გამოიწვია პოლონეთში საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებასა და უკრაინის მეთაურ პეტლიურას პანაშვიდზე (პეტლიურა იყო პოლონეთის მოკავშირე) პოლონეთის ოფიციალური წარმომადგენლების დასწრებამ. საბჭოთა ელჩმა პოლონეთში ბოგომილოვმა პროტესტი განუცხადა პოლონეთის მთავრობას ანტისაბჭოთა ემიგრანტული ჯგუფების მფარველობის გამო. საპასუხოდ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვისოცკიმ ბოგომილოვის პროტესტი, პოლონეთის შინაურ საქმეებში დაუშვებელ ჩარევად გამოაცხადა. ელჩის პროტესტს პოლონეთის საშინაო საქმეებში უხემ ჩარევად აცხადებენ

პოლონური ოფიციალური გაზეთებიც. ამ განცხადებით გალიზი-ანებული რუსული გაზეთი „იზვესტია“ პოლონურ ოფიციალურ გაზეთებში გამოთქმულ მოსაზრებებს სისულელეს უწოდებს და სვამს კითხვას – როდის მერე გახდა საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა უკრაინის სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხი პოლონეთის შინაურ საქმედ? „იზვესტია“ ასკვნის, მსგავსი შეკრებები ემსახურებოდა საქართველოს საბჭოთა კავშირისგან ჩამოშორების პოლიტიკას („კომუნისტი“ 1929. №129). გაზეთი ასევე ცდილობს სენტიმენტების აღძვრა-გაძლიერებას მკითხველებში და არაერთი პუბლიკაცია ქვეყნდება ამ ფაქტთან დაკავშირებით მასშტაბური გამოხმაურებების შესახებ საქართველოს მშრომელებში. ხაზგასმით უთითებს, რომ კრებებმა და მიტინგებმა მიიღო ოქტომბრის მონაპოვარის დაცვის სახე და ფაქტი საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად გამოაცხადეს („კომუნისტი“ 1929. №129, №132, №133, №135, №136). ამასთან მშრომელებს გაუმართავთ დემონსტრაცია პოლონეთის საკონსულოს წინ საკონსულოს საბჭოთა საქართველოდან გაძევების მოთხოვნით („კომუნისტი“ 1929. №133).

გაფიცვების ფონზე საქართველოში არალეგალური გზით ჩამოდის პოლონეთის, დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის მუშათა და გლეხთა 9 კაციანი დელეგაცია საბჭოთა აღმშენებლობის გასაცნობად, ვინაიდან დელეგაციის წარმომადგენლების მითითებით, პოლონეთის პრესა არასწორ ინფორმაციას ავრცელებდა საბჭოთა კავშირის შესახებ („კომუნისტი“ 1929. №192).

მათ საშუალება ექნებათ საკუთარი თვალით დარწმუნდნენ, თუ რას წარმოადგენს საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა. საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მაგალითით.

დარწმუნდებიან იმაში, რომ ნამდვილი ეროვნული თავისუფლება, ყველა ხალხთა ნამდვილი ნაციონალური შემოქმედების გაშლა-განვითარება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოებრივ წყობილების პირობებში („კომუნისტი“ 1929. №190).

დელეგაციის თავმჯდომარე ოტო მაცის თქმით, დელეგაციამ გამოარკვია, რომ პოლონეთში ბურჟუაზია თავისი ინტერესებისთვის მტკნარ სიცირუეს ავრცელებს. ასევე, პოლონური პრესის არასწორ იდეოლოგიურ პროპაგანდაზე მიუთითებს პოლონელ მშრომელებში დელეგაციის მდივანი სტანისლავ ლანცუცკიც. მისივე აღნიშვნით, დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის

განსაკუთრებით საინტერესოა საბჭოთა კავშირი, როგორც ისეთი ქვეყანა, სადაც აღარ არსებობს ეროვნული ჩაგვრა და შური... აღმშენებლობის ისეთის სწრაფი ტემპი, როგორიცაა საბჭოთა კავშირში, მე თამამად შემიძლია განვაცხადო, სრულიად უცნობია კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. ჩვენ ჩამოვიართე მოსკოვი, ხარკოვი, როსტოვი, ვინახულეთ მრავალი საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები და ყველგან მიღებული შთაბეჭდილებები ადასტურებენ იმას, რასაც მე აქ ვამბობ („კომუნისტი“ 1929. №192).

პოლონეთში არათუ აგებენ ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, არამედ რაც არის იმასაც ხურავენ, რასაც იწვევს სახალხო მეურნეობის კრიზისი. მძიმეა მუშების მდგომარეობა.

ევროპა და პოლონეთის ბურჟუაზია ომის ენერგიული მზადების პროცესში აქტიურად იყენებენ საბჭოთა კავშირიდან გადახვეწილ ემიგრაციას. ამ მხრივ ქართული ემიგრაციის წვლილია აღნიშნული, რომელიც დიდ სამსახურს უწევდა პოლონეთის ხელისუფლებას („კომუნისტი“ 1929. №192).

საქართველოდან გადახვეწილი ემიგრაცია და პოლონეთის ფაშისტური მთავრობის აგენტები ავრცელებდნენ ხმებს, რომ საქართველოში გამეფებულია რუსული ენა, ქართველებს სდევნიან, ქართულ სკოლებს ხურავენ, ქართველებს, ართმევენ საარჩევნო ხმის უფლებას და ამიტომ „ჰუმანიურობის“ სახელით ისინი მოითხოვენ საქართველოს განთავისუფლებას“.

ამავე დროს პოლონეთში უმაგალითოდ დევნიან ადგილობრივ ეროვნულ უმცირესობებს. ბურჟუაზიული პრესა არაფერს წერს ამაზე... („კომუნისტი“ 1929. №192).

დელეგაცია საქართველოში სპეციალურად საბჭოთა კავშირის მიერ ქართველების ჩაგვრის ფაქტების ადგილზე გადამოწმების მიზნით ჩამოვიდა. გამგზავრების წინ დელეგაციამ უდიდესი აღფრთოვანება გამოთქვა „იმ სოციალისტური აღშმენებლობის გამო, რომელიც სწარმოებს მთელ საბჭოთა კავშირში და კერძოდ, საქართველოში... თუ პოლონეთის ფაშიზმი შეეცდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებას, პოლონეთის მუშათა კლასი ამ ომს გამოიყენებს პოლონეთის ფაშისტური წყობილების დასამხობად“ („კომუნისტი“ 1929. №192).

ასეთივე განწყობა აღინიშნა ამერიკელი და პოლონელი ემიგრანტების თბილისში ჩამოსვლისას

თუ კაპიტალისტები თავს დაესხმიან საბჭოთა კავშირს, ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მუშები იარაღს მოაბრუნებენ მუშათა კლასის საერთო მტრის – ბურჟუაზიის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის მუშებთან ერთად ამ ომს გადააქცევენ სამოქალაქო ომად – კაპიტალისტური წყობილების მოსასპობად („კომუნისტი“ 1930. №184).

გაზეთი კვლავაც ცდილობს ამტკიცოს თუ როგორ კრიზისში აღმოჩნდა პანების მმართველობის შედეგად პოლონეთი.

ამჯერად შევეხები სტატიას სათაურით „რა ხდება პოლონეთის უკრაინაში“. სტატიაში აღნიშნულია, რომ პოლონეთის უკრაინაში არსებული მდგომარეობით თვალსაჩინოდება პოლონეთის სამეურნეო კრიზისი და კლასიურ-ნაციონალური პოლიტიკა. სამრეწველო ცხოვრების რღვევას წარმოებების ერთი მესამედით შემცირებას უმუშევართა ზრდა მოჰყვა. უფრო მძიმე მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების მკვეთრი დაცემა შეინიშნება, რაც მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს არ უკავშირდება, პოლონეთი გლეხობის მდგომარეობის შედეგაცაა. უმიწობა და მცირემიწიანობა, გადასახადები და დავალიანება, ბანკები და მევახშეები, ფეოდალური ურთიერთობები, მშრომელ გლეხობას განადგურებას უქადიან. მთლიანად პოლონეთში გლეხობის მდგომარეობა უმძიმესია. „გაცილებით აუტანელია მისი ხვედრი ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში – დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში... მიწის უკიდურესი სიმცირის და უქონლობის გამო გლეხობა იძულებულია მემამულეებთან ბატონყმურ პირობებში იმუშაოს. ამასთან, დასავლეთ უკრაინაში მშრომელ გლეხობის ეს კლასიური ჩაგვრა მკაფიოდ გამოხატულ ნაციონალურ ხასიათს ღებულობს“.

მითითებულია დასავლეთ უკრაინის სამხედრო კოლონიზაცია, რომელსაც ანტისაბჭოთა მიზნებს უკავშირებას:

პოლონეთის მილიტარისტები ოცნებობენ საბჭოთა უკრაინისა და ბელორუსიის ჩამოგლეჯაზე და მათი პოლონეთის კოლონიებად გადაქცევაზე. ამისთვის პოლონელ ავანტიურისტებს ესაჭიროებათ სოციალური ბაზა პირველ ყოვლისა ჩვენს მოსაზღვრე რაიონებში, დასავ. უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში, ასეთ ბაზად მათ, რა თქმა უნდა, არ გამოადგებოდათ უკრაინელები და ბელორუსეები, რომელნიც პოლონეთში აუტანელ კლა-

სიურ და ნაციონალურ ჩაგვრას განიცდიან და იმედით შეჰყურებენ საბჭოთა კავშირს. და აი, პოლონეთის მმართველნი რუსეთის ყოფილი მეფის მთავრობის მსგავსად იქ ასახლებენ პოლონური ეროვნების ყოფილ თუ ახლანდელ სამხედრო პირთ („კომუნისტი“ 1930. №250).

ნაციონალურ უმცირესობათა მშრომელ მასების ორმაგი – ეკონომიკური და ეროვნული ჩაგვრა, ბუნებრივია, მათი მხრივ სასტიკ წინააღმდეგობას იწვევდა. ისინი წვავდნენ მემამულეთა და სამხედრო პირთა მეურნეობას. ექსპლუატატორების წინააღმდეგ გაიშალა სახალხო-რევოლუციური მოძრაობა. ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს, განსაკუთრებით დასავლეთ უკრაინაში. შემოღებულიქნა სადამსჯელო ექსპედიციები, დააპატიმრეს გლეხები, გადაწვეს სოფლები (იმოწმებს გაზეთ „დილოს“ ინფორმაციას).

უკრაინის ბურჟუაზია და სამღვდელოება ემიჯნება ამ მოძრაობას. უკრაინის მიტროპოლიტი გრაფი შეფტინსკი პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრს გენერალ სკლადკოვსკის სთხოვს რეპრესიები არ გავცელდეს უკრაინის სამღვდელოებასა და ბურჟუაზიაზე, ისინი კიცხავენ გლეხთა გამოსვლებს. შეპტიცკიმ მთავრობის გაზეთ „პრეს პორანნი“-ში გამოაქვეყნა განცხადება, რომ

უკრაინული თვალსაზრისით დანაშაულის ნაწილი დასავლეთ უკრაინაში შექმნილი მდგომარეობისთვის აწვება კომუნისტებს, რომელნიც უშუალოდ დაინტერესებული არიან უკრაინულ და პოლონურ საზოგადოებრიობას შორის ურთიერთობის გამწვავებით. კომუნისტების მოქმედებას, რომელიც კარგად მოსაზრებულია, მიზნად აქვს საერთო საფრთხისა საერთო მტრისაგან ყურადღების ჩამოშორება („კომუნისტი“ 1930. №250).

საერთო მტერში, გაზეთისავე მითითებით, იგულისხმება საბჭოთა კავშირი.

სტატია მტკიცება იმისა, რომ ერთადერთი ძალა, რომელიც იცავს მშრომელთა ინტერესებს, არის კომუნისტური პარტია. პოლონეთის კომპარტია დასავლეთ უკრაინის კომპარტიასთან ერთად, თავის ბრძოლად მიიჩნევდა უკრაინელი მშრომლების ბრძოლას მემამულეებთან, პოლონელ კოლონისტებთან და პოლონეთის საოკუპაციო რეჟიმთან. თავიანთი მიზანი პოლონეთის კომპარტიის რეზოლუციაში აქვთ გაცხადებული. პოლონეთისა და დასავლეთ უკრაინის კომპარტია უკრაინელ ხალხს მიუთითებდნენ პოლონეთის, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის საერთო ბრძოლაზე პოლონეთის ფაშიზმის დასამხობად. გაზეთი იმედოვნებს, რომ ეს მოძრაობა შედეგს გამოიღებს და დაემხობა პოლონეთის ფაშისტური სახელმწიფო („კომუნისტი“ 1930. №250). აქტიური კომუნისტური პროაგანდაა გაჩაღებული.

მეზობლებთან ურთიერთობის დამყარების მიზნით პოლონეთი ხელშეკრულებას აფორმებს გერმანიასთან. ეს აქტი საგარეო საქმეთა მინისტრის ბეკის მითითებით სახელმწიფოებმა შეაფასეს როგორც უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენა ომისშემდგომ ევროპის მშვიდობიანი თანაცხოვრების შექმნის გზაზე („კომუნისტი“ 1933. №16). თუმცა, გერმანიის ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლა პოლონეთში შიშის ფაქტორს იწვევს. ვინაიდან ჰიტლერს თავის პროგრამაში შეტანილი ჰქონია პომორიეს პოლონეთისგან ჩამოცილება. „ჩვენ ამჟამად უნდა ვიკითხოთ – სურს თუ არა კანცლერ ჰიტლერს ჩვენთან ომი, ვინაიდან მშვიდობიანობის გზით პომორიეს იგი ჩვენგან არ მიიღებს“ – განაცხადა სეიმის სხდომაზე დეპუტატმა არციშევსკიმ. მდგომარეობის შესაბამისად აყენებს პომორიეს დაუყოვნებლივ გამაგრების საკითხს („კომუნისტი“ 1933. №33). საგანგებო დემონსტრაცია გაი-

მართა გდანსკში ჰიტლერის განცხადების საპასუხოდ. დემონსტრანტები შემდეგი ლოზუნგებით გამოვიდნენ: „ჩვენი პასუხი ჰიტლერს – არის ზარბაზნები და შამხანები“, ზღვის სანაპიროები ეკუთვნის, ეკუთვნოდა და მომავალშიაც ეკუთვნება პოლონეთს“ („კომუნისტი“ 1933. №44).

გართულებული საერთაშორისო ვითარების ფონზე, ფორმდება ოთხი სახელმწიფოს – ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას შორის რომში პაქტი საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ. ოთხი სახელმწიფოს პაქტის ძალაში შესვლა გამოიწვევს ერთა ლიგის ორგანიზაციულ კრიზისს („კომუნისტი“ 1933. №133, №134). ამგვარ შეფასებას უკეთებს გაზეთი პაქტის გაფორმებას.

გერმანიისა და პოლონეთის მწვავე წერტილი იყო პოლონეთის დერეფანი. დერეფანი გადაჭიმული იყო პოზნანის სავოევოდოდან ჩრდილოეთით ბალტიის ზღვამდე. ამ ზოლით გერმანიის ოლქი აღმოსავლეთ პრუსია მოწყვეტილი იყო დანარჩენ გერმანიისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზღვის ნაპირზე მდებარეობს ეგრეთწოდებული „თავისუფალი ქალაქი“ დანციგი (გდანსკი), პატარა სახელმწიფო 340 ათასი მცხოვრებით. თუმცა, მის დამოუკიდებლობას ზღუდავდა დანციგის საგარეო პოლიტიკის პოლონეთის ხელმძღვანელობა და პოლონეთის საბაჟო სისტემაში შედიოდა. ეს ტერიტორია ვერსალის საზავო ხელშეკრულებამდე ეკუთვნოდა გერმანიას. ვერსალის შეთანხმებით პოლონეთს გადაეცა ზღვაზე გასასვლელი, ამ მიზნით და გერმანიის შესასუსტებლად შეიქმნა პოლონეთის დერეფანი. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვების შემდეგ. პოლონეთი პრეტენზიას აცხადებს საკუთარ ისტორიული მიწა-წყლის სამართლებრივ უფლებებზე. ამასთან, დერეფნის მოსახლეობის უმრავლესობას პოლონელები

წარმოადგენდნენ. ამ ნიადაგზე გამწვავდა მდგომარეობა გერმანია-პოლონეთის საზღვართან. ორივე მხრიდან ჯარები იქნა მობილიზებული. პოლონეთ-გერმანიის წინააღმდეგობა უფრო გამწვავდა სენატის არჩევნებით, როდესაც ხელისუფლებაში უმრავლესობით ნაციონალ-სოციალისტების, ე.ი. „თავისუფალი ქალაქის“ გერმანიასთან შეერთების მომხრეების მოსვლის შემდეგ („კომუნისტი“ 1933. №136). „კომუნისტი“ გაზეთ „პრავდის“ ინფორმაციას აქვეყნებს, სადაც აღნიშნულია, რომ პოლონეთ-გერმანიის წინააღმდეგობის დაძლევა კაპიტალისტური ქვეყნები, მათ შორის, ინგლისი, ცდილობდნენ საბჭოთა კავშირის ხარჯზე. ინგლისელთა გეგმაც არის დასახელებული, პოლონეთისთვის ბელორუსიისა და საბჭოთა უკრაინის და გერმანიისთვის პოლონეთის დერეფნის და დანციგის გადაცემა. „პრავდა“ ამ საკითხში მშრომელი მასების აზრის გაუთვალისწინებლობაზე მიუთითებს. აღნიშნავს, რომ ორივე მიუღებელია პოლონეთის მშრომელი მასებისათვის – პოლონეთის იმპერიალისტების უღელქვემ დარჩენა თუ ფაშიზმის ძალაუფლების ქვეშ მოქცევა. ამ საკითხის სამართლიანი გადაჭრისთვის პროლეტარულ რევოლუციას ასახელებს, რომელიც მოუტანს როგორც ნაციონალურ, ისე სოციალურ თავისუფლებას („კომუნისტი“ 1933. №136).

1934 წლის 26 იანვარს თავდაუსხმელობის პაქტი გაფორმდა პოლონეთსა და გერმანიას შორის 10 წლის ვადით. გერმანული გაზეთების რწმუნებით ეს ხელშეკრულება ხელს არ შეუშლიდა პოლონეთ-საფრანგეთის შეთანხმებას და არც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული. ასეთივე აზრს გამოთქვამდა პოლონეთის მთავრობის ორგანო „გაზეტა პოლსკა“, სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს სერიოზულ ნაბიჯს მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ პოლონეთ-გერმანიის

საზღვარზე. გაზეთი აღმოსავლეთის ლოკარნოდ ასახელებს ხელშეკრულებას. თუმცა, უფრო რეალური იყო ჩეხოსლოვაკიის პრესის აზრი ხელშეკრულების თაობაზე „საბუთი არ გვაქვს ჰიტლერის მშვიდობისმოყვარეობა დავიჯეროთ“. ჩეხოსლოვაკიის პრესით, ხელშეკრულება გერმანიის მანევრი იყო, რომლის მიზანია პოლონეთის საფრანგეთის პოლიტიკიდან ჩამოცილება. ინგლისიც საფრანგეთ-პოლონეთის კავშირის დასასრულად მიიჩნევდა. საფრანგეთის პოლიტიკური წრეების უკმაყოფილება დადასტურდა ფრანგულ პრესაში („კომუნისტი“ 1934. №26).

უფრო დაიძაბა საფრანგეთ-პოლონეთს შორის ურთიერთობა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის შეთანხმების გაფორმებით. დაძაბული ურთიერთობის განმუხტვა შეძლო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავალმა ვიზიტის დროს. ვიზიტმა ხელი შეუწყო „საფრანგეთ-პოლონეთის ურთიერთობის ატმოსფეროს დაწმენდას“. ლავალმა დაამტკიცა, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგებოდა თავდაუსხმელობის შეთანხმებებს, გაფორმებულს პოლონეთ-გერმანიასა და პოლონეთ-საბჭოთა კავშირს შორის. ფრანგული გაზეთები ბეკის თავშეკავებულ განცხადებაზე ამხვილებენ ყურადღებას, რასაც ბერლინის განწყობილების ანგარიშის გაწევას უკავშირებენ („კომუნისტი“ 1935. №111; №112). პოლონეთს აშინებდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება. ეს შიში არ იყო უსაფუძვლო: ერთი მხრივ, მისი გვერდის ავლით მყარდება სახელმწიფოებს შორის კავშირი და პოლონეთი ერთგვარ იზოლაციაში აღმოჩნდა, მეორე მხრივ, სულ უფრო და უფრო იზრდება საბჭოთა კავშირის გავლენა. ურთიერთობის დათბობის გამოხატულებას წარმოადგენს ლავალის და პეტენის

განცხადება პილსუდსკის დაკრძალვაზე დასწრების შესახებ („კომუნისტი“ 1935. №111).

1935 წლის 12 მაისი პოლონეთის ისტორიაში მძიმე თარღია. გარდაიცვალა ეროვნული გმირი იუზეფ პილსუდსკი. პოლონეთში ეროვნული გლოვის დღე გამოცხადდა. ქვეყნის ყველა წერტილიდან თუ სხვადასხვა სახელმწიფოებიდან უამრავი სამძიმრის წერილები მოდიოდა. პოლონური პრესა მთავარ გვერდებს უთმობდა პილსუდსკის ვრცელ და შთამბეჭდავ ბიოგრაფიას. „კომუნისტი“ აქვეყნებს რა პილსუდსკის ბიოგრაფიას აღნიშნავს:

პილსუდსკის ხელთ ეპყრა მთელი ძალაუფლება და წარმოადგენდა პოლონეთში გაბატონებული რეჟიმის იდეურ ხელმძღვანელს. იგი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და სიკვდილამდე პოლონეთის სახელმწიფოს პოლიტიკის წარმმართველი იყო („კომუნისტი“ 1935. №111).

ქვეყნდება კ. რადეკის „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული წერილი „მარშალ იუზეფ პილსუდსკი“. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პილსუდსკი არის ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მეზრძოლი:

იმ ადამიანის საფლავზე, რომლის ერთადერთი აზრი იყო პოლონეთის დამოუკიდებლობა და სიდიადე, როგორც მას ესმოდა, – ჩვენი საქმეა ხელი გავუწოდოთ პოლონეთის ხალხს და ვუთხრათ: პოლონეთს საბჭოთა კავშირის მხრივ არაფერი არ ემუქრება („კომუნისტი“ 1935. №112).

საყურადღებოა, რომ „იზვესტია“ პილსუდსკის ეროვნული გმირად ასახელებს და სწორედ ამ ეროვნული გმირის საფლავზე ჰპირდება, რომ საბჭოთა კავშირი არ დაარღვევს პოლონეთის სიმ-

შვიდეს. ამასთან, წერილში იკვეთება პოლონეთის როლი ევროპის მშვიდობიანობის საკითხში:

პოლონეთის და საბჭოთა კავშირის მეგობრობას, რომელსაც ჩვენ მხურვალედ ვესწრაფვით, შეუძლია იხსნას აღმოსავლეთ ევროპა დიდი ქართველიდან და შეუძლია გახდეს მშვიდობიანობის ქვაკუთხედად მთელ ევროპაში („კომუნისტი“ 1935. №112).

„კომუნისტი“ ყურადღებას ამახვილებს გერმანული გაზეთების პილსუდსკის ბიოგრაფიისადმი მიძღვნილი წერილების მრავალრიცხოვნობაზე. წერილებში ხაზგასმულია გერმანია-პოლონეთის დაახლოების საქმეში პილსუდსკის დამსახურება. სწორედ, ეს გარემოებაა გამოკვეთილი ჰიტლერის სამძიმრის დეპეშაშიც, რომელიც გაუგზავნია პოლონეთის პრეზიდენტისთვის („კომუნისტი“ 1935. №112).

მას შემდეგ, რაც პოლონეთ-გერმანიის საზღვარზე სამხედრო მობილიზება გამოიკვეთა, დანციგის პრობლემას ერთა ლიგაში საგანგებო სხდომები ეძღვნებოდა, რომლის მიზანი იყო საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვა. ფაშისტების მიერ დანციგში ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ კი იმატა საჩივრებმა ტერიტორიულ-კონსტიტუციურ გარანტიათა და დემოკრატიული ღირებულებათა დარღვევების თაობაზე. საფრანგეთის წარმომადგენელი ლეჟე მხარდაჭერას უცხადებდა ყოველგვარ ზომას, რომელიც ხელს შეუწყობდა დანციგის მოსახლეობის კონსტიტუციური ინტერესების დაცვას. გაზეთში აღნიშნულია პოლონეთის საგარეო მინისტრის ბეკის ლმობიერება დანციგის საკითხებში. ლიგის საბჭოს საერთაშორისო ვალდებულებათა დაცვისაკენ მოუწოდებდა საბჭოს სხდომაზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ლიტვინოვი. საკითხის გადაწყვეტა ერთა

ლიგის პრესტიჟად გამოაცხადა თურქეთის წარმომადგენელმა. დანცივის მთავრობის წარმომადგენელი უარყოფდა მრავალი საბუთით დადასტურებული ფაქტების არსებობას („კომუნისტი“ 1936. №19).

„პოლონეთი ჰიტლერთან დარჩა“ ამგვარი სათაურით გამოქვეყნებული კორესპონდენცია თვალსაჩინოდ წარმოაჩენს პოლონეთის მდგომარეობას, მის იზოლაციაში მოქცევას და კავშირების ძიებას. მიუხედავად საგარეო მინისტრის ბეკის განცხადებისა, პოლონეთის ინტერესების შესახებ საკითხების განხილვა პოლონეთის გარეშე არ ხდებოდა, პოლონეთის გვერდის ავლით იდება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რუმინეთი უახლოვდება საბჭოთა კავშირს. ამის მიუხედავად გაზეთი ასახელებს პოლონეთის გერმანიასთან დაახლოებას. აქვე მოჰყავს პოლონური გაზეთის „რობოტნიკის“ ინფორმაცია საფრანგეთ-ინგლისის მოლაპარაკების შესახებ, რომელიც აძლიერებს საბჭოთა კავშირის პოზიციებს და ამნელებს ჰიტლერის აღმოსავლეთისკენ გალაშქრების გეგმებს. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი საფრანგეთის მოკავშირეა, ეს ყველაფერი პოლონეთის გვერდის ავლით ხდება. პოლონეთი ჰიტლერთან დარჩა („კომუნისტი“ 1936. №35). საბჭოთა კავშირ-პოლონეთს შორის გაუგებრობისა და უთანხმოების მოსპობის საშუალებად სახელდება ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულება („კომუნისტი“ 1936. №139).

1938 წლისათვის პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე უფრო დამაბული მდგომარეობის შესახებ იტყობინება გაზეთი „კომუნისტი“. ინფორმაციის მიხედვით, პოლონელებმა მოაწყვეს პროვოცირება, პოლონელი ჯარისკაცი გადავიდა ლიტვის ტერიტორიაზე და გაფრთხილების საპასუხოდ გაისროლა, გაისროლა

ლიტველმა პოლიციელმაც და სასიკვდილოდ დაჭრა პოლონელი. ეს ფაქტი სახელდება პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულების გამწვავების საბაზად. ეს ინციდენტი პოლონეთში ანტი-ლიტვეური კამპანიის გამწვავების საბაზი გახდა. გაზეთის ინფორმაციით, ვარშავასა და სხვა ქალაქებში გამართული შოვინისტური დემონსტრაციები ლიტვის პირდაპირი დაპყრობის მოთხოვნით, ხაზს უსვამენ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ პოლონეთის მილიტარისტებს სურთ შექქმნან აღმოსავლეთ ევროპაში ომის წინასწარი ატმოსფერო.

სავსებით საფუძვლიანია ვივარაუდოთ, რომ პოლონეთის პროვოკაცია ლიტვის მიმართ აგრესორთა ერთიანი გეგმის ნაწილს წარმოადგენს. დარწმუნდა რა მასში, რომ ინგლისის მთავრობის მეთაური აქეზებს ხელშეკრულების დარღვევებს და „მომხდარ ფაქტთა“ პოლიტიკას, აგრესორთა ბლოკმა დიდი ძალები გადაისროლა ესპანეთში, ფაშისტურმა გერმანიამ დაიპყრო ავსტრია, პოლონეთს კი აღმოსავლეთ ევროპაში პოლონეთ-ლიტვის პროვოცირების გზით, ომის გამჩაღებლის როლი აქვს მიკუთვნებული. ამჟამად ძნელია გამორკვევა იმისა, საქმე ეხება პოლონეთის ტერიტორიულ კომპენსაციას, აგრესორებისთვის სამსახურის გაწევისთვის, თუ ამ ეტაპზე პოლონეთს მინდობილი აქვს კონფლიქტის გამწვავება, რომლის შედეგები ჯერ თვითონ აგრესორებსაც არ აქვთ გათვალისწინებული („კომუნისტი“ 1938. №63).

პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით პოლონეთის მთავრობა წაუყენებს ულტიმატუმს ლიტვას, რომელიც მთელ რიგ მოთხოვნებს შეიცავდა. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში პოლონეთი იმუქრებოდა, რომ „საკუთარი საშუალებებით გადაჭრიდა დავას“. ინგლისის პრესა პოლონელთა ჯარის საზღვარზე მზადყოფნაზე მიუთითებდა. ფრანგული პრესა კი აღნიშნავდა, რომ ლიტვის საწინააღმდეგო კამპანია

გერმანიის თანხმობით წარმოებდა, გერმანია ჰპირდებოდა დახმარებას ლიტვის დაპყრობის დროს. ლიტვის მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას დააკმაყოფილოს პოლონეთის მთავრობის მოთხოვნები და დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა პოლონეთთან. როგორც ჩანს, პოლონეთის ერთ-ერთი მოთხოვნა ვილენის რაიონის პოლონეთის დაქვემდებარებაში ცნობა იყო. ალბათ ამით არის განპირობებული ინფორმაციის სათაური „პოლონელ მტაცებელთა მოთხოვნა“. გაზეთი მოიხმობს პოლონეთის მემარჯვენე-ოპოზიციური გაზეთის „ნოვა პრავდას“ ინფორმაციას ჰიტლერის ინტერვიუს შესახებ, რომელიც მიუცია „დეილი მიილის“ კორესპონდენტთან: „მე მზად ვარ აღვიარო, რომ პოლონეთს ესაჭიროება გასავალი ზღვისკენ, მაგრამ მე მწყინს, რომ ეს გასავალი ზღვისკენ უნდა განხორციელდეს იმ კორიდორით, რომელიც გერმანულ ტერიტორიას ეკუთვნის“ („კომუნისტი“ 1938. №64).

სტატია „პოლონელ აგრესორთა თავხედური მოთხოვნები“ პოლონეთ-ლიტვას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას სკეპტიკურად უყურებს და აცხადებს, რომ პოლონეთი ფიქრობს გამოიყენოს დიპლომატიური ურთიერთობა ლიტვაზე შემდგომი ზეგავლენის მოსახდენად. ვილნოში პოლონეთ-ლიტვის საზღვართან თავმოყრილი პოლონელი სამხედრო ნაწილების დემონსტრაციული პარადი გაიმართა („კომუნისტი“ 1938. №67). ამ მეტად გართულებულ ვითარებაში ლიტვაში მთავრობა გადადგა და ხელისუფლებაში დამოუკიდებლობის მომხრე ქსენდი მირონასის მთავრობა შედგა („კომუნისტი“ 1938. №70). მომდევნო პუბლიკაციებით ირკვევა, რომ პოლონეთ-ლიტვას შორის შედგა დიპლომატიური ურთიერთობა. ამას ადასტურებს ლიტვის ოფიციალურში „ლიეტუვოს აიდასში“ გამოქვეყნებული თავ-

დაცვის ყოფილი მინისტრის დირმანტასის სიტყვა „ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სამართლიანი ინტერესების დაცვისათვის ჩვენ არაფერს დავიშურებთ, როცა გადამწყვეტი მომენტი დგება... ამჯერად გადაწყდა, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო, როცა იარაღით უნდა გადასწყდეს საკითხები, რომლებიც ჩვენ ინტერესებს შეეხება... დეე ჯერჯერობით დიპლომატებმა ილაპარაკონ“. თუმცა, ლიტვის ოფიციალური აგრძელებს საკითხზე საუბარს (ამ ინფორმაციას ეყრდნობა გაზეთი) და აღნიშნავს, რომ საგანგებოდ გავრცელებული ინფორმაცია ვილნოს პოლონეთისთვის გადაცემის თაობაზე, სიმართლეს არ შეესაბამება. აღნიშნულია, რომ მართალია დასთანხმდა პოლონეთს დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას, მაგრამ ვილნოს საკითხში არავითარი დაპირება არ მიუცია. ლიტვამ უარი თქვა ყოველგვარ ურთიერთობაზე პოლონეთთან მანამდე, სანამ ვილნოს არ დაგვიბრუნებენო („კომუნისტი“ 1938. №71). პოლონეთ-ლიტვის შერეული კომისია სარკინიგზო, საგზაო, სატელეფონო, სატელეგრაფო, საჰაერო, საფოსტო შეთანხმებას აწერენ ხელს („კომუნისტი“ 1938. №74).

პოლონეთი ამკაცრებს თავდაცვის წესებს.

1939 წლის ივლისიდან პოლონეთში „განსაკუთრებული რეჟიმი“ შემოაქვთ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მიმართ. ამ ფაქტს დიპლომატიური წარმომადგენლებისათვის მინიჭებული საერთაშორისო უფლებების დარღვევად ასახელებს გაზეთი. ამასთან გაზეთების სააგენტოებმა უარი განაცხადეს მიაწოდონ სრულუფლებიან წარმომადგენლობას გაზეთები და სხვა გამოცემები. წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალი დააპატიმრეს. იგივე ვითარებაა ლვოვში. სსრ კავშირის წარმომადგენლობამ პოლონეთში პროტესტი განაცხადა და მოითხოვა პოლიციური რეპრესიების შეწყვეტა („კომუნისტი“ 1938. №167).

შემდეგ ნომრებშიც არის საუბარი წარმომადგენლობათა თანამშრომლების დაპატიმრების შესახებ („კომუნისტი“ 1938. №186).

აქცენტები გაკეთებულია პოლონეთში გამწვავებულ საშინაო მდგომარეობაზე, ეკონომიკურ კრიზისზე, ექსპლოატაციის ზრდაზე და მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუარესებაზე. პოლონეთში მრავალრიცხოვანი (მილიონიანი) ანტიფაშისტური მიტინგების გამართვას იუწყება („კომუნისტი“ 1938. №10). გაზეთში საუბარია პილსუდსკის გზის გაგრძელების მცდელობაზე. პოლკოვნიკი კოცი ქმნის ნაციონალური გაერთიანების ბანაკს, თუმცა ამოდ. გაზეთი ასეთ შეფასებას აძლევს: „ისტორიამ სასტიკად დასცინა კოცის ამ ცოდვილს. პოლონეთში არსებობენ მძლავრი, დისციპლინიანი რიგები, მაგრამ არა პილსუდჩიკების „ბანაკში“, არამედ პოლონეთის მშრომელი ხალხის ბანაკში, პოლონელი ხალხი სჭედს ამ მძლავრ, დისციპლინიან რიგებს, რომლებიც დაამსხვრევენ ფაშიზმის მონურ უღელს“ („კომუნისტი“ 1938. №168).

მეორე მსოფლიო ომის წინ, დაძაბული საერთაშორისო ვითარების პარალელურად, საბჭოთა ხელისუფლება ქმნის საკუთარ ისტორიას, როგორც მძლავრ იდეოლოგიურ ნარატივს, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა

ბოლშევიზმის უდიდესი იდეური სიმდიდრე. საკ.კ.პ.(ბ) ისტორიის მოკლე კურსის ღრმად შესწავლა მძლავრი იდეური იარაღით შეაიარაღებს პარტიას, დახმარებას გაგვიწევს მოვახდინოთ ჩვენი პარტიული კადრების თეორიული სისუსტის ლიკვიდაცია („კომუნისტი“ 1938. №215).

საამისოდ პირველი რიგის ამოცანად დასახეს პროპაგანდისტების მომზადება, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ პარტიის წევრთა პოლიტიკური აღზრდა. სწორედ ბოლშევიკების

ისტორიის მოკლე კურსი ქვეყნდება გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე. მოკლე კურსის VIII თავის მეოთხე საკითხი შეეხება „პოლონელი პანების თავდასხმას საბჭოთა ქვეყანაზე“. ანტანტის სახელმწიფოები ვერ ურიგდებიან საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას. ამიტომ გადაწყვიტეს გამოეყენებინათ პოლონეთის მმართველი პილსუდსკი, ასევე ვრანგელი, რომელმაც შეკრიბა ყირიმში დენიკინის არმიის ნაშთები და იქიდან ემუქრებოდა დონბასს, უკრაინას.

ლენინის გამოთქმით, პანების პოლონეთი და ვრანგელი – ეს იყო ორი ხელი საერთაშორისო იმპერიალიზმისა, რომელიც ცდილობდა საბჭოთა ქვეყნის წახრჩობას.

პოლონელებს ასეთი გეგმა ჰქონდათ: ხელში ჩაეგდოთ საბჭოთა უკრაინის მარჯვენა მხარე, ხელში ჩაეგდოთ საბჭოთა ბელორუსია, აღედგინათ ამ რაიონებში პოლონელი პანების ძალაუფლება, გაეფართოვებინათ პოლონეთის სახელმწიფოს ფარგლებში „ზღვიდან ზღვამდე“, დანციგიდან ოდესამდე, და ვრანგელის წითელი არმიის დამარცხება და საბჭოთა რუსეთში მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების აღდგენა („კომუნისტი“ 1938. №221).

პილსუდსკი იმედოვნებდა, რომ კოლჩაკთან და დენიკინთან ბრძოლებში დაღლილი წითელი ჯარები ვერ გაუმკლავდებოდნენ პოლონეთის ჯარების თავდასხმას, ამ მიზეზით უარს ამბობდა მოლაპარაკებებზე. 1920 წლის აპრილში პოლონეთის ჯარები შემოიჭრნენ საბჭოთა უკრაინის ფარგლებში და ხელთ იგდეს კიევი, ამავე დროს ვრანგელი შეტევაზე გადმოვიდა და ემუქრებოდა დონბასს. წითელმა არმიამ კონტრშეტევა განახორციელა, გაანთავისუფლეს კიევი და განდევნეს პოლონელი პანები უკრაინიდან და ბელორუსიიდან, სამხრეთის ფრონტის წითელმა

ჯარებმა გალიციაში ლვოვამდე მიაღწიეს, დასავლეთის ფრონტის ჯარები ვარშავას უახლოვდებოდნენ.

პოლონეთი, რომელსაც აღარ შესწევდა ძალა განეგრძო ომი და რომელიც შიშით მოელოდა წითლების კონტრშეტევას, იძულებული გახდა ხელი აეღო თავის პრეტენზიებზე მარჯვენა მხარის უკრაინისა და ბელორუსიის დაკავების შესახებ და ამჯობინა ზავი დაედო რუსეთთან. 1920 წლის 20 ოქტომბერს რიგაში პოლონეთთან დადებულ იქნა საზავო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით პოლონეთმა შეინარჩუნა გალიცია და ბელორუსიის ნაწილი.

პოლონეთის დიდმპყრობლური გეგმების ჩაფუშვით და ვრანგელის განადგურებით მთავრდება ინტერვენციის პერიოდი...

საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში...

უცხოეთის ინტერვენტებისა და რუსეთის თეთრგვარდიელების ომი საბჭოების წინააღმდეგ დამთავრდა საბჭოების გამარჯვებით. საბჭოთა რესპუბლიკამ დაიცვა თავისი სახელმწიფო დამოუკიდებლობა, თავისი თავისუფალი არსებობა...

ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების ისტორიული გამარჯვება („კომუნისტი“ 1938. №221).

ყურადღება გამახვილებულია წითელი არმიის წარმატების განმაპირობებელ ფაქტორებზე: 1. ხაზგასმით მიუთითებულია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა იყო ხალხის ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა, რუსეთის ხალხი არ თანაუგრძნობდა ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა ანტიხალხურ პოლიტიკას. 2. წითელი არმია ხალხის შვილია, ბოლომდე ერთგული იყო თავისი ხალხისადმი, ამიტომაც უჭერდა ხალხი მხარს. 3. საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო ფეხზე დაეყენებინა მთელი ქვეყანა ფრონტის ინტერესების მომსახურებისათვის. გრძელდება ხობა ბოლშევიკების („კომუნისტი“ 1938. №221).

ეს არის 1919-1921 წლების საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ომის საბჭოთა ხელისუფლებისეული აღქმა. ფაქტების დემონსტრირება საკუთარი პოზიციებიდან. ზემოთ ვისაუბრე მისგან განსხვავებულ სინამდვილეზე.

აი, ასეთი ნარატივი უნდა ესწავლათ საბჭოთა კავშირში. დიადი ისტორია საბჭოთა თავისთავადობის შენარჩუნებისთვის, რომელიც შემდგარი იყო სხვადასხვა ერების წარმომადგენლები-საგან. საბჭოთა ხელისუფლება ქმნის ახალ, საბჭოთა მეხსიერებას, უძლეველობის და გამორჩეულობის ნარატივს.

სპეციალური დადგენილება იქნა მიღებული ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებით. „დადგენილებამ ბოლო მოუღო იმ სქემატურობას, რომელიც მანამდე არსებობდა ისტორიის სწავლებაში. მოსწავლეების მიერ ისტორიის კურსის მტკიცედ შეთვისების გადამწყვეტ პირობად საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს 16 მაისის დადგენილებაში დასახული იყო: „ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა ისტორიული ამბების გადმოცემაში. მასთან აუცილებელი აღბეჭდვა მოსწავლეთა მეხსიერებაში უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების, ისტორიული მოღვაწეებისა და ქრონოლოგიური თარიღების“. ამ ღონისძიებებს მიზნად ჰქონდა დასახული მოწაფეთა შეგნებაში ისტორიის მარქსისტულ-ლენინური გაგების გამომუშავება“ („კომუნისტი“ 1939. №110). „დადგენილების განხორციელებამ ჩვენი სკოლა უფრო აამაღლა, გაამაგრა მისი ავტორიტეტი, მკვეთრად გააუმჯობესა მისი მუშაობის ხარისხი, იგი ნამდვილად გადაიქცა კომუნისტურ იდეათა მძლავრ გამტარებლად, მშრომელ მასებზე კომუნისტური ზეგავლენის ბასრ იარაღად“ („კომუნისტი“ 1939. №110). საბჭოთა ისტორიის სწავლების ახალმა კურსმა განსაკუთ-

რებული მასშტაბები შეიძინა და კომუნისტური პარტიის პროპაგანდისტული ხასიათი მიიღო („კომუნისტი“ 1939. №211).

გერმანული პრესის ფართომასშტაბიანი ბოიკოტი გამოცხადდა პოლონეთში, რაც გამოწვეული იყო გერმანული პრესაში პოლონეთის მდგომარეობის ყალბად და ტენდენციურად გაშუქებით („კომუნისტი“ 1939. №102).

მოხდა კოლექტიური უშიშროების საერთაშორისო ორგანოების შესუსტება და შეიცვალა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის მეთოდები. პოლონეთს ზოგ სახელმწიფოსთან გამოუკეთდა ურთიერთობა, ზოგთან გაურთულდა. მაგალითად, ინგლის-პოლონეთს შორის გაფორმდა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც ჩემბერლენის განცხადებით, ხელისშემშლელი ფაქტორი არ იქნებოდა ინგლისსა და პოლონეთს სხვა ქვეყნებთან დაემყარებინათ სამშვიდობო ურთიერთობა („კომუნისტი“ 1939. №80). როგორც აღვნიშნე, პოლონეთს სერიოზული სიძნელეები შეექმნა ზოგ სახელმწიფოსთან, მაგალითად გერმანიასთან, რომელმაც მემორანდუმით მოითხოვა დანციგის გერმანიასთან შეერთება. პოლონეთის მთავრობა საპასუხო ნოტაში ხაზგასმით მიუთითებს ცალმხრივ გადაწყვეტილებაზე და 1934 წლის დეკლარაციის პირობების დარღვევაზე („კომუნისტი“ 1939. №103).

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი ინგლისთან შეთანხმების საფუძველად ასახელებს ურთიერთდახმარების პრინციპს „იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირ ან არაპირდაპირ საშიშროებაში ჩავარდება ერთერთი ქვეყნის დამოუკიდებლობა“. ასეთივე ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული საფრანგეთთან. ინგლისთან გაფორმებული ხელშეკრულება გერმანიამ საბაზად გამოიყენა

და ცალმხრივად გააუქმა 1934 წელს გაფორმებული შეთანხმება პოლონეთთან („კომუნისტი“ 1939. №103). ბეკმა განაცხადა:

თავისუფალი ქალაქი დანციგი, ვერსალის ხელშეკრულებით როდი იყო გამოგონილი. იგი უკვე საუკუნეების განმავლობაში არსებობს. ამ ქალაქის არა მარტო განვითარება, არამედ არსებობაც კი იმ ფაქტიდან გამომდინარეობდა, რომ იგი პოლონეთის ერთადერთი დიდი მდინარის შესართავთან მდებარეობს, ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში. ამჟამად ამ სამდინარო გზითა და რკინიგზით ხორციელდება პოლონეთის კავშირი ბალტიის ზღვასთან. ეს არის ისეთი ჭეშმარიტება, რომლის მიჩქმალვაც არავითარ ახალ ფორმულას არ შეუძლია. დანციგის მოსახლეობის დიდ უმეტესობას ამჟამად გერმანელები შეადგენენ, მაგრამ მისი არსებობა და კეთილდღეობა დამოკიდებულია პოლონეთის ეკონომიკურ პოტენციალზე. ჩვენ გადაჭრით ვიცავდით და ვიცავთ ჩვენი საზღვაო ვაჭრობისა და პოლიტიკის უფლებებსა და ინტერესებს დანციგში („კომუნისტი“ 1939. №103).

ბეკის განცხადებიდან ამონარიდით ჩანს, რომ წამოწყებულია დანციგის ისტორიული კუთვნილების საკითხი, ამასთან პოლონური იდენტობისთვის ეს არა მარტო ისტორიული მეხსიერების ადგილს წარმოადგენდა, არამედ დანციგი იყო იდენტობის ეკონომიკური სიძლიერის საფუძველი. ე.ი. დანციგი არის პოლონელთა ისტორიული ტერიტორია, რომელიც ამავე დროს პოლონელთა ეკონომიკური სიძლიერის განმსაზღვრელია.

გერმანია-პოლონეთის ურთიერთობა ომის წინ: პროპაგანდა და მზადება ომისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი სახელმწიფო მოღვაწეები ადრინდელ განცხადებებში დანციგს პოლონეთ-გერმანიას შორის დავის ობიექტად არ ასახელებდნენ, ამ დროისათვის მოითხოვენ, რომ ის გერმანიას შეუერთდეს. რაც იმას ნიშნავს, რომ პოლონეთი მოსწყვიტონ ბალტიის ზღვას. პოლონეთის მთავრობისთვის მიუღებელი იყო გერმანიის მოთხოვნები, ვინაიდან პოლონეთი ვერ ხედავდა საიმისო მიზეზს სუვერენიტეტი შეეზღუდა საკუთარ ტერიტორიაზე. პრემიერი ბეკი თავის სიტყვაში ტერმინ „დერეფანზე“ ამახვილებს ყურადღებას და ხელოვნურად შექმნილად აცხადებს. მისი მითითებით, ეს არის პოლონეთის ისტორიულად კუთვნილი პროვინცია „ზღვისპირა სავოევოდო“, სადაც პოლონელებთან ერთად, გერმანელი კოლონისტების ნაწილი ცხოვრობდა. ბოლოს ამთავრებს იმით, რომ „პოლონეთი არ ეცდება მიაღწიოს მშვიდობიანობას ყოველგვარი მსხვერპლის გაღებით“ („კომუნისტი“ 1939. №103).

ბეკის სიტყვაში გამოკვეთილია ისტორიული მეხსიერების როლი, რომლის წაშლას ვერ შეძლებს სხვა სახელმწიფო.

ნათელია, რომ პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობა კრიზისში შევიდა. მომდევნო ნომერში პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობის საკითხს სპეციალურ წერილს უძღვნის მიმომხილველი. წერილში აშკარად პოლონეთის მხარდამჭერი აზრია გამოთქმული. ეს ნაწილობრივ იმით არის განპირობებული, რომ გერმანიამ თავისი დამპყრობლური პოლიტიკა წარმატებით აწარმოა და გაიფართოვა ტერიტორიული საზღვრები: დაიპყრო ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და კლავიპედის ოლქი. საერთაშორისო ორგანოების მხრიდან ურეაქციობამ და დაუსჯელობამ გაათამამა გერ-

მანია და პოლონეთის დერეფნის და დანციგის გერმანიასთან შეერთების მოთხოვნა წაუყენა პოლონეთს. მოთხოვნის წაყენებასთან ერთად გერმანიამ დაიწყო ჯარების თავმოყრა საზღვართან.

მიმომხილველი ხაზს უსვამს დერეფნის პოლონეთის ისტორიულ კუთვნილებას და დერეფნის და დანციგის პოლონეთისათვის ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას. აქვე უთითებს ამ ტერიტორიაზე პოლონეთის ისტორიული ციხე-სიმაგრეების (ტორუნი, ბიდგომი და სხვა) არსებობას („კომუნისტი“ 1939. №104).

ასეთ ვითარებაში ინგლისის პრემიერმა ჩემბერლენმა პარლამენტში სრული მხარდაჭერა გამოუცხადა პოლონეთს „თუ პოლონეთის დამოუკიდებლობას უშუალოდ საფრთხე შეექმნება და თუ პოლონეთის მთავრობა აბსოლუტურად საჭიროდ დაინახავს წინააღმდეგობის გაწევას, მაშინ ინგლისის მთავრობა ვალდებულია ჩათვლიდა თავისთავს გაეწია პოლონეთისათვის სრული დახმარება, როგორც კი ინგლისის მთავრობას შეეძლებოდა“. ამის შემდეგ გაფორმდა ინგლის-პოლონეთის შეთანხმება. მიუხედავად იმისა, ინგლის-პოლონეთის ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგებოდა პოლონეთ-გერმანიის ხელშეკრულებას, გერმანიამ ეს ფაქტი გამოიყენა საბაზად თავისი დამპყრობლური მიზნების დასაკმაყოფილებლად, ცალმხრივად გააუქმა გერმანია-პოლონეთის ხელშეკრულება და პოლონეთის მთავრობას გაუგზავნა მემორანდუმი („კომუნისტი“ 1939. №104). არადა, ინგლის-პოლონეთის შეთანხმება განსაკუთრებულ ფაქტად არც იყო აღქმული. შეთანხმების შესახებ პრესა წერდა „ინგლისი პოლონეთის დელეგაციას უფრო ისე ეპყრობა როგორც ღარიბ ნათესავებს და არა როგორც უაღრესად მნიშვნელოვან მოკავშირეებს“ („კომუნისტი“ 1939. №143). ცხადია, რომ გერმანიამ შეთანხმების გაფორმება

პოლონეთზე თავდასხმისათვის თავისუფლების მოსაპოვებლად გამოიყენა.

გაზეთი თვალს ადევნებს დანციგის გარშემო მოვლენების განვითარებას. აღწერს დაძაბულ მდგომარეობას: დანციგის ფაშისტური ახალგაზრდებით გაძლიერებას და ანტიფაშისტების დევნას. ამავე დროს, გერმანიაში პლებისციტის ჩატარების შესახებ ავრცელებდნენ ხმებს. როგორც ჩანს, გერმანიას განზრახული ჰქონდა პლებისციტის კომედიის გზით შეექმნა მისთვის სასურველი რეალობა დანციგის გერმანიასთან შემოსაერთებლად („კომუნისტი“ 1939. №107).

საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის რომის პაპის აქტიურობაც იკვეთება საგაზეთო მასალებში. პაპი გამოვიდა წინადადებით, მოეწვიათ კონფერენცია ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის, გერმანიის და იტალიის შემადგენლობით. კონფერენციის უშუალო ამოცანა უნდა ყოფილიყო პოლონეთსა და გერმანიას შორის პოლონეთის დერეფნისა და დანციგის შესახებ არსებული დავის მოგვარებაზე მსჯელობა („კომუნისტი“ 1939. №107). პაპის წინადადების შესახებ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს პოლონეთის პოლიტიკურმა წრეებმა. იტალიის და გერმანიის მონაწილეობით კონფერენციის მოწვევა მორიგი კაპიტულაცია იქნებოდა ღერძის სახელმწიფოების წინაშე. პოლონური პრესის მითითებით, ცხადია, რა შედეგი მოუტანა ჩეხოსლოვაკიას შუამავლობამ, რომ პოლონეთი არ დასთანხმდებოდა თავისი სასიცოცხლო ინტერესები მესამე სახელმწიფოს საარბიტრაჟოდ დასვას. დანციგში უფრო და უფრო იძაბება სიტუაცია. ფაშისტური ჯგუფები ცემენ პოლონელებს, მოახდინეს პოლონური გაზეთების კონფისკაცია, ფრანგული პრესის ინფორმაციით განუწყვეტლივ გადაჰყავთ გერმანიის ჯარი პოლონეთის სა-

ღვრებისკენ („კომუნისტი“ 1939. №108), ბოლო დროს დანციგში 30 ათასი ბერლინელი მოიერიშე, ერთ ღამეში (10 მაისს) ოთხი ათასი გერმანელი მოიერიშე გადაუყვანიათ, ჩააქვთ დიდი რაოდენობით იარაღი („კომუნისტი“ 1939. №109). გერმანელმა პოლიტიკოსებმა დაიწყეს ანტიპოლონური გამოსვლები. ფაშისტთა ოფიციალურ გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“ ბეჭდავს პოლონეთის წინააღმდეგ მიმართულ ჰებელსის სტატიას. წერილში აღნიშნულა, რომ გერმანელებს დევნიან პოლონეთში და ომით ემუქრება პოლონეთს „გერმანიას მზად აქვს იარაღი და ამბების შემდგომ განვითარებას მოეღოსო“. ნათელია, სტატიის ანტიპოლონური ხასიათი. „გერმანიამ უკვე გამოიყენა დანციგის ოლქში გერმანული ხიშტები“, რომელნიც თუ საჭირო გახდა, „არავითარ ეჭვს არ დასტოვებენ იმაში, თუ სად თავდება პოლონეთი და სად იწყება გერმანიაო“ („კომუნისტი“ 1939. №109). დანციგის ხელში ჩაგდების მიზნით შედგა სამუშაო შეხვედრა პლებისციტის მოწყობის თაობაზე („კომუნისტი“ 1939. №110).

კიდევ ერთი ხერხი, რომლის გამოყენება სცადა თავისი მიზნებისთვის გერმანიამ, არის საგანგებო აღწერის ჩატარება ზემო სილეზიაში. სააღრიცხვო ფურცელში გაჩნდა „ეროვნების“ სვეტი, რაც პოლონელთა უმცირესობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამის პარალელურად პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაციით გერმანიის ყველა რაიონში, რომელიც პოლონეთს ესაზღვრება, დიდძალი ფაშისტური ლიტერატურა ვრცელდებოდა. ლიტერატურა პოლონელ მოსახლეობას მოუწოდებდა გერმანელი ეროვნების კუთვნილების შესახებ განაცხადი გაეკეთებინათ. ამასთან გერმანიის სილეზიაში პოლონელებს წინადადება ეძლეოდათ ანკეტებში აღნიშნათ დედაენად „ზემოსილეზიის დიალექტი“. მთავრობის „გაზეტა პოლსკა“-ს ინფორმაციით

გერმანიის მთავრობა ვერ ეგუებოდა გერმანიაში მილიონნახევარი პოლონელის არსებობას, ამიტომაც მუქარისა და სტატისტიკური მაქინაციების საშუალებით ცდილობდნენ ნაკლები რაოდენობის ჩვენებას. ამასთან პოლონეთში გერმანიის ოფიციალური სტატისტიკით მილიონ 140 ათასი გერმანელი ირიცხებოდა. „გერმანიას განზრახული აქვს მოსთხოვოს პოლონეთის მთავრობას უზრუნველჰყოს გერმანელი უმცირესობის უფლებანი პოლონეთში და ამავე დროს უარჰყოფს თანასწორუფლებიანობის და სამაგიერობის პრინციპი პოლონელი უმცირესობის უფლებათა უზრუნველსაყოფად გერმანიაში“ („კომუნისტი“ 1939. №112).

დაძაბული საერთაშორისო ვითარების ფონზე, სახელმწიფოები ერთმანეთში სამხედრო თუ ეკონომიკურ ურთიერთობებს ამყარებენ. გერმანია იტალიასთან შეკრავს სამხედრო ალიანსს. ხელშეკრულების საიდუმლო მუხლებით კი იტალია იკისრებს ვალდებულებას მხარი დაუჭიროს გერმანიას პოლონეთის წინააღმდეგ („კომუნისტი“ 1939. №118). ამ დროს პოლონეთი საბჭოთა კავშირთან აფორმებს სავაჭრო ხელშეკრულებას, ხოლო საფრანგეთთან ამთავრებს ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკებას („კომუნისტი“ 1939. №118). გერმანია კი თავდაუსხმელობის პაქტს აფორმებს დანიასთან, ლატვიასთან და ესტონეთთანაც („კომუნისტი“ 1939. №130).

განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, პოლონეთში მიღებულ იქნა კანონი სამხედრო წესების გამოცხადებაზე. კანონის ახალი პროექტი ითვალისწინებდა სამხედრო მდგომარეობის პირობებში სამოქალაქო ხელისუფალთა ფუნქციებისა და რწმუნებების სამხედრო ხელისუფალთათვის გადაცემას („კომუნისტი“ 1939. №123).

კონფლიქტის ზონაში გახშირდა პროვოკაციები. გერმანული პრესა აქვეყნებს დანციგის გერმანელი მცხოვრების მკვლელობის ფაქტს და მკვლელობაში პოლონელ მოხელეებს ადანაშაულებს („კომუნისტი“ 1939. №117). ინგლისური პრესა კი პოლონეთის საბაჟოს თანამშრომლებზე თავდასხმის შესახებ საუბრობს და პოლონეთის სანაპირო დაცვის მოშორების მიზნით გერმანელ ფაშისტთა პროვოცირებულად აცხადებს („კომუნისტი“ 1939. №120). აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით პოლონეთის დანციგელი კომისარი ხოდაცკი დანციგის სენატის პრეზიდენტ გრეიზერისათვის გადაცემულ ნოტაში მთელ პასუხისმგებლობას აკისრებდა დანციგის ხელისუფლებას. მიუხედავად არაერთგზის განცხადებისა, დანციგის ხელისუფლებას არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს, აღეკვეთა საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დამრღვევთა დანაშაულებრივი საქმიანობა, რათა უზრუნველყოთ პოლონელ მოსამსახურეთა უშიშროება თავისუფალ ქალაქში („კომუნისტი“ 1939. №124). დანციგის სენატი თავისუფალ ქალაქში საბაჟოს პოლონელ მომსახურეთა რიცხვის შემცირებას მოითხოვდა. ამის საპასუხოდ პოლონეთის მთავრობას განუზრახავს საბაჟოს მუშაობის გაძლიერება დანციგში („კომუნისტი“ 1939. №134).

საკდესის ინფორმაციით, დანციგში ფაშისტთა ხელმძღვანელის ფორსტერის თავმჯდომარეობით ჩატარებულ იქნა აღმოსავლეთ პრუსიის „სა“-ს რაზმებისა (მოიერიშეები) და „სს“-ის (მცველთა რაზმები) უფროსთა კონფერენცია. თათბირზე განუხილავთ ჰიმლერის (გესტაპოს უფროსი) უკანასკნელი დირექტივების შესრულების საშუალებათა საკითხი. ამის შემდეგ, დანციგში იგზავნება მოიერიშე რაზმები და პოლიციის სპეციალური ჯგუფები „ინცინდენტების“ მოსაწყობად და „აუცილებელი ფსიქო-

ლოგიური დამაბულობის“ შესაქმნელად. იუწყებინ, რომ მოიერიშეებს მიეცათ ინსტრუქციები შექმნან პროვოკატორთა და ტერორისტთა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც პოლონეთის ტერიტორიაზე თავს უნდა დაესხან პოლონეთის გერმანელებს, რათა ამგვარად შექმნან საბაზი გერმანიის ჩარევისათვის („კომუნისტი“ 1939. №142). ამავე საკდესის ინფორმაციით, ინგლისური პრესაც იტყობინება გერმანიის მიერ პოლონეთისა და საფრანგეთის საზღვრების გამაგრების თაობაზე. გერმანიის გენერალურმა შტაბმა მნიშვნელოვანი ძალები გაგზავნა ზიგფრიდის ხაზისაკენ. 15 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი იყო თავმოყრილი ტრირის, კაიზერსლაუტერნის და კელის მახლობლად. სიმაგრეთა პირველი ხაზისაკენ დამატებით გაუგზავნათ 50-60 ათასამდე კაცი, ხოლო მეორე ხაზისაკენ 30-40 ათასი კაცი („კომუნისტი“ 1939. №142). ისევ საკდესის ინფორმაციით, ჰებელსს ფაშისტური ახალგაზრდობისადმი მიმართვაში მუქარით განუცხადებია, რომ პოლონეთის ინტერესები მოითხოვს, რაც შეიძლება მალე გადასწყვიტოს დანციგისა და დანციგის დერეფნის საკითხი („კომუნისტი“ 1939. №143).

საკდესი დანციგელ კორესპონდენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, რომ შედგა დანციგის და აღმოსავლეთ პრუსიის ფაშისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სხდომა გესტაპოს უფროსის ჰიმლერის ხელმძღვანელობით. სხდომაზე გადაწყდა შექმნილიყო „მოხალისეთა კორპუსი“, რომელშიც გაერთიანდებოდა ყველა სამხედრო ორგანიზაცია: მოიერიშეები, ეგრეთწოდებული შავი გვარდია და ზოგიერთი საპოლიციო ორგანიზაცია („კომუნისტი“ 1939. №145).

მომდევნო ნომერი იუწყება, რომ გერმანიის ხელისუფლებამ დაიწყო მოიერიშე რაზმების აღმოსავლეთ პრუსიიდან

დანციგში გადაყვანა. ამასთან, გაიცა ბრძანება 16-დან 25 წლამდე ასაკის დანციგელი ახალგაზრდობის „მოხალისეთა კორპუსში“ გაწვევის შესახებ („კომუნისტი“ 1939. №149). დანციგის ხელისუფლებამ მის ტერიტორიაზე მოიერიშეთათვის ბანაკის მოწყობით დაარღვია პოლონეთის ნავსადგურის ექსტერიტორიულობა. საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტზე პროტესტი განუცხადა დანციგის ფაშისტურ ხელისუფლებას პოლონეთის სანავსადგურო საბჭომ („კომუნისტი“ 1939. №162).

ამავე დროს გართულდა პოლონეთ-ლიტვის ეკონომიკური ურთიერთობაც. ურთიერთობის გართულება გამოიწვია სამეურნეო საქონელგაცვლის ბალანსის დარღვევამ, ლიტვაში საქონლის ღირებულება ლიტვიდან პოლონეთში შემოტანილი საქონლის ღირებულებას აღემატებოდა. ლიტვის ხელისუფლებამ ბალანსის შეთანასწორების მიზნით, შეწყვიტა ნებართვის გაცემა პოლონეთის საქონლის შემოტანაზე, აგრეთვე ლიტვის ბანკმა აკრძალა ტურისტული ჩეკების გაცემა იმ პირთათვის, რომლებიც პოლონეთში მიემგზავრებიან და შემოიღო მთელი რიგი სავალუტო შეზღუდვები პოლონეთ-ლიტვის საზღვრის გადასვლის დროს („კომუნისტი“ 1939. №150).

დღითიდღე უფრო იძაბებოდა ვითარება დანციგის გარშემო. „კომუნისტში“ ქვეყნდება დანციგის გამალებული მილიტარიზაციის ამსახველი არაერთი პუბლიკაცია. საბრძოლო ტექნიკით იტვირთება ქალაქი: შორსმსროლელი ქვემეხები, მსუბუქი ტანკები და საზენიტო ქვემეხები. დანციგში შეიქმნა 4 ათასკაციანი „თავდაცვის კორპუსი“ („კომუნისტი“ 1939. №151). გახშირდა გერმანელთა სამხედრო სატვირთო მანქანების მოძრაობა. გერმანელებმა დანციგის გასწვრივ ააგეს მავთულიანი ზღუდეები. 10 ათასამდე გაიზარდა „მოხალისეთა კორპუსი“, 3 ათასამდე

სანაპირო ნაწილები და „პოლონელთა ლეგიონი“, რომელიც შედგენილია პოლონეთიდან ემიგრირებული გერმანელებისაგან („კომუნისტი“ 1939. №152). დაიწყეს შენობების და ყაზარმების არსენალად გამოყენება („კომუნისტი“ 1939. №160). დანციგში გაცხარებული სამხედრო მზადების შესახებ იტყობინება ბრიტანული პრესაც. ქუჩებში პატრულირებენ მოხალისეთა კორპუსის წევრები. უკანასკნელ დღეებში მოახდინეს საბარგო მანქანების რეკვიზიცია. მოსაზღვრე რაიონის მოსახლეობას გამოუცხადეს მზადყოფნა ევაკუაციისთვის („კომუნისტი“ 1939. №162).

ცხელ წერტილში დამაბულობას უფრო აძლიერებდა ანტიპოლონური კამპანია მედიაში. ამ მხრივ გერმანიას მხარს უჭერდა იტალიური პრესა, რომელიც მუქარის ტონით მოითხოვდა პოლონეთისგან დაეთმო გერმანიისთვის დანციგი და დანციგის დერეფანი, ჩეხოსლოვაკიის ბედი რომ არ გაეზიარებინა. ამის კვალდაკვალ, დანციგელ ფაშისტთა ორგანოც იუწყებოდა, რომ თავისთავად ცხადია დანციგი გერმანიას დაუბრუნდება („კომუნისტი“ 1939. №154).

დანციგის კუთვნილებაზე, ტერიტორიულ და ეკონომიკურ მნიშვნელობაზე ხაზგასმას აკეთებს პოლონეთის მარშალი რიძსმიგლი ამერიკელ ჟურნალისტთან ინტერვიუში. თუმცა, აღნიშნავს, რომ გერმანია თავის განზრახვაზე თუ ხელს არ აიღებს, არც პოლონეთი აპირებს დანებებას:

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი ადამიანს შეუძლია, რომ დანციგის საკითხი მშვიდობიანად მოწესრიგდეს. მაგრამ, თუ გერმანია ხელს არ აიღებს მისწრაფებაზე ანშლუსისაკენ პოლონეთის მიმართ, მაშინ პოლონეთი იმ შემთხვევაშიაც კი იბრძოლებს, თუნდაც იძულებული გახდეს მარტო, უმოკავშიროდ იბრძოდეს. ამ აზრისაა პოლონეთის მთელი ხალხი („კომუნისტი“ 1939. №166).

გაცხარებულ მზადებასა და ანტიპოლონურ აგიატაცია-სთან ერთად, ფაშისტურმა ხელმძღვანელობამ გაამკაცრა წესებიც დანციგში. ქალაქის ხელმძღვანელობამ ბრძანება გასცა ყველა მოსამსახურეს პოლონური გვარი გერმანულით შეეცვალა, წინა-აღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან დათხოვნით ემუქრებოდნენ („კომუნისტი“ 1939. №162). გახშირდა საზღვარზე პროვოკაციები გერმანელი სამხედროების მხრიდან („კომუნისტი“ 1939. №167). დანციგში გაიმართა გერმანული საზღვაო კავშირის ანტიპოლონური დემონსტრაცია. დემონსტრაციაზე საზღვაო კავშირის ხელმძღვანელმა ტროტამ დანციგი გერმანიის ძველ საზღვაო ქალაქად დაასახელა და შესაძლო თავდასხმისთვის საკმაოდ მომზადებულად გამოაცხადა („კომუნისტი“ 1939. №177). დანციგის პრესა გადავიდა „თავისუფალი ქალაქის“ გერმანიასთან შეერთების აქტიურ აგიატაციაზე. დანციგში იყიდებოდა გერმანული გაზეთები, კინო-თეატრებში გერმანულ ფილმებს უზვენებდნენ. გერმანულ პროპაგანდას გულხელდაკრეფილი არ უყურებდა ადგილობრივი მოსახლეობა. გაზეთში მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულების შესახებაც ვხვდები ინფორმაციას. ადგილობრივები უპასუხოდ ტოვებდნენ ფაშისტურ მისაღმებას, რისთვისაც აპატიმრებდნენ. ქალაქში ავრცელებდნენ ანტიფაშისტური ლოზუნგებს და ფურცლებს „ხალხს არ სურს დანციგის მილიტარიზაცია, ხალხს არ სურს დანციგი ხელში ჩაუვარდეს გერმანიას“. ფურცელი მოუწოდებს სახალხო ფრონტის ყველა მეგობარს განამტკიცონ ერთიანობა ფაშიზმის და ომის წინააღმდეგ საბრძოლველად. დანციგის მოსახლეობაში იზრდება უკმაყოფილება (ავტორი ფ.ოჟეხი. „კომუნისტი“ 1939. №179). ქალაქში „სახელმწიფო ღალა-ტის“ ბრალდებით აპატიმრებდნენ ადამიანებს და პოლიტ-

პატიმრები გადაჰყავდათ დანციგიდან თვითმფრინავით ბერლინში („კომუნისტი“ 1939. №182).

გერმანიამ სამხედრო ძალების გაძლიერების თვალსაზრისით ახალი ღონისძიებები გაატარა. ამ მიზნით რეზერვისტების ჯარში გაწვევა გამოაცხადა. ჯარი ამ დროისთვის 2 მლნ-ს უდრიდა, რომელიც ახალი გაწვევით 2 მლნ 250 ათასამდე გაიზრდებოდა („კომუნისტი“ 1939. №180).

ფრანგული გაზეთების ინფორმაციით, საგანგებო მზადება მიმდინარეობდა დანციგში გერმანიასთან შესაერთებლად. გადმოსული იყო 10 ათასი გერმანელი ჯარისკაცი, 40 ათასი შეიარაღებული მოიერიშე და პოლიციელი, რომლებიც, როგორც ტურისტები, უიარაღოდ იყვნენ ჩასული აღმოსავლეთ პრუსიიდან. პოლონეთ-დანციგის საზღვრის გასწვრივ, განლაგებული იყო მცველთა რაზმების „სს“ ქვედანაყოფები. გზატკეცილებზე იღებდნენ ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს და აკეთებენ ბეტონის სანგრებს, გაჩნდა მავთულხლართები. ადგილობრივ პოლიციას გერმანული ფორმა ეცვა. ფაშისტებმა ხელთ იგდეს ადმინისტრაციული და სამხედრო ხელისუფლება ქალაქში, ყოველგვარად ცდილობდნენ მოესპოთ დანციგის საბაჟო უნია პოლონეთთან და ყოველ ძალ-ღონეს ხმარობდნენ შეეერთებინათ აღმოსავლეთ პრუსიისათვის („კომუნისტი“ 1939. №182). ამავე დროს, მყვირალა განცხადებებს აქვეყნებენ გერმანული გაზეთები: „პოლონეთი ემუქრება დანციგს“, „დანციგი ან ომი“. ამ კამპანიის საბაზი გახდა პოლონური გაზეთის სტატია, რომელშიც აღნიშნული ყოფილა, რომ პოლონეთს არ შეუძლია კომპრომისზე წავიდეს „ან გერმანელები აღიარებენ ჩვენს უფლებებს და სავსებით მხედველობაში მიიღებენ, რომ დანციგი პოლონეთის სასიცოცხლო ტერიტორიაზე მდებარეობს, ან ამას ისინი არ იზამენ. ჩვენი უფლებების არ

აღიარება გვიკარნახებს მხოლოდ ერთადერთ გამოსავალს – ომს“. გერმანული გაზეთი აცხადებს: „გერმანიას არ შეუძლია პოლონეთის ომის მუქარას უპასუხოს სიცილით. დადგა დრო, როცა სიცილს უნდა შეუერთდეს რკინის ჩხარუნა ტონი“. კიდევ ერთი ინციდენტი. გერმანელი ჯარისკაცები გადავიდნენ პოლონეთის პომერანიაში. ისინი არ დაემორჩილნენ პოლონელი მესაზღვრეების მოთხოვნას. პოლონელმა მესაზღვრეებმა დაჭრეს გერმანელი ჯარისკაცი („კომუნისტი“ 1939. №183). გერმანიაში გრძელდება ანტიპოლონური კამპანია. იტალია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას იყენებენ პოლონეთის შესაშინებლად გერმანული გაზეთები და ცდილობენ აიძულონ მოახდინოს კაპიტულაცია დანციგის საკითხში. იტალიის პრესა აცხადებს, რომ შეხვედრა ეხებოდა გერმანია-იტალიის მისწრაფებას შექმნან ახალი წესრიგი ევროპაში. დანციგის საკითხი კი ისე იქნება გადაწყვეტილი როგორც მათ სურთ. პასუხისმგებლობას ევროპაში შექმნილი დამაბულობის შესახებ აკისრებენ საფრანგეთსა და ინგლისს. პარალელურად დანციგში კვალავ ანტიფაშისტური პროპაგანდა მიმდინარეობდა, რასაც დანციგში მოქმედი ფარული ორგანიზაცია „მშვიდობიანობის ფრონტი“ ეწეოდა. ავრცელებდნენ ფურცლებს, სადაც ნათქვამია, რომ დანციგის მოსახლეობას არ სურს გერმანიასთან შეერთება („კომუნისტი“ 1939. №186). ზალცბურგის გერმანია-იტალიის შეხვედრას ბერლინი აფასებს როგორც „სრულ ერთიანობას საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში. „ფელკიშერ ბეობახტერი“ პირდაპირ აქვეყნებს იტალიის გაზეთ „ჯორნალედ იტალიას“ აზრს, რომ დანციგისათვის ბრძოლა მიმართულია არამარტო პოლონეთის წინააღმდეგ, არამედ „ევროპაში ინგლისის ბატონობის“ წინააღმდეგაც. თავის მხრივ, ფაშისტური პრესა დასძენს, რომ ამ საკითხში გერმანია

„არავითარ კომპრომისზე არ წავა... დანციგი უკანასკნელი გაფრთხილება მთელი მსოფლიოსათვის“ („კომუნისტი“ 1939. №188). კვლავ ინციდენტი პოლონეთ-გერმანიის საზღვარზე, ზემო სილეზიაში გერმანელმა ფაშისტებმა მოკლეს პოლონელი პოლიციელი. ამასთან პოლონეთ-გერმანიის საზღვართან გერმანელმა ფაშისტებმა სასაზღვრო ბოძი მოთხარეს, მოსპეს მასზე გაკეთებული წარწერა „პოლონეთის სახელმწიფო საზღვარი“ და გააკრეს პლაკატი წარწერით „დიდი გერმანია“ („კომუნისტი“ 1939. №188).

ე.ი. გერმანია იწყებს ტერიტორიული საზღვრების, პოლონური იდენტობის წაშლას და ახალი ტერიტორიული წესრიგის დამყარებას.

გერმანია ეთნიკური თვითსახელწოდებების შეცვლაზე გადავიდა და ამ მიზნით გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ წერილობითი წინადადებით მიმართა გერმანელ ხელისუფლებას, პოლონეთის დაწესებულებებში ოფიციალური კორესპონდენციის გაგზავნის დროს მისამართებზე პოლონეთის ქალაქების გერმანული სახელწოდება აღნიშნეთო. ამასთან დაკავშირებით პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ წერილობითვე მისცა წინადადება პოლონელ ხელისუფლებას უკანვე დაებრუნებინათ გერმანიაში არასწორად გამოგზავნილი კორესპონდენციები („კომუნისტი“ 1939. №188). პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით პოლონეთის პოლიციამ სილეზიაში აღმოაჩინა გერმანიის ჯამუშურ-დივერსიული ცენტრი. ცენტრის წევრი გერმანელები მხილებულ იქნენ გერმანიის ხელისუფლებისათვის პოლონეთის შეიარაღებული ძალების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში და ტერორისტული აქტების მომზადებაში პოლონელ მესაზღვრეთა წინააღმდეგ. პოლონეთის სილეზიაში ამ საქმეზე დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე ათეული კაცი („კომუნისტი“

1939. №190). ინგლისის სპეციალური მისია იგზავნება დანციგში იმის გასარკვევად მართლა არსებითი მნიშვნელობა აქვს თუ არა დანციგს პოლონეთის ეკონომიკური ცხოვრებისათვის („კომუნისტი“ 1939. №191). გერმანულ-იტალიური პრესა კვლავაც აგრძელებს ანტიპოლონურ კამპანიას. იტალიური პრესა აღნიშნავს, რომ „ომის შემთხვევაში პოლონეთი აუცილებლად იქნება მოსპობილი. გერმანული გაზეთი აცხადებს, რომ „გერმანიას მოთმინების ფილა ევსება“ („კომუნისტი“ 1939. №192). პოლონეთის კორიდორის გასწვრივ თითქმის დამთავრებულია მავთულ-ხლართებისა და სანგრების მშენებლობა. კლაიპედაში ანტიფაშისტური ორგანიზაცია იქნა გამოვლენილი და დაპატიმრებულ იქნა წევრები (100 კაცზე მეტი) („კომუნისტი“ 1939. №193). პოლონეთის მთავრობამ სამხედრო ხასიათის განკარგულებები გასცა. ქალაქის მოსახლეობას მოუწოდა მიიღონ მონაწილეობა ქალაქის გარეუბნებში სანგრების აგებაში („კომუნისტი“ 1939. №195).

ასეთ გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაში ფორმდება საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტი („კომუნისტი“ 1939. №195). ქვემოთ ვნახავთ როგორ გამოიკვეთება პოლიტიკურ ერთობაში იმპერიული მიზნები.

ინგლისსა და პოლონეთს შორის როიტერის ცნობით გაფორმდა ურთიერთდახმარების შეთანხმება. თუ რომელიმე მხარე ჩაბმული იქნება მტრულ მოქმედებაში ევროპის რომელიმე სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე დაუყოვნებლივ დაუჭერს მხარს და ყოველმხრივ დაეხმარება. აშშ-ს პრეზიდენტმა რუზველტმა მიმართვა გაუგზავნა ჰიტლერს, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს მოსციცკის და იტალიის მეფეს. მოუწოდებს, გადადგან ნაბიჯები ევროპაში მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად („კომუნისტი“ 1939. №196).

აქტიური მზადება პოლონეთ-გერმანიის საზღვართან აქტიურ მოქმედებებში გადაიზარდა. ბერლინი პოლონეთის გაძლიერებული სამხედრო სამზადისის შესახებ იტყობინება. ინციდენტებში პოლონურ მხარეს ადანაშაულებს, აღნიშნავს, რომ პოლონური სამხედრო გემები ესვრიან გერმანულ თვითმფრინავებს. გერმანია-პოლონეთის საზღვართან თავმოყრილია პოლონეთის მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო გერმანელთა მოძრაობებზე ამახვილებს ყურადღებას. გერმანიის სამხედრო პატრულმა დაარღვია პოლონეთის საზღვარი, გადავიდა პოლონეთის ტერიტორიაზე და ტყვეამფრქვევი დაუშინა პოლონეთის სანაპირო რაზმს. ატყდა ორივე მხარეს სროლა („კომუნისტი“ 1939. №197).

აშშ-ს პრეზიდენტი კიდევ ერთხელ მოუწოდებს ჰიტლერს მოლაპარაკების გზით მოაგვაროს პოლონეთ-გერმანიის კონფლიქტი. მით უმეტეს მზაობას გამოთქვამდა პოლონეთის პრეზიდენტი მოსციკვი („კომუნისტი“ 1939. №197).

პოლონეთის კურორტ ცოპოტის (დანციგის მახლობლად) მცხოვრებლები ტოვებენ ქალაქს („კომუნისტი“ 1939. №198).

პოლონეთში საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა. გაუქმდა ყველა დროებითი შვებულება სამხედროებისათვის. გამოცხადდა ტრანსპორტის საყოველთაო მობილიზაცია. გამოიცა დეკრეტი მოსახლეობის საყოველთაო შრომითი ბეგარის შემოღების შესახებ. დეკრეტი ითვალისწინებდა ქალაქისა და სოფლის 17 წლიდან 60 წლამდე ასაკის მცხოვრებთა მიერ იმ სამუშაოთა სავალდებულო შესრულებას, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ არის საჭირო სახელმწიფოს თავდაცვისათვის („კომუნისტი“ 1939. №200). 31 აგვისტოს გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია 40 წლამდე მამაკაცებისათვის. პოლონეთის

დეპეშათა სააგენტო იუწყება აღმოსავლეთ პრუსიაში პოლონეთის კონსულის დაპატიმრების შესახებ და კენიგსბერგში პოლონეთის გენერალურ საკონსულოში გადაყვანის თაობაზე. საპასუხოდ გერმანიის ლვოველი და ტეშინელი კონსულები გადაყვანილ იქნებიან ვარშავის გერმანიის საელჩოში. გერმანია აკავებს ორ სამგზავრო მატარებელს, რომელიც გერმანია-პოლონეთს შორის მოძრაობდა. პოლონეთ-გერმანიის საზღვარზე პოზიანის სავოევოდოს გასწვრივ, გერმანიის ხელისუფლებამ 8 საზღვრისპირა გასავალი დახურა და მავთულხლართები გაავლო. პოლონეთიდან გაემგზავრა გერმანიის გაზეთების ყველა კორესპონდენტი („კომუნისტი“ 1939. №200).

გერმანია-პოლონეთის ომი.

1 სექტემბერს გერმანია-პოლონეთს შორის დაიწყო საომარი მოქმედებები. გერმანიამ სხვადასხვა ადგილებიდან – სილეზიიდან, პომერანიიდან, აღმოსავლეთ პრუსიიდან, გადმოლახა პოლონეთის საზღვარი. გერმანულმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ქალაქებს კატოვიცს, კრაკოვს, გდინიას, პუცკს. პოლონეთის დერეფანში სამხედრო თვითმფრინავებმა მოქმედება დაიწყეს ქ. ხონცის მიმართულებით. იმავდროულად დანციგში გერმანიის ჯარებმა იერიში მიიტანეს ვესტერპლატეზე, სადაც მოთავსებული იყო პოლონეთის სამხედრო საწყობები („კომუნისტი“ 1939. №202).

გერმანიაში ჩატარდა რაიხსტაგის საგანგებო სხდომა, სადაც ჰიტლერმა განაცხადა, რომ ვერსალის ხელშეკრულებით შექმნილი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელი იყო „ახლა ჩვენ გადავწყვიტეთ ისევე მოვეპყროთ პოლონეთს, როგორც პოლონეთი იქცეოდა ამ უკანასკნელი თვეების განმავ-

ლობაში... ნება რომ მიგვეცა ასე მოგვეპყრობოდნენ, დღეს გერმანელი ნაცია პოლიტიკურ ასპარეზს უნდა ჩამოშორებოდა“ („კომუნისტი“ 1939. №202). ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გერმანია თავისი მიწა-წყლისთვის იბრძოდა, რომ 1919, 1920 წლებში მილიონზე მეტი გერმანელი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი სახლი გერმანიის წინანდელ ტერიტორიაზე. დანციგის და დერეფნის საკითხში ადანაშაულებდა პოლონეთს, რომელმაც არ მიიღო გერმანიის წინადადება. საპასუხოდ მობილიზაცია დაიწყო და ტერორი გააძლიერა. ყოველივე ამის მერე ჰიტლერი შეუძლებლად მიიჩნევდა პოლონეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას მშვიდობიანი გზით.

ამ განცხადებაში საყურადღებოა ჰიტლერისეული იმპერიული ნარატივი – ტერიტორიული ერთობა საზღვრებგარეშე. სხვა ეროვნების ხალხის თავისთავადობის განადგურების ხარჯზე აფართოებდა იმპერიულ საზღვრებს.

ახალი იმპერიული საზღვრებით 1 სექტემბერს თავისუფალი ქალაქი გერმანიის სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი გახდა („კომუნისტი“ 1939. №202).

საინტერესოა, ამ დროს როგორი იყო საერთაშორისო გამოხმაურება. თვალი მივადევნოთ საგაზეთო მასალებს. ახალი მსოფლიო წესრიგისთვის დაწყებულ ომში ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს სახელმწიფოების გარკვეულმა ნაწილმა: ლატვიამ, შვედეთმა, ბრაზილიამ, კუბამ, ესტონეთმა, ლიტვამ, დანიამ, შვეიცარიამ („კომუნისტი“ 1939. №203), არგენტინამ, გვატემალამ, ესპანეთმა, ჩილემ, ურუგვაიმ, მექსიკამ, ბრაზილიამ („კომუნისტი“ 1939. №205).

პოლონეთი დღითი-დღე კარგავდა ტერიტორიებს. პოლონეთმა ოფიციალურად დახმარების თხოვნით მიმართა ინგლისსა და საფრანგეთს („კომუნისტი“ 1939. №203).

პრესის ინფორმაციით, ინგლისმა სრული მობილიზაცია გამოაცხადა და ლონდონიდან ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია მოახდინა (3 მლნ). საფრანგეთშიც გამოცხადდა მობილიზაცია. ამავე დროს, ინგლისმა ულტიმატუმი წაუყენა გერმანია – თუ 3 სექტემბრის 11 საათამდე არ გასცემს დამაკმაყოფილებელ პასუხს ინგლისის მთავრობას მის მოთხოვნებზე – შეწყვიტოს საომარი მოქმედება პოლონეთის წინააღმდეგ და გაიწვიოს თავისი ჯარი პოლონეთის ტერიტორიიდან, მაშინ ინგლისის მთავრობა ჩათვლის, რომ ინგლისი საომარ ვითარებაშია გერმანიასთან. ინგლისის ულტიმატუმს უარით უპასუხა გერმანიამ. ინგლისმა და ავსტრალიამ ომი გამოუცხადეს გერმანიას. პოლონეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების შეწყვეტის მოთხოვნა წაუყენა გერმანიას საფრანგეთმაც. უარის მიღების შემდეგ, საფრანგეთმა თავი ვალდებულად ჩათვალა, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულება პოლონეთის მიმართ. პოლონეთის ბერლინელმა ელჩმა დატოვა გერმანიის დედაქალაქი („კომუნისტი“ 1939. №203). საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოთხოვნა წამოაყენა იტალიამაც. ამასთან მოითხოვდა ხუთი სახელმწიფოს – ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის, გერმანიისა და იტალიის კონფერენციის ჩატარებას. შვედეთმა იკისრა პოლონეთის ინტერესების წარმომადგენლობა გერმანიაში („კომუნისტი“ 1939. №204).

აღნიშნულმა ღონისძიებებმა ვერ შეაჩერა ჰიტლერის სწრაფვა იმპერიული მიზნებისთვის.

ბრძოლის ველზე გამოვლინდა საერთაშორისო ნორმების დარღვევის ფაქტი, გერმანიაში დანიის საზღვართან დაპატიმრებულ იქნა ბერლინის საელჩოს ორი თანამშრომელი. 5 სექტემბერს ზემო სილეზიაში გერმანელებმა დაატყვევეს 15 ათასი პოლონელი. გერმანელებმა მოახდინეს კატოვიცისა და კრულევისკუ ხუტუს (ზემო სილეზიის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სამრეწველო რაიონის) ოკუპაცია (ბერლინის ცნობა). თუმცა პოლონელთა წინსვლაც აღინიშნა. პარიზის (საკდესი) ჰავასის სააგენტო ვარშავიდან იტყობინება, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში პოლონელების ცხენოსანთა არმიამ დაამარცხა გერმანელები და უკან დახევა დაიწყო. როიტერის ცნობაში ვარშავიდან აღნიშნულია, პოლონეთის ჯარის წინსვლამ გერმანიის საზღვრისაკენ გერმანიის ჯარში დეზორგანიზაცია გამოიწვია. წარმატებული კონტრიერშით პოლონელებმა ხელთ იგდეს დიდძალი ტექნიკა („კომუნისტი“ 1939. №205).

ჰიტლერი, ერთი მხრივ, გასცემს ბრძანებას, რომ შეიარაღებულმა ძალებმა არ დაუშვან საერთაშორისო უფლებისა და გერმანიის იმპერიის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებათა დარღვევა („კომუნისტი“ 1939. №205), მეორე მხრივ, საერთაშორისო უფლების უხეში დარღვევები ფიქსირდება. გემი „ატენია“ უცხოეთის პრესის ინფორმაციით გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩაძირა. თუმცა, ამ ფაქტს უარყოფს გერმანია („კომუნისტი“ 1939. №208).

6 სექტემბერს გერმანიამ აიღო კრაკოვი. ვარშავაში მოხდა ცენტრალური დაწესებულებების, დაჭრილი ჯარისკაცების და დეპეშათა სააგენტოს ევაკუაცია.

მართალია, მთავარი ბრძოლა პოლონეთსა და გერმანიას შორის მიმდინარეობდა, მაგრამ მოვლენების განვითარება მნიშვნელოვანი იყო სხვა სახელმწიფოების მშვიდობიანობის დასაცა-

ვადაც. ამასთან, საფრანგეთი და ინგლისი ხელშეკრულებით ვალდებულებასაც გრძნობდნენ პოლონეთის მიმართ. აქვე, ქვეყნდება ინფორმაცია საფრანგეთის ნაწილების გერმანიაში შეჭრის თაობაზე. აღნიშნულ ფაქტს, ერთი მხრივ, უარყოფდა მოკავშირე იტალიის პრესა, რომელიც ირონიულად აღნიშნავდა, ფრანგებს „ერთი ტყვიაც კი არ გაუსროლიათ მაჟინოს ხაზზე“-ო, მეორე მხრივ, ამგვარი ფაქტებით შეუძლებლად მიიჩნევდა გერმანული ჯარების გამოყვანას პოლონეთიდან. ამის მთავარ მიზეზად იტალიური გაზეთები ასახელებდა დაპირებული დახმარების საქმეში საფრანგეთისა და ინგლისის აუჩქარებლობას. სამაგიეროდ, იტალიური პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა მოკავშირის წარმატებებს – გერმანიის მიერ გრაუდენცისა და კატოვიცას აღებას, ვარშავის ბომბარდირებას („კომუნისტი“ 1939. №206). საკდესი პარიზულ ქრონიკაზე დაყრდნობით, საფრანგეთში ინგლისის ჯარის ჩასვლაზე და მხარდაჭერაზეც ამახვილებს ყურადღებას. საომარი ვითარების პარალელურად სხვა ზომებიც მიიღეს სახელმწიფოებმა: საფრანგეთმა მოახდინა გერმანელ მოქალაქეთა კონფისკაცია; ინგლისში კი შეიქმნა ეკონომიკური ომის სამინისტრო, რომლის მიზანი იყო დეზორგანიზაციის შეტანა მტრის ეკონომიკაში და ხელის შეშლა ომის ეფექტურად წარმოებაში. ეკონომიკური ომის სამინისტრო მჭიდრო კავშირს იქონიებდა საფრანგეთის სათანადო ხელისუფლებასთან, რათა ერთობლივად განეხორციელებინათ სათანადო ღონისძიებები. 8 სექტემბერს გერმანია შეიჭრა ვარშავაში და დააპატიმრა პოლონეთის მე-7 დივიზიის მეთაური გენერალი გონსეროვსკი. ასეთ ვითარებაში იაპონიამ მოითხოვა ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების გაყვანა ჩინეთიდან („კომუნისტი“ 1939. №207).

როგორც ჩანს, არაეფექტური აღმოჩნდა გერმანიის საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებები და გავლენა ვერ მოახდინა ომის შემდგომ განვითარებაზე.

დასავლეთის ფრონტზე საფრანგეთის შეტევის მიზანი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გერმანიის ჯარის გამოყვანა იყო პოლონეთიდან. მართლაც, ნაწილობრივ, 6 დივიზია გადაისროლა გერმანიამ დასავლეთის ფრონტზე და მძიმე ტექნიკით მიიტანა იერიში საფრანგეთის ჯარზე („კომუნისტი“ 1939. №209). ამერიკელი ექსპერტები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ დასავლეთის ფრონტის აქტივობას, მათ შეუძლებლად მიაჩნდათ ასეთმა აქტივობამ აიძულოს გერმანია გაიწვიოს თავისი ჯარი პოლონეთიდან. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, გერმანიის შესუსტებლად საჭირო იქნება ერთი თვის განმავლობაში მაინც სერიოზული იერიშები. ზოგიერთის აზრით, პოლონეთის მდგომარეობა მძიმე დარჩება მანამ, სანამ ინგლისი და საფრანგეთი ძალიან არ დააწვებიან გერმანიას („კომუნისტი“ 1939. №208). კვლავ გრძელდება გერმანიაზე ზეწოლის ღონისძიებები. რუხველტი (8 სექტემბერი) ნაციონალურ საგანგებო მდგომარეობას აცხადებს სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად. გადაწყვიტა ნეიტრალიტეტის საკითხის გადასინჯვა იარაღის გატანაზე ემბარგოს გასაუქმებლად. იუნაიტედ პრესის ცნობით (ნიუ-იორკი) ინგლისში დაპატიმრებულია 6 ათაზე მეტი კაცი ჯაშუშობის ბრალდებით.

ინგლის-ამერიკის კრედიტორთა კომიტეტებმა გამოაცხადეს, რომ დამთავრდა გერმანიასთან იმ შეთანხმების მოქმედება, რომლის თანახმადაც გერმანიის მრეწველობას მოკლევადიანი კრედიტები ეძლეოდა („კომუნისტი“ 1939. №208).

13 სექტემბერს, ბერლინის სააგენტოს ცნობით, გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება პოლონეთის მთავრობის და სამხედრო სარდლობის მოსახლეობისადმი მიმართვის გამო. პოლონეთის ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვდა დაუცველი ქალაქების მოსახლეობისგან გერმანიის ჯარებისათვის წინააღმდეგობის გაწევას, პარტიზანული ბრძოლების გამართვას. პოლონეთის არტილერიამ ქ. ვარშავას ყუმბარები დაუშინა. ამ ფაქტის საპასუხოდ გერმანიის სარდლობა განაცხადებს, რომ გერმანიის არტილერიისა და საჰაერო ძალებისთვის მიცემული გაფრთხილება არ დაუშინონ დაუცველ ქალაქებსა და სოფლებს, არ ითვალისწინებდა მტრისთვის წინააღმდეგობა გასაწევ პუნქტებად მათი გადაქცევის შემთხვევას. რამდენადაც პოლონეთის მთავრობამ ანგარიში არ გაუწია თავისი ხალხის ინტერესებს და დაარღვია ეს პრინციპი, გერმანიის ჯარი მომავალში გამოიყენებს მის განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებას, რათა გატეხოს წინააღმდეგობის გაწევის უნარი ასეთ ქალაქებში. მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს პოლონეთის მთავრობას („კომუნისტი“ 1939. №212).

ნიუ-იორკელი კორესპონდენტი, რომელიც გერმანიის არმიას ახლდა, იუწყება პოლონელთა თავგანწირული ბრძოლების შესახებ „ყველგან ვხედავდი, რომ პოლონელები ბევრად უფრო თავგანწირვით იბრძოდნენ, ვიდრე წარმოდგენილი მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები სწრაფად მიიწევდნენ წინ, პოლონელები თვითუფლებ მტკავრულ ტერიტორიას იცავდნენ“ („კომუნისტი“ 1939. №212). ინფორმაციები, რომლებიც ვრცელდებოდა პოლონური ჯარის თავგანწირულ ბრძოლებს ნაკლებად ასახავდა. ალბათ, ამით იყო განპირობებული კორესპონდენტის

განცხადებაც. საერთაშორისო საზოგადოება ხედავდა მხოლოდ როგორ იკავებდა ამა თუ იმ ტერიტორიას გერმანია.

გაზეთ „კომუნისტი“ მასალა, რომელიც წარმოვადგინე, ათვალსაჩინოებს გერმანიასა და პოლონეთს შორის საომარი მოქმედებების განვითარებას, რომელსაც წინ უძღოდა მთელი რიგი საზღვრისპირა კონფლიქტები და ორივე მხარის გამალეული მზადება: ჯარის საზღვრებისკენ გადაყვანა, საყოველთაო მობილიზაცია, თავშესაფრების აგება, საჰაერო თავდაცვის საშუალებების გაძლიერება. ომი დერეფნის და ზემო სილეზიის სამრეწველო რაიონების გერმანიასთან შეერთებით დაიწყო. ვითარება კრიტიკულ ზღვრამდე მივიდა. გერმანელები ვარშავაში შეიჭრნენ და პოლონეთის თითქმის ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი დაიკავეს. ამის მიზეზად „პრავდა“ ასახელებს 1. პოლონეთის სათანადო მოუმზადებლობას ომისათვის. 2. საბრძოლო ტაქტიკას, პირველივე დღეებში ზურგში ბომბარდირებამ პოლონეთის სარდლობას შესაძლებლობა წაართვა მოეხდინა ძალების სწრაფი გადაჯგუფება. 3. სამხედრო ტექნიკის უპირატესობა. 4. პოლონეთისავის ინგლისისა და საფრანგეთის მიერ ეფექტური დახმარების აღმოუჩენლობა. ბოლოს ასკვნის, მიუხედავად იმისა, რომ გადაინახა სამხედრო ნაწილები, საექვოა პოლონეთის სარდლობამ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა შესძლოს („კომუნისტი“ 1939. №210).

ქალაქში ყველგან ბარიკადებს აგებენ. ტრამვაის ვაგონებმა, დაყირავებულმა სატვირთო ავტომობილებმა და აყრილმა ქვაფენილმა ხელი უნდა შეუშალოს გერმანიის იმ ჯარის შესვლას ქალაქში, რომელიც მას გარს არტყია. ბარიკადებს აგებენ და იცავენ ქალაქის შეიარაღებული მცხოვრებნი, პოლონეთის დედაქალაქში შედგენილია სამოქალაქო მსროლელთა რაზმები, რომლებიც ჩასაფრებული არიან სახლების სახურავებზე

და სარდაფებში. ვარშავის მრავალ რაიონს ხანძარი გაჩნდა. ქუჩებში აგებული ბარიკადები ხანძრის ჩაქრობას შეუძლებელს ჰხდის. ცეცხლი სულ უფროდაუფრო შორს ვრცელდება. ვარშავის მცხოვრებნი სილით სავსე ვედროებით ამაოდ ცდილობენ ხელი შეუშალონ ცეცხლის გავრცელებას. ვისლის აღმოსავლეთ ნაპირზე, პრადის გარეუბანში, პოლონელები სანგრებს აგებენ („კომუნისტი“ 1939. №211).

საფრანგეთისა და ინგლისის აუჩქარებლობას ასახელებს ვითარების ამგვარად განვითარების მიზეზად, ასევე, სამხედრო მწერალი ბოლდუინი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ და აღნიშნავს, რომ „არ შეიძლება დიდი წარმატების იმედი ვიქონიოთ მანამ, სანამ გამორკვეული არ იქნება გერმანიის დასავლეთ ნაწილში მდებარე სიმაგრეთა ძლიერი და სუსტი მხარეები“ („კომუნისტი“ 1939. №211). გერმანიის სიმაგრეებზე უმნიშვნელო მიძალებამ ვერ მიიზიდა გერმანიის სერიოზული ძალები პოლონეთის ფრონტიდან „შესაძლებელია, რომ იყო სამხედრო ხასიათის სერიოზული საფუძვლები, რის გამოც საფრანგეთმა და ინგლისმა აქამდე ვერ შესძლეს სერიოზული ზომების მიღება. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ეს მიზეზები, პოლონეთი დახმარებას მოკლებული აღმოჩნდა“ („კომუნისტი“ 1939. №212).

ამერიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ბრაუდერი ევროპის ომს ახასიათებს, როგორც იმპერიალისტურ ომს, რომელიც „სწარმოებს არა ფაშიზმის მოსასპობად, არამედ მსოფლიოზე იმპერიალისტური ბატონობის გააფართოებლად... პოლონეთი, ისევე, როგორც ბელგია უკანასკნელ მსოფლიო ომში, გამოყენებულია ამ ომის საბაზად“ („კომუნისტი“ 1939. №214).

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ომი.

პოლონელთა წარუმატებელი საომარი მოქმედებების ფონზე, გაჩაღდა ანტიპოლონური მოძრაობა აღმოსავლეთ გალიციასა და დასავლეთ ბელორუსიაში, მოსახლეობამ უარი თქვა პოლონეთის არმიაში შესვლაზე და დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ („კომუნისტი“ 1939. №211).

ამავე დროს, ხელისუფლება აქტიურ ანტიპოლონურ პროპაგანდას ეწევა მედიის საშუალებით. „კომუნისტი“ კვლავაც აგრძელებს პოლონეთის სწრაფი სამხედრო დამარცხების შინაგან მიზეზებზე გაზეთ „პრავდის“ შეხედულების გამოქვეყნებას, სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ პოლონეთის მარცხი განაპირობა არა მხოლოდ გერმანიის სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო ორგანიზაციის უპირატესობამ, ან იმ გარემოებამ, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა დროულად არ აღმოუჩინეს ეფექტური დახმარება, არამედ პოლონეთის შინაგანმა სისუსტემ და წინააღმდეგობებმა. მიუთითებს, რომ პოლონეთში ნაციონალური უმცირესობა მოსახლეობის 40 % შეადგენს. მათ შორისაა უკრაინელები (7 მლნ) და ბელორუსები (3 მლნ), რომლებთან ურთიერთობის გაართულებას ასახელებს უმთავრეს მიზეზად.

უნდა მოეგვარებინათ ნორმალური ურთიერთობა ასეთ დიდ ნაციონალურ უმცირესობებთან, უნდა უზრუნველყოთ მათთვის ნაციონალური უფლებანი, უნდა მიეცათ მათთვის ადმინისტრაციული ავტონომია მაინც, თუ არა პოლიტიკური ავტონომია, უნდა მიეცათ ნაციონალური სკოლები, კულტურული დაწესებულებანი და ა.შ. ვინაიდან აშკარაა, რომ ნაციონალურ უმცირესობათათვის თუ ასეთი ან მსგავსი ნაციონალური უფლებები უზრუნველყოფილი არ არის, შეუძლებელია მრავალერიანი სახელმწიფოს შენარჩუნება, შეუძლებელია მისი შინა-

განი ერთიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება („კომუნისტი“ 1939. №212).

წერილის მიხედვით, პოლონეთის მმართველმა წრეებმა მრავალერიან სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის ეს აუცილებელი პირობა არ შეასრულეს, პირიქით, უფრო გაამწვავეს ნაციონალურ უმცირესობებთან ურთიერთობა. ამ მხრივ პარალელს ავლებს ცარიზმის პოლიტიკასთან და მიუთითებს, რომ არაფრით განსხვავდება პოლონეთის პოლიტიკა რუსეთის ცარიზმის პოლიტიკისაგან. პოლონეთის მმართველი წრეები ეწევიან უკრაინელთა და ბელორუსთა ძალდატანებით გაპოლონელების პოლიტიკას. დასავლეთ ბელორუსიასა და უკრაინის მიწებზე პოლონელ სამხედრო კოლონისტებს ე.წ. „ოსადნიკებს“ ასახლებდნენ. პოლონელები ფლობდნენ ძალაუფლებას, სახელმწიფო ადმინისტრაციული ენა იყო პოლონური

ეროვნულ უმცირესობებზე თავიანთ ბატონობას პოლონეთის მმართველი წრეები დამსჯელი ექსპედიციებით, საველე სასამართლოებით, თეთრი ტერორით, ნაციონალური შუღლის გაღვივებით ინარჩუნებენ („კომუნისტი“ 1939. №212).

არ არსებობს უკრაინული და ბელორუსული სკოლები. პოლონეთის კონსტიტუცია ნაციონალურ უმცირესობათათვის არ ითვალისწინებს ბავშვების დედა ენაზე სწავლების უფლებასაც. ასეთივე მდგომარეობაშია ლიტერატურა, პრესა, ხელოვნება.

ამ მიზეზების გამო ვერ შედგა, „პრავდის“ აღნიშვნით, მრავალერიან პოლონეთში სახელმწიფოს შინაგანი ერთიანობა და კონსოლიდაცია, რასაც „შეძლო აეზვირთებინა პატრიოტიზმი და მტრისათვის ერთსულოვანი წინააღმდეგობის გაწევის სული-სკვეთებით გაემსჭვალა პოლონეთის არმია“.

პოლონეთის ნაციონალური უმცირესობანი ვერ გადაიქცნენ და ვერც გადაიქცეოდნენ სახელმწიფოებრივი რეჟიმის საიმედო დასაყრდენად. მრავალერიანი სახელმწიფო, რომელსაც მასში მოსახლე ხალხთა მეგობრობა და თანასწორობა არ აკავშირებს და რომელიც, პირიქით, დაფუძნებულია ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრასა და უთანასწორობაზე, არ შეიძლება მტკიცე სამხედრო ძალას წარმოადგენდეს.

ამაში მდგომარეობს პოლონეთის სახელმწიფოს სისუსტე და ომში მისი დამარცხების შინაგანი მიზეზი („კომუნისტი“ 1939. №212).

პუბლიკაციის გამოქვეყნება ემთხვევა (14.09) ნაციონალურ გამოსვლებს გალიციასა და დასავლეთ ბელორუსიაში დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ასეთ ვითარებაში მსგავსი წერილის გამოქვეყნება მკითხველებში ეროვნული სენტიმენტების გაღვივება-გამძლიერებას და ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდებას ემსახურებოდა. ზემოთ აღვნიშნე, 1920 წლიდან მოყოლებული, როგორ აქტიურად მუშაობდა ამ მიმართულებით საბჭოთა ხელისუფლება უკრაინასა და ბელორუსიაში. იგივეს აკეთებს ამჯერადაც.

17 სექტემბრის მოვლენები ისტორიულ გადაწყვეტილებად ჩაიწერა საბჭოთა კავშირის ისტორიაში. ამ ნარატივით, პოლონეთის სახელმწიფოსა და მთავრობის განადგურების გამო, წითელი არმია გადავიდა საზღვარზე დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის დასაცავად „იკავენ თვისტომ ძმებს – უკრაინლებსა და ბელორუსებს, რომელნიც დიდხანს იტანჯებოდნენ პოლონელი პანების მძიმე ტყვეობაში“. საგარეო საქმეთა მინისტრი მოლოტოვი საზღვრის გადაკვეთის ფაქტს ხსნის საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ცვლილებებით. პოლონეთ-გერმანიის ომში პოლონეთის მარცხმა, მოლოტოვის აზრით, ცხა-

დჰყო პოლონეთის სახელმწიფოს უსუსურობა. მიუთითებს, რომ განადგურდა პოლონეთის სახელმწიფო და გაუქმდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაც. საუბრობს პოლონურ არმიასზე და დამარცხების მიზეზებზეც:

არმიას არ ჰქონია არცერთი ოპერატიული წარმატება. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ძალდატანებით შეგროვებულია ეროვნული უმცირესობათაგან, რომელთაც სძაგთ პანების პოლონეთი – ხალხთა საპყრობილე. ცხადია, რომ ასეთ არმიას არ შეუძლია წარმატებით იომოს.

საბჭოთა მთავრობას თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია დახმარების ხელი გაუწოდოს თავის ძმებს – უკრაინელებს და ბელორუსებს, რომელნიც პოლონეთში მოსახლეობენ („კომუნისტი“ 1939. №216).

ამ ტენდენციურ განცხადებაში, რომელიც პოპულისტურ და პროპაგანდულ ხასიათს ატარებს, ჩემთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიას, ერთი მხრივ, პოლონეთს აკუთვნებს, მეორე მხრივ, დამპყრობელს უწოდებს. ამ განაცხადით ნათელია საბჭოთა ხელისუფლების მიზანიც. თუ ტერიტორია პოლონეთს ეკუთვნის ისმება კითხვა – რატომ გადაკვეთა საზღვარი საბჭოთა არმიამ?

საზღვრის გადაკვეთის ფაქტს გაზეთი ხსნის ეროვნულ უმცირესობათა ჩავვრით და ქმნის საბჭოთა არმიის როგორც განმათავისუფლებლის ხატს:

დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიის მცხოვრებნი წითელ არმიას ეგებებიან როგორც განმათავისუფლებელ არმიას, როგორც არმიას მომე ხალხისას, რომელსაც სურს დაეხმაროს მათ იცხოვრონ ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრებით. დასავლეთ უკრაინელ და დასავლეთ ბელორუს ძმებისადმი

სიყვარულის ტალღა კვალდაკვალ მიჰყვება ჩვენს წითელ არმიას. ეს სიყვარული ფრთებს ასხამს ჩვენს მეომრებს. ამ მეგობრობასა და სიყვარულს იგრძნობს თვითეული უკრაინელი, თვითეული ბელარუსი ღარიბი, პანების მიერ გაჩანაგებული ქოხები პოლო-ნეთის ყოფილი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამ ჯარების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აღადგინონ პოლონეთში წესრიგი და მშვიდობიანობა, რაც დარღვეულია პოლონეთის სახელმწიფოს დაშლით, და დაეხმარონ პოლონეთის მოსახლეობას მისი სახელმწიფოებრივი არსებობის პირობების გარდაქმნაში („კომუნისტი“ 1939. №216).

ამ ეპიზოდშიც იგივე ფაქტია დადასტურებული – დასავლეთ უკრაინას და დასავლეთ ბელორუსიას პოლონეთის სახელმწიფოს აკუთვნებს, რომელშიც წითელი არმია შედის როგორც განმათავისუფლებელი. ამავე დროს, ჯარების მისიად ასახელებს მშვიდობიანობის და წესრიგის დამყარებას, რაც თავისთავად საშინაო საქმეებში ჩარევას ნიშნავს. ე.ი. პოლონელი პანებისგან თავდაღწეული დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობა საბჭოთა იმპერიაში ერთიანდება.

მთელი ნომერი და მომდევნო სხვა ნომრებიც, ეძღვნება იმის მტკიცებას, თუ როგორ ათავისუფლებს სახელოვანი წითელი არმია პოლონელი პანებისაგან დასავლეთ უკრაინას და დასავლეთ ბელორუსიას. გაზეთი ხშირად აქვეყნებს „პრავდის“ მასალებს. ეს ნომრები ამ მხრით გამორჩეულია, მასში „პრავდის“ არაერთი სტატიაა გამოქვეყნებული. ერთიც და მეორეც თავის მკითხველებს ყველა სტატიაში ესაუბრება თუ როგორ ოვაციებით, გულისამაჩუყებელი სცენებით და წითელი დროშებით ხვდებიან საბჭოთა ჯარს როგორც განმათავისუფლებელს, რაც გამოკვეთილია სათაურებშიც „დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობა აღტაცებით ეგებება სახელოვან

წითელ არმიას“, „ამაღელვებელი შეხვედრები“, „სიხარული განთავისუფლებულ სოფლებში“, „დღესასწაული დასავლეთ ბელორუსიაში“, „წითელ მებრძოლებს ყვავილებით ეგებებიან“, „ბედნიერი დღეები“, სახალხო დღესასწაული“. აი, მაგალითად, ერთ-ერთი ეკიპაჟის მეთაურის განცხადებაც:

სტალინის სახელით მოვდივართ ჩვენ საბრძოლველად, რათა დავიცვათ ჩაგვრისაგან თვისტომი მოძმე ხალხები. ვარწმუნებთ სარდლობას, რომ მე ჩემი ეკიპაჟით ღირსეულად შევასრულებ ჩვენს მოვალეობას!(„კომუნისტი“ 1939. №216).

იგივე პათოსი იგრძნობა ქვედანაყოფის მეთაურის განცხადებაშიც:

მძლავრმა პატრიოტულმა ტალღამ მოიცვა მებრძოლები და მეთაურები. ყველანი აგზნებული არიან სურვილით რაც შეიძლება ჩქარა წავიდნენ ბრძოლაში და სასახელოდ შეასრულონ ბრძანება („კომუნისტი“ 1939. №216).

კორესპონდენტი აღტაცებით აღწერს იმ ფაქტს, თუ როგორ შემოეხვივნენ წითელარმიელებს ერთერთ სოფელში გლეხები და როგორ დაუწყო მოხუცმა გლეხმა გაზეთში გამოქვეყნებული სტალინის სურათს კოცნა („კომუნისტი“ 1939. №216). მცხოვრებლები თვალცრემლიანი უამბობდნენ თუ როგორ უკრძალავდნენ არათუ უკრაინულზე სწავლებას, არამედ უკრაინულ სიმღერებსაც. „ – მე მინდა ასეთივე ვიყო როგორიც, ესენი არიან და კიდევაც ვიქნები ასეთი. მე ამათთან ერთად წავალ და აღარასოდეს აღარ იქნებიან ჩვენს მიწა-წყალზე პანები და მემამულეები. უკრაინა ერთიანი, ბედნიერი და თავისუფალი იქნება“. დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე მყოფი შენაერთის მეთაური აღნიშნავს ინტერვიუში, რომ „სიტყვები ვერ მიპოვნია, გამოვთქვა

ის გრძნობები, რომლებსაც განიცდიან ამჟამად დასავლეთ უკრაინის უკრაინელები და განიცდის თვითეული ჩვენგანი“ („კომუნისტი“ 1939. №216). მოხმობილ ინფორმაციებში ყურადღება გამახვილებულია ხალხის აღქმასა და ემოციაზე. ხაზგასმა ხდება იმაზე, რომ ხალხი იყო ცუდ დღეში, მობეზრებული ჰქონდა პანების მმართველობა, ხალხი აღტაცებულია საბჭოთა ჯარის შესვლით. ე.ი. ხალხით ახდენს გაზეთი აპელირებას და შეჭრის ფაქტის გამართლებას.

მიზანი პუბლიკაციებისა არის გრძნობების გაძლიერება, მკითხველების ემოციური მართვა. საამისოდ გაზეთი მოიხმობს უახლესი საბჭოთა ნარატივიდან (საკ.კ.პ.(ბ) („მოკლე კურსი“) არგუმენტებს წითელი არმიის ძლიერებისა და გამარჯვების თაობაზე: „წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა, რომლის გულისთვისაც წითელი არმია ომობდა, იყო სწორი, ხალხის ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა... დღესაც წითელი არმია ძლიერია, უძლეველია იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა სწორია, რომ იგი მიმართულია მშრომელთა ინტერესების დასაცავად, თვისტომი ძმების – უკრაინელებისა და ბელორუსების დასაცავად“ („კომუნისტი“ 1939. №216).

გერმანული პრესის გამოხმაურებაზეც ამახვილებს ყურადღებას გაზეთი. გერმანული პრესა მხურვალე მისალმებით ხვდება საბჭოთა ჯარების გადადგმულ ნაბიჯს დაიცვან პოლონეთის უკრაინელები და ბელორუსები. „ფელკიშერ ბეობახტერი“ იმასაც მიუთითებს თუ რა აღფრთოვანება მოჰყვა სრულიად საბჭოთა კავშირში ამ ფაქტს: „საბჭოთა მთავრობამ პოლონეთის სახელმწიფოს დაშლის ფაქტიდან გამოიტანა სავსებით კანონზომიერი დასკვნა – საკუთარი ძალებით დაიცვას თავისი მონათესა-

ვე ნაციონალური უმცირესობანი დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში“ („კომუნისტი“ 1939. №216).

აი, ერთ-ერთ წერილში რას ვკითხულობთ

მტრების ვერავითარი მონაჭორები ვერ შეუშლიან ხელს იმას, რომ მთელი მსოფლიოს ხალხის მასების შუაგულში გზა გაიკაფოს დიადმა სიმართლემ იმ დიდი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, რაც იმ თერთმეტი მილიონი მშრომელის განთავისუფლებას აქვს, რომელნიც დღემდე პოლონელი მაგნატების მიერ იჩაგრებოდნენ. ვერავინ მიჩქმალავს განმათავისუფლებელ მნიშვნელობას, რომელიც წითელი არმიის მიერ დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიის დაკავებას აქვს („კომუნისტი“ 1939. №218).

ამ ეპიზოდით ნათელია, რომ პრესაში საგანგებოდ შექმნილი სურათი სინამდვილის გადაფარვას ემსახურება.

პოლონეთ-გერმანიის ომის შესახებ რუსული პრესაში, რომლის ინფორმაციები, როგორც აღვნიშნე, პირდაპირ გადმოაქვს ხშირ შემთხვევაში „კომუნისტს“, უმთავრესად გერმანელთა უპირატესობებია გამოკვეთილი. თუმცა, ქვეყნდება ისეთი ცნობებიც, რომლებიც განსხვავებულ ვითარებას ასახავენ. ასეთი ერთ-ერთი ინფორმაცია არის „ჩემბერლენის გამოსვლა თემთა პალატაში“. თავის გამოსვლაში ჩემბერლენი მიუთითებს გერმანიის მარცხის შესახებ დასავლეთის ფრონტზე, სადაც წარმატებით უტევდა საფრანგეთი. აგრეთვე საუბრობს რესურსების მობილიზაციის აუცილებლობაზე და აღნიშნავს, რომ „ჩვენ არ უნდა გამოვიჩინოთ მოუთმენლობა, თუ ამის შედეგებს ერთბაშად ვერ ვიგრძნობთ“ („კომუნისტი“ 1939. №219).

მოვლენების შემდგომ განვითარებას რაც შეეხება, რუმინეთის მთავრობამ პოლონელ დევნილებს მთავრობის წევრებისა

და სამხედრო პირების გარდა, მისცა შესაძლებლობა დატოვონ რუმინეთი და მოახდინა ბეკის და რიძსმიგლის ინტერნირება („კომუნისტი“ 1939. №219).

ამ დროს აშშ-ს პრეზიდენტი კი ცდილობდა იარაღით ვაჭრობაზე დაწესებული ემბარგოს გაუქმებას, ვინაიდან კანონით ნებადართული იყო იმ სამხედრო მასალების ექსპორტი, რისგანაც იარაღი მზადდება და ამერიკული გემებით ხდებოდა მეომარ ქვეყნებში გადაზიდვა. მატერიალური თვალსაზრისით, აშშ აქედან არავითარ სარგებლობას არ იღებდა, როცა შეეძლო ათასობით ადამიანის დასაქმება იარაღის წარმოებაში და ხელი შეეწყო ნაციონალური თავდაცვის განმტკიცებისათვის. კანონი, რუზველტის აზრით, ემუქრებოდა აშშ-ს ნეიტრალიტეტს და უშიშროებას, ამავდროს აფერხებდა ეკონომიკურ წარმატებას („კომუნისტი“ 1939. №220).

27-28 სექტემბერს მოსკოვში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ მოლოტოვსა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ რიბენტროპს შორის გაფორმდა მეგობრობისა და საზღვრის შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულებით პოლონეთის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, თავიანთ ამოცანად გამოაცხადეს ამ ტერიტორიაზე მშვიდობიანობისა და წესრიგის დამყარება („კომუნისტი“ 1939. №224).

ე.ი. პოლიტიკური ერთობის იმპერიული მიზნები ნათლად გამოვლინდა ერთი მხრივ, გერმანიის, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის თავდასხმით პოლონეთზე.

ზემოთ აღნიშნული პუბლიკაციებით თვალსაჩინოა, როგორ მზადდებოდა პოლონეთზე თავდასხმა. თუ დავაკვირდებით მასალების გამოქვეყნების დინამიკას, პოლონეთზე მასალები მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა გაზეთ „კომუნისტის“ ფურ-

ცლებზე. პუბლიკაციები ასახავენ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებისთვის საინტერესო პოლიტიკურ ვითარებას და ატარებენ ტენდენციურ ხასიათს. ეს მიუთითებს საბჭოთა საქართველოს პრესის განსაკუთრებულ ინტერესზე პოლონეთში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით. ამით უნდა იყოს განპირობებული ის გარემოება, რომ არის პერიოდები, როდესაც გაზეთის ფურცლებზე საერთოდ არ არის არანაირი ინფორმაცია პოლონეთის შესახებ.

თავი მეორე. კულტურა და პოლონური იდენტობა

კულტურა იდენტობის გამოკვეთილი მახასიათებელია. შესაბამისად, სათანადო ადგილი ეთმობა მედიის ფურცლებზე კულტურული მახასიათებლების (ენა, ტრადიცია, თეატრი) მნიშვნელობაზე მსჯელობას იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

იდენტობის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს ენა წარმოადგენს. ამიტომაც, სამშობლო ენის გამოდევნა რუსეთის თუ ავსტრია-პრუსიას დაქვემდებარებულ პოლონეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებიდან, უპირველესად, სკოლებიდან, უმძიმესი განსაცდელი იყო პოლონელი ხალხისთვის, რასაც პოლონელთა მასშტაბური პროტესტი მოჰყვა. მოსახლეობა პოლონური ენის აღდგენას მოითხოვდა. სწორედ, ამ ნიშნით დაიწყო აქტიური პროპაგანდა საზოგადოებაში სამშობლო ენაზე სწავლების აუცილებლობის შესახებ: სასულიერო პირები პოლონურად სწავლებას ქადაგებდნენ, პოლონურად საუბარს მოუწოდებდა საზოგადოებას ბეჭდური მედიაც. ამგვარი ფაქტები სანიმუშო მაგალითები უნდა გამხდარიყო ქართველი მკითხველისთვის იდენტობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გზაზე.

ენობრივი საკითხების საზოგადოებრივი პერცეფციების ანალიზის თვალსაზრისით საინტერესოა ქართული მედიის ინფორმაცია პეტერბურგში ახალი იმპერატორის კურთხევაზე წარგზავნილი პოლონელი და ქართველი დეპუტატების მოთხოვნებზე. საზოგადოებრივი განსჯის საგნად იქცა პეტერბურგში ახალი იმპერატორის კურთხევაზე წარგზავნილი ქართველ

დეპუტატთაგან¹⁴ კონვოლეებისათვის ვენზელების (ვენზელი იყო მხრებზე დასაკერი ნიშანი მეფის ინიციალებით) მოთხოვნა. მაშინ როდესაც ამავე შეკრებაზე პოლონელები მოითხოვდნენ თავიანთი ენის თავისუფლებას, სასამართლოებში და სასწავლებლებში თავიანთი დედა ენის შემოდებას. პოლონელთა მოთხოვნა გაუჟღერებია გრაფ ზამოისკის („დროება“ 1881. №68).

ჩვენებს უნდა თავის თავზე და თავიანთ მეგობრებზე და ეზრუნათ, პოლშელებს – საზოგადოებაზე; ჩვენებმა თავიანთ ნათესავს, ან მეგობრებს კონვოლეებს ვენზელები უთხოვეს, პოლშელებმა ითხოვეს თავიანთი ენის თავისუფლება და თავის ქვეყნისთვის სხვა და სხვა უფლება. პოლშელ დეპუტატებმა, გაზეთების სიტყვით, თურმე ერთბაშადა სთქვეს, რუსული არ გვემისო, რადგან იცოდენ, რომ მათ ზურგს უკან რამდენიმე მილიონი ხალხი ამოჰფარებოდა და ეჭირვებოდა, რომ სასამართლოებში და სასწავლებლებში დედა-ენა შემოედოთ; ამ აზრით იმათ იკისრეს რუსული ენის უცოდინარობა, თუმცა დარწმუნებული ვართ, ეს ენა იმათ ზოგიერთ ჩვენს „დეპუტატებზე“ უკეთ ეცოდინებოდა („ივერია“ 1881. №5)

– წერს დიდი გულისტკივილით ილია ჭავჭავაძე.

ქართული საზოგადოებისთვის მტკივნეულია ის ფაქტი, რომ ჩვენი დეპუტატები პოლონელების მსგავსი თხოვნით არ წარსდგნენ პეტერბურგში. მედიის აქტიური განსჯის საგანი გახდა ქართული ერთობის შემარცხვენელი დეპუტატების განაცხადი და მისი განმაპირობებელი მიზეზები. აღნიშნული სამწუხარო ფაქტის მიზეზად დასახელებულია ჩვენში დეპუტატების თვითამორჩევის წესი. სწორედ ეს გარემოება განასხვავებდა

¹⁴ქართველთა დეპუტაციაში შედიოდნენ: დ. სუმბათოვი, ლ. მაღალაშვილი, ა. მუხრანსკი, ნ. წერეთელი, ანდრონიკოვი და სხვები (კალანდაძე 1997: 665-666).

მათ პოლონელებისაგან, რომლებიც საზოგადოებისაგან იყვნენ ამორჩეულნი. მედია მოუწოდებს საზოგადოებას მიიღოს მონაწილეობა ჩვენში დამკვიდრებული თვითამორჩევის წესის შეცვლაში, რათა სამომავლოდ შემარცხვენელი განცხადებით არ წარმდგარიყვნენ ჩვენი დეპუტატები.

წარმოდგენილი კორესპონდენციის მიზანია, ერთი მხრივ, მხილება უღირსი საქციელისა როგორც ზემოთ მივუთითე, მეორე მხრივ, პოლონელი დეპუტატების მიერ აქცენტების ეროვნულ საკითხებზე დასმის ჩვენებით, მედია მკითხველებში თანამომხედების მიერ შელახული ეროვნული ღირსების აღდგენაზე ზრუნვისაკენ მოწოდება. ამით საბოლოოდ აღძრავს და ქმნის მკითხველ საზოგადოებაში უკეთესი მომავლის იმედს.

დედაენაზე სწავლების აუცილებლობა საქალაქო თუ სასოფლო სკოლებში დაურღვეველ საჭიროებად გამოუცხადებია იმპერატორ ალექსანდრე მეორეს პოლონეთის მთავარმმართველისადმი 1864 წელს დაწერილ რესკრიპტში „სამოსწავლო გამგეობათ არც სხვას უნდა მისცენ ნება და არც თვითონ იკისრონ მეცნიერების ტაძრის გარდაქმნა პოლიტიკურ განზრახვის საშუალებად; იგინი უნდა განათლებას მიუდგომლად ემსახურონ. ამის გამო ჩვენ ვაძლევთ ნებას პოლშის ახალგაზრდობას მიიღოს სწავლა თავის დედაენაზედ“. იმავე წლის პოლონეთის გუბერნიების სასწავლებლებისათვის დამტკიცებულ წესდებაში აღნიშნული ყოფილა, რომ „ყოველს პირველდაწყებით სასწავლებლებში სწავლა უნდა იყოს იმ ენაზედ, რა ენაზედაც ლაპარაკობენ იმ ქალაქისა და სოფლების მცხოვრებნი, სადაც სკოლაა გამართული“ („ივერია“ 1881. №12).

მით უფრო შესანიშნავია, რომ ეს ფაქტი მოხდა პოლონეთის აჯანყების დაშვადების შემდეგ „თუ კი განსვენებულმა

იმპერატორმა სცნო საჭიროდ და მიანიჭა აღელვებულ ხალხს საუკეთესო უფლება, უფლება დედაენაზედ სწავლებისა, ცხადია, გულწრფელად მოისურვებდა აგრეთვე მიენიჭა იგივე უფლება იმ ერთგულ ხალხისთვის, რომელმაც ფეხი ჩაადგმევინა რუსეთს კავკასიაში და გულწრფელად შეეწეოდა მას ამ მფლობელობის გავრცელებასა და დამკვიდრებაში“ („ივერია“ 1881. №12).

მედიას იქეთვე მიჰყავს მსჯელობა, რომ არავითარი სიკეთე არ მოაქვს სახელმწიფოში მიღებული ენის ძალადობით გავრცელებას. რადგანაც ეს ძალადობა ეროვნობის მოსპობისაკენ არის მიმართული, იგი აღძრავს ხალხში ნაციონალურ გრძნობას, რომელიც თვით ძალადობითვე იკვებება და აქეზებს ხალხს ყოველ ღონეს მიმართოს ეროვნების დასაცავად.

აი, სხვა სტატიაც, სადაც გამოკვეთილია პოლონელთა აქცენტები განათლების წარმატებისათვის მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობის შესახებ:

მხოლოდ სამშობლო ენაზე სწავლა აღზრდის რიგიანად ახალს თაობას, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის მომავალი და კეთილდღეობა („დროება“ 1884. №5).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პოლონელთა ეროვნული მოძრაობის შედეგებს მსგავს პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოსთვის. ამ მხრივ აღსანიშნავია, ლუბლინის დემონსტრაცია, რომელსაც როგორც ჩანს, უშედეგოდ არ ჩაუვლია. სკოლების და ლიტერატურის მდგომარეობა პოლონელი და რუსი საზოგადოების განხილვის საგნად ქცეულა და ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა დაუნახიათ. ტელეგრამა იუწყება, რომ ხელისუფლება აპირებს დაბალ კლასებში პირველ დაწყებითი სწავლა პოლონურად წარმართონ,

დიდი ადგილი დაუთმონ საშუალო სასწავლებლებში პოლონურ ენას, ლიტერატურას ისტორიას. ეს ფაქტი არამარტო პოლონელებისთვის იყო სასიამოვნო, არამედ ყველა უცხო ტომის ხალხისთვის, რომლებიც რუსეთის დაქვემდებარებაში არიან. რაკი განათლების საკითხის განხილვას შეუდგა მართებლობა პოლონეთთან ერთად სხვა ხალხთა მდგომარეობასაც შეეხებოდა („დროება“ 1881. №167).

რუსეთის მთავრობის მცდელობა რუსული ენა გაავრცელოს და დაამკვიდროს იმპერიაში შემავალ სხვადასხვა ეროვნების, სარწმუნოების და კულტურის ხალხებში, როგორც სახელმწიფო ენა, რთული აღმოჩნდა. ამიტომაც სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავდა თავისი მიზნის განსახორციელებლად. განსაკუთრებულ სირთულეებს რუსეთი დასავლეთის გუბერნიებში წააწყდა, რადგან აქ რუსული ენის გვერდით ბატონობს პოლონური ენა, რომელიც ძლიერი კულტურის, მდიდარი მწერლობის წარმომადგენელია. კოვნოს, ვილნოს და სუვალკის გუბერნიების ნაწილში ცხოვრობს ჟმუდის ერი, რომელიც პოლონეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთმა შეიერთა და სახელმწიფო ენად რუსული გამოაცხადა. რუსეთს იმედი ჰქონდა, რომ ჟმუდეთში რუსული გაბატონდებოდა, რადგან ადრე პოლონურ ენას არ სწავლობდნენ. მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა. ჟმუდელებმა დაიწყეს პოლონური ენის სწავლა, რაც განაპირობებდა პოლონური კულტურის და ენის გაბატონებას ჟმუდეთში. პოლონური ენის გაძლიერებაში დიდი წვლილი შეუტანია კათოლიკე სამღვდელოებს („ივერია“ 1889. №111).

ანალოგიური ვითარება იყო პოლონეთის იმ ნაწილში, რომელიც ავსტრია-უნგრეთს იყო დაქვემდებარებული. ავსტრია-უნგრეთი შედგებოდა სხვადასხვა ეროვნების ხალხისაგან, რომ-

ლებსაც თითოეულს თავისი საკუთარი ენა, ისტორია, მწიგნობრობა, ხასიათი, ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება აქვს. გერმანული წარმომავლობის ავსტრიის მთავრობამ განიზრახა სხვადასხვა ტომის ხალხის “განემეცება“. ამ მიზნით უნგრული და სლავური¹⁵ ენები გამოდევნა სასამართლოდან, მმართველობის ორგანოებიდან, სასწავლებლებიდან და შემოიღო გერმანული ენა, რაც გახდა სლავების მღელვარების მიზეზი. იდენტობრივი მახასიათებლების – ენის, ისტორიის, მწიგნობრობის, ხასიათის, ჩვეულების, ყოფა-ცხოვრების მოშლის მცდელობა ძვირად დაუჯდა იმპერიულ ხელისუფლებას.

პოლონელების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა 1890 წელს კანცლერ ბისმარკის გადაყენებით. უკვე ისე აღარ ავიწროებდნენ პოლონელებს, როგორც ბისმარკის დროს, პირიქით, მათი გულის მოგებას ცდილობდნენ. ამ მიზნით სხვადასხვა თანამდებობებზე ნიშნავდნენ წარმომავლობით პოლონელებს. ეს გამოიხატა პოზნანის და გნეზნოს მთავარეპისკოპოსად წარმომავლობით პოლონელი პრელატი სტაბლევსკის დანიშვნაში. გნეზნო-პოზნანის მღვდელმთავრად პოლონელთათვის მისაღები პირის დანიშვნას სასამართლოს საქმეების პოლონურად წარმოების და სკოლებში პოლონურად სწავლების მოთხოვნა მოჰყვა – მშობლებს თხოვნით მიუმართავთ პრუსიის საერო განათლების მინისტრ გრაფ ცედლიცისათვის შვილებსთვის სამშობლო ენის სკოლის სადგურებში სწავლების თაობაზე. ცედლიცს სასკოლო პროექტის შედგენისას გაუთვალისწინე-

¹⁵ავსტრიაში მცხოვრებ პოლონელების რაოდენობაზე ინფორმაციას აქვეყნებს „ივერია“. გაზეთის მითითებით სლავებს შორის ორ მილიონნახევარს პოლონელები შეადგენდნენ („ივერია“ 1877.№2)

ბია მშობლების თხოვნა, რისთვისაც კანონის განხილვის დროს დეპუტატებს გაუკრიტიკებიათ კიდეცა („ივერია“ 1892. №42).

საყურადღებო სიტყვით წარმდგარა ცედილიცი. მას აღუნიშნავს, რომ პრუსიის მთავრობა არასოდეს აიძულებდა (ბისმარკის დროსაც-კი) პოლონელებს დაევიწყებინათ თავიანთი სამშობლო ენა, ამგვარმა დამოკიდებულებამ ის შედეგი გამოიღო, რომ თვით პოლონელებს გამოუჩენიათ გერმანული ენისა და კულტურის შესწავლა-შეთვისების ინტერესი, რასაც იმათთვის, დიდი სარგებლობა მოუცია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. პოზნანში ორ ენაზე – პოლონურად და გერმანულად საუბრობენ. ცედილიცის მითითებით, ორივე ენის ცოდნა ეკონომიკურ წარმატებას მოუტანდა გერმანელებსაც, რომლებმაც ვერ აუღეს ალლო სწორედ ენის უცოდინრობის გამო ვაჭრობა-მრეწველობას. ვაჭრობა-მრეწველობაში კი ის იმარჯვებს ვინც უფრო მეტად შეუფერებს თავს ცხოვრების მოთხოვნილებას. ამ ნიშნით აჯობებს პოლონელებმა გერმანელებს. აღნიშნულ საკითხზე დაფიქრებისაკენ მოუწოდებდა ცედილიცი პროექტის განხილვისას დეპუტატებს („ივერია“ 1892. №42).

მართალია, ბისმარკის გადაყენების შემდეგ, ცვლილებები მოხდა პოლონელთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ როგორც ჩანს, ძნელი აღმოჩნდა პოლონელთა ტკივილის დაამება, რაც ნაწილობრივ მოუხერხებია ავსტრიის იმპერატორს ფრანციოსებს, რომელმაც თავი შეაყვარა პოლონელებს სახელმწიფო წეს-წყობილების მინიჭებით და მათი დამოუკიდებლობის აღდგენით. უმთავრესი რაზეც ისინი იმპერატორთან მიმართვაში ამახვილებენ ყურადღებას და რისი შენარჩუნებისთვისაც მადლიერებას გამოხატავენ არის იდენტობის ენობრივი მახასიათებელი: „შენის სამართლიანის სკიპტრის წყალობით ჩვენ თავის-

უფლად შეგვიძლიან ისევ პოლონელებად დავრჩეთ“ („ივერია“ 1894. №192).

პოლონელთა ეროვნული მოძრაობის გააქტიურების თვალსაზრისით საყურადღებოა პოზნანის კათოლიკეთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები: უნივერსიტეტის დაარსებისათვის ხელშეწყობა; მღვდლების ქადაგების გააქტიურება პოლონურ ენაზე განათლების მიღების თაობაზე; ზემო სილეზიის საოსტატო სემინარიებში მეტი პოლონურად მოსაუბრე მასწავლებლების მომზადებისათვის ხელშეწყობა და გაგზავნა გაგერმანელებულად მიჩნეულ ერმლანდში; ეპისკოპოს ტილეს ბრძანება საღვთო წერილის პოლონურად სწავლების თაობაზე; ზრუნვა სახელწოდებების დაბრუნებაზე – გერმანული სახელწოდებების ისევ პოლონური სახელწოდებებით შეცვლა (მაგ. ერზიცს ისევ ეციჟი ეწოდა, გურტბონს – გურტონი და სხ.); პოლონელთა პროტესტის გამოხატვა იმ გამოფენის კომისიის წევრობაზე პოზნანში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა გერმანიის საკოლონიზაციო კომისიის თავმჯდომარე, ვიტენბურგი; გაზეთებში აქტიური პროპაგანდის გაშლა პოლონურად საუბრის შესახებ:

ყველა სავაჭრო ადგილას, დუქნებსა და მაღაზიებში, აგრეთვე რესტორნებში პოლონური ლაპარაკი იყოსო. საცა პოლონური ლაპარაკი არ იყოს იქ ნურც ივლით და ნურც იყიდით რასმეო. ერთის სიტყვით, პოლონელთ უნდათ შეჰკრან გერმანელთა ვაჭრობა პოზნანში. პოლონურ ეროვნულ ძალ-ღონის სავარჯიშებლად და განსამტკიცებლად არსდება ახლა ყველგან პოლონელ მასწავლებელთა საზოგადოებანი. საზოგადოთ, პოლონელები დიდად მეცადინეობენ, რომ კვლავ დაიბრუნონ ის ადგილნი, საცა არევით სცხოვრობენ გერმანელნი და პოლონელნი

და, თუ შესაძლებელია, გააპოლონელონ კიდევ წმიდა გერმანიის ქვეყნები („ივერია“ 1894. №127).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პოლონელებმა დაიწყეს თვითსახელწოდებების დაბრუნებაზე ზრუნვა, რითაც ხდებოდა იდენტობის ისტორიული ტერიტორიების განსაზღვრა¹⁶. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რაზეც საუბარია წერილში, არის უნივერსიტეტის დაარსებისათვის ხელშეწყობა. საუნივერსიტეტო განათლების შემოღება დიდი მნიშვნელობის მოვლენაა იდენტობის ისტორიისათვის. უმაღლესი განათლება წარმოშობს განათლებულ ფენას – ინტელიგენციას. ინტელიგენცია კი, სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებული შეხედულებით, გადამწყვეტ როლს ასრულებს ნაციონალურ მოძრაობაში. ასევე საზოგადოებრივი განათლების ამაღლების მიზანს ემსახურებოდა პოლონელ მასწავლებელთა საზოგადოებების დაარსებაც.

პოლონელთა ეროვნული მოძრაობის გააქტიურებამ ზემო სილეზიაში გერმანელ მოქალაქეთა აღშფოთება გამოიწვია. მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ვილჰელმმა მხარი დაუჭირა სასამართლო საქმეების პოლონურად წარმოების შესახებ თხოვნას, ადგილობრივი გაზეთი გულდათუთქული ამბობს:

მაღე პოლონიელნი მოინდომებენ ცალკე ჯარის ყოლას, სადაც ბრძანება – განკარგულება პოლონურს ენაზე უნდა იყოს და სადაც მხოლოდ პოლონიელთა აფიცრები უნდა იყვნენ გამწესებულნი („ივერია“ 1893. №179).

სახელმწიფო და მშობლიური ენისადმი პატივისცემის საყურადღებო მაგალითს ვხვდებით კორესპონდენციებში:

¹⁶ იხ. მანია 2013-2014, მანია 2014. დასახ. ნაშრომი.

– ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა (ალექსანდრე იმერეტინსკი - ხაზი ჩემია ქ.მ.) შეიტყო-რა, რომ ქ. ლოდში სააქციონერო საზოგადოების ლ. ალარტისა და ამხ. ქარხანაში ნებადაურთველად მიღებულ იქმნენ გერმანელი ოსტატები, რომელთაც არ იციან სახელმწიფო და ადგილობრივი ენები, განკარგულება მოახდინა, რომ ეს ოსტატები დათხოვნილ იქმნან ქარხნიდგან, ხოლო ქარხნის პატრონი-კი, დაჯარიმებულ იქმნას 300 მანეთითაო („ივერია“ 1899. № 154).

პრესის ყურადღების მიღმა არ რჩება ენობრივი ხასიათის ცვლილებები თავადი იმერეტინსკის ვარშავის გენერალ-გუბერნატორად მუშაობის პერიოდში. ალექსანდრე იმერეტინსკის გენერალ-გუბერნატორობის დროს სავალდებულო საგნად იქნა პოლონური ენა შემოღებული გიმნაზიებში. გაიზარდა პოლონური ენის გაკვეთილები სახალხო სკოლებში („ივერია“ 1900. №62).

ეროვნული მახასიათებლებისადმი პოლონელთა დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ლ. ბოცვაძე თავის მოგზაურობის შთაბეჭდილებებში, სადაც ხაზგასმით მიუთითებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია პოლონელებისათვის ეროვნული მახასიათებლების შენარჩუნება:

პოლონელებს გატაცებით უყვართ თავისი ღვიძლი ენა და ლიტერატურა. აქ გამოდის რამდენიმე პოლონური გაზეთი, წიგნის მაღაზიებიც ბლომად არის, რუსული გაზეთი მხოლოდ ერთია და ისიც ოფიციალურს ორგანოს შეადგენს. პოლონური ენა ყველგან ხმარებაშია, რუსულად მოლაპარაკეს იშვიათად იპოვით. უცხო მგზავრი ვარშავაში ისე ჰგრძნობს თავს, თითქოს რუსეთში არ იყოს, რადგანაც ლაპარაკი და საქციელიც პოლონელებისა დიდად განსხვავდება რუსებისაგან („ივერია“ 1900. №144).

ზემოთ განხილულ პუბლიკაციებში აღვნიშნე, რომ ბის-მარკის მონდომებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ადვილი არ აღმოჩნდა პოლონელთა გაგერმანელება. ფული და ძალაუფლება საკმარისი არ იყო დენაციონალიზაციისთვის. ამან გერმანელები განარისხა და დაიწყო პოლონელთა დევნის ახალი ეტაპი. ღალატის და სეპარატობის ნიშნით დაიწყეს პოლონელთა დაპატიმრება. ამგვარი დამსჯელი ოპერაციები უსამართლო ხასიათს ატარებდა. ღალატსა და სეპარატობაში ხშირად მცირეწლოვან ბავშვებსაც სდებდნენ ბრალს. ამის მაგალითად დასახელებულია ტორუნის სასამართლოში დანიშნული პოლონელი მოსწავლეების საქმეების განხილვა. ქ. ხელმინის, ბროდნიცის, ტორუნის საშუალო სკოლის მოსწავლეებს ბრალად ედებოდა ურთიერთობა პოლიტიკურ საზოგადოებებთან „ერთობა“ და „კავშირი“. გამოძიებით გამოირკვა, რომ „კავშირის“ საიდუმლო შეხვედრებზე მოსწავლეები სწავლობდნენ პოლონურ ლიტერატურას. პრუსიის მოხელენი ამტკიცებდნენ, რომ მოსწავლეთა წრეს საგნად არა ლიტერატურული, არამედ პოლიტიკური საქმეები ჰქონდა და ცდილობდა მოსწავლე ახალგაზრდობაში ეროვნული თვითცნობიერების გაძლიერებას. რასაკვირველია ასეთი დასჯით გერმანია სასურველ შედეგს ვერ მიიღებდა, პირიქით, ხელს უწყობდა ეროვნული მოძრაობის გაძლიერებას. ამას ადასტურებს წერილში მოხმობილი წინა წელს¹⁷ ერთ-ერთ სკოლაში მომხდარი არეულობა („ივერია“ 1901. №177). გერმანიის მთავრობას აუკრძალა პოზნანის სკოლებში¹⁸ საღვთო სჯულის

¹⁷1900 წელს ჰქონია ადგილი დედების მღელვარებას შვილების სასტიკად გაროზგვის გამო.

¹⁸1900 წელს აუკრძალავს პოზნანის სკოლებში გერმანიას საღვთო რჯულის პოლონურ ენაზე სწავლება.

პოლონურად სწავლება, რასაც ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეების პროტესტი მოჰყოლია. ბავშვები სასტიკად დაუსჯიათ. დედები (200 დედა) შევარდნილან სკოლაში და არეულობა გამოუწვევეიათ. უწესობის მოწყობის და გერმანელების წინააღმდეგ ხელის აღმართვის ბრალდებით დედები გაუსამართლებიათ და დაუპატიმრებიათ („ივერია“ 1901. №251).

გამწვავებული ყოფილა ენობრივი საკითხი „რუსეთის პოლონეთშიც“. თუმცა, ქართული მედია იტყობინება, რომ განსხვავებულ მდგომარეობაზე მიუთითებდნენ რუსული გაზეთები:

პოლონელთა გარუსება მთავრობას ფიქრად არასოდეს ჰქონია. რაც შეეხება პოლონურს ენას, – შეიძლება იხმარონ პოლონელებმა თავის საზოგადოებრივს, წოდებრივს და კერძო ცხოვრებაში. პოლონელებს ისევე უნდა ექცეოდნენ რუსები, როგორც გერმანელებსა. რუსეთში პოლონელები – 12 მილიონია და გერმანელები – მილიონზე ცოტა მეტი. ბალტიის მხარის გუბერნიებს აქვთ თავის საკუთარი დაწესებულებანი. ისეთივე დაწესებულებანი მივანიჭეთ პოლონელებს: სამსახურებში უნდა იღებდნენ ყველგან, – ზოგიერთს სასწავლებლებში უნდა ასწავლიდნენ პოლონურს ენაზე, – უნდა მიეცეთ და ჰქონდეთ დრო-გამოშვებითი გამოცემანი, დამოუკიდებელი ცენზურისაგან. უნდა დავივიწყოთ პოლონელთა წარსული შეცდომა, ნუ თუ სამუდამოთ ვტანჯოთ ან ვაჯილდოვოთ წარსულისათვის?! საქმის ვითარება თხოულობს ჩავუკვირდეთ აწმყოს და მოვამზადოთ საუკეთესო მერმისი („ივერია“ 1904. №263).

რეალობა სრულიად სხვა იყო. არამარტო სასწავლებლებში აკრძალეს პოლონური ენა, სასწავლებლის გარეთაც – ქუჩაში, საზოგადო დაწესებულებებში პოლონელებს აკრძალათ ერთმანეთში პოლონურ ენაზე საუბარი!.. მხოლოდ ოჯახებში ჰქონდათ პოლონურად საუბრის უფლება:

ყველას ახსოვს ის ერთი შემთხვევა, როდესაც სასტიკად იყო დასჯილი ერთი ბავშვი, რომელმაც დაარღვია ბრძანება და ამხანაგს პოლონურად დაელაპარაკა, ახსოვს იმიტომ, რომ ეს ბავშვი ყოფილა – რუსი („ივერია“ 1905. №52).

საკანცელარიო და სასამართლო ენაც რუსული გახდა. შეიზღუდა ჟურნალ-გაზეთების თავისუფლება, კრებების, შეკავშირების, პირად ხელუხლებლობის უფლება, შემოიღეს მკაცრი ცენზურა, ყოველსავე შინაარსსა და მნიშვნელობას უკარგავდნენ პოლონურ პრესას.

ამასთან, გაყალბებული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობდა ისტორიის სწავლებაც. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მიზანმიმართულ ხასიათს ატარებდა:

სკოლებში ჩვენ შვილებს სამშობლო ენაზედაც არ ალაპარაკებენ... პოლონეთში პოლონელი ვერ იშოვის ვერც ერთ სახელმწიფო თანამდებობას „სტოროჟისა“ და „კოჩეგრის“ მაღლა. გიმნაზიებში ჩვენი ახალთაობა სწავლობს თავის სამშობლოს ისტორიას განზრახ ყალბად შედგენილ სახელმძღვანელოების საშუალებით, რომელნიც ტალახით სვრიან, რაც კი პოლონურია, და ბავშვები ვერ ბედავენ საწინააღმდეგო სთქვან რამე – ცრემლები უნდა ყლაპონ და ყოჩაღად მოუთხრონ მასწავლებელს თავიანთ სამშობლოსა და წინაპართა ცილის წამება... („ცნობის ფურცელი“ 1905. №2719).

ამას ემატებოდა ის გარემოება, რომ მთელი ეროვნული საგანძური

მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არხივები, ძვირფასი ისტორიული დოკუმენტები, ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც კი დაუფასებელია ყოველ ერისათვის, რაც ითვლება მის საკუ-

თარ კულტურულ ქონებად და, როგორც საუნჯე, ისე ინახება, წაგვართვის და პეტერბურგში გადაიტანეს. ჩვენი შენობები, საზოგადო საგნისათვის დანიშნულები, გადააქციეს ისეთ დაწესებულებათა სადგომად, რომელთა მიზანი მხოლოდ რუსიფიკაციაა... („ცნობის ფურცელი“ 1905. №2719).

დასკვნის სახით ქართული გაზეთი დასძენს „ასე იზადება დამღუპველი მძულვარება და შეურიგებლობა იქ, სადაც ძლიერი სუსტს დევნის, არსებობის პირობებს უხშობს“.

სადაც არ იყო ნება-დართული მწერლობა, – გამრავლდა აკრძალული წიგნები, რომელიც ათასობით შემოდოდა საზღვარგარეთიდან. ვინც ვერ სწავლობდა შინ, გადიოდა ავსტრიაში და იქ იღებდა განათლებას პოლონურ ენაზე, აკრძალული დედაენა უყვარდა ყველას და ხალხმაც, ხალხის უმეტესობამ, რომლის გადმობირებას ყოველგვარ მოფერებით ცდილობდა მთავრობა, ბოლოს შეიგნო, რომ ეს მოფერება არ იყო გულწრფელი, რომ იგი დროებითია, რომ ხალხის უმეტესობა უნდა ბიუროკრატias მხოლოდ იმისთვის, რომ მოსპოს პოლონელებში ეროვნული თავისებურობა და დამოუკიდებელ ცხოვრების სურვილი („ივერია“ 1905. №52).

ასეთი გამწვავებული ვითარება წარმოშობს დაუმორჩილებლობის მოძრაობას, ბრძოლას თვითობისათვის. ამ მხრივ იდენტური ვითარებაა საქართველოშიც. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პოლონეთში განვითარებულ მოვლენებზე დაკვირვებას ქართველი პუბლიცისტებისათვის და ამ ინფორმაციების მიწოდებას ქართველი მკითხველისათვის. ერთი მხრივ, აძლიერებდა სოლიდარობის გრძნობას, მეორე მხრივ, აღძრავდა მკითხველებში ეროვნულ სენტიმენტებს თვითობის დაცვისათვის ბრძოლაში.

პოლონელთა დაუმორჩილებლობაზე მეტყველებს პოლონური ენის აღდგენის მოთხოვნით საგანგებო დეპუტაციის გაგზავნა პეტერბურგში გრაფ ტიშკევიჩის მეთაურობით და 35, 500 მშობლის ხელმოწერილი წერილობითი მოხსენების წარდგენა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარესთვის:

ხალხს ერთობლივ ყველგან თავის კულტურულ-ისტორიულ ცხოვრების უნამდვილეს იარაღად, თავის ცივილიზაციის უძვირფასეს საუნჯედ სამშობლო ენა მიაჩნია. ამ მიზეზით დაანებეს თავი რუსულ სკოლას და მოითხოვეს პოლონური სკოლა („ცნობის ფურცელი“ 1905. №2766).

გაზეთი პოლონეთში განზრახული რეფორმების პირველ საკანონმდებლო ნაბიჯად ასახელებს პოლონურ ენაზე სწავლების შემოღებას დაბალ, საშუალო და მაღალ სასწავლებლებში.

მძაფრი კოლონიალური პოლიტიკის მიუხედავად, მედიის პირველი წერილებიდანვე საყურადღებოა, პოლონელების მიერ აქცენტების ფოკუსირება ეროვნულ ნიშნებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია გრაფი გოლუხოვსკის ლვოვში¹⁹ მიგებების ამსახველი სტატია. გრაფი გოლუხოვსკი იყო პოლონური წარმომავლობის ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწე. 1849-1859 წლებში იყო გალიციის²⁰ მთავარმართებელი. 1860 წელს მონაწილეობას იღებდა მონარქიის ფედერალისტურად გარდაქმნაში, რისთვისაც

¹⁹1775-1918 წლებში, რეჩ-პოსპოლიტას პირველი დანაწილების შემდეგ, ჰაბსბურგთა მონარქიის შემადგენლობაშია, როგორც გალიციის სამეფოს დედაქალაქი.

²⁰ გალიცია ისტორიულად დასავლეთ უკრაინისა და პოლონეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიწებს მოიცავდა, რომელიც ავსტრია-უნგრეთის იმპერიის პროვინცია გახდა 1772 წლის სამი ქვეყნის – ავსტრიის, რუსეთის, გერმანიის მმართველების შეთანხმების საფუძველზე.

კონსტიტუციით, 1861 წელს იძულებული გახდა მიეტოვებინა პოლიტიკური საქმიანობა. 1866 წელს კი იგი ისევ დაინიშნა გალიციის მთავარმართებლად. მისი მიგებება ეროვნული თვალსაზრისით საყურადღებო დეტალებს შეიცავდა. ამიტომაც არ ტოვებს ამ ფაქტს უყურადღებოდ მედია:

მუზიკა უკრავდა პოლშურს ნაციონალურს მელოდიას. ნამეტნიკმა ინება მოსმენა რუსინის ნაციონალურის მელოდია და მისი სურვილი ასარულეს. უმრავლესი ხალხი კარგა დიდხანს იდგა გოლუხოვსკის სასახლესთან და გაუწყვეტლად ყვიროდა „ურას“. შუადამის დროს ხალხი დაიშალა. ყველა სიტყვები პოლშურს ენაზედ ითქვა („დროება“ 1866. №33).

განსაკუთრებულია პოლონელთა აქტიურობა ეროვნული თვითშეგნების ამაღლების თვალსაზრისით. საამისოდ სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავდნენ. ერთ-ერთი ასეთი – წარსული დიდების სახალხო დემონსტრირება მოუწყვიათ პოლონელებს. ლვოვში გაუმართავთ გრიუნვალდის 1410 წელს მომხდარი ომის წლის თავზე ბრწყინვალე დღესასწაული. „ეს დღესასწაული ნამდვილი გერმანელების საწინააღმდეგო დემონსტრაცია იყო“ – აღნიშნავს „ივერია“. გამართულა სხვადასხვა მანიფესტაციები: დაუკრავთ ეროვნული მუსიკა ქუჩებში, ქალაქის საბჭოს კომპოზე ორკესტრს პოლონელ კომპოზიტორთა საუკეთესო თხზულებები შეუსრულებია, სახლები ეროვნული ბაირაღებით მოურთავთ, ფანჯრებზე გაუკრავთ ფურცელი წარწერით: „წლისთავი ტევტონთა ორდენის დამარცხებისა“, გადაუხდიათ წირვა საკათედრო ტაძარში, გრიუნვალდის ბრძოლის შესახებ ლექცია წაუკითხავს არქივარიუს ჩელოვსკის, შეუგროვებიათ შემოწირულობები საზღვარგარეთ პოლონელ ბავშვთა დასახმარებლად („ივერია“ 1902. №146).

კოლონიალურმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით ზემოთ აღნიშნულმა ვრემენის ამბავმა ფეხზე დააყენა პოლონელები განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, სქესისა თუ ასაკისა. პრესას არ გამოორჩენია ამ მხრივ საყურადღებო არც ერთი ფაქტი. მათ შორის მითითებულია ცნობილი პოლონელი მხატვრის კოსაკის გადაწყვეტილება, რომელიც ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფად მიიჩნევს ვრემენის ამბებს და ბერლინიდან გალიციაში გადადის საცხოვრებლად. საზოგადოების უღარიბესი ნაწილი უკანასკნელ გროშს სწირავდა ეროვნულ საქმეს. მაგრამ პოლონელთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც იმის ნაცვლად რომ ქონება საკუთარი ქვეყნისთვის დაეხარჯა, ბანქოს თამაშში აგებდნენ ფულს (გრაფ იოსებ პოტოცკის მონაკოში წაუგია სამი მილიონი კრონი). კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს აქცევს ყურადღებას „ცნობის ფურცელი“. პოზნანის პოლონელებს გადაუწყვეტიათ ფილარმონიული სამუსიკო საზოგადოების დაარსება, რომლის დანიშნულება იქნებოდა კარგი პოლონური ორკესტრის შექმნა. ეროვნულ ხელოვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში. აქ ავტორი შედარებას აკეთებს ქართველების ხელოვნებისადმი დამოკიდებულებაზე და აღნიშნავს, რომ ქარ-თული საზოგადოების გულგრილობის შედეგად ქართველი მსახიობი თ. სუმბათაშვილი მოსკოვის სცენას ამშვენებს. თუმცა ნაციონალური გრძნობების აღსაძრავად იტალიელი მსახიობის ადელაიდა რისტორის მაგალითს მოიხმობს, რომელმაც უარი განაცხადა ევროპის თეატრების შემოთავაზებებზე იმ მოტივით რომ სამშობლოს სცენას ზურგს ვერ შეაქცევდა, მტკიცედ განუცხადებია „იტალიურ ხელოვნებას უნდა ვემსახუროვო“ („ცნობის ფურცელი“ 1902. №1724).

ამგვარ მაგალითებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის – ქართველთა მხრიდან ეროვნული საკითხისადმი სრული ინდიფერენტიზმის პირობებში უნდა აღეძრა ეროვნული გრძნობები და საკუთარი თვითობის დაცვის ინტერესი გაემლიერებინა.

საყურადღებოა საზოგადო მოღვაწეების აქტივობა ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ.

ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტს გამოთქვამს მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვლადისლავ მიცკევიჩი ჟენევის სამშვიდობო კონგრესისადმი მიწერილ წერილში. წერილში აღშფოთება აღნიშნული იმ ფაქტის გამო რომ ევროპა მშვიდობიანობაზე მსჯელობს, მაშინ როდესაც პოლონეთი უსამართლოდ დაჩაგრულია და მრავალმხრივ შევიწროებას განიცდის. დევნიან სარწმუნოებრივი, პოლიტიკური თუ სოციალური მხრივ. ამასთან განაწილებულია სამ სახელმწიფოს შორის.

მინამ პოლშა კარპატის მთებიდან მოკიდებული დნეპრამდე ისევ არ აღდგება თავისს უწინდელს საზღვრებით, მანამ ვერავინ იტყვის, რომ ევროპაში მტკიცედ იყოს მშვიდობიანობა დამყარებული. პოლშის აღდგინება მხოლოდ იარაღით შეიძლება... თქვენ მაგრათ მოითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ იარაღით იმოქმედონ ყველა მმართველობაებმა და ყველა ხალხებმა, რომლებიც კეთილის ნებით აღვსებულნი არიან, რომ ლიტვა გამოჰგლიჯონ ხელში რუსებსა, რომ პოლშის მიწა განსწმინდონ ყველა მართლმადიდებელის რუსისგან, ისე როგორც თქვენ უნდა მოითხოვოთ გერმანიისაგან, რომ იმან შეინანოს პოზნანისა და პრუსიის პოლშის შერაცხვა გერმანიის კავშირში („დროება“ 1867. №38).

საერთაშორისო ყურადღებას იქცევს თავისი სიტყვით ლონდონში ჩატარებულ პოლონელთა სალიტერატურო ყრილო-

ბაზე თავადი ჩარტორიცკი. ჩარტორიცკის სიტყვაში აღნიშნულია, რომ, მართალია პოლონეთი სამ სახელმწიფოს შორის არის განაწილებული, მაგრამ სამთა კავშირი დაირღვა, გარდა ამისა, ავსტრია და გალიცია პოლონელებს უბრუნებენ თავისუფლებას. ამგვარი მიდგომა სარგებლობას მოუტანდა ავსტრიასაც. თავის მხრივ პოლონელებმაც ერთგულებით უნდა დაიცვან ავსტრია შიშინანობის დროს.

ამისთვის იმათთვის ძალიან საჭიროა, რომ შეკავშირდნენ ვენგრიასთან და ამ გვარად ამ ორმა ხალხმა თავისი ძველი ისტორიული სვე ადასრულოს: ექმნენ ღობედ დასავლეთის ცივილიზაციას (განათლებას), დაიმაგროს მოსკოვის ბარბაროსობა. ეს კია რომ პოლშელებმა არ უნდა დაივიწყონ თავიანთ სლავიანური შთამომავლობა და თავიანთი ვალი სლავიანების შესახებ. ისინი უნდა ეცადნენ გამოჰგლიჯონ როგორმე რუსეთს თავიანთი ერთ შთამომავალი სლავიანები და დაუმკვიდრონ მათ დასავლეთი-ევროპის განათლება. ამის გამო ისინი უნდა ეძიებდნენ მათთვის, როგორც თავისთვისაც, სრულს თვით მმართველობას. პოლშელები სრულებით არ იჭვენეულობენ, რომ ვენგრიელები ამ გვარ მათ თხოვნას კანონიერ თხოვნად შერაცხვენ და ადასრულებენ ყველა დაპირებას, რაც იმათ მიუციათ სლავიანებისთვის („დროება“ 1868. №20).

რუსულ გაზეთ „Петерб. ведом.“ ყურადღება გაუმახვილებია პროფ. ბოდუენ დე-კურტენეს მოხსენებაზე, რომელიც კრაკოვში წაუკითხავს ენის საკითხზე პოლონელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების ჩახშობის შემდეგ.

1863 წლის პოლონელთა აჯანყების დამარცხების შემდეგ შეიქმნა პრივისლანდიის გუბერნიები და რუსეთის დაქვემდებარებაში დარჩა პოლონეთი, დაეკისრა გადასახადი 30 წლის განმავლობაში. პოლონელების მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა.

დღითიდღე მწვავდებოდა ეროვნული წინააღმდეგობა. პოლონეთსა და ლიტვაში მათი წინანდელი ლათინური ანბანის ნაცვლად, სლავიანური ანბანი შემოუღია ხელისუფლებას. ამ ნაბიჯით რუსეთის მთავრობა ცდილობდა პოლონელებისა და ლიტველების ერთმანეთისაგან დაშორებას და რუსებთან დაახლოებასა და გარუსებას. მაგრამ ამ რეფორმამ, როგორც ბოდუენ დეკურტენეს მოხსენებიდან ჩანს, არათუ დაახლოვა რუსები და ლიტველები ერთმანეთს, არამედ მათ შორის უთანხმოება და მტრული განწყობა ჩამოყალიბდა. ლიტველებმა დაიწყეს ლათინურად წიგნების საზღვარგარეთ გამოცემა და გავრცელება. ბ. დეკურტენე ხაზგასმით აღნიშნავს ხალხის დამოკიდებულებასაც,

ხალხი მუქთადაც არ იღებდა სლავიანურის ანბანით დაბეჭდილ წიგნებს და დაეწაფა საზღვარგარეთ დაბეჭდილებსა. იქიდანკი ყოველგვარი თხზულება მოდიოდა, მათ შორის მთავრობის საწინააღმდეგოც; ასე რომ, ძველის ანბანის აკრძალვამ ხელი შეუწყო ლიტვაში სარევოლუციო მოძღვრებათა გაძლიერებულს გავრცელებას („ცნობის ფურცელი“ 1904. №2556).

როგორც ტერიტორიული იდენტობის განხილვისას აღვნიშნე, ეროვნული თავისუფლებისათვის იღწვოდა პოლონეთის ემიგრაციაც. „დროება“-ში იბეჭდება ამ თვალსაზრისით საყურადღებო წერილი პარიზში მცხოვრები ვ. მიცკევიჩის მოღვაწეობის შესახებ. იგი საგამომცემლობო საქმით ყოფილა დაკავებული და ყოველ ღონეს ხმარობდა საიმისოდ, რომ პოლონეთისადმი თანაგრძნობა აღედრა საფრანგეთსა და ევროპაში. ამ მიზნით პოლონეთის ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის შესახებ გამოცემულ წიგნებს წამძღვარებული აქვს რგოლში გამოხატული პოლონეთის სამეფო ძველი საზღვრებით ქვევით წარწერით: დამოუკიდებლობა, ერთობა, თავისუფლება („დროება“ 1868. №30).

ეროვნული იდენტობის ტიხრების მოშლის მიზნით მძლავრ კოლონიზატორულ პოლიტიკას განიცდიდა სასამართლო სისტემაც. ამიტომაც, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლო სისტემაში მომხდარ ცვლილებებს ჩაგრული ერებისთვის. თუმცა, ვერც რუსეთში ასრულებდა სასამართლო თავის დანიშნულებას, რაც დღის წესრიგში აქაც აყენებდა მისი რეფორმირების საკითხს. სასამართლოს რეფორმირების საკითხი უფრო თვალსაჩინო გახადა 1867 წელს მთავრობისგან შემოღებულმა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტმა, რომელიც ვერ ჩადგა ხალხის სამსახურში და ვერ მოემსახურა ხალხში კანონიერების განმტკიცებას. ამის უმთავრეს მიზეზად დასახელებულია ხალხის ზნე-ჩვეულების და ენის არ ცოდნა. ამ პერიოდში სამაგალითო, საგმინო²¹ სასამართლო ჰქონიათ პოლონელებს, რომელიც რუსებისთვისაც ყოფილა მისაღები. რუსეთის იუსტიციის მინისტრს ნ.ვ.მურავიოვს გამოუცია ბრძანება მთელ რუსეთში პოლონეთის მსგავსი სასამართლოების შემოღების შესახებ. ქართული მედია საჭიროდ თვლის თავის მკითხველებს გააცნოს საგმინო სასამართლო სისტემა, რადგანაც სასამართლო სისტემის რეფორმირების საკითხი აქტუალური იყო საქართველოსთვისაც.

საგმინო სასამართლოში მოენე მაინც არ დაამახინჯებს მოღვათა აზრს და ხალხს პირდაპირ, მოენის უშუამავლოდ მაინც შეიძლება შეისმინოს მოსამართლის სიტყვა. გარდა ამისა საგმინო სასამართლო ჰსპობს სოფლის სასამართლოს, რომელიც ჩვენში

²¹ გმინა ჰქვია სასოფლო საზოგადოებას. გმინა უწოდებრივია და გმინის მმართველობა ან თვითმმართველობა მარტო გლეხებზე-კი არ ვრცელდება, არამედ გმინის ყველა მცხოვრებზე. გმინა ჩვეულებრივ შედგება რამდენიმე სოფლისაგან და შეიცავს 300-დან 500-მდე კომლ მცხოვრებს.

უფრო უსამართლობის მოციქულია, ვიდრე სამართლისა. რა თქმა უნდა, საგმინო სასამართლო იდეალური დაწესებულება არ არის, ჩვენი მისწრაფება და სურვილი იმაზედ შორს მიდის, მაგრამ ეხლა, რომ აწინდელ მომრიგებელ მოსამართლეთა ნაცვლად საგმინო სასამართლოს შემოიღებდნენ, იმ ცვლილებით, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ, სამართლის საქმე თვალსაჩინოდ გაუმჯობესდება („ცნობის ფურცელი“1905. №2725).

კორესპონდენციაში ხაზგასმით არის აღნიშნული საგმინო სასამართლოს საყოველთაო ხასიათი. საგმინო სასამართლოს დადებით მხარედ დასახელებულია ის გარემოება, რომ საგმინო მოსამართლეს და ლავნიკებს ირჩევს გმინის მოსახლეობა და ამტკიცებს გუბერნატორი. საქალაქო მომრიგებელ მოსამართლეს ნიშნავს მთავრობა. ეს ფაქტორი განაპირობებდა საგმინო სასამართლოს მეტ სიახლოვეს ხალხთან, ვიდრე მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი. თუმცა, საგმინო სასამართლოსაც არ ჰქონია მინიჭებული ჯეროვანი დამოუკიდებლობა, რადგან იუსტიციის მინისტრს შეეძლო არჩეული კანდიდატები არ დაემტკიცებინა და გაემწესებინა ამ ადგილზე გმინისთვის უცხო პირი. საგმინო მოსამართლეების გარკვეული ნაწილი მთავრობის დანიშნულები ყოფილან. მიუხედავად ამისა, პოლონეთში საგმინო სასამართლომ, როგორც ხალხის მიერ არჩეულ პირთაგან შემდგარმა დაწესებულებამ მოიპოვა საერთო ნდობა და პატივისცემა.

შემდეგი საკითხი, რომელსაც შევეხები, არის ტრადიციისადმი პოლონელთა განსაკუთრებული პატივისცემა. ტრადიციისადმი პოლონელთა დამოკიდებულების საკითხი წარმოდგენილია „ივერიის“ რუბრიკა „ფელეტონი“, სადაც რუსული გაზეთების მონაცემების საფუძველზე საუბარია თუ როგორ ხვდებოდა რუსული და პოლონური საზოგადოება ქრისტიანობის დღესასწაულებს. მითითებულია, რომ რუსები არ მისდევდნენ

ტრადიციებს, მისცემოდნენ განცხრომას და ძველებური ჩვეულებები დაევიწყებინათ. ხაზგასმით არის აღნიშნული პოლონელთა ტრადიციისადმი სამაგალითო დამოკიდებულება:

პოლშელმა, სადაც უნდა იყოს, თავის ქვეყანაში თუ უცხოეთში, შობის მისაგებებლად უსათუოდ უნდა მისდიოს იმ ჩვეულებას, რომელიც ჰქონია მის მამა-პაპას. შობის წინა-დღე მისთვის წმინდად შესანახი და პატივ-საცემი დღეა... ჩვეულებანი საერთოა ყველა პოლშელისთვის. მდიდარი გრაფის ან და თავადის სასახლეში ამ დღეს იგივე წესი ჰსუფევს, როგორც უბრალო გლეხის ქოხშია. დღესასწაული ყველასათვის ერთია და მისი დახვედრაც ერთნაირად იციან („ივერია“ 1886. №7).

ერთ-ერთი მთავარი საკითხია სახელოვანი მამულიშვილების თემა. შემთხვევითი არ არის, რომ „ივერია“ აქვეყნებს საფელეტონო წერილს ადამ მიცკევიჩის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით, რომელიც მთელი თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით ეროვნულ მოღვაწედ ევლინება პოლონელ ხალხს. ერის წინაშე მისი ღვაწლი თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი წერილში ჩართულ პოლონელი ფილოსოფოსის პიოტრ ხმულიოვსკის აზრში მიცკევიჩზე.

როგორც კაცი, უწყუნო იყო, სულგრძელი და შეუდრეკელი; როგორც მამულიშვილს უყვარდა თავისი სამშობლო განუსაზღვრელად და საზოგადო საქმეს ყოველთვის მაღლა აყენებდა პირად ინტერესებზე; როგორც პოეტმა, ყველაზედ უკეთესად იგრძნო და დაჰხატა ჩვენი ქვეყნის ბუნება, ჩვენი ხასიათი, შეხედულობა, მიმართულება, გრძნობა-მწუხარება, საგანი მისის აღფრთოვანებისა ის-კი არ იყო, რაც წარმავალია და ცვალებადი, არამედ რაც უფრო ძლიერია, რომლის ღონიერ ფესვებს გაუმავრებიანთ ძირი ერისა და ხალხოსნობის ნიადაგში და რომელიც მას აფხიზლებს და მუდმივად ამოდრავებს იმისს აჩქარებულს

გულისცემას, მან შეჰქმნა და წააქეზა მთელი ლეგიონი მწერალთა, რომელნიც მის კვალს მისდევდნენ; მან გააცნო განათლებულ ქვეყანას ჩვენი პოეტური შემოქმედების ძალა მას უყვარდა და თავს სწირავდა მილიონს და იმიტომაც ეს მილიონი არამც თუ თავყვანს სცემს, არამედ მისი მხურვალე სიყვარული ადამ მიცვევიჩის მიმართ გამოუთქმელია („ივერია“ 1898. №276).

ამ მაგალითებით მედია კრავდა საზოგადოების „გათითოკაცებულ“ წევრებს და უცხოთა მამულიშვილების ეროვნული ღვაწლის წარმოჩენით ქართველ მკითხველებში საკუთარი ვინაობის დაცვისათვის შემზადებას უწყობდა ხელს.

უცხოთა მამულიშვილების ეროვნული ღვაწლის წარმოჩენის კიდევ ერთ მაგალითზე გავამახვილებ ყურადღებას, ეს არის პოეტი მარიამ კონოპნიცკაია. მის შესახებ ჰ. სენკევიჩის აზრს, როგორც გამორჩეული მამულიშვილისადმი პატივისცემის ნიშნად, აქვეყნებს „ივერია“:

წინ წამოვაყენე მხოლოდ ღირსება და უებრობა ჩვენის მგოსნის ქალის პოეზიისა და შემოქმედებისა... იგი მძლავრის ფრთების პატრონი ფრინველია, ხემაღლა ასული მშობლიურს ტყეში, სხივცისკროვანი დიდებაა, მგოსანია დიდად მოყვარულის გულისა, ძლიერის სულისა... ამისთანა ადამიანის შემოქმედებას ორიოდ სიტყვით ვერ დავახასიათებ. მაშ, ნება მომეცეს სალამი მიუძღვნა მგოსანს ქალს და პატივი ვსცე იმ დროს, როცა მთლად ჩვენი ქვეყანა ჰგრძნობს, რომ მისი პატივისცემა მოვალეობაა ჩვენიო („ივერია“ 1903. №62).

ნეტავ იმ ქვეყანას, რომელსაც არა ერთი და ორი ჰყავს ან ისეთი ძე, როგორიც სენკევიჩია, ან ისეთი ასული, როგორიც არის კონოპნიცკაია!... – დასძენს „ივერია“.

მიუხედავად იმისა, რომ აქებენ და ადიდებენ პოლონელ საზოგადო მოღვაწეს და მწერალს ჰ. სენკევიჩს, ამავდროულად

არ ერიდებიან მის კრიტიკასაც. ახალგაზრდა მწერლების კრიტიკული წერილები განპირობებული ყოფილა ჰ.სენკევიჩის მკაცრი შეფასებებით პოლონეთის დრამატული მწერლობის შესახებ, რომლის მიმართულეზას, როგორც ჩანს, არ თანაუგრძნობდა სენკევიჩი, ჰკიცხავდა და საზოგადოების გამრყენელად მიაჩნდა. ამ შეფასებებს მოჰყვა ახალგაზრდა მწერლების კრიტიკული გამოხმაურებები. წერილების ავტორები მსჯელობენ იმის შესახებ,

თუ რამდენად განსხვავდება სენკევიჩი თავისი აზრებითა და მიმართულებით პოლონეთის საზოგადოების პროგრესული ნაწილისაგან. სენკევიჩის იდეალი დაბალის ხარისხის არისო, იგი თანაუგრძნობს არისტოკრატისა და სამღვდელოებასა. მის რომანებში თქვენ ვერ შეხვდებით დღევანდელ საგულისხმიერო კითხვათა განმარტვას, მისი ლამაზი ნაწერები ცივ, უგულო სურათებს წარმოადგენენო. მკითხველთა არ აღუძვრენ ფიქრებს ცხოვრების საგნისა და ვითარების შესახებო. პოლონელი ახალგაზრდა მწერლები მართალს ამბობენ სენკევიჩის შესახებ. სენკევიჩი მხატვარი არისტოკრატია, განყენებული მშვენიერების ტრფიალი. მისი ნაწერები მართლა ცივად ხვდება ადამიანის გულს, დროებით გაართობს მკითხველს, როგორც ლამაზი სურათების პანორამა და მალე ჰქრება მკითხველის მეხსიერებიდან. სენკევიჩის საგანია – ხელოვნება ხელოვნებისათვის, ცხოვრებისაგან დამოუკიდებელი („ივერია“ 1903. №93).

ეს წერილი საყურადღებოა იმ კუთხითაც რომ წარმოადგენს ჩვენში გავრცელებული მამათა და შვილთა ბრძოლის უცხო/პოლონურ მაგალითს.

ნაციონალური საჩუქარი ჰქონიათ შემოღებული გამოჩენილი მამულიშვილების დასასაჩუქრებლად. საამისოდ საჯაროდ ხელისმოწერებს და თანხას აგროვებდნენ და საჩუქარს მიართმევდნენ სახელოვან მოღვაწეს. ამის მაგალითად დასახელებულია

პოლონელი ბელეტრისტისთვის სენკევიჩისთვის გაკეთებული ნაციონალური საჩუქარი. მიუხედავად იმისა, რომ სენკევიჩი მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო, ხელმოწერით შეუგროვებიათ თანხა, უყიდიათ არისტოკრატიული სასახლე მარნით, სადაც ღვინით სავსე ქვევრები ყოფილა და მიუერთმევიათ საჩუქრად სენკევიჩისთვის.

„ეს მშვენიერი ჩვეულება გადმონერგილ იქმნას ჩვენშიაც“ („ივერია“ 1903. №266), რომ ამ საუცხოო ჩვეულებამ ხელი შეუწყოს საქვეყნო მოღვაწეობის გაძლიერებას, მამულიშვილობის აღორძინებას. ეს არის წერილის მიზანი.

ქვეყნდება გენდერული თვალსაზრისით საინტერესო სტატიებიც. ქალის და მამაკაცის როლის განსაზღვრა საზოგადო კეთილდღეობის საკითხში, ზოგადად, ქართული პრესის ყურადღების არეალში ექცევა. ამ მხრივ საყურადღებო უცხოთა მაგალითებსაც მოიხმობს და მსჯელობს. ერთ-ერთი ასეთია ბერლინში შემდგარ ქალთა კონგრესზე, რომელიც ქალთა წარმატებაზე, „ქალების კითხვაზე“ მსჯელობას მიემდგნა, გაგზავნილი პოლონელი ელიზა ოჟემკოს წერილი. პოლონელი მწერალი სულ სხვაგვარად სჯის და არ მოსწონს, რომ ქალები მეცნიერების გზას და ქონების შექმნას, მატერიალურად დამოუკიდებლობას გაჰყვინენ. პოლონელ მწერალს სურს, მანდილოსანი მთელ კაცობრიობის კეთილ-ზნეობას ემსახურებოდეს... ქალებისაგან მოელის იგი ცოდვილ ქვეყნის აღორძინებას.

იგი გამოთქვამს სურვილს რომ ქალებმა იზრუნონ პირადი ზნეობის გაუმჯობესებაზე და ამით გავლენა იქონიონ კაცობრიობის ზნეობაზე. ვიწრო თავმოყვარეობის დაკმაყოფილებად მიიჩნევს ქალების შრომისა და მეცნიერებისკენ სწრაფვას. ამ მიმართულებით წამოწყებული ქალთა მოძრაობა არა თუ რაიმე სიკე-

თეს მოიტანს, არამედ უკუღმართად წავა საქმე. ხაზგასმულია საზოგადო სიკეთისათვის ზნეობის ამაღლების მნიშვნელობა.

წერილში აღნიშნული ყოფილა ისტორიულად ქალების როლი, რომლებსაც „ყველაფერზედ გავლენა ჰქონიათ, მაგალითად საბერძნეთში და რომში. რომის ქალები, თავდადებულნი მამულისათვის, სარწმუნოებისათვის, ქალები ფილოსოფოსნი, იყვნენ პირველნი, რომელთაც ქრისტიანობა მოჰფინეს ქვეყანაზედ და მრავალ – იწამნენ! ქალის ბუნებაში, ქალის გონებაში დახშულია იდუმალი ძალა მრავალის სიკეთისა; თუმცა კი ხშირად ამ დახშულ ძალას პირ-ბადე აუხსნია და ნაცვლად კეთილისა, გმირობისა და გონიერებისა სიცრუე, ვერაგობა და შფოთი დაუთესია!..“

ელიზა ოჟეშკო ურჩევს ქალებს „ხელი მივყოთ საერთო, ქვეყნის განახლებისათვის ოფლის ღვრას, ღვაწლს და მუშაობას!...“ („ცნობის ფურცელი“ 1897. №88, №91).

უყურადღებოდ არც პოლონური სათეატრო ცხოვრების ამსახველი ინფორმაციები რჩება ქართულ ბეჭდურ მედიას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სტატია „რუსული თეატრი პოლშაში“. რუსეთის მთავრობას ვარშავაში ყოველწლიურად რუსული თეატრის გასაძლიერებლად გამოუყვია 60 000 მან. სუბსიდია. თუმცა, ეს დახმარება პოლონელებს პოლონური თეატრის გასაძლიერებლად გამოუყენებიათ, რამაც როგორც ჩანს, აღაშფოთა მთავრობა. პოლონური თეატრი ისე გაძლიერებულა, რომ არა მარტო პოლონელები, არამედ რუსებიც ხშირად დადიოდნენ წარმოდგენებზე. რუსული გაზეთების ინფორმაციით, რომელსაც იმოწმებს კორესპონდენცია

რუსები ვარშავაში დადიან პოლშურ თეატრებში და გაიძახიან, რომ სრულებით მოუხერხებელია აქ რუსული თეატრიო, რად-

გან პოლშელ არტისტებზედ უკეთ ვერ ითამაშებენ და არც იმი-
სთანა განვითარებული რეპერტუარი გვაქვს ჩვენაო, როგორც
პოლშელებსაო. რუსები დადიან ყოველ პოლშელთა შეკრები-
ლებაში, მოსწონთ მათი ზნე, ჩვეულებანი, მიხვრა-მოხვრა,
ლაპარაკი – ასე რომ იმის მაგიერ, რომ ჩვენ პოლშელნი გავარუ-
სოთ, რუსები პოლშელებად შევიქენით.

აქვეა მითითებული გაზეთების როლი თეატრის პოპუ-
ლარიზაციის საქმეში. პოლონური წარმოდგენების შესახებ
ინფორმაციებს, რეკლამებს სხვადასხვა გაზეთებში ინტენსიურდ
აქვეყნებდნენ („ივერია“ 1895. №180).

„ივერია“ სანიმუშო მაგალითად ასახელებს პოლონელებს
მონდომებას პოლონური თეატრის აღორძინების საქმეში.
მკითხველს აწვდის ინფორმაციას თუ როგორ გამოიყენეს საამი-
სოდ პოლონური თეატრის გასარუსებლად გამოყოფილი თანხა
პოლონელებმა და როგორ შეეცვალა ხელისუფლებას პოლონე-
ლების გარუსების პოლიტიკა რუსების გაპოლონელებით. ქარ-
თული თეატრის გაჭირვებული მდგომარეობის პირობებში ასეთ
მაგალითს უნდა აღეძრა ნაციონალური სენტიმენტები ქართველ
მკითხველებში, რათა ქართულ საზოგადოებას ეზრუნა ქართუ-
ლი თეატრის ქართული სულის შენარჩუნებაზე.

როგორც განხილული მასალა ცხადყოფს, პოლონელთა
კულტურული ელემენტები ავლენენ (ენა, ტრადიცია, წეს-ჩვეუ-
ლებები) დროში გამძლეობას, რაც ეროვნული ერთობის სიმტკი-
ცისათვის აუცილებელი ფაქტორია. სწორედ ამით იყო განპირო-
ბებული პოლონელთა თავდაუზოგავი ბრძოლა კულტურული
ელემენტების გადასარჩენად.

ბოლოთქმა

ამრიგად, თუ დავაკვირდებით პოლონეთზე მასალების გამოქვეყნების დინამიკას, მასალები მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა. მაგრამ რადიკალურად განსხვავებულია საქართველოს დამოუკიდებლობამდე, დამოუკიდებლობის და საბჭოური პერიოდის თემატიკა. ამის მიზეზი საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობაა. მართალია, პოლონეთი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას მეორე მსოფლიო ომამდე, მაგრამ საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ ხდება 1921 წელს. შესაბამისად, ქართულ პრესაში ამ პერიოდიდან მასალების თემატიკა ტენდენციურ ხასიათს ატარებს.

საქართველოს დამოუკიდებლობამდე და დამოუკიდებლობის პერიოდის ქართული ბეჭდური მედია განსაკუთრებულ აქცენტებს აკეთებს შემდეგ ასპექტებზე: ენობრივ საკითხებზე – ენის თავისუფლებაზე, სასამართლოებში და სასწავლებლებში თავიანთი დედაენის შემოღებაზე; ტრადიციებზე და ამ კულტურული ელემენტისადმი პოლონელთა განსაკუთრებულ პატივისცემაზე; ნაციონალურ პატრიოტიზმზე, საზოგადოების დაწინაურებული წარმომადგენლების როლზე და მნიშვნელობაზე იდენტობის არსებობის განგრძობის თვალსაზრისით; მედიის აქტიურობაზე, როგორც ხალხში განთავისუფლების იდეალების გავრცელების საშუალება.

ვერანაირი იმპერიული ზრახვები დაუდგა წინ საკუთარ ისტორიულ მიწა-წყალზე პოლონური იდენტობის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობის ქონას; მიწა-წყალი, რომლის ხელში ჩაგდებას აპირებდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, პოლონელთა ისტორიული კუთვნილებაა და „უცხოელები“ ვერ დამკვიდრდებიან, ვინაიდან გაზიარებული შეხედულებით,

იდენტობის ისტორიული მიწა-წყალი საკრალურ ადგილს წარმოადგენს საერთო ღირებულებებით, სიმბოლოებით, ტრადიციებით. იქმნება პატრიოტული ერთობა.

განხილული მასალა მოწმობს, როგორ გაძლიერდა პოლონეთში ეროვნული მიმართულება, რომელიც დაიბადა ინტელიგენციაში, შემდეგ კი ერის უმეტესობაში განვითარდა. ე.ი. ეროვნულ მიმართულებას მიეცა დემოკრატიული ხასიათი. ამიტომაც, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პოლონეთში განვითარებულ მოვლენებზე დაკვირვებას ქართველი პუბლიცისტებისათვის და ამ ინფორმაციების მიწოდებას ქართველი მკითხველისათვის. ქართული ბეჭდური მედია პოლონეთის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი მასალების პუბლიკაციით, ერთი მხრივ, სოლიდარობას გამოხატავდა პოლონელთა მიმართ, მეორე მხრივ, ცდილობდა აღედრა ქართველებში ნაციონალური სენტიმენტები საკუთარი იდენტობის დასაცავად.

რაც შეეხება საბჭოთა პერიოდის ქართული პრესის მასალებს, პუბლიკაციები ასახავენ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებისთვის საინტერესო პოლიტიკურ ვითარებას და ატარებენ ტენდენციურ ხასიათს. ეს მიუთითებს საბჭოთა საქართველოს პრესის განსაკუთრებულ ინტერესზე პოლონეთში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით. ამით არის განპირობებული ის გარემოება, რომ არის პერიოდები, როდესაც გაზეთის ფურცლებზე საერთოდ არ გვხვდება არანაირი ინფორმაცია პოლონეთის შესახებ. საბჭოთა ბოლშევიკური ხელისუფლება ვერ ეგუება პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოების დაჯგუფება-გადაჯგუფების, დასუსტება-გაძლიერების პროცესი ერთნაირად აინტერესებდა როგორც პოლონეთს, ასევე, საბჭოთა

კავშირს, ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, ამის გათვალისწინებით პრესაში პოლონელების თავისთავადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ამსახველი საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული. მართალია მასალა პოლონელებისადმი სოლიდარობის გამოხატულებას არ წარმოადგენს, მაგრამ, ასახავს როგორ ძლიერდება პოლონური სახელმწიფო, როგორ აყალიბებს ძლიერ ხელისუფლებას ეროვნული გმირი იუზეფ პილსუდსკი, როგორ ემნის ძლიერ არმიას ტერიტორიული იდენტობის დასაცავად თუ ისტორიული ტერიტორიების დასაბრუნებლად. თუ XIX საუკუნის მეორე ნახევარი კულტურული თავისთავადობისათვის ბრძოლით იყო გამოკვეთილი, ეს პერიოდი ტერიტორიული იდენტობის შენარჩუნებისათვის ბრძოლით ხასიათდება, რომელიც წინარე იმპერიული პოლიტიკით განსაზღვრული ტერიტორიული სფეროების ხელახლა დაბრუნების მიზეზით იყო განპირობებული. პილსუდსკის შემდგომი ვითარება ნამდვილად არ არის შთამბეჭდავი. პოლონეთი ისევ ორი იმპერიის საბჭოთა კავშირ-გერმანიის იმპერიალისტური მიზნების მსხვერპლი ხდება.

დამოწმებული ლიტერატურა:

გრიშკაშვილი 2008: ა.გრიშკაშვილი. ქართველები პოლონეთში. თბილისი: ცის ნამი.

ვოზნიაკი 2004: ა.ვოზნიაკი. ქართველები ვარშავაში. პოლონელების 200 წელი კავკასიაში. ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციის მასალები. თბილისი: თსუ.

ზედგენიძე 1965: გ. ზედგენიძე. ქართველი დიპლომატი ბოგდან გურჯიცი. მნათობი. №12.

კალანდაძე 1997: ა. კალანდაძე. ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ.V. რედ. ალ. კალანდაძე. გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ეთერ შარაშენიძემ და ლეილა სანაძემ. თბილისი: მეცნიერება.

კამკამიძე 2013: თ. კამკამიძე. პოლონური მასალები გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

მანია 2017: ქ.მანია. დავით ყოლბაია და პოლონური ქართველოლოგია. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. XIII-XIV. თბილისი: საარი.

მანია 2013/2014: ქ.მანია. პოლონური იდენტობა ივერიაში. ქართული წყაროთმცოდნეობა. N15-16. თბილისი: უნივერსალი.

მანია 2014: K.Mania. On Polish Identity in “Iveria”. Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. Center for East European Studies University of Warsaw. 24. Warsaw.

მეტრეველი 2004: რ.მეტრეველი. პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან. პოლონელების 200 წელი კავკასიაში. ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციის მასალები. თბილისი: თსუ.

საბანაძე, ჯგერენაია 2021: გ.საბანაძე, ე.ჯგერენაია. პოლონეთი და პოლონელები ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში. თბილისი

საითიძე 2010: გ.საითიძე. პოლონეთის საკითხი გაზეთ „ივერიაში“. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. №2. თბილისი: უნივერსალი.

ფილინა და სხვები 2004: მ. ფილინა. პოლონელების 200 წელი კავკასიაში: პოლონურ-ქართული ურთიერთკავშირები. ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციის მასალები. თბილისი: თსუ.

ქგაბ 1963: ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ტომი III. ნაკვეთი I. თბილისი: ცოდნა.

ყოლბაია 2016: D. Kolbaia. Under Polish Wings. The Georgian Emigration in Poland 1921-1939. Warszawa: University of Warsaw; რეჰპოსპოლიტას ფრთებქვეშ. ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1930. ვარშავა: ვარშავის უნივერსიტეტი.

ყოლბაია 2015: D. Kolbaia. Pod skrzydłami Rzeczypospolitej. Emigracja gruzińska w Polsce 1921-1939. Warsaw: University of Warsaw.

ყოლბაია 2014: წმ. გრიგოლ ფერაძე. თხზულებათა კრებული. წიგნი პირველი. ბერ-მონაზვნობის ისტორიისთვის საქართველოში. ქართული ეკლესიის უძველესი ისტორია. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ. ვარშავა: ვარშავის უნივერსიტეტი.

ყოლბაია 2012: წმ. გრიგოლ ფერაძე. თხზულებათა კრებული. წიგნი მეორე. წინარე ბიზანტიური ქართული ლიტურგიკის შესახებ. პატროლოგია, პოეზია, ქადაგებანი. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ. ვარშავა: ვარშავის უნივერსიტეტი.

ყოლბაია 2008 (red.): D.Kolbaia. Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. Centre for East European Studies, Faculty of Oriental Studies. №18. Warsaw: University of Warsaw.

ცინცაძე 1966: ი. ცინცაძე. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII სს.). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერა და მისი მკითხველი საქართველო. თბილისი: უნივერსალი.

ჩხარტიშვილი, მანია: 2010: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული იდენტობის ენობრივი მარკერი პრემოდერნულ ხანაში და ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში. „ენა და კულტურა“. შრომები. I. ქუთაისი.

ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა. თბილისი.

ჩხარტიშვილი 2014: ც.ჩხარტიშვილი. პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან: (პრესის მასალების მიხედვით). შრომათა კრებული. №5. გორი: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი.

ხუციშვილი 1959: ი. ხუციშვილი. საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის 60-იანი წლები). თბილისი: სტალნის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხუნდაძე, კვიციანი 2012: გ. ხუნდაძე, ვ. კვიციანი. საქართველო – პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან.

Polish identity in the Georgian Print Media

The period being discussed (from 1860s to 1940s) is characterized by the colonial goals of the imperialist states, which was an equally difficult period for the Georgian and Polish nations. In the period from the 1860s to the independence, the struggle for the survival of Polish national characteristics was clearly reflected in the Georgian print media. The model examples of foreigners were used by the Georgian print media for national awakening. This was the reason for the diversity and abundance of publications depicting the developments in Poland. The materials have a different character during the period of the Soviet government. The political life of independent Poland is in the center of attention of the Soviet press.

Despite the fact that special interest recently has been observed in the special literature in terms of the study of the Georgian-Polish relationship, the analysis of the history of Polish identity through the print media publications has not become the subject of special research.

In the present study, I present the discussion of the material based on a different methodological approach, in particular, within the framework of the ethnosymbolist paradigm (A. Smith). This kind of analysis based on the publications of one media-agency - "Iveria" is presented in my earlier work (Mania 2013/2014: 96-108; Mania 2014: 203-221). This time, I will discuss the media-publications of the "Drobe", "Iveria", "Tsobis Purtseli", "Saqartvelo", "Communist", "Mkhedari", "Tavisupali Saqartvelo". I will analyze the history of Polish identity by observing public perceptions, values, memories, symbols. The paper consists of an introduction, two chapters and a conclusion. It is accompanied by verified literature and a comprehensive summary in English.

Chapter One. Struggle of Polish people for territorial identity.

In this chapter, I observe the history of Polish identity in two different periods - from the 1860s to the period of Polish independence and 21 years of independence, I will present its importance for other states in the colonial regime, in particular, for Georgia. From the 1860s to the period before the declaration of independence, the struggle for the preservation of the identity of Poland divided between three states (Austria, Germany, and Russia) is expressed by the struggle for the territorial character of the identity.

From the mentioned standpoint, the fact of the persecution of the Polish people from Poznan and other historical territories is closely followed by the Georgian media and given proper space. German Chancellor Bismarck demanded in the Landtag of Prussia one hundred million marks by force or willingly, to buy the estates of the Poles in Poznan and distribute them to the Germans („Iveria“ 1886.№26).

Newspapers clearly indicate the territorial attachment of Poles. Their historical land, which represented a unique repository of memory of ancestors, saints, heroes, was promised to be taken by „another“ state. The land, which Germany intended to seize, is the historical property of the Polish people. People clearly felt the great danger and actively got involved in solving this case. There was a strong unity against Bismarck's barbaric policies. At the head of the unity of the Poles was a widowed woman who sold half of her poor property and provided financial aid to the Polish peasantry „since Bismarck is allegedly getting estates for the peasantry, the Polish peasantry should at least buy the lands of the Polish lords and not the German peasantry.“ This noble example inspired the Polish people. The money was collected mainly from the donations of the poor („Iveria“ 1889. №231).

In this fact, the issues of national, gender, social, economic, territorial identity are intertwined, at the head of which is a woman with an exemplary initiative, who plays a major role in saving the Polish identity in Poznan. The fear that the historical land - the estates of Polish landlords - would not pass into the hands of another identity, namely German peasants, will wake up the members of the society. It is noteworthy that public perceptions - the perception of the pain of the Poznań Poles' identity as a common pain led to the suspension of the barbaric desire and Bismarck's decision turned into happiness for the advanced society.

The intense feeling of nationalism, which the Polish people were distinguished by, should have given a powerful impulse to the Georgian readers in the conditions of Russian colonialism expressed in all its intensity. Discussions about the expulsion of the Polish people from their own historical territories and observation of them should have had a great impact on the indifferent Georgian society - to intensify the feeling of nationalism and condition a united effort to preserve identity.

As soon as Bismarck's „Iron Policy“ ended and he was dismissed in 1890, after his departure, the domestic policy towards the Poles changed. They no longer oppressed the Polish people, but tried to win their hearts.

Since the 1900s, the press has focused on a new stage of the persecution of the Polish people. Newspapers report on the punishment of the Polish students. The Poles' protest was more and more intensified by the demand of the German government - to deny their motherland language, to forget their motherland's history, literature, art and become Germans. All those who complied with the demands were

arrested. The Germans were most angered by the strength and invincibility of the Poles. Neither the „Colonization Commission“, nor the banning of the language, nor the changing of names for places (in many places they changed the names of towns and villages and called them, for example, Bismarck's village, Moltke town, Wilhelm's township, etc.) weakened the strength of the Polish people. The example of Poland clearly showed Germany the harmfulness of the aggressive policy for the state. Attempts to destroy national characteristics further kindled and strengthened the national movement, which forced the government to soften the conquering policy. However, such policy could not suppress the discontent of the Poles.

As for the Polish people under Austria, here the national movement produced significant results. The common action of the enslaved nations gradually introduced the principle of national equality into the state life. Austria, by granting certain rights, quelled national unrest among the Poles subject to it.

In „Russian Poland“, the strengthening of the colonial policy intensified the national struggle. The Russians considered it impossible to give the same rights as the Austrian Poles. The Russians thought that the Polish people needed the prosperous life, not political independence. In fact, the Poles demanded the granting of autonomy to Poland. The demonstrations, strikes, riots in Poland demanding autonomy were followed by the introduction of military rules by the Russian authorities. This decision further aggravated the relationship between Poland and Russia.

The situation is different during the period of Polish independence. The 21st year of independence in the history of Poland is marked by selfless struggle to preserve the gained independence. Georgia

and Poland both gained independence in 1918. However, Russia did not adapt to the freedom of any of them. Together with Russia, Germany could not give up Poland.

Georgia could not withstand the imperial intentions of the neighboring state for a long time, in 1921 it was occupied by the Soviet Russia. Poland has been dealing with domestic and foreign challenges for 21 years. Based on it, it is interesting how the struggle of Polish people to preserve their identity was reflected in the Georgian print media. In this regard, we have a different situation compared to the previous period, which was due to the change in the political situation in Georgia. After the annexation of Georgia by Russia in 1921, the printing of national newspapers was significantly restricted. However, the political life of independent Poland is important for Georgian communists, since Poland maintained its independence until World War II. That is why the newspaper „Communist“, expressing the communist ideology, intensively covered the political life of the Polish Menshevik government. In many cases, the published materials were based on the information of the Union Telegraph Agency, Russian and foreign press materials were published. Although the newspaper is an encomiast of communist ideology, we find interesting information in terms of the history of Polish identity. As for the period of Georgia's independence, the publications show a different character, expressing a sense of solidarity. This is the direction of the newspaper „Saqartvelo“ of the National-Democrats.

The new territorial borders of Europe, which were determined by the Versailles conference, turned out to be unacceptable for some states and became the basis for new conflicts. The disagreement between Poland and Russia on this ground turned into war in 1919.

Poland wanted to return the territories that were part of it before the partition, and Russia wanted to control these territories.

„Communist“ is characterized by the scarcity of material on the Russo-Polish war, which is probably caused by Russia's unsuccessful military actions. Instead, none of the nuances related to the decision of the Conference of Ambassadors (I will touch the issue below) and the aggravation of national issues among the population of the Western Ukraine and Western Belarus transferred to Poland remain unheeded.

Information about the progress of the Russo-Polish war is preserved in the newspaper „Saqtartvelo“. In April, Polish troops entered the territory of the Ukraine. On May 7, Ukrainian and Polish troops captured Kiev. Simon Petliura, a fighter for the independence of the Ukraine, participated in this battle with the Poles. The attack of the Poles was followed by a counterattack of the Bolsheviks and the Poles were pushed back to Warsaw. On August 8, the Red Army was ordered to capture Warsaw. The battle for the city took place from August 12-24 and is referred to as the „Miracle on the Vistula“, which ended in a Polish victory.

When Poland as a state organism was threatened with destruction, the whole of Poland stood up to defend its independence.

The general solidarity led to the retreat of the Soviet troops and the strengthening of the positions of the Polish people. The national sentiments of the Poles in the struggle for identical survival turned out to be so strong that they brutally defeated the Bolsheviks. Here, not only the Polish-Russian issue, but also the fate of the future of Europe was being decided. The idea of public freedom was supposed to save Europe from the dictatorship of the Bolsheviks, from „Red

Imperialism“. Poland not only protected its own land, but also acted as a deterrent against the reddening of Europe.

The Soviet government had its own vision of justice, which wore the mantle of the liberator from the dictatorship of the Pans and the role of the defender of the oppressed. However, the objectives of the Soviet government were different. The media exposed the Leninist plan for the subjugation of Poland: starting a civil war in Poland, mass extermination of the Poles, confiscation of bread and collecting food for the Soviet Russia, relocating the poorest population from the interior of Russia, creating an advantaged situation for them compared to the Poles, settling Russian soldiers in Polish villages to establish peace („Saqartvelo“ 1920. №111).

The Polish-Russian war ended on March 18, 1921 with the signing of the Peace Treaty of Riga. According to the agreement, Russia ceded the territory of the Western Ukraine and Western Belarus. Such a solution to the issue of the territory caused dissatisfaction not only of the Ukraine and Belarus, but also of the Soviet authorities.

The Polish-Lithuanian conflict did not end there. I will continue talking chronologically on the mentioned topic below.

After the establishment of the Soviet government in Georgia, the representatives of the Mensheviks are looking for allies in the states separated from Russia. The visit of Mensheviks N.Ramishvili and K.Chkheidze to Poland was aimed at establishing relations against the Soviet government. They informed the Polish authorities about the current situation in Georgia and the result of the Bolshevik invasion. It should be emphasized here that the Polish government is interested in the fate of Georgia, as „all other states separated from Russia and the

union between them consider it a necessary political issue“ („Saqartvelo“ 1921. №6: 12).

So, the issue of creating political unity was on the agenda, which was an obstacle for the Soviet Union. The Soviet Union is losing its rest trying to create a „new equilibrium“ of the anti-Soviet union of small states, and the Russian press considers Poland a player in the English project „from sea to sea“ („Communist“ 1926. №168). That is why the Soviet government started active anti-Polish propaganda about the oppression of national minorities. The result of this propaganda is the creation of about 500 party organizations in the villages by the „Gromada“ of the the Belarusian Union, in which about 50,000 peasants were united.

At the same time, the Soviet Union signed a non-aggression pact with Lithuania in Moscow on September 28, 1926, by which Wilno, recognized as a constituent part of Poland by the Conference of Ambassadors (March 15, 1923), was recognized as part of Lithuania. So, territorial expansion began with the scenario of the defender of the oppressed. It is true that clarifying the position of the League of Nations was of great importance in the Polish-Lithuanian conflict, but the aforementioned organization was unable to resolve the Polish-Lithuanian conflict.

Agreement between Poland-France and Poland-Germany is signed to ensure peace in Europe („Communist“ 1929. №120; 1933. №16). However, Hitler's coming to power in Germany causes a fear factor in Poland. Since Hitler included the Polish issue in his program. The Polish Corridor claimed by Germany stretched from Poznan Voivode-ship north to the Baltic Sea, which was ceded to Poland by

the Treaty of Versailles. Poles represented the majority of the population of the corridor.

The tense situation at the Polish-German border temporarily calmed down on January 26, 1934 with the signing of a 10-year non-aggression pact between Poland and Germany. The Polish press even called the treaty the Locarno of the East. However, it was more a kind of maneuver to withdraw Poland from the French policy („Communist“ 1934. №26).

The rapprochement of Poland with Germany led to isolation of Poland. Bypassing Poland, international agreements are formed between France-Soviet Union, Czechoslovakia-Soviet Union, Romania is approaching the Soviet Union. France-England negotiations are underway. Although Poland is an ally of France, all of this is bypassing Poland („Communist“ 1936. №35).

By 1938, the situation on the Polish-German border became tense again. Hitler declares: „I am ready to admit that Poland needs access to the sea, but I resent that this access to the sea must be carried out through a corridor that belongs to German territory“ („Communist“ 1938. №64).

The request to join Danzig with Germany was unacceptable for Poland. Especially since the presence of historical fortresses (Toruń, Bydgoszcz, etc.) indicated the historical belonging of the "Seaside Voivodeship" to Poland. In addition, the corridor and Danzig had economic and strategic importance for Poland („Communist“ 1939. №104). Although Germany creates imperial borders, it is obviously impossible to erase the historical memory of identity.

At the same time, the methods of cooperation between states are changing. A treaty of mutual assistance between England and

Poland is formed, which, despite not contradicting the Polish-German treaty, became a pretext for canceling the German-Polish treaty („Communist“ 1939. №104). Obviously, Germany unilaterally canceled the agreement to attack Poland freely.

Another method that Germany tried to use for its own purposes is to conduct an emergency accounting in Upper Silesia. A „nationality“ column appeared in the accounting sheet. At the same time, a large amount of fascist literature was distributed in all areas of Germany bordering Poland. The literature encouraged the Polish population to apply for German nationality. At the same time, Poles in German Silesia were offered the option to mark "Upper Silesian dialect" as their mother tongue in the questionnaires. The German government could not adapt to the presence of one and a half million Poles in Germany, so they tried to show a smaller number through threats and statistical manipulations („Communist“ 1939. №112).

Day by day, the situation around Danzig became tenser. Intensive militarization is taking place in Danzig („Communist“ 1939. №151; №160). Provocations on the border by the German military have become more frequent. The Danzig press turned to active agitation for the annexation of the „Free City“ to Germany. German newspapers were sold in Danzig, German films were shown in cinemas. The local population did not take kindly to the German propaganda. Anti-fascist slogans „People do not want Danzig to fall into the hands of Germany“ were spread in the city („Communist“ 1939. №179). German newspapers published correspondence with slogans: „Poland threatens Danzig“, „Danzig or war“. At the Polish-German border, German fascists dug up a border post, erased the inscription „Polish state

border“ and put up a poster with the inscription „Greater Germany“ („Communist“ 1939. №186; №188).

So, Germany begins to erase territorial borders, Polish identity and establish a new territorial order.

In such a complicated political situation, a non-aggression pact is formed between the Soviet Union and Germany („Communist“ 1939. №195).

Active preparations turned into active actions near the Polish-German border. A German military patrol breached the Polish border, moved into Polish territory, and threatened the Polish Coast Guard with a machine gun. Firing broke out on both sides („Communist“ 1939. №197). The German army was attacking from Silesia, Pomerania, East Prussia. The Germans occupied the industrial areas of the Corridor and Upper Silesia („Communist“ 1939. №202). Hitler, on the one hand, gives an order that the armed forces do not allow violations of international law and agreements signed by the German Empire („Communist“ 1939. №205), on the other hand, gross violations of international law are recorded. The ship „Athenia“ was sunk by a German submarine („Communist“ 1939. №208).

England issued an ultimatum to Germany to cease hostilities against Poland and withdraw its troops from the Polish territory, otherwise England would be considered to be at war with Germany. Germany rejected England's ultimatum. England and Australia declared war on Germany. He also refused the French request to end the war . After the rejection, France considered herself bound to fulfill her treaty obligations towards Poland. France invaded Germany and opened the Western Front to withdraw German troops from Poland. Germany, indeed, partially withdrew its troops from Poland („Communist“ 1939.

№209). But not completely. The Germans invaded Warsaw and Poland lost almost all political and economic centers („Communist“ 1939. №210).

Against the backdrop of unsuccessful Polish military operations, an anti-Polish movement broke out in eastern Galicia and western Belarus, the population refused to join the Polish army and demanded independence („Communist“ 1939. №211). Such a rapid defeat of Poland, according to the Soviet press, was due not only to the superiority of German military equipment and military organization, or to the fact that England and France did not find effective help in time, but also to the internal weakness and contradictions of Poland, the complications of relations with the national minority. Due to this, the internal unity and consolidation of the state in the multi-ethnic Poland could not take place according to the Soviet narrative („Communist“ 1939. №212)

By publishing such a publication, the Soviet press served as a call to the people of Western Belarus and the Ukraine to fight for national freedom. It prepared the ground for the realization of the scenario of the defender of the oppressed in the reading public.

The events of September 17 were recorded as a historical decision in the history of the Soviet Union. In this narrative, because of the destroying Polish state and government, the Red Army moved across the border to defend western Ukraine and western Belarus. The army's mission is to establish peace and order, which in itself means interfering in domestic affairs.

Chapter Two. Culture and Polish identity

Culture is a distinctive feature of identity. Accordingly, a proper place is given to discussing the importance of cultural characteris-

tics (language, tradition, theater) in the media pages from the point of view of preserving identity.

Language is one of the main signs of identity. That is why the expulsion of the mother tongue from the state and public institutions of Poland under Russia or Austria-Prussia, primarily from schools, was the hardest test for the Polish people, which was followed by largescale protests by Poles. The population demanded the restoration of the Polish language. Active propaganda about the necessity of teaching in the mother tongue in the society was conditioned by this aim: the clergy preached teaching in Polish, the print media also encouraged the public to speak Polish. Such facts should have become exemplary examples for Georgian readers on the way to struggle for identity preservation.

The Russian government's attempt to spread and establish the Russian language among the peoples of different nationalities, creeds and cultures within the empire as a state language proved difficult. That is why it addressed various measures to realize its goal. Russia faced special difficulties in the western guberniyas, because Polish dominates here alongside the Russian language („Iveria“ 1889. № 111).

The situation was similar in the part of Poland that was under Austria-Hungary. Austria-Hungary consisted of people of different nationalities, each of which has its own language, history, writing, character, customs, way of life. The Austrian government of German origin intended to „Germanize“ the people of various tribes. To this end, they expelled the Hungarian and Slavic languages from the courts, governing bodies and schools, and introduced the German language, which became the cause of unrest among the Slavs. The attempt to

destroy identical characteristics - language, history, literacy, character, customs, way of life cost the imperial government dearly.

From the point of view of the activation of the national movement of Poles, the decisions taken at the Poznan Catholic Assembly are noteworthy: on support for the establishment of a university; Also, the activation of priests' preaching about receiving education in the Polish language; Facilitate the training of more Polish-speaking teachers in Upper Silesian master seminars and send them to Ermland, which is considered to be de-Germanized; Bishop Thiel's order to teach the Holy Scriptures in Polish; Taking care of the return of self-names - changing German names to Polish names again (for example, Erzyc was called Ezizy again, Gurtbon - Gurton, etc.); Spreading active propaganda in newspapers about speaking in Polish, etc. („Iveria“ 1894. №. 127).

It is important that the Poles began to take care of the return of self-names, thereby defining the historical territories of identity. One of the most important things discussed in the letter is support for the establishment of a university. The introduction of university education is an event of great importance for the history of identity. Higher education creates an educated layer - the intelligentsia. The intelligentsia, according to the view recognized in the special literature, plays a decisive role in the national movement.

As I've mentioned, a new stage of denationalization begins in the 900s. Not only was the Polish language banned in schools, Poles were also forbidden to speak Polish to each other outside the school - on the street, in public institutions. They had the right to speak Polish only in their families. The office and court language also became Russian. The freedom of magazines and newspapers was restricted,

strict censorship was introduced, and history was taught with falsified textbooks.

In this regard, the situation is identical in Georgia. That is why it was of particular importance for Georgian publicists to observe the developments in Poland and to provide this information to Georgian readers.

The activity of Poles in terms of raising national self-awareness is special. For this purpose, they resorted to various measures. Among them, a public demonstration of past glories was organized by the Poles in Lviv on the anniversary of the 1410 War of Grunwald. They held various demonstrations: national music was played in the streets, houses were decorated with national flags, a sheet with the inscription: „Anniversary of the defeat of the Teutonic Order“ was hung on the windows, a mass was paid in the cathedral, and a lecture was given by Archivarius Chelovsky („Iveria“ 1902. №. 146) about the Battle of Grunwald.

Such examples were of special importance for Georgians - in the conditions of complete indifference on the part of Georgians to the national issue, national feelings should be aroused and the interest of self-defense should be strengthened.

In order to break down the national partitions, the judicial system was also affected by the powerful colonialist policy. That is why the changes in the judicial system were of particular importance to the oppressed nations. However, even in Russia, the court did not fulfill its purpose, which put the issue of its reformation on the agenda here as well. The main reason for this is the lack of knowledge of customs and language. During this period, the Poles had an exemplary trial court, which was also acceptable to the Russians. The Minister of

Justice of Russia N.V. Muravyov issued an order to introduce Poland-like courts throughout Russia. The Georgian media considers it necessary to introduce the Polish (Gmina) Court to its readers, because the issue of reforming the judicial system was relevant for Georgia as well. In the correspondence, the universal nature of the Polish (Gmina) Court is emphatically mentioned. Proximity to the people is mentioned as a positive aspect of the Polish (Gmina) Court. In Poland, the Polish (Gmina) Court, as an institution consisting of persons elected by the people, has gained general trust and respect.

Based on the above, it is obvious that the cultural elements of the Poles (language, tradition, customs) show endurance over time, which is a necessary factor for the strength of national unity. This was the reason for the selfless struggle of Poles to save cultural elements.

Conclusion

Thus, if we observe the dynamics of publication of materials on Poland, the materials are numerous. But the topics of preindependence Georgia, independence and the Soviet period are radically different. The reason for this is the current political situation in Georgia. Although Poland maintained its independence until the Second World War, Georgia was annexed by Russia in 1921. Accordingly, the topic of materials from this period in the Georgian press is trending.

The Georgian print media of the period before the independence of Georgia places special emphasis on the following aspects: language issues - freedom of language, introduction of their mother tongue in courts and schools; on traditions and special respect of Poles for this cultural element; on national patriotism; on the role and importance of the promoted representatives of the society in terms of

continuing the existence of the identity; Media activism as a means of spreading the ideals of liberation among the people. The discussed material testifies that no imperialist intentions will stand in front of the common legal rights and duties of Polish identity on their own historical land, since the land, which the imperialist states intended to seize, is the historical property of the Polish people with common values, symbols, and traditions.

Based on the studied material, it is clear how the national direction, which was born in the intelligentsia, and then developed in most of the nation, was strengthened in Poland. So, the national direction was given a democratic character. That is why it was of special importance for Georgian publicists to observe the developments in Poland and to provide this information to Georgian readers. Georgian print media, by publishing materials depicting everyday life in Poland, on the one hand expressed solidarity with Poles, on the other hand, tried to arouse national sentiments among Georgians in order to protect their own identity.

As for the materials of the Georgian press of the Soviet period, the publications reflect only the political situation of interest to the Soviet government and have a tendency character. This indicates the special interest of the press of Soviet Georgia regarding the political events in Poland. This is due to the fact that there are periods when there is no information about Poland on the newspaper pages at all. The Soviet Bolshevik government cannot adapt to the existence of an independent Polish Menshevik state. Despite the fact that the process of grouping/regrouping, weakening/strengthening of states was of equal interest to Poland, the Soviet Union, England, France, Germany, taking


this into account, interesting materials depicting the struggle of Poles to preserve their independence have been published in the press.

Although the material is not an expression of solidarity with the Polish people, but it shows how the Polish state is getting stronger, how the national hero Józef Pilsudski is building a strong government, how he is creating a strong army to protect the territorial identity or to return the historical territories, the situation after Pilsudski is not really impressive. Poland again becomes a victim of the imperialist goals of two empires, the Soviet Union-Germany.



დაიკეჭდა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com



ქეთევან მანია – ისტორიის დოქტორი. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

2005-2012 წლებში კითხულობდა ლექციებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2003 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „წყაროთმცოდნეობითი კვლევა საქართველოში XX ს-ის 60-90-იან წლებში“.

მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა ახალი და უახლესი ისტორია, ქართული იდენტობის ისტორია, წყაროთ-მცოდნეობა, ისტორიოგრაფია. არის 40-მდე ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე. 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 7 წიგნის ავტორი. ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია „იაკობ გოგებაშვილი და ქართველობა“ (2020), „აფხაზეთი და ქართული იდენტობა“ (2021).

Ketevan Mania – Doctor of History. Senior Research Fellow at the Institute of History and Ethnology of Tbilisi State University. Leading Research Fellow of Tskhumi-Abkhazeti Academy of Sciences. In 2005-2012, she gave lectures at Sokhumi State University. In 2003 she defended her doctoral thesis on the topic „Source Study in Georgia in 1960s-1990s“. The field of her research interests is modern and contemporary history. History of Georgian identity, source study, historiography. She is a participant of up to 40 local and international scientific conferences. Author of about 70 scientific works, including 7 books. Among the monographs published recently, it is worth mentioning „Iakob Gogebashvili and Georgianness“ (2020) and „Apkhazeti and Georgian Identity“ (2021).

